
იზა ჭიკაიძე
სამყაროს შევცვლი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲖᲐ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ

# ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲕᲪᲕᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2023

ᲘᲡᲔᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲒᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲔ ᲮᲕᲐᲚᲕᲔ ᲨᲔᲕᲪᲕᲚᲘ!

UDC (უაკ): 821.353.1-1
ჭ-45

რედაქტორი: **ლევან ჭვანია**
ტექნიკური რედაქტორი: **ბესო ნიბლაძე**
კორექტორი: **ნინო ქავთარაძე**
დაკაბადონება: **გიგი გელაშვილი**

გარეკანის ფოტო: იზა ჭიკაიძე

ISBN: 978-9941-9866-9-7
©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
©იზა ჭიკაიძე

იზა ჭიკაიძე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, კახეთში დაიბადა, სოფელ ველისციხეში. ქალაქ თელავის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ქალაქ გურჯაანის №1 საშუ-ალო სკოლაში. წლების შემდეგ იგი გადაიყვანეს ქალაქ გუ-რჯაანის მესამე საშუალო სკოლის დირექტორად. მუშაობდა, აგრეთვე, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებაში, სასკოლო ინსპექტორად, თელავის პედაგოგიურ უნივერსიტეტ-ში, დოცენტის თანამდებობაზე და საქართველოს განათლების სამისტროს მეთოდურ ცენტრში, მეთოდისტად. იზა ჭიკაიძე მუ-შაობდა საქართველოს უზენაეს საბჭოში, რედაქტორად, სახე-ლმწიფო საბჭოში, რედაქტორ-რეფერენტად, ხოლო ბოლო ოც წელზე მეტხანს იღვაწა საქართველოს პრეზიდენტისა და სა-ქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატებში, რედაქტორად, რეფერენტად და მრჩევლად.

იზა ჭიკაიძე ფილოლოგიის დოქტორია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ნაყოფიერი შე-მოქმედებითი მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანო-ბაში აქტიური მონაწილეობისათვის იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა სიგელებით, ანა კალანდაძის პრემიით და მინიჭე-ბული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

პოეტს დღემდე გამოცემული აქვს ლექსების კრებულე-ბი: „ვედრება“ (1992), „გაზაფხული“ (1998), „რაი არს ნეტარება“ (2002), „მე დავიბადე ქრისტეშობისას“ (2010), „ას ერგასი ლექ-სი“ (2012), „ზამთრისპირა ლოცვები“ (2021), „მეც ქართველი ვარ“ (2022).

„სამყაროს შევცვლი“ იზა ჭიკაიძის ლექსების მერვე კრე-ბულია, სადაც პოეტი განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნე-ბს ჩვენი მადლიანი სამშობლოს მიმართ, ეთაყვანება საქა-რთველოს წარსულს და იმედიანად უყურებს მის მომავალს. ლექსებში ნათლად ჩანს თანამედროვე ადამიანთა ყოფა, ამ-ჟამინდელი ტკივილებითა და სიხარულით. ავტორი დაკვირ-ვებული თვალით უყურებს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადო-ებრივი პროცესების განვითარებასაც... იზა ჭიკაიძის აზრით, ადამიანის ბედნიერების არსი თავად ადამიანშია მოსაძიებე-ლი, ოღონდ, ჭეშმარიტი სიყვარულით, გონიერებით, პატიოსა-ნი შრომით, სამართლიანი ბრძოლით, კეთილშობილი ზრახვე-

ბით და თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით!

იზა ქიკაიძე თავისუფლებისა და ადამიანთა სიყვარულის სენით შეპყრობილი პოეტია, რომელიც უფლის გარდა, არავის ემონება!.. მას ხშირად დედამიწა ეპატარავება და ზეცის უკიდეგანო სივრცეებში დანავარდობს, რომ იქიდან უკეთესად უმზიროს ადამიანთა ცოდვების გამო დამძიმებულ დედამიწას, იმ დედამიწას, რომელიც სიკეთითა და სიყვარულით, ისევ ადამიანებმა უნდა გადაარჩინონ...

პოეტი განსაკუთრებული მხატვრული ფერებით აცოცხლებს ბუნებას. იგი ლურჯთვალა იას და ყვითელგულა გვირილებს შეჰხარის, უნაბისფერ შემოდგომასა და უძილო ტირიფებს უმღერს, პატარა ბულბულს ეფერება, რომელიც, ქარიშხლის შემდეგ ამღერებული, ზოგჯერ, ადამიანზე ძლიერადაც ეჩვენება...

იზა ქიკაიძის ლექსებში მკითხველი იმედიან განწყობასთან ერთად, სევდასაც იგრძნობს. პოეტი გულისტკივილს ვერ მალავს ადამიანთა შურის, ღალატის, მტრობისა და სისხლისმღვრელი ომების გამო... მიუხედავად ამისა, იგი ყოველ დარდსა და წყვდიადში სინათლისა და იმედის შუქს ხედავს... დიახ, გამბედაობა, უტყუარი პოეტური ხმა, სიმართლე, სინათლე და სიყვარული ასაზრდოებს იზა ქიკაიძის ლექსების კრებულს – „სამყაროს შევცვლი".

და მაინც... იზა ქიკაიძის ეს წიგნი დიდ ნატვრის ხეს მაგონებს, სადაც მარგალიტებივით აკინძულან მამულის სიყვარული, ღვთიური ნების უძლეველობა, ქართული ენისა და ჩვენი მდიდარი ტრადიციების თაყვანისცემა, ადამიანთა ურთიერთობა, სიყვარულის მარადიულობა და სამყარო, თავისი ამოუცნობი, კითხვისნიშნიანი გარემოთი...

როცა მზე გაიღვიძებს და დილის საამო სურნელს შევიგრძნობთ, იზა ქიკაიძის ნატვრის ხე თვალებს გაახელს, ტოტებს ფაქიზად შეარხევს, ლექსები ჩიტებივით ახმიანდებიან, რომ საამო ჰანგებით გააბედნიერონ ქართველი ერი და სრულიად სამყარო!

**ლევან ჟვანია**



## ჩრდილიდან სამზეოში

კრძალვის გზებით ვერაფერი მოვიძიე,
უშედეგო დასასრულიც არ მიყვარდა...
არაფრიდან ყველაფრისკენ გავიხედე,
ოცნებებმა საფიქრალი გამიმყარა...
ოკეანის ტალღის ღელვა-ქარიშხალმა
დამისველა გულისგულის ყველა გვერდი,
უკაცრავად.. გზა მომეცით... გამატარეთ...
დღეს ჩრდილიდან სამზეოში გამოვედი!



## ურომლისოდაც

ურომლისოდაც ვერ ივარგებ, ვერასდროს, ვერსად,–
ეს არის რწმენა, ღირსეული სიტყვისკაცობა,
თავმდაბლობის და ძლიერების შეხმატკბილება,
სულის მხნეობა, სიმშვიდე და კაცთმოყვარება!
ალალი შრომა და სიკეთით ლელოს გატანა,
დუმილისა და სიყვარულის დასაძირკვლება,
შვილის და ძირის მადლის ცხებით დაგვირისტება,
მტრისთვის შენდობა და სამოყვროდ ხელის გაწვდენა!
ურომლისოდაც ვერ იქნები ვერასდროს ვერვინ, –
გულის თვალით და ღვთის გზით თუ არ შეიმოსები,
გამარჯვებას და დამარცხებას, – გულდინჯი მზერით
და გონივრული თვალთახედვით თუ არ შეხვდები!
უიღბლო დღეთა დანგრეული ცხოვრების კედლებს
ბედნიერება და იმედი წამოაშველე,
დაბნეულობა არ შეგნიშნოს არასდროს, არვინ!
გაიღიმე და... გულისგულიც გამოაბრწყინე!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, – ეს არის გული,
მამულისა და ხალხისათვის შემოწირული!
ოქროსფერ ვარდებს მოაშორე მზაკვრობა, შური
და არასოდეს დაივიწყო შენი წარსული!..
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, ვერასდროს, ვერსად,–
ეს არის შენი ტრადიციის ტოტი და ფესვი,
ქვეყანა შენი,  ოჯახი და თავისუფლება,
ერთგულება და დღეგრძელობა ერის და ბერის!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ, – ეს არის შენი
მოყვარეების სავსე მუჭით მოწვდილი წყალი...
დაგლოცავ შენივ მადლისფერა სიყვარულისთვის,–
ღირსი ყოფილხარ უკვდავყოფის! ამინ და ამინ!

## მეც ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ და პატრონი ღვთისმშობლის მიწის,
ჩემი ფესვები ქართლოსიანთ წლების სწორია...
კავკასიელთა მოვერცხლილი სატევრის ცეცხლის
ისტორიებით ვამარცხებდი მუდამ გოლიათს!
ვაზით და თმებით მოტანილი ჯვრის სიდიადე
გადამეფერა სისხლმდინარე, ძოწისფერ ღვინოდ,
სვეტიცხოველი სიყვარულის ვნებით ირგებდა
ქრისტეს კვართიდან გამოჟონილ მადლსა და მირონს.
ღვთის ხორბალს როცა ფქვავდნენ ხოლმე მხეცის პირები,
ილოკებოდნენ ბედისწერის ბრმა სურვილები,
იბადებოდნენ ქართველობის ღირსი შვილები,
მომავლის მცველი მოლამპრენი დღესაც გვჭირდებით!..
დღესაც გვეძალვის ზოგჯერ სისხლი ღალატისფერი,
ხან გულფიცხობით გაგვიჭირდა ლელოს გატანა,
ჩასაფრებულმა ბედისწერის უცხო ქარებმა
ავზნიან დღეთა ბილიკებზე ბევრჯერ გვატარა...
ჭირის დღესავით საძულველი სექტემბრის სისხლით
ბზიფსა და ლიახვს მეც ვადინე ცრემლის ღვარები,
კოდორს დავუწვი ნატყვიარი, შავი გვერდები,
ქვეყანავ ჩემო, ნეტავ საით მიექანები?!..
უშნო ხმაურზე ხშირად მტკივა ძველი ფესვები,
პატარა მიწის დიდ ბრძოლებში ზეიმებს ვითვლი,
ოცდამეერთე საუკუნის გონიერება
ისევ ქართველმა არ დამიხშოს მაყუჩის სისხლით!
ისტორიათა და აზმათა გადასახედთან
თამარ დედოფლის სამეფოის გმირი წიგნიდან,
მუხლისთავებზე გულდაბჯენილ ქართველთა ლოცვებს
ვენუგეშები ღვთისმშობელის ქვეყნის წილიდან:
მეც ქართველი ვარ... და მამულის საიავარდოდ
ისეც დიდგულას, ვებერთელა გული ჩამედგა,
სხვას ვერ გპირდები, გულს მოგიძღვნი, სიყვარულს, ღმერთო,
დაუქვითკირე საქართველოს ახალ საზღვრებად

და თუ ლოდინი გამიყინავს მაისის კვირტებს,
მტკივანი გული ჩემი შვილის ხელით მიქირავს...
დედა მარიამ, საქართველო გადამირჩინე
და ჩემი სულიც ისევ ღვთისთვის შემომიწირავს!

## მთელი ცხოვრება

მთელი ცხოვრება ჩრდილში ვმსახურობ,
მზემ არ დამიწვას ფაქიზი კანი...
ფარულად ვზვერავ სამყაროს ნათელს,
როდის ახდება ნატვრის სიზმარი!..
მთელი ცხოვრება ღამის ჩრდილში ვარ,
რომ დღის ნათელზე გულით ვილხინო,
დასუსტებული ფრთების ფეთებით
ზეცის კიდეებს გადავუფრინო
და გადავხედო სრულად სამყაროს!
ვინ იცის, ღამემ დღესაც აჯობოს,
უკეთ შევიცნო უფლის გზა-კვალი,
გამარჯვებამაც არ მიმატოვოს!..
მთელი ცხოვრება ღამის ჩრდილში ვარ,
რომ დღის ნათელზე გულით ვილხინო
და თავი ჩემი... ოცნება ჩემი...
და მომავალი გადავირჩინო!..

## მოძალებულ სიყვარულში

საწუთისოფლო დღეთა უაზრო ხმაურში
მე არც ცნობილი პოეტი ვარ და არც უცნობი...
სადღაც, შუაში, ტყვიასავით გაჭედილ, მაგრამ
გამოსაჭედად დამსგავსებულ ოცნებასა და
სიყვარულს ვგავარ, ჩემი ლექსებივით...
ლექსია ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი
და მეც, ხშირად, თანაც მშვიდად, ვნაწილდები
ჩემი ფიზიკური სივრცის კუნჭულებსა და

სამყაროს ხმაურიან დღეთა სიმშვიდეში,
რომ ფიქრებთან ერთად, სხეულიც შევიგრძნო
და უკუნეთ სიბნელეში მზის ნათელი დავინახო!
დიდი სივრცით დაშორებულ პატარა საგნებსაც
კანონზომიერი გზით ვალაგებ ჩემს გონებაში
და ეს პაწაწინა საგნებიც თავიანთ სამყაროს ქმნიან...
ვაყურადებ...ვიტრუნები...თვალებსაც ვაცეცებ,
მაგრამ ჩემი ამბავი სხვისას არასოდეს ემგვანება,
რადგან ყველა თავის გულში, თვალსა და ტვინში
დავიარებით, ჩვენს მესა და სამყაროში დავაბიჯებთ...
ამიტომაც... კიდევ, სხვათა და სხვათა მიზეზთა
გამოც...შლეგი სამყაროს ჟამზე, არც ცნობილი
ვხდები და არც უცნობი... სადღაც, შუაში ვარ
გაჭედილი... ტყვიასავით.. გამოსაჭედად კი ვემზადები,
ზომიერების გრძნობასაც უკეთესად ვსწავლობ,
რომ მოძალებულ სიყვარულსა და მოზღვავებულ
ოცნებებში ცხოვრებამ არსად გადამკარგოს...

## ერთი შიში მაქვს

ზამთარში მომყავს გაზაფხული მიწის და ცისა,
კახეთში გაზრდილს სურნელი მდის მაღალი მთისა,
არ მეშინია უღრან ტყეში საზარელ ხმისა,
რადგან ცხოვრებამ გამომალღო და მუდამ მცდისა,
რადგან მიწაზე არავისი არა მაქვს ვალი,
მშვიდ დღეებს ვითვლი, ვით კახეთში ალაზნის წყალი,
შიშის ზარებით ვამთლიანებ ხიდებს ჩატეხილს,
არ მივეჩვიო, ემანდ ბრიყვულ სიტყვას გატეხილს...
სიცოცხლის ჟამზე თვალი ხარობს, გული იღიმის,
ერთი შიში მაქვს, – არ შევჭამო სადმე სირცხვილი!

## ეს ვართ ქართველნი

ლხინსაც და ჭირსაც უსაზღვრობით ვიხატავთ გულზე,
ქართლოსიანთა მამა-პაპის გვკარნახობს გენი,
შიმშილს ავირჩევთ, სტუმრისათვის ვალებს დავიდებთ,
სხვისი წყლულების განკურნება წამლადაც გვშველის.
შიშველს შევმოსავთ ღარიბული ჩვენივ სამოსით,
მოღალატისთვის ერთგულების ძალით ვნეტარობთ,
ჭირსაც სიმღერით დავიმგლოვებთ, ლხინს ზეცას ვაწვდენთ,
ეს არს ქართველი, არავისში არ შეგეშალოთ!
გადაბრუნებულ სიტყვას არვის შევარჩენთ აროს,
გადამთიელს რომ ავ ქართულით თავი ეწყალოს,
შურს სიყვარულით ვამათრახებთ, ავს კარგით ვლექსავთ,
ეს არს ქართველი, არავისში არ შეგეშალოთ!
მუმლი მუხას რომ ესეოდა ჩაკრულოს ბანზე,
მზე სხივოსნობდა, – გაფრინდიო, შავო მერცხალო,
არწივი ფრენდა, გმირი ბჭობდა ალესილ ჰანგზე, –
ქართველი ვარო, სხვა ვინმეში არ შეგეშალოთ...
სიცოცხლე გვატკბობს მამულის და უფლის საზღაურ,
სრულად სამყაროს ვუმეორებთ არა ერთგანო,
ღმერთით კურთხეულ მთასა და ბარს ზედ დავაკვდებით, –
ეს ვართ ქართველნი, არავისში არ შეგეშალოთ!

## განთიადი

ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...
წამომდგომია მზე,
დედაჩემის თვალით რომ მზერს,
მლოცავს და მანიშნებს, – ადექიო,
ციდან წვიმს სიხარულის ნატეხიო...
პეტრეს სინანულს და მეზვერის ღაღადს,
მეძავის ცრემლს მზე თვალებს სწმენდს...
ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...

## უფრო სხვა მინდა

რამდენ გენიოსს ამოხადეს შიმშილით სული
და რამდენ პოეტს გაატანეს საფლავში წყლული,
რამდენ შემოქმედს არ ეღირსა ცოცხალს დიდება
და შურისგების ცეცხლი დღესაც არა მშვიდდება...
ბავშვობის დღიდან ერთი დიდი დარდი მაწუხებს,–
მართალ კაცს ზოგჯერ რად უჭერენ გულზე მარწუხებს,
შურით და ბოღმით როცა ძლიერს არად აგდებენ,
არც კი იციან, რომ არარა თავებს ავლენენ...
დრო მიდის თავის წესითა და სამშვენ-სამოსლით,
მედროვეს, უგნურს და გონიერს კვლავ დრო გამოსცდის,
სავალალოდ და საფიქრალად კვლავ ერთი მითქვამს, –
ჭკვიანს, გონიერს, სიცოცხლეში ბევრი ვერ იტანს...
როცა მოკვდება, იფარებენ ნიღბებს დარდიანს,
არ იშურებენ ქებასა და სიტყვებს მადლიანს...
რამდენ ღირსეულს ამოხადეს შიმშილით სული
და რამდენ პოეტს გაატანეს საფლავში წყლული...
სიკვდილს არ ვჩქარობ... არც სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან,
არც ქებას ვნატრობ! უფრო კარგი... უფრო სხვა მინდა!

## ბედნიერება და თავისუფლება

სამყარო დაცხრა და ნოემაც კიდობანის კარი გააღო...
სიცოცხლის და თავისუფლების უკვდავი არსის პასუხს ელის,
კითხვების ფორმას და შინაარსს, რატომღაც, არ ცვლის...
და დაკვირვებული თვალთამზერით კითხულობს ნოე, –
თავისუფლება რაშია?!
ჩვენივე სულის ხსნაშია... სიცოცხლის გადარჩენაშია...
აღმა სვლასა და გამარჯვებაშია...თავად, ინდივიდშია,
რადგან, ბორკილებიან, თავისუფალ გმირებზეც გვსმენია
და მდიდრულ სასახლეში ცრემლებმდინარე გლახაკებზეც...
და მაინც, თავისუფლება რაშია?!
თავისუფლება შენშია, ჩემშია, ჩვენს მესა და ეგოშია...

თავად უნდა შეიგრძნო თავისუფლება და ეს მაშინ ხდება,
თუ ვერვინ ბატონობს შენს ფიქრსა და საქმეზე, გარდა ერთისა –
მამაზეციერისა! სამყაროს შემოქმედისა!
და...ნებისმიერი ბედნიერება თავისუფლების ნაწილია!
და თავად, თავისუფლებაც, ბედნიერების დიდი ნაწილია...
და ასე ვნაწილდებით სამყაროს უსაზღვრო სივრცის
ნაწილებში,– მე, შენ, ჩვენ, ბედნიერება და თავისუფლება!

## არსებითს და ყოფითს შორის

არსებითს და ყოფითს შორის განსხვავება
ავკინძე და ერთ სივრცეში ჩავალაგე,
სულიერი პირველ ცნებად გავიხადე
და ცხოვრებაც გულიანად დავალაგე...
ახლა ერთი ნეტარება დამრჩა ხინჯად,–
არაფერმა არ დაჯაბნოს ყველაფერი,
არსებითს და ყოფითს შორის განსხვავებით,
დროზე ვნახო, – რა შევქმენი და... რამდენი...

## ღალატს დავგმობთ

დავაბიჯებ მცირედ კრძალვით, ცოდვილ დროში დაკარგული,
ღალატისგან გაქცეული... მარტოობით გადაღლილი,
სასიკეთო ფიქრებისგან გულსავსე და გადამთვრალი ...
მადლს დავეძებ... ფილოსოფოსს... მხატვარს ვუხმობ,
ღვთის სიტყვების არქიტექტორს... ვიპოვი და თვალს გავხედნი,
სულის ნაკაწრ შეშლილ აზრებს მოვიძიებ მათთან ერთად...
სიტყვა ავტორს ხშირად ჰგავსო... თვით ავტორი, ვის ჰგავს, ნეტავ?!
გულის ტკივილს როცა ვამსხვრევ, დედამიწა წევს უცვლელად
და სამყაროს შეცვლის ჟინი, სურვილები ამტეხია!..
ბანი მითხრას ვინმემ, თორემ... ყმაწვილები ამყვებიან,
ცის და მიწის სივრცე-განედს ავაჭრელებთ სიხარულით,
ღალატს დავგმობთ! დედამიწას გადავავსებთ სიყვარულით!

## მეუფეო

მეუფეო, ხე ნაყოფით მაცნობინე,
მოწყალება დაფარული მიმჯობინე,
პურის ნაცვლად ქვა არ მიმაცემინო და
მტერ-მოყვარე მუდამ დამამშვიდებინე.
სახლი ჩემი კლდეზე ამაშენებინე,
სიტყვა შენი საქმით დამამშვენებინე,
ხვალინდელზე ხვალეს აფიქრებინე და
გული შენი ტრფობით გამახელებინე.
ვიწრო ჭიშკრის შესასვლელი შემირჩიე,
შენი სანდლის თასმას მომაფერებინე,
სული თავმდაბლობით დამამშვენებინე,
გული ერთგულებით ამამღერებინე.
ყველა ცოდვა ცრემლით განმაბანინე და
ლაზარეზე უფრო მდაბლად აღმადგინე,
განკითხვისგან თავი შემაკავებინე,
მაწყევარი შვილის მსგავსად მალოცვინე.
მალოცვინე ზღვა ზურმუხტა აფხაზეთი,
კახეთი და მთიულეთი მალოცვინე...
ხეზე განასკვული ბაბთით გელოდები,–
დაკარგული ნატვრისთვალიც მაპოვნინე!

## ცოტა მაცალე

სიშორე მტკივა და მწყინდება,
ტირილით ვაბეზრებ სამყაროს,
ვფიცავ მაგ თვალების სილურჯეს,
სადღეოდ არაფერს არ ვნანობ!
მაისი კვლავ იკლავს გაზაფხულს,
მთვარესაც ხშირად ვხსნი ზეციდან,
მზის სხივზე ღრუბელი ვერ იცლის
შებორკილ განთიადს ფეხიდან...
და მაინც, რატომღაც, ბოლო დროს,

ნისლები მიცრემლებს თვალის ფერს,
გადავცდი სამყაროს გაზაფხულს,
გაზანტდა ღამე და არ მისმენს...
სამყაროს რაღაცა სტკივა და
ცისკარი მომითხრობს ამბებად,
გაღმა ვარ გასული, ღელეზე,
შეშლილი ლექსების საკრეფად,
რა ვიცი, როდისღა გამოვალ,
ან მოვალ? შენ იყავ მშვიდადა!
ბოლოს ხომ კვლავ შენთან წამოვალ,
გეტყვი, რომ შენ გვერდით ღირდა და...
ახლა კი, კვლავ ცოტა მაცალე,
პლანეტის სიღრმეში ვწანწალებ,
მთვარე და მზე ფიქრით გავცალე,
უფალიც ჭარბი თქმით დავღალე...
სულ ცოტა, სულ ცოტა მაცალე!

## გზას დავეძებ

ამ ხორკლიან წუთისოფელს ვერ ვუპოვე გზა,
სახვალიო იმედს ვეძებ, საიმედოს, მყარს,
ისე სუფთას, სიკეთით რომ იზომავდეს კვალს,
გზა რად მინდა, თუ ჩემს ლხინზე აამღერებს სხვას!
გზას დავეძებ, ფრთებიანი ანგელოზის მსგავსს,
უანგარო სიყვარულით მაწონებდეს თავს,
დაპირების კორიანტელს გაატანდეს ქარს,
ბილიკებზე არ ტოვებდეს ნაგავსა და ხავსს...
თვითონ შურის სასახლეში არ ცეკვავდეს ვალსს,
სხვის ნაშენს არ გაატანდეს ნიაღვარს და წყალს,
სხვათა გულით გაღიმება არა სჭრიდეს თვალს,
მოუსმენდეს გონიერთა მელოდიას წყნარს...
მეტრიანი კელაპტრებით არ უსმინოს „მრწამსს“,
თუკი უფლის ნაცვლად დასდევს დროებით დრო-ჟამს,
თუ გზის ბოლოს ბოროტების მახვილი ტყე ჩანს,

დრო, სივრცე და სიძულვილი თუ ერთმანეთს ჰგავს!
მე სამყაროს სხვა გზას ვეძებ, გასხივებულ კარს,
ტრადიციის საფუძველზე გამოძერწილს, მყარს,
ერთგულების საზნეოზე რომ არ გაჰყვეს ქარს,
გზას დავეძებ ისეთრიგას, – გაუძლებდეს ჟამს!

## ტოლობა-უტოლობა

დიდ დედამიწაზე, დიდი და პატარა
ერთმანეთს ეტოლება...
დამძიმდა დედამიწა და ამოითხარა
სასიკეთო თვალები წუთისოფელმა!
ისედაც გადავსებული ჯოჯოხეთი
თავისიანებს გამუდმებით ელოდება...
ყველა დაიღალა უაზრო ქებისაგან,
უმარილო მარილისაგან,
ილიასა და ვაჟას გარეშე სიმღერისაგან...
დაიღალა ზოგი უზნეური ქადილით,
სკამისა და ფულის შოვნის უაზრო წადილით...
სამყაროს მოაბეზრა თავი დიდის და პატარის
ამდენმა ტოლობა-უტოლობამ და ამასობაში,
ამოსახსნელი გვრჩება (მრავალუცნობიანს
ვინ ჩივის) ერთუცნობიანი განტოლებები...

## სული და ადამიანი

უფლისაგან ნაჩუქარმა ჩვენმა სულმა
მოიარა კუნთები და ქსოვილები,
უპატრონო ბავშვის მსგავსად მოიწყინა
და ჩვენს სისხლში დაიბუდა მოთმინებით...
ფიქრებით და ოცნებებით დაბრძანდება,
ხან ტვინშია, ხანაც გულში დაისვენებს,
აღმა-დაღმა დაუყვება სხეულის გზას,
ხშირად, ჩვენი სიცოცხლის არსს შეგვახსენებს...

დადის სული... სისხლთან ერთად მოგზაურობს,
გულ-მკერდსა და კიდურებში ნაწილდება,
წუხილით და შეშფოთებით შეგვახსენებს,
თუ ჯანსაღი ცხოვრების გზა გვავიწყდება...
დადის...ზოგჯერ დასეირნობს სული სისხლში,
სიყვარულის სხივებსა და ელვას ისვრის...
მარადიულ ცნების არსის ტკივილ-დარდებს
თვალთამზერით და ცრემლებით გვატყობინებს.
რა სიყვარულს, რა სიკეთეს ვფიქრობთ სხვისთვის,–
ყველა ჩვენგანს გულისყურით გვაკვირდება...
ისე მედგრად დააბიჯებს მჩქეფარ სისხლში,
მისი ნებით ფორმულებსაც ზუსტად ვითვლით
და თუ ბრაზობს, სისხლის წნევა ცვალებადობს,
სული ყველას გადარჩენისათვის წვალობს...
და როდესაც მოდის ჟამი განშორების,
ამ ქვეყნიდან ჩვენი გასვლა ენანება...
სხეულს ეკვრის და ჩვენივე ბაგით ყვირის,
განშორების დარდებს იკლავს, მწარედ ტირის...
მაინც წავა ცაში... მარადიულ წესით,
სულის ფიქრი კვლავ ჩვენეულ აზრებს ერთვის,
მაგრამ ბოლოს, ისე გვალხენს და გვადარდებს,
რა გზებითაც აქა ვკრეფდით ია-ვარდებს...

## არარაობად არ გადავიქცეთ

არარაობა ეძებს რაობას,
უსასრულობის ებრძვის ნაპირებს
და დედამიწა სივრცის კედლების
სანეტარო დროს გაინაპირებს,
თორემ ბნელსა და რთულ სამყაროში
ვეღარ გავარჩევთ ლამაზ ყვავილებს.
მე ის მაშინებს კარგახანია, –
რომ არაფერი აღარ მაშინებს...
არარაობის გავურბი ტკივილს,

მინდორში ვეძებ ყვითელ თავთუხებს,
ლექსებიც რომ არ გახდეს სულერთი, –
წლებდამძიმებულს ეგეც მაწუხებს!
შიშველი მეფით, შიშველი გლეხით,
დრო გვაიძულებს, მასაც გავექცეთ,
რომ სინათლის და რაობის ნატვრით
არარაობად არ გადავიქცეთ!

## მზეო, მათხოვე ლურჯი ცა

(უკრაინელი ბავშვის გულამოსკვნილი ტირილის გამო)
მზეო, მათხოვე ლურჯი ცა, მოსაფერ-დასამღერები,
ვიდრე შევიძლებ, დავიჭერ დედის მადლიან ხელებით!
არ შემაშინებს სიბნელე, მთვარე გამიკვლევს გზასაო,
სიყვარულისგან, ვარსკვლავებს ავუტალახებ კარსაო!
ფარდას გადავწევ... ვიზრუნებ მშობლებზე, დაზე, ქმარზეო,
მზევ, დაგიბრუნებ მაგ ზეცას, როგორც გავდგები განზეო...
მანამდე უნდა გავიგო, რად ტირის ბავშვი ხშირადო,
აბსურდის ბილიკის კვალზე რა უგვანობა ბინადრობს...
რას წუხან, ან რას ფიქრობენ... ბავშვების ჟლეტას ტირიან,
თუ კაცთა მზაკვრობასა და ომის სიმწარეს ჩივიან...
ან, იქნებ, უბრალოდ, ბავშვი ტირის სხვებისა ბედსაო,
ჩემსავით, საკუთარ თავზე არ დაიჩივლებს ერთსაო...
ჰოდა, მათხოვე ლურჯი ცა, საუფლო მზეო, ნათელო,
დაგიბრუნებდი მაშინვე, ომს და ცრემლს როგორც გავლევო!..

## ივერთ დედები

დროს და ჟამს მივდევ დარდიანი ქალის ფეხებით
და დედამიწის სულს და სხეულს აღარ ვეხები...
არც სიხარბისგან თვალდამდგარი ვეძიებ საზრდოს,
არც ამ სოფელთან განშორების ტკივილებს ვდარდობ!
თვალი და გული ლოდინისგან გადამეღალა,
დემიურგია ჩემთვის არის, შვილი... ქვეყანა...

დროს და ჟამს ვზვერავ, საფიქრალით გადაქანცული,
არ მითხრას ვინმემ, ჩემს მამულზე ავი ქართული!
მეფე თამარის მზე მიგზავნის სხივებს გაღმიდან,
მხოლოდ წარსული ჟამით ტკბობა, არა...არ მინდა...
დრო მალე მოვა, რომ ვიაროთ მხნედ და გულიან,
ქართველთ დიდების მზის დანახვა როგორ მწყურია!
თუ ყველა შვილი დაუბრუნდა თავის საბუდარს,
ჭეშმარიტებით და სიმართლით შევქმნით საკუთარს,
მაშინ დროს და ჟამს გადავასწრებთ ივერთ დედები
და ღვთიურ მადლის სამოსელით შევიმოსებით!

## შენ კვლავაც იგაზაფხულებ

ტყეში ღვთის ნებით მოსულხარ, ჩემო პატარა იაო,
მე არა დამირგიაო, არცა რა მომირწყვიაო,
არცა რა მიმეგობრია, არცა რა მიჩივლიაო,
მაგ სილამაზის ფერებით მზერაც კი დამივსიაო,
დიდხანს ვიზამთრე და შენთვის ვერცა რა მომიცლიაო,
დაგეწვას ლურჯი თვალები, ძილშიც რომ გრჩება ღიაო,
შენი ღიმილით ვიხარებ, სხვა არა დამრჩენიაო,
შენ კვლავაც იგაზაფხულებ... მე ხანდაზმული მქვიაო...

## ჯვარზე გაკრული

ატკიებულან ვნების დღეები,
შემომწოლიან გულზე ღარებად,
გაშიშვლებულან ეკლის გვირგვინად
და ძოწეულის მოსასხამებად,
გადაცრემლილა თხემის ადგილი
და ბარაბაზე გამცვალეს ძალით,
კოკისპირულად ვამზევებ ფიქრებს
ხელებდაბანილ პილატეს თვალით.
შეზავებულა ნაღველთან ღვინო
და ვეღარ ვიკლავ ვნების წყურვილებს,

სისხლიან დღეთა ცოდვის სიმძიმეს
შვილიშვილი თუ დაისირცხვილებს...
და ბოლო ჟამზე, სხვის თვალში ბეწვის
ძებნის ხელობა თითქოსდა მზარავს,
რადგან ცოდვიან თვალს მოწოლილი
დირე და ღორღი გულისგულს ბზარავს.
უფლის ჯვარცმისგან შეძრწუნებული
დღესაც მის ჯვარზე გაკრული ვდგავარ,
სულის ნუგეშის ვმათხოვრობ წამალს,
ამპარტავანი და ისევ ბრმა ვარ!
ქრისტეს ღალატის წილნაყარობით
სამყარო მაინც ჩვეულად ილხენს...
უფალო, ცოდვის გამონაყარით,
ჯვარზე გაკრული როდემდე ვიდგე?!

## მთავარი

დამიძველდა ფიქრები და... დუმილის ხმამ
ამიმღერა სურვილების ნოველები,
ოცნებების თავქვეშ მძინავს ვარსკვლავეთში,
მადლისფერი დაისის მზის ღიმით ვთვრები.
მამულის და შვილის დარდმა რომ არ მომკლას,
ნეტარების ფიქრებს ვიწნავ ყოველ დილას,
სალამურით ამღერებულ ოცნებებთან
ალიონის მზის მოსვლამდე მშვიდად მძინავს...
გამარტივდა რთულზე რთული ამოცანა,
სამომავლო საფიქრალის სურნელს ვეტრფი...
მთავარია, საიმქვეყნოდ მგზავრობისთვის
ჩემიანი... ანდა, სხვები, – ვის რას გვეტყვის!

## ჟამის დღეთა ნათელს ვქარგავ

დავაბიჯებ დედამიწის მშვიდ უბნებში
და სამყაროს ჟამის დღეთა ნათელს ვქარგავ,

თუ ვერაფერს ვისარგებლებ სოფლის ჩრდილში,
არც ვზარალობ...საგანძურსაც არას ვკარგავ...
უფრო სახეცვლილი მინდა ეს სამყარო,
უფრო სანდო, კეთილი და გულით წმინდა,
შედარებითობა რადგან ვერას გვშველის,
ფორმისა და შინაარსის შეცვლა მინდა!
უფრო მყარი ნაბიჯებით სვლას ვისწავი,
კეთილ ზრახვის იმედები მაწვიმს ხშირად...
მოყვრის ხიდად მე თუ ვეღარ გამოვდგები,
შვილებს ვაწრთობ ღირსეულ და კეთილ გმირად!
მე კი, ისევ ჟამის დღეთა ნათელს ვქარგავ...
და... კარგახანს... კვლავ დავქარგავ...

## საძიებო სისტემაში

მზის სისტემის და ვარსკვლავთა რიგში ვდგავარ,
არ დავიწვი... პროტონების პროცესს ვზვერავ,
ნაწილაკებს უსათვალოდ ისე ვხედავ,
რომ ოცნების სახვალიო ბუშტებს ვბერავ...
გვერდით მიდგას ოქროსფერი მთვარე, მშვიდი,
გენიოსურ აზრებს მიკრეფს დედამიწის...
მე ცა მინდა, ვარსკვლავეთის ლურჯი ქნარით,
მზის ფეხებთან მოძიება ნატვრისთვალის!..
ზეციური წესები და სტრუქტურები
აუხდენელ ღამის სიზმარს დაემგვანა,
რადგან ყველა გონივრული, რეალური,
კვლავ ადამის საეჭვო აზრს დაემყარა...
ისევ შავფერ დედამიწას დავუბრუნდი,
მნატრობდა და... გულიანად გაიხარა,
რომ სამყაროს საძიებო სისტემაში
ვერაფერმა ვერ აჯობა ჩემს ქვეყანას!..

## მცირედ შეშლილი კითხვები

თავში ჩატენილ უაზრო ფრაზებს
არარაობა დედამიწის ღერძივით როცა ვატრიალებ,
არარაობის მკვახე ფრაზებს ვაგემოვნებ ბაგეებიდან,
რომ გულწრფელობას ავარიდო ცილისწამების ფუყე მტვერი
და მარადისობის მადლებით ავავსო ჩვენი მამითადი...
ახლებური და აზრიანი გამების ჟღერით შემომძახიან
ახალგაზრდა გოგო-ბიჭების წკრიალა ხმები,
რომ ერთიანად გადავფარცხოთ
ვითომდა მრგვალი დედამიწის ბრტყელი ქანები,
რადგან აბსურდის სცენარები არ და-გველია
და აბსურდული თეატრების მსახიობები
სცენა-დედამიწის ზედაპირზე ურცხვად მღერიან!..
თავში ჩატენილ არარა ფრაზებს კვლავ ვატრიალებ
არარაობა დედამიწის გრძელი ღერძივით,
რადგანაც ვიცი, ხვალაც დამიწვავს ფეთიან თვალებს
დროებითი და პირობითი შეკითხვები, მცირედ შეშლილი...

## ყველაფრიდან – არაფერი

დღენო ჩემო, წუთისოფლის ჟამთაღმწერო,
გულო ჩემო, სიბერემდე დაუღლელო,
ლექსო ჩემო, – თქვენგან შველას მაშინ ველი,
ყველაფრიდან რომ დამრჩება არაფერი!..

## მრავალი შვილის აკვანი

ქარქაშში ჩაუდებელი ხმლითა და ღმერთის წყალობით,
ბერ-მონაზონთა ლოცვებით, ბრეთის დედების გალობით,
ძირძველი ენის მადლებით, რწმენის დიდების თაყვანით
ნუ მოაკლდება ჩემს ქართველთ მრავალი შვილის აკვანი!

## ცრემლს ვიწმენდ იმედიანად

ამ ბოლო ჟამის ხმაურზე, ძილი რომ მტაცებს თვალსაო,
ჟანგი ეპარვის კედელზე ვანო პაპაის ხმალსაო...
გული სივდება დარდიან, ხმალი უმატებს ჟრიალსა,
თვალი ლომგულად ხედვასა, ბებერი ძვლები – წრიალსა.
დედა მარიამ მაცხოვარს უქსოვს დიდებულ კვართსაო,
ქრისტეს ნათელით, კვართი რომ დაისავანებს თავსაო,
მცხეთიდან სვეტიცხოველი მომიერთგულებს ქალსაო
და სიდონია ჩემს ცოდვებს შემომივედრებს ჯვარსაო!
ნინო ჯვარს შემოაგელვებს... ზღურბლზე დგას თამარ ქალია,
ქეთევან დედოფლისათვის უკვდავმყოფობის ხანია...
მტკივა და ვეღარ ვაშუშებ ცხრა ძმათა დედის ხელითა,
ვეღარც სანათას შესაწირს შევგებებივარ მღერითა...
ამ ბოლო ჟამის ხმაურზე ძილი რო მტაცებს თვალსაო,
ჟანგს არ შევაჭმევთ ქალები წინაპართ ხანჯალ- ხმალსაო...
და მესურვილა გმირ ქალთა საქმენი ქადაგიანად...
მომავლის სანთლის ნათელით ცრემლს ვიწმენდ იმედიანად!

## ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც იყავ და სადაც იქნები...
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში, შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში...
ლურჯი–ცასავით ლამაზ ფერია,
დარდი – იმედით დასამღერია...
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

## ლურჯფერ თვალთა ნათელი

შენს ოცნებაზე გული კვლავ მღერის, ოღონდაც, ჩუმად...
მივდევ ცარიელ ზღვის სანაპიროს...ცა გაძარცვულა...
ადუღებული ქვიშა ჩემს გულთან რომ ბაასობდა,
შენი თვალებისფერი ლურჯი ზღვა სულ მღალატობდა...
ცარიელი ზღვა და ცარიელი გულის ნაპირი
იწვნენ ქვიშაზე, მდუმარებით გადაქანცული...
ზღვის უკუქცევამ მოქცევების ძალა შემმატა,
მხნედ რომ ვიცხოვროთ მე, სამყარომ... შენ და ქვეყანამ...
ცა გამოცვლილა სანაპიროზე... და ზღვის შუაში,
მონანიებულ, ლურჯფერ თვალთა ნათელი ჩანდა...

## მეუფევ და ღმერთო ჩემო

თავმდაბლობის ღრმა უფსკრულში ჩამიყვანე,
შენეული სხვა სამყარო დამანახე,
უძლურების გამოხსნაში დამეხმარე,
სასიკეთო საქმის არსი დამასწავლე!
შენს მეომრად, ერთგულ მხედრად დამიგულე,
უფლის მონა დამარქვი და გამახარე,
ამაყი ვარ... სხვას არავის ვემონები!
შემიწყალე და ცოდვებიც დამითვალე...
სიყვარულის გაცემაში დამაკვირდი,
ზომიერი გრძნობის წესი შემასწავლე,
გამხარჯე და ტრფობის ძეგლად აღმაშენე,
სიცოცხლის მზე ნეტარებით ჩამიყვანე!
ვარსკვლავებს და მთვარეს გავესაუბრები,
დღის მშვენებას ღამის ლოცვით გავამყარებ...
მადლობა შენ, მეუფევ და ღმერთო ჩემო,
რომ ცხოვრებას ღვთის დიდებით დავამთავრებ!

## ქართველობაა თავად ტვირთი

რა გჭირს, ქვეყანავ, მითხარი და მოგისმენ მაინც,
დაგენაცვლები, იქნებ შევძრა მთელი სამყარო,
წარსულს ავკინძავ ზურმუხტისფერ დროთა საზომით,
ავი და კარგი მონატრება მხნედ რომ დავთვალო!
რა გჭირს, ქვეყანავ, ღვთისმშობელის ედემის მხარევ,
ნინოს ჯვრისა და სვეტიცხოვლის კვართის პატრონო,
ვალად და დარდად მეტვირთება ჩუმი ვედრება...
ხმამაღლა მითხარ ერთხელ მაინც,– რა გჭირს, ბატონო!
უბირ დედაკაცს ცხრა უღელა ხარის მაქვს ძალა,
შენი ცრემლების საფასურად მოვრწყავ სამყაროს,
საზღვრებს დაგიხნავ მადლიანი ბრძოლის ჟინებით,
გიშერს ვამძივებ ოთხივ მხარეს, რომ არ გაგთვალონ!..
დაცლილ სოფლებში გიმალავენ დარდიან ისრებს,
ადათ-წესებზე იქარვებენ ცივილურ მიზნებს...
ქართველის გული სანუგეშოს აიწყვეტს ფიქრებს,
გადასარჩენად, შინ და გარეთ მტერს კვალში მისდევს!
ჰოდა, გულითად მიჩურჩულე, რა გიჭირს, ჩემო...
მითხარ, შენს ტკივილს შემოვახვევ თავზე სამყაროს,
სამამულეს და სანაყოფეს შეგირჩევ კვირტებს...
ხვალის დღეს ჩივი? ხელის გულზე უნდა გატაროთ!
ბერ-მონაზონი მონასტერში ღამეებს გითევს,
მამა გაბრიელ სამთავროში ყრმის აკვანს გირწევს!
გაცისკრებულა ნათლის სვეტი ივერის სხივზე
და სიდონიას ხელით ღმერთი კელაპტრებს გვინთებს!
ქართველობაა თავად ტვირთი, სამომავლჟამო,
ჩემი მთა-ბარი სხვის წალკოტზე რომ არ გავცვალო!
მზეს სიმართლისას გაუსწორე ალმასის თვალი,
გამოიხედე, – გჭირისუფლობს მთელი სამყარო!

## რაც არ მოგვწონს სამყაროსი

სამართალი ზოგჯერ ურმით დადიოდა,
უზნეობა მეტეორის ქროლვას ჰგავდა,
მრჩეველობა კვლავ დუმილის დღეებს ვთხოვე
და გავყუჩდი საიმედო ოქროს კართან...
ისე ჩუმად წავიკითხე დედამიწა,
მზეს და მთვარეს ორივ თვალი დარჩათ ღია,
აგნოსტიციზმით გართულს და გამოკვებილს
ლამის უცხოდ დამრჩა ჩემი ისტორია...
წლებს მოვუხმე, სიცოცხლის არსს მივეძალე,
მათმა სიტკბომ ამიხადა რკინის ფარდა
და ცხოვრების მშვენიერი გაზაფხული
გაურკვეველ კითხვისნიშანს აღარ ჰგავდა!..
წუთისოფლის არარა დროს აღარ ვერჩი,
თვალს ვუხუჭავ, ან, ძველებურ, – არა ვიცი...
შვილისა და შვილიშვილთა გონით, ნიჭით,
მალე შევცვლით, რაც არ მოგვწონს სამყაროსი!

## სიმდაბლეზე კარგი არაფერი დამრჩენია

ხეკორძულას წყალი ვერ ვსვი, არცა მცხეთა ამიგია,
გულს მიპობდნენ შხამის ისრით... მკლავი არვის მოუქრია,
არც მოშურნეს უჩივლია, რატომ კარგი აგიგია...
გულის ფეთქვით, დარდის ველზე ყვავილთ მთები ამიგია,
რითმის ცეცხლი დამინთია, მაგრამ დღემდე არ იციან,
არც მე ვიცი, ვინ ვინ არის,– დროს მივანდობ, მართალდღიანს,
საიმედო ჟამს დავუცდი, ერთგულსა და გამგებიანს,
ქადილსა და ქების შესხმას ვერა ვგუობ, არ მჩვევია
და თუ ვინმეს ესურვილა გარითმული, ლურჯი ია,–
უფლის ნებით, ავამღერებ წუთისოფელს, ნათელმზიანს,
არსად ვმაღლობ, რომ მდაბალი არ მიწოდონ სახლსა შინა,
რადგან სიმდაბლეზე კარგი არაფერი დამრჩენია!
ხეკორძულას წყალი ვერ ვსვი... არცა მცხეთა ამიგია...

## დედაენას

აბა, მითხარით ერთი ქვეყანა,
ძეგლს რომ უგებენ დედაენასო,
მაშ რა ვუთხარი ჩემი სამშობლოს
აუგის მთქმელს და ვაგლახ მდევარსო...
ენავ, ქართულო, შვილივით ტკბილო,
ღრმავ, უნაპირო და თავმდაბალო,
შენი მდიდარი წარსულის თვალწინ
მორჩილად თავი უნდა დავხარო!
გუშინდელის და მომავლისათვის
მადლობა ღმერთო, ბედისმწერალო,
რადგან არ ვიცი ქვეყანა, სადაც
ანბანს არქმევენ დედას ენასო...
ენის სიტკბოთი, გულის სითბოთი
მარგალიტების ცის ნამს მოჰგავხარ,
სწორედ ამიტომ, ჩემო სამშობლოვ,
შენი ენის და რწმენის მონა ვარ!
აბა, მითხარით ერთი ქვეყანა,
საკუთარ ანბანს ძეგლს რომ უგებენ,
ამიტომ მიყვარს ჩემი მამული
თავით-ფეხიდან გულის უბემდე!

## სად გეჩქარება, ადამიანო

ხუთი ათას კაცს ხუთი პური ჰყოფნიდა თურმე,
ორი თევზიდან უამრავი კიდეც რჩებოდა...
რა გვემართება, ქართველებო, საით ვიჩქარით,
რატომ ვსურვილობთ, გადმოვხედოთ ყველას ზევიდან?!
მზის და ცის პირის გამოცნობა გვასწავლეს მხოლოდ,
დროის ნიშანთა – კიდევ კარგი, არარა ვიცით,
თორემ მაღალ ღმერთს დავუწყებდით დევნას და ბრძოლას
ღალატიანი თვალის გულით, ვაით და ვიშით...
სად გეჩქარება, უდღეურო ადამიანო,

სიხარბისაკენ რად გაგირბის ეგ ბილწი თვალი,
წუთისოფელი მიტომ ჰქვია ცხოვრებას ჩვენსას,
რომ ხანმოკლეა, დროებითი, როგორც სიზმარი...
სულის და სიბრძნის ვემუდაროთ უფალს სიმდიდრე,
თორემ სხვა ყველა, ქაღალდივით აფრიალდება,
გაიფანტება წუთისოფლის არარა ქარში
და ბნელ კუთხეში კოცონივით აბრიალდება...
ახლა შენ მითხარ, – სად გეჩქარება, ადამიანო?!

## ჩემთან ბრძოლა არ ღირს

ფეხს თუ შემიკრავ, ხელს თუ მომაჭრი,
გულით ვივლი და სულით ვიხარებ,
სიკეთის მცველი კარისკაცებით
ავსა და ბოროტს, ცრუსა და უნდოს
არას-დიდებით არ გავიკარებ!
გულს თუ მომიკლავ, ფრთებს თუ შემაჭრი,
დარდით რომ ვიყო სავსე ყელამდის,
უფსკრულში ჩემსას ვიპოვი ადგილს,
შუა ზღვის გულში მოვნახავ ნაპირს
და ჩემთან ბრძოლა ამიტომ არ ღირს!

## დაისის ბოლოს

მე არასოდეს ვიპოეტებ...
საგულედან სისხლის ცრემლს ვიწმენდ
და ლურჯფერად ვამძივებ მხოლოდ...
როცა ცრემლები შემაშრება სასიკვდილო
სისხლის ლაქებად,
როცა ავიღებ საბოლოო მისტიკურ აკორდს,
მაშინ მითხარი, – ვინ ვიყავი,
ან ვინ ვიქნები დაისის ბოლოს...
მე არასოდეს ვიპოეტებ...
საგულედან სისხლის ცრემლს ვიწმენდ

და ლურჯფერად ვამძივებ მხოლოდ,
შენ მერე მითხარ, – ვინ ვიქნები დაისის ბოლოს...

## დრო მელოდება

დრო მელოდება, მიცდის ისევ, ძველებურ წესით,
შენც ერთგულებით დახატული მზერით დამცქერი,
ისევ გიჟური სიყვარულით დასველებული,
მთით მოვარდნილი გოლიათი, შლეგი ჩანჩქერი...
დრო ისევ მიცდის... მელოდება, როგორც ოდესღაც,
ძველებურ სამოსს ახლებური ფიქრებით ვმოსავ,
კარიდან კი არ შემოვამტვრევ ვნების გასაღებს,
შემოვიჭრები, როგორც ქურდი, გულის ერდოდან...
სასოწარკვეთას და ცრუ იმედს გადაჩვეული
თავისუფლების ხის ჩრდილებში ლოგინს ვიმზევებ,
სიყვარულისგან ხელმოცარულ ცრემლებს ვიმშრალებ
და პოეზიის საუფლოში მშვიდად ვიმღერებ...
დრო მელოდება... კვლავ დამიცდის, ღვთიური ნებით,
გაცვეთილ ფიქრებს ხანჯლით ვუსხეპ სხეულს და ენას,
ნდობის სიტყვებით დავამარცხებ დათრგუნულ იმედს
და ვეღარავინ ამიკრძალავს ლექსების წერას!
დრო მელოდება... მიცდის უკვე ახლებურ წესით...

## პარნასის გზაზე

წუხელ, შემთხვევით, დარდის პერანგით
პარნასის გზაზე გამოვიარე
და ანგელოზთა დასის გალობა
ყველას პირწმინდად გვბანდა იარებს...
შენც პოეტი ხარ?
არა, რას ბრძანებთ!
მისი სავანე მაღალ ღმერთშია,
მე მიწას ვტკეპნი ცოდვის ფეხებით,
დედას მოვუხმობ, როცა მერჩიან...

არა, რას ბრძანებთ... ზოგჯერ, უგნურთა
ხანჯლის ტრიალზე ბავშვივით ვყვირი,
სად მე და სად ის... რუსთაველიდან
„გველის მჭამელის“ სიბრძნედ ათლილი...
და თუ ოდესმე, მადლიან გულით
ოდნავ ხმამაღლა დავიხმიანებ,
კი არ ვპოეტობ, ერთხელ, უბრალოდ,
პარნასის გზაზე გამოვიარე...

## შიშმა ამიტანა

ბედმა მშვიდი ძილი დიდხანს არ მაღირსა,
ახლაც, შიშები მკლავს ქვეყნის დაკარგვისა...
როდის გათენდება შავი ზღვის ნაპირზე,
როდის ვიჯირითებ აფხაზთ გზა და ხიდზე...
თავისუფალ სუნთქვას როდის შეიგრძნობენ
ჩემი სახლის პირას მჯდომი ბულბულები,
როდის დამთავრდება შურით თვალთამზერა,
მოძმის ღალატი და სულის გაყიდვები...
რატომ დაიღალა ბედნიერი დედა,–
რატომ არ ბრუნდება ემიგრანტი შვილი...
შვება არ ეძლევა გაჭირვების დღეებს,
ნეტავ, ვერის ბაღში, შაშვი რასა ტირის...
შიშმა ამიტანა ქვეყნის დაკარგვისამ...

## მოყვრად მექცა მტერი

ბულბულს ვბაძავ... ვგალობ, როცა ალიონი მისმენს,
გაწითლებულ ღრუბლებს ვეტრფი ლურჯთვალება ცის ქვეშ,
მადლიერი თვალითა და გულით ვლოცავ ყველას,
რომ მტრობამ და შურისგებამ არ დაჩრდილოს რწმენა!
ბულბულს ვბაძავ... ვგალობ, ვიდრე გაიღვიძებს შაშვი,–
ვალმოსახდელ მის ბარიტონს სიმღერადაც არ ვთვლი!
როცა მტკვარზე ყვავ-ყორნები დაიწყებენ ჩხავილს,

დედაჩემის დუმილს ვსწავლობ, ჭკუა-გონით გაშლილს.
რადგან შური, მტრობა, გესლი შინ და გარეთ სახლობს,
მტერს სიკეთით ვუპასუხებ და ღიმილით ვათბობ...
თვალებს ვნაბავ... ბულბულს ვბაძავ... ჩემთვის, წყნარად ვმღერი
და მადლიერ თვალთამზერით მოყვრად მექცა მტერი...

## ლურჯი ზეცა ჩემთვის ქუდია

პირობით დროს და სივრცეში ვცხოვრობთ
და პირობითად გქვია სახელი...
ვინ იცის, ერიც პირობითია...
პირობითობით გვქვია ქართველი!
პირობითია ამინდი, თოვლი,
ზეცა, ხმელეთი, ზღვები და მთები,
მწვერვალი, ტალღა, ღამე და დღენი,
ფხიზელი თვალით დასაფიქრები...
აუცილებელს და შესაძლებელს
დრო და სამყარო პირობით ავლენს,
არარაობა რომ ბოდიალობს,
ისიც რაობის ზნეკეთილს სწავლობს...
უბედურების ბედნიერებად
გარდასახვაც ხომ პირობითია...
და ნეტარ ჩვენდა... და ნეტარ სხვათა,
გულში იმედი ვისაც უნთია!..
უბედურია ურწმუნო კაცი,
უიმედობა... უფრო ცუდია...
პირობით... მიწა ქალამანია
და ლურჯი ზეცა ჩემთვის ქუდია...

## მთას და ბარს ვეძებ

გათანაბრებულ მთას და ბარს ვეძებ
მშობლებისაგან ნაჩუქარი აზრის სასწორით,
ვეძებ, შევჩივი ტოლებს და სწორებს...

გაოცებული მომჩერებია ბებიაჩემი,–
დღემდე არ იცი, რომ მთას და ბარს
ვერ გაასწორებ?!

## თაფლივით ტკბილად რომ დავბერდეთ

როდესაც ღმერთმა დედამიწა გაანაწილა,
როგორც ყოველთვის, ქართველს აქაც დააგვიანდა...
თურმე ილხინეს... ადღეგრძელეს ქვეყნის გამჩენი,
ბევრი მოლხენით დრო და ჟამი გამოეპარათ...
სინანულის და სირცხვილისგან თავი დახარეს,
დედა ღვთისმშობელს მოერია თვალებზე ცრემლი,
თავისი წილი მიწა უძღვნა მდუმარ ქართველებს,
რადგან სიმართლეს, გულწრფელ სიტყვას ვერარა შეცვლის!
ქართველი გახდა წალკოტის და ედემის მცველი,
ასობით ჯიშის ვაზი დახვდა ღვთიურ მიწაზე,
თან, ტკბილი თაფლის შემოქმედი, ჭრელი ფუტკარი,
ოქროსფერი და ოქროსთვალა, გრძელი ხორთუმით...
აქეთ მთა-ველი... იქით ზღვა და ციტრუსის სივრცე,
უდაბნოს მხარე... მშრალი მიწა... ტენით მდიდარიც...
დღემდე ყურძნის წვენს აჩუხჩუხებს გლეხი ქვევრებში,
დედა ღვთისმშობლის ლოცვის მადლით გადმომდინარი!
თუმც ბევრჯერ დაგვცხეს ბოროტების უხეში თათი,
მაინც ვმღეროდით... საყვედური არასდროს გვითქვამს
და ვერ დაგვღალეს ქართველების დიადი ერი,
სიკეთითა და მშვიდობის გზით მომავალს ვიცავთ...
დღემდე ფინიკის მსგავსად ხარობს ქართველის გული,
ლიბანის ნაძვის ხის ჯიშივით, კვლავაც მრავლდება...
ქართველთა სტუმართმოყვრობის და ლოცვების მადლებს
ვინც ვერ იხილავს, ბევრ სიამეს გამოაკლდება!..
კეთილი შრომა კეთილშობილ ფიქრებს აღგვიძრავს,
უფლის წინაშე კვლავ ვაბარებთ ზერთულ გამოცდას!..
მანავს, რქაწითელს... საფერავის წვენს მუდამ ვულხენთ
და დადუღებულს, ვნებით დამცხრალს, ღიმილით ვუმზერთ...

პირველად, ქვეყნის და სამყაროს შემოქმედს ვლოცავთ!
ცეკვებითა და სიმღერებით გულს რომ ავივსებთ,
ქართულ მიწას და წინაპართა ფესვს ვადღეგრძელებთ,
გლეხის მარჯვენას, – ქვეყნის ძალას, სანდო საძირკველს!
სტუმარს დავლოცავთ, მასპინძელს
და შვილებს, შვილიშვილს,
დედა ღვთისმშობელს... და ბოლოსკენ, –
წამსვლელ-დამრჩენებს...
დაშლა-არმოშლას ადღეგრძელებს მთვრალი თამადა,
გაგვიმარ-ჯოსო...შეძახილიც კარებთან მოგვდევს...
ქეიფს ვამთავრებთ... დღემდე მართლით ვეძებთ სამართალს,
ძველ ლეგენდებსაც ჩუმად ვიწერთ გულის ფიცარზე,
ქართული ღვინით გადღეგრძელებთ სრულად სამყაროს,
თაფლივით, ტკბილად რომ დავბერდეთ დედამიწაზე!

## რა ლამაზი ხარ

რა ლამაზი ხარ, ზღვით განბანილო,
ნა-იავ-დარო ჩემო ქვეყანავ,
ნინოს ვაზის ჯვრით დამშვენებულო,
ვერ დაგიწუნებს ვერვინ – ვერარას.
მზით გარუჯულო, მთვარით ნახატო,
მტრით დაცლილო და ტრფობით ავსილო,
სხვა გზა არა გაქვს, შენს სიყვარულში,
შენივ წყალობით უნდა მამხილო...
ერთსაც გულწრფელად ვიოცნებებდი,
სიტყვა-მართლიანს, არა ურიგოს,
რომ ჩემი გული და ეს სიმღერა
ხატად და სანთლად შეწირულიყოს, –
რა ლამაზი ხარ, ჩემო ქვეყანავ...

## არ დამიტოვო გულში სათქმელი

მიდის გზაწვრილი მარადიულ ჭეშმარიტების,
სამსჯავროს თვალწინ არ იქნება დგომა ადვილი,
სადაც წვრილია, იქ გაწყვიტე საბელი, ღმერთო,
არ დამიტოვო ოღონდ გულში რამე სათქმელი!
გამისისხლხორცე ჩემი ქვეყნის მიწის ყივილი,
გამითავისე ტკივილები კაცთა გულისა,
ნდობა მაღირსე, მეუფეო, შენი და ჩემი
სამარადჟამო, ღვთაებრივი სიყვარულისა!
უსინანულოდ არ დატოვო შვილი და ძირი,
უბრალოებით შეასწავლე სიძვირის ფასი,
მარტოობისთვის არ გაწირო, უძლევი იყოს,
მამულს და რწმენას, საძმოს, ენას, სხვაში არ გაცვლის!
გზაწვრილი ნელად გამოჩნდება, ჭეშმარიტების,
სამსჯავროს თვალწინ არ იქნება დგომა ადვილი...
სადაც წვრილია, იქ გაწყვიტე საბელი, ღმერთო,
არ დამიტოვო ოღონდ გულში მართალ-სათქმელი!

## გზაგასაყარზე

ბავშვობის დღიდან, გზაგასაყარზე ვდგავარ ფიქრების,
მძიმე ტვირთებით მოკიდებული, მწველი ცეცხლივით...
ჩემი საზიდი ტვირთებია... ზურგს ისე მშვენის, –
როგორც მამული, ენა ქართული და რწმენა ჩემი...

## სამყაროვ, შენც გამოიცვლები

არასდროს ვიბრძვი... არც არავის ვამარცხებ ძალით...
ბრძოლას ვსწავლობ და... ემაგ რისხვით, კიდევაც მშველი,
გამოვიცვალე... გარდასახვა შევძელი ძველის,
სამყაროვ, შეცვლა დამჭირდება უთუოდ, – შენიც...
ბავშვობის დღიდან ბოროტებას სიკეთით ვებრძვი
და თავდახრილი ვდგავარ შენ წინ, კრძალული მზერით,

ორბის თვალებით მაინც გზვერავ, სამყაროვ ჩემო,
სულის მხნეობით ვძლიერდები... იმედით ვმღერი...
ახლა, ქართველთა სიბრძნის წიგნი მიჭირავს ხელში,
მარადისობის, უკვდავების კანონებს ვსწავლობ,
ცრუს და უზნეოს მალე შევცვლით კეთილი ფერით,
რომ დედამიწას ტკივილი და დარდი ვაკმაროთ...
ვერ შემაჩერებს ბრმა ტყვია და შხამის ისარი,
რადგანაც მტერი მღვდლის ქილობშიც გამოვიცანი!
სამყაროვ, მაინც შენ ხარ ჩემი იმედის წყარო
და შენი სივრცის ხეთა ჩრდილში გულდინჯად ვგალობ...
კეთილშობილი ოცნებები გვათოვს და გვაწვიმს,
განვიბანებით ცოდვებისგან... განვიწმინდებით...
ომებს აკრძალავს, შურს და მტრობას ადამიანი!
გინდა თუ არა, – სამყაროვ, შენც გამოიცვლები!

## მაპოვნინე ნატვრისთვალი

ჩემი თვალთახედვის საცოდავი ჭიდან
ვეღარ ამოვქაჩე დიდხანს სუფთა წყალი,
ვეღარ გავარკვიე, ღმერთო, შენი გზები,
რა ვქნა, მავიწყდება, როდის რა მითხარი...
ვეღარ ავიშენე სახლი სულიწმინდის,
ნეოფიტეს რწმენის ისევ მეშურება...
დაე, გამაქვავე, თუნდაც, ჩამაქვავე,
ოღონდ დამაბედე შენი ერთგულება!
ღმერთო, მდინარე ხარ ჩემი მშრალი სულის,
რწმენა გამინედლე, უწყლოდ დამაშვრალი,
ყველგან დამიფარე, ვითარ თვალის გუგა,
უღელს ნუ მომაკლებ, ღვთის წესს დამაცხრალის!
ჩემი თვალთახედვის საცოდავი ჭიდან
მდაბლად მაზიდვინე წყალი, საოცარი,
მოწყალების ხელი გამაუხვებინე...
ღმერთო, მაპოვნინე ჩემი ნატვრისთვალი!

## უჩემობის სულის ნაკაწრი

დამწვარა ჩვენი სავალი გზის ყველა ნათელი
და შენი ცეცხლის ნახანძრალი აღარ გამიქრა,
შენს გულში ვძებნე ისევ ჩემი ადგილი, მაგრამ
დროისგან გაცვეთილიყო და... ფიქრი წამიხდა...
სულ წამიშალა გულისცემის ბრმა სურვილები,
გადამიშალა ხელისგულზე ფიქრები დღეთა,
ვაითუ, ვეღარ გავარჩიო შავისგან თეთრი,
საბედნიერო წვრილმანების ძებნას რომ ვბედავ?!
სხვის შეცდომებზე უკეთესად შევიცნობ ნამდვილს,
მოზღვავებული ცოდვის დღენი კვლავ მიბნევს საშველს,
გულო, რად ფიქრობ, ანებივრებ ფუჭ სიტყვას ამდენს,
როცა სოფელი ცრუს და მართალს ყოველთვის ამხელს?!
ცუდს არას გეტყვი, თუმც დამღალა ბრძოლის სურვილმა,
ყველას მსგავსებით, სხვისგან უნდა გამოგარჩიო...
შენგან ნასწავლი სიძლიერით უნდა ვისუნთქო,
სულის ნაკაწრი, უჩემობის... რომ დაგამჩნიო!

## მიყვარხართ

აისის ცეცხლისფერ ღრუბლებთან
ფრინავენ ჯანსაღი ბგერები...
ქართული ზეცის და მიწის მადლს
გულწრფელი ლექსით ვეფერები!
მიყვარხართ, ბულბულის სტვენავ და
ვერაზე შაშვების გალობავ,
სოფელში მშრომელი გლეხკაცის
ღიმილო და მორცხვად დალოცვავ!
მიყვარხართ, სიცოცხლის წამებო,
შრომით გატანილო გოლებო,
ფიქრებო, რწმენავ და იმედო, –
მიყვარხართ, ყველავ და ყოველო!

## უნდა დავძლიოთ

ზოგჯერ მუქარა და მწარე სიტყვა
შესრულებაზე უფრო მწარეა...
ჰოდა, არ ავყვეთ მტერთა ცდუნებას
და შინაგანი ენერგია არ ვამსხვერპლოთ
ავ კაცთა სიტყვას,
რადგან სიმშვიდით, ოქროს დუმილით
უნდა დავძლიოთ ყოველი რისხვა!

## სამყაროს გაზაფხულისთვის

დედამიწა მრგვალიაო, – მიმტკიცებენ...
მე მის სიბრტყეს ვადასტურებ!..
როცა ცაში ატყორცნილი, მზის ლოგინში გავიღვიძებ,
ცის ფანჯრიდან ბრტყელ პლანეტას ნეტარებით გადავყურებ!
ღირსი ქალის ჟინითა და სიყვარულით ანთებული
ვხედავ ზღვის და ოკეანის შუაგულებს, მთის მწვერვალებს,
ადამიანთ თვალებს ვხედავ, სიკეთის დღით მოელვარეს,
შეკუმშულ და დამრგვალებულ გრძნობებს ვხედავ,
სადაც არის, თავისუფალ, დიდ კარვად რომ გაიშლება
და პირშავი, საყვარელი დედამიწა იმ კარავში დაეტევა!..
მრგვალი მიწის მითები და ლეგენდები დაემხობა
და სამყაროს გაზაფხულის მოსვლა ყველას დაგვეტყობა!..
დედამიწა მრგვალიაო, – მიმტკიცებენ...
მე მის სიბრტყეს ვადასტურებ!..

## დღევანდელი გადამირჩინე

ამო-ცეცხლფერდა ქალბატონი თავის ტახტიდან,
აისობს გულზე მიბნეული შროშანის ფერით,
ცხრა თვალს უსწორებს საქართველოს მადლიან წარსულს
და ვერის შუბლზე მიმთხვეული მზე ცალად მღერის.
დამოკლებულა ზეცის ლურჯი თვალსაწიერი,

ვწარამარაობთ სამეფოთა ძირძველ იერით,
სადიდგოროზე მოინდომა მზემან ზეობა,
დღესაც დავითის ცხოვრებით ვართ სხვაზე ძლიერი.
თამარით ვმზეობთ, ბასიანის ერთგულ მხედრობით
და რუსთაველით ვძლიერდებით დღემდე ქართველნი,
ასი ათასჯერ ვიქართველებთ, ვიმრავალჟამებთ,
შეხეთ, კრწანისში არაგველი მღერის რამდენი...
გამარჯობა, მზევ, ამოსულო ჩემი დღის თავთან,
ალიონიდან მიმწუხრამდე კვლავაც მილხინე,
ქართულო ცაო, გული ისევ ხომ არ იტკინე?!
წარსულს რა უჭირს.. დღევანდელი გადამირჩინე!

## ნინო ქავთარაძეს

ისეთი თვალები გაქვს, როგორც ღრუბლიან ცას
მარტის თვეში...სევდის ჯაჭვს რომ გაგლეჯს
გიჟი ქარი... დგნალის თოვლი როა, ნაზამთრალი,
ხანდოს სერებიდან – ნიავ-ქარი... გომბორს ამოსული
წოწნარ-მხალი... აბობოქრებული ჩუმი მტკვარი,
ადუდუნებული ნაზი ქნარი... აჭრიალებული
მარნის კარი...მადლით ავსებული პატარძალი,
აბრიალებული ოცნებები... შენი ნაჩუქარი
ნატვრისთვალი...უფლის სადიდებელ-საფიქრალში
ჟამის მოძალებით ძლივს გითხარი, – ისეთი თვალები გაქვს,
როგორც ღრუბლიან ცას მარტის თვეში...

## გვირილებს

თქვენი ღიმილის გულისთვის ვეალერსები ცას,
თეთრი გვირილის გულებო,
ისევე მტაცებთ თვალს,
ისევე, სხვათა სურვილებს გავატან ზენა ქარს,
თქვენი ვნებიან ცქერისთვის
ისევ ვაეჭვებ ქმარს...
ისე უხდებით ემაგ ტყეს, იყავით ისევ მანდ!

## უძღები შვილი

ჩემი შეპყრობა ხელბორკილით სცადა საწუთრომ,
მერე საცდური დამიფინა ფეხქვეშ, ხალიჩად,
ვერ დამიმონა ამქვეყნიურ ოქრო-ვერცხლებით,
განაწყენდა და... მიმატოვა... უხმოდ წავიდა...
მიტოვება და გულდაწყვეტა არ არს ახალი...
არარაობას არასოდეს დავემონები,
არარა გზების ცოდვის ზღვართან გაყუჩებული
ღმერთის ძიების, სიყვარულის გზას შევუდექი!
გძებნე... გიპოვე!.. ნავით ვცურავ საუფლო ზღვაში,
ქალად აღმიქვეს... დედად მიცნეს... აღარას ვჩივი...
სამოსელს მაცმევ... ყველგან მალხენ და იმედს მაძლევ,
უფალო, რწმენის ჩრდილში ვტკბები, უძღები შვილი!

## დღენი და ჟამი

გზა ამებნა და... გზა დავკარგე და...
ხან არჩევანის წინაშე დამაყენეს,
ხან უსახური ტკივილისთვის გამიმეტეს
და ხელმოცარულიც ბევრჯერ დამტოვეს...
ამოიზარდნენ სიცრუეთა ცათამბჯენები,
ამოიქოლა სიმართლის გზა, ირგვლივ, ყოველი...
მართალი სიტყვის ძიებაში თავდაკარგული
მეც დავიკარგე... ისევ გულმა და გრძნობამ,
ერთგულებამ და თავდავიწყებამ
გზააბნეულთა გრძელი სიიდან ამომრიცხეს,
მერე სწორი გზის კვალი მიმანიშნეს
და დღემდე დავალ... არა ვღალატობ
კეთილ გზა-სავალს, ყოველმხრივ მართალს...
და წუთისოფლის დღენი და ჟამი,
როგორც არასდროს, – მშვიდია... წყნარი!..

## დედას

წლების ტვირთმა და გადატვირთვამ
ვერ დაგინისლა შემართული, ამაყი მზერა...
რომ დაგემტვრევით ორივე ტოტი,
დედილო, შენთან გავმართავთ ლოდინს
და დედა-შვილთა ძვლების შუა
ჭიანჭველაც კი ვერ მონახავს თავისთვის ადგილს...

## მე ვენაცვალე ასეთ კაცს

მე ვენაცვალე მამაკაცს,
ქალს რომ ფრთებს უშლის არწივის,
გულწრფელ გულს გულით იყვარებს,
თან გულუბრყვილობს, ბავშვივით...
მე ვენაცვალე მამაკაცს,
სიტყვაძუნწობით რჩეულსა,
ერთ იტყვის, ათას მქნელისას,
ყველასგან გამორჩეულსა!
მე ვენაცვალე მამაკაცს,
ქალს რომ გულს სწირავს ერთგულსა.
მანდილის, დედის მოყვარეს,
დუმილით გამორჩეულსა!
ვენაცვალები იმ უღელს,
ფიქრის ხნულს რომ სდევს ერთისას,
მართალ სიტყვის და საქმის კაცს,
ვითარ... უხილავ ღმერთისა...
და სიყვარული ულევი
და ერთგულება ულევი
გადაედება სამკვიდროს
ლხინის დღე გამოულევი!–
მე ვენაცვალე ასეთ კაცს!

## უკეთესი თქვენ მითხარით

თვალი მინდა ორბისა და გული – ნაზად მოსაფერი,
სიტყვა მადლიანი მინდა, დრო და ჟამის შესაფერი,
მდედრი არწივივით, ცაში სიყვარულის გამომწვევი...
საქმე მინდა სამოყვრო და ვერაგ მტრისთვის ზარდამცემი.
ძალა – გამწეველა ხარის, მზერა – მოოქროვილ მთვარის,
გულის სითბო – სამაისო ვარდისა და მზისდაგვარი,
სადღეგრძელო – უფლისდარი, გულქართული და მართალი,
დამილოცეთ მამული და... უკეთესი თქვენ მითხარით!

## ქართველთ ვედრებით

კაენს ვემსგავსე ფიქრით... ერთხელ, შუაღამისას...
მათხოვარივით ავედევნე გულისთქმის წუთებს,
ჩემივ ცოდვებით შევიკერე ტყავის სამოსი,
კდემა და სული გავაშიშვლე... ბრმად, ეშმაკს მივდევ...
მტერი იცინის... მოყვარენი თავებს აქნევენ...
სინანულის გზას აყოლილილნი სახელს მარქმევენ
და მაკანკალებს, ნივთმოყვარეს, პატივმოყვარეს,
ავმა ფიქრებმა ცოლი... დედა... წელში მომხარეს!..
ცრემლმა, ვერცხლისფერ მირონივით ჩამოღვენთილმა,
თვალის უბე და გულისგული უხვად დანამა,
გულმოდგინებით შემაყენა სინელის კიბეს,
ცოდვის ბილიკის საფიქრალებს არ გამაკარა!..
და აღსასრულის მოახლების ვიგრძენი სუნი,
განიღვიძა და აღსდგა სული... არც დაიძინებს!
ცის შესავალი კარი გახსნა უფალმა ღმერთმა,
კრძალვით შევედი... სული აქაც არ დაიჩივლებს!..
როგორც უფერო წყალი იქცა ქორწილში ღვინოდ,
ისე შემცვალა სულით, ხორცით... კიდეც მალხინა,
სიკეთის თესვით, ღვთის მოსავის მცირედ მსგავსებით,
თავისებურად... ღმერთმა, ყველგან გადამარჩინა!..
კაენს ვემსგავსე ერთხელ... ფიქრით, შუაღამისას...

მათხოვარივით ავედევნე გულისთქმის წუთებს,
ჩამოვიხიე ცოდვით სავსე ტყავის სამოსი
და საუფლო გზას, დღემდე ქართველთ ვედრებით მივდევ!..

## თუ კაცი გიმტრობს

თუ კაცი გიმტრობს, მოყვრად აღიქვი,
ცუდზე კეთილით პასუხს ეცადე,
გაჭირვებაშიც თუ დაეხმარე,
თავზე ნაკვერჩხალს აუელვარებ...
სიკეთითა და თმენის მადლებით
მის თავზე ცეცხლი გაძლიერდება,
მიწას დალოშნის უბადრუკი და
სანთლის წვეთივით დაიღვენთება...
მადლიერებას თუ ვერ ისწავლის,
აღარც შეიძლებს ცუდის კეთებას
და შენი სული, სამკვიდრო შენი,
ამაღლებული ძალით ცხონდება...
თუ შენი თავის სიკეთე გინდა,
კაცი რომ გიმტრობს, მოყვრად აღიქვი.

## სამყარო და მე

შეშლილ სამყაროს შეშლილ თვალთა მადლებით ვზვერავ,
დედამიწასაც ეჭვის თვალით ვუყურე დღემდე,
რადგან ერთგული მანდილის და სიკეთის ნაცვლად,
მან მიღალატა,– ვინც ვიწამე და გულით ვენდე...
დაჩეხილი და დავარდნილი მაინც ავდექი,
ღმერთის შეწევნით, მწვანე ჭაობს დავემშვიდობე,
სიკვდილმონატრულს ნათელ დღეთა იმედი მავსებს,
გულისმიერი ლოცვის მადლით, ვალხენ მოკეთეს!
ვებღაუჭები წლებით ნაშენ ჟამთა მშვენებას,
ვერ ვუღალატე მემკვიდრეთა ალერს-ფერებას,
სამყაროს შეცვლაც გადავწყვიტე... ის...კი... მე შემცვლის...

გავბრწყინდებით და... ერთად ვივლით ნანატრი გზებით!
შეშლილ სამყაროს შეშლილ თვალთა მადლებით ვზვერავ,
თუმც მის ავ-კარგზე ვერაფერი გავიგე ჯერაც...

## ივერთ დიდება

უფლის სურნელით ვატკბობ სამყაროს
მიწას და ვენახს თვალებს ვუმშრალებ,
სამშობლოს, შვილის და ემიგრანტთა
სიკეთის თხოვნით ღმერთს გულს ვუწყალებ...
მას მუდამ ესმის ჩემი მუდარა...
გულში მყავს, – მეტი არცა უნდა რა...
სულში სახლობს და იმედით მათბობს,
მისი სურნელით ეზო-კარს ვატკბობ...
როს დედამიწა თვალებს მინაბავს,
დაეძინება შეშლილ სამყაროს,
გამოვიღამებ უძილო დარდებს,
ღმერთს შევთხოვ, შური, ბოღმა გვაკმაროს!
ლურჯი და მშვიდი თვალების მზერით
უფალი ღიმილს მაფრქვევს ციდანა, –
შვილთ დაბრუნება... ივერთ დიდება
და გაბრწყინება შემომითვალა!..

## სადღეო ვარამი დავიტიროთ

უჟამო ჟამის მანათობელო მზიანო ღამევ, ჩამოვსხდეთ
იქნებ, საწუთროს ამ გზისპირა, მჟავე ბალახზე
და ადამ და ევასგან გამოყოლილი ძველი ცოდვებით
გავქრათ ბნელი ხნულები,–ჩემი ნიკა პაპას მიერ ჩამოხსნილი
ეკლესიის ზარებით, ბებიასა და დედაჩემის გულზე ღარებით!
მერე, საწუთისოფლო ვარამი ერთად დავიტიროთ, – რანი
დავრჩით...რატომ ამაყობს ჩიტი ფრენით და დედამიწა,–
ყაყაჩოსა და ბალახის ფერით... რატომ მდაბლობენ
ამაღლებულნი...როგორ პოულობენ

სულ-ხორცის მშვენიერებას
თმენითა და უბრალოებით... როგორ მარცხდება
შური, მტრობა,
სიმაღლისკენ ლტოლვა – სიკეთით და სიყვარულით...
უჟამო ჟამის მანათობელო მზიანო ღამევ, მოდი, ჩამოვსხდეთ,
საწუთროს ამ გზისპირეთში და სადღეო ვარამი
ერთად დავიტიროთ...

## საიმედო, პატარა ბავშვი

შენი ცხოვრების დიდი ნაწილი იცხოვრე სხვისთვის,
ვერ მოიცალე შენი თავისთვის... და როცა, ბოლოს,
იძულებითი გზის გასაღებით დაუყევ დაღმართს,
შენი ქალობის მთელს და ნაწილში, ტოლობასა
და უტოლობაში, კითხვისნიშნიან წარმოსახვაში,
უხვად გარეულ ტყუილსა და...მწარე მართალში,
სულ ღიმილით და ნეტარებით დაბრძანდებოდი...
ზოგჯერ, გჯეროდა მოგონილი ბედნიერების...
გადარჩენისთვის ბრძოლა ისწავლე... ჩუმად ტიროდი...
არას ჩიოდი... სიკეთის მადლით კიდეც გადარჩი...
ცხოვრებას ისევ ფეხდაფეხ მისდევ და დგახარ კვლავაც
გულმართალი, კეთილი და საიმედო, პატარა ბავშვი...

## უკრაინის გმირ დამცველებს

თვალში დირე ფიქრებივით გამეხიდა,
საწუთროზე საყვედურსაც ვერას ვამბობ,
რეალობის უარყოფას ვერ ვახერხებ,
წუთისოფლის საფეხურთა დათვლას ვნატრობ!..
ვთვალე, ვთვალე, ვარსკვლავებიც ვერ დავთვალე,
ცელქობენ თუ ცის ფანჯრებშიც ასე ბნელა?
ძალზე ბრტყელი, ჭორიკანა დედამიწის
სიმრგვალეზეც ვერას ვფიქრობ... არა მჯერა!
ბრმა აზრებით აბრიალდნენ იდეები,

არასოდეს ძალადობენ ძლიერები!..
მაღალხმოვან დაპირების სიტყვის ქარში
დუმილს ისევ დაედება ოქროს ფასი...
ნეტავ რატომ გაიცრიცა მზე და ზეცა,
რას უმღერენ უკრაინის გმირ დამცველებს?
არარაობს მტრობის ცეცხლის ნაპერწკალი,
ბოროტებას სიმართლის გზით დაგვიძლევენ...
თვალში დირე ისე ძლიერ გამეხიდა,
საწუთროსთან საყვედურსაც ვერას ვამბობ...
უარყოფის უარყოფას ვერ ვახერხებ
და სამყაროს საფეხურთა დათვლას ვნატრობ...

## და ვისუნთქო თავისუფლად

რა ვინატრო? –კვერთხის ნაცვლად ღვთისმეტყველის
ენა მინდა, მოთოკილი, ზომიერი...
განძის ნაცვლად, ჭკუა მქონდეს გონიერის
და გვირგვინად, – სიტყვა, საქმე მშვენიერი!
ზეცის ბჭესთან აღმავალი კიბე მინდა,
რომ გავექცე ავსულებს და სოფლის მპყრობლებს,
ამიყვანე სიბრძნის ისეთ საფეხურზე,
შვილებს ჩვენი იმედი და რწმენა ჰქონდეთ!
მგონი, უკვე არსებობის ფორმად მექცა
დუმილით და კეთილ საქმით, ღმერთთან ყოფნა,
ჰოდა, გვედრი, მეტყველ ცხვრების მწყემსო, დიდო,
იქნებ ცოდვის ყველა ბილიკს გამარიდო!..
სახვალიოს მოიფიქრებს ისევ ხვალე,
ამ სოფელსაც ბედნიერი ლხენით გავლევთ...
რა ვინატრო? –კვერთხის ნაცვლად
ღვთისმეტყველის ენა მინდა, რომ ვიმღერო
და ვისუნთქო თავისუფლად...

## სახელად სცენა

ერთ დიდ სცენაზე ვდგავართ ყველა, – ავიც და კარგიც
და ამ ორივეს პირობითად გვქვია სახელი...
მდუმარის ტრფობას ყბედი ცდილობს, უვიცი – ბრძენის
და ხშირად მდუმარს და ბრძენს რჩებათ პირზე სათქმელი!
ბილწი უმანკოს ეკედლება, ბოროტი კეთილს,
ზოგჯერ უფალი ერთ სამართალს უწესებს ყველას,
ისე გაირბენს გამოცდის დრო ქარბორბალაში,
დრო მკურნალობას ვეღარ ასწრებს და კეთილ მზერას.
ერთ დიდ სცენაზე ვდგავართ ისევ, ავიც და კარგიც,
უფალი, – დიდი რეჟისორი, ყველას გვაფასებს,
ხან გვსჯის შეცდომის ხელახალი გამეორებით
და დედა ღვთისა წმინდა კალთას ნელად გვაფარებს...
მერე კვლავ ვდგებით დროსთან, უმწოდ, უმისამართოდ,
ხან ვეჯახებით, ვასწრებთ, რომ არ დავაგვიანოთ,
აღსარების და სინანულის ცრემლების ზღვაზე
მოვა უფალი, რომ მაცხოვარს შეგვაზიაროს...
ნეტავ თამაში არ ისწავლონ ჩვენმა შვილებმაც,
რომ დედამიწას კვლავ არ ერქვას სახელად სცენა!

## გამაოქროპირე

შენი დიდებისთვის, შენი ღირსებისთვის
ვეღარ მოვიცალე წამით,
რამე მათქმევინე, გამაოქროპირე,
გამაოქროპირე, ამინ!
შური ათასგვარი (მწუხრი კეთილს ზედა),
ისევ აუხსნელი არის,
ვცადოთ, იოანე, გამაოქროპირე,
გამაოქროპირე, ამინ!..
შენი ენის მსგავსი, შენი გონის მსგავსი,
აღარ მეგულვება არვინ,
მცირედ მეც მიბოძე... გამაოქროპირე,
გამაოქროპირე!.. ამინ!

## მტრედის უმანკო თვალი მინდა

მტრედის უმანკო თვალი მინდა და გველის სიბრძნე,
რომ ავამღვრიო წუთისოფლის ნოველა მწუხრის,
მადლიერებას ჩავეჭიდო ღვთიურ საძირკვლად
და შებურულ ლექსს მოვუძებნო საშველი სუნთქვის.
ჯერ გული მერჩის, გამატარეთ ბეწვის ხიდებზე,
უფლის ნებით და სიყვარულით მუხლი მოვყარო,
ქარსა და წყალზე გატანილი ცუდი სიზმრები
ღრმად დანერგილი, ჯავრიანი გულით მოვთხარო!
წამლობა მინდა სევდიანი ჩემი მამულის, –
კეთილი სიტყვის საქმედ ქცევა აღარ ხერხდება,
ჯერ შეწირულმა, იქნებ თავად ვიცხონოთ თავი
და ათასობით მადლიანი მერე ცხონდება...
მტრედის უმანკო თვალი მინდა და გველის სიბრძნე,
დროზე ჩავაქრო წუთისოფლის ნოველის ღელვა...
ქვეყანას როცა ჩამოვახევთ თალხიან სამოსს,
მშფოთვარე გული მხოლოდ მაშინ დამიმშვიდდება!..

## ერთადერთ მზეს და სხვებს

ერთადერთ მზეს და პირსავსე მთვარეს
და სხვა პატარებს, – ვუკოცნი თვალებს!..
ბესოს და თამარს, ზურაბს, ნიკოლოზს,
პატარა საბას... ლექსოს და ლიკას,
ლევანს და ეკას, ნინოს, ანას და ანასტასიას...
და მიქაელის კაცურ ღირსებამ ლხენად მაქცია...
რა დიდებული მოდის თაობა, ჩემი თუ სხვისი...
სულ იმას ვნატრობ, – შვილიშვილები და ბებიები
ჩვენი მამულის წარსულ-მომავლის რომ ვიყოთ ღირსი!

## ინტელექტის მორჩილი ვარ

ინტელექტის მორჩილი ვარ, ვემონები ჭკუას სრულსა,
სიტყვის მაძიებელს ვლოცავ, მოაზროვნის სულს და გულსა,
გონიერი კაცი მიყვარს, რომ არ მიგდებს სიტყვას ბანსა,
კამათით და ომის ცეცხლით არ ვიწვით და... არც ვწვავთ სხვასა...
ვუფრთხილდებით ერთმანეთის ჭკუა-გონს და ფიქრებს მყარსა,
მართალსა და ნათელ აზრებს სიყვარულით ვუჭერთ მხარსა,
მეც ამ აზრებით ვჯამგრძელობ... მდაბლად ვუხრი ყველას თავსა...
ვენაცვალე მოაზროვნის საიმედო სიტყვის ძალსა!..
ინტელექტის მორჩილი ვარ... ვემონები ფიქრებს, მყარსა!..

## მე ვულკანი ვარ

მე ვულკანი ვარ... ჩამქრალი არა... მუდამ მოქმედი...
ძილსა და უფლის სადიდებელს როცა მოვრჩები,
ვფიქრობ, დავეფრქვე მშობელ მიწას, სასიხარულოდ,
სამრავალჟამოდ და ქართველთა სასიყვარულოდ!
მე ვულკანი ვარ... ამოვაფრქვევ მხურვალე ლავას,
რომ წამალივით დავეფინო ხალხს და ქვეყანას!
ცალუღელობას, უიღბლობას რომ ვერ ვშველივარ,
საკუთარ თავსაც გამოვიხსნი მრავალ სენისგან...
გაუმაძღრობის სურვილები რადგან ავქარობს,
ამიტომ მინდა, შევუცვალოთ გეზი სამყაროს...
ამოვიფრქვევი და ზეცის კარს დავაკაკუნებ,
სამყაროს ახალ, მშვიდობის გზას არ გავართულებ,
მზისა და მთვარის გვერდით ვპოვე ვაზის ნაჟური
და ვადღეგრძელებთ დედამიწას, ნაღდი ქართულით!..
სამყარო გულში ჩაგვიკრავს და ხელს გაშლის ფიცით,
რა მადლიანი, მრავლისმთქმელი სიმღერა ვიცით!
მერე, ამ ლექსის და „ჩაკრულოს" მადლის ფერებით
მსოფლიოს ხალხი ვარდ-სურნელით დავიფერებით...
ასი წლის შემდეგ... უნებლიედ, მე რომ ჩავქრები,
შვილი დაგვაფრქვევს ოქროს ლავას, ბრძნული სათქმელით!
მე ვულკანი ვარ... ჩამქრალი არა... მუდამ მოქმედი!..

## გრავიტაციული ტალღები

გრავიტაციული ტალღები ღელავს და აინშტაინის აზრებს
ზედაპირზე ათამაშებს, რომ კაცობრიობას აჩვენოს
დიდ მანძილზე დროსა და სივრცეში არსებობის ძალა...
სამყაროში ყველაფერი იცვლება, რაც შესაცვლელია,
აღმოსაჩენიც აღმოჩნდება, მაგრამ არ ვიწუხოთ იმაზე,
რაც არ შეიცვლება, რადგანაც საჭირო დროს,
ყველა გრავიტაციული ტალღა თვითონვე ისე აღელდება,
რომ დროსა და სივრცეში საკუთარ თავს წარმოაჩენს
და ბნელი საქმის შემოქმედებსაც მალე გამოაჩენს!..

## სირცხვილს რეცხავენ

ვერვინ გვასწავლის სამართალს,
სიმღერას და სიყვარულსა,
შური და ამპარტავნება
რომ არ გვიჭამდეს მამულსა,
ტალახისა და ქვის სროლა
რომ არ ბილწავდეს ქვეყანას,
გარე მტერი და დუშმანი
ვერ დაგვაკლებდა ვერარას!
კიდევ კარგი, რომ მომავლის
გზიდან მოგვდევენ შვილები,
მშობლების სირცხვილს რეცხავენ,
იმედით ფრთაგაშლილები...

## ვინც საქართველოს გამიპარტახებს

ყოველ აისზე, ჩუმი გალობით და ათასჯურა ღარიბ ლექსებით,
ცხოვრების ორომტრიალის თავში თავაშვებული ვნებით ვეშვები,
მერე ბულბულის სტვენის ჰანგებზე მაჟორული დღის
სხივებით ვთვრები,
ავხმიანდები... გავილექსები...საღამოს თავზე გარდავიცვლები...
დაუღამდებათ იქვე ყვავილებს, დღემზიანებს და ნისლისფერებას,

დაეცრემლებათ ლოდინი ვარდებს, მდუმარე ნისლებს რა ეშველებათ,
რა ეშველება შეშლილ სამყაროს, ვიდრე ქკვიანის პირბადე ახლავს,
ვიდრე გონიერს ღიმილს უხშობენ, ვიდრე ღირსეულს
არქმევენ გლახას,
ვიდრე შიმშილის სიმწარის სუნი საფიხვნოს თავზე დაიარება,
სამართალი და უტყვი კანონი ვიდრე კვლავ რჩება ნაიარევად,..
კეთილი სიტყვის მადლის მდინარეს ვიდრე ლოდინის
ტკივილი ფარავს,
ვიდრე ცოდვილი ხელით და გულით უცოდველს დღემდე
ესვრიან ტალახს,
საჩვენებელი თითის მუქარით ვიდრე ვერ ხედავს კაცი ცერა თითს,
დაბრმავებული თვალებით ვიდრე საკუთარ ცოდვას ამჩნევს ვერავინ,
ვიდრე უბრალო ლექსების ცელით ყველა არ ვცელავთ
მოწამლულ ბალახს,
ვიდრე ცოდვების შიშის ზმანება სინანულის გზას გაუხსნის მავანთ...
დაეწმინდებათ ყვავილებს ფერი, ალიონის მზის სხივი გვიშველის,
ოღონდ ალმასა, ბასრი სხივებით და სუფთახელა, ლაღი ბიჭებით,
მერე სიცოცხლის ნატვრით და მღერით, სამყაროს პირზე ავილესები
და იკლი-ბაკლო დედამიწაზე, ბნელ კუთხეებში გავილექსები,
გვერდით მოვიხმობ საშვილიშვილოდ გადამალული
რწმენის მათრახებს,
ყველას მოხვდება, ამიერიდან ვინც საქართველოს გამიპარტახებს!

## „ტიტანიკივით“

სიღარიბისგან დაიშრიტა სოფლის მდინარე,
დაპირებების ტყეს და ზღვაში გადმომდინარე,
გლეხი დაიქცა... ან გაიქცა, უცხო სამოსლით,
ან ეშინია უსამართლო ქვეყნის გამოცდის...
ამდენი გათვლა... ანგარიში... წარმატებები...
აღარც კი ვიცი, ვიმღერო თუ მწარედ ვიტირო,
რომ ჩემებურად შესწავლილი ლოგიკის შუქზე
„ტიტანიკივით“, ოკეანეში არ ჩავიძიროთ!..

## სამოთხისფერ საქართველოს

დედამიწის ნახევარი თვალთამზერას დავამონე,
სიყვარულით მდუმარება ლამის ყველას გავაგონე,
ღარიბული ოცნებებით პირნათელი შევქმენ სახე,–
სამოთხისფერ საქართველოს მსგავსი ვერსად ვერა ვნახე!
შერყეული გონებით და გაწყვეტილი ფიქრის ძაფით
ვაგვირისტებ დედამიწას, ოკეანეების ჩათვლით,
უჩინარი სიტყვებისგან სახილველი მინდა სახე,–
რადგან საქართველოს მსგავსი ირგვლივ ვერაფერი ვნახე!
გალილეის კანას ვათრობ ღვინითა და სიყვარულით,
ჩვენი ძლევის მახვილია ენა, რწმენა და მამული,
უხილავი მეუფისგან სახილველი სახე შევქმენ,–
სამოთხისფერ საქართველოს მსგავსის ნახვა
ვერსად შევძელ!

## იბრწყინოს ჩემმა შვილმა

დღეს არ მცალია...შხაპუნა და ცელქ წვიმას ვუსმენ,
ამბავს მიყვება სიყვარულის, ერთის, ძველისას...
იმდენი წელი ესურვილა წყვილს ერთად ყოფნა,
რომ უფლის ნებით, ტრფობას ფრთების შესხმა ეღირსა!
სამდღიან ქორწილს დაედინა ფიქრების წვიმა,
ხოლო თაკარა მზე იწვოდა სტუმართ ცოდვებით...
ლოცვა-სურვილი აჭრელებდა სადღერძელოებს,
ბანცალა მთვარე ბოლთას სცემდა, ლექსის ბოდვებით...
ჰარი-ჰარალედ შემოერყა ოჯახს ძირები...
ასაძირკვლებდა ერთი, თუმცა, ჭამაშიც ბრალი,
მზეს ვერ ნუსხავდა გულუბრყვილო, ალალი თვალით,
მთვარეს ვერ ჭვრეტდა სიყვარულის ბრმა
ცეცხლით მთვრალი...
წუთისოფელმაც ვერაგულად გამოყო ბრჭყალი,
ბავშვურ სიყვარულს გაუსწორა ბოროტი თვალი,
სხვის საქმეში ბრძენს ყველას უჭირს თავისი მუდამ,

მათაც, დაღლილზე, ჩამოსტეხეს ერთმანეთს მხარი...
გზები შეირყა... დაფაცურდა ეშმაკი დილით
და საღამომდე შეასრული თავის მისია,
ყვავილად გაშლილ სახლს და ეზოს, ანთებულ გულებს
უზნეობა და უგულობა შემოუსია...
რამდენჯერ მთვარე გადაბრუნდა ოჯახის ცოდვით,
დაპატარავდა... დაილია... ისევ აივსო...
კოკამ წყლის გზაზე დაიმსხვრია ლაღი ოცნება,
გულგატეხილი, ტრფობის ცეცხლით ვეღარ გაივსო!..
სასოწარკვეთამ გაიმარჯვა სასოებაზე,
თუმც არ ისურვა ღვთიურ მადლის სრულად წართმევა,
ნამდვილ სიყვარულს არასოდეს არა აქვს ბოლო
და ერთგულების ნაკვალევი უქმად არ რჩება!..
დღეს არ მცალია, წვიმას ვუსმენ! ხვალ შენ მოგისმენ!
მოგონება მწვავს, წარსული დღის თვალის ნათელით,
ამოვამხედრე სინანული და ტრფობის ჟინით
დაე, იბრწყინოს ჩემმა შვილმა, ხუთი სანთელით!

## გმადლობ, ღმერთო

მეგონა, რომ ადრე გავჩნდი,
ანდა იყო უსასრულოდ გვიან...
გმადლობ, ღმერთო, რომ დღეიდან
ჩემს ცხოვრებას გამართლება ჰქვია!

## ჩემსავით მტკივან საქართველოს

უფალო, ხვალის მომავლის თავქვეშ
შენი წყალობის საგანძურს ვხედავ
და ერთხელ კიდევ... ათასჯერ კიდევ...
შენს დიდებას და მადლობას ვბედავ!
უფსკრულში მყოფსაც შენ შემასწავლე
საწყის წერტილის ათვლა ახლიდან,
შენი დიდებით და შენი ნებით

პოვნა ვისწავლე გამოსავლისა...
კვლავ შენით ვიწყებ ნათელ ალიონს
და შენით ვსწავლობ ახლიდან მღერას...
ღმერთო, უშველე... დაექომაგე
ჩემსავით მტკივან საქართველსაც...

## თუ შემეშალა

მე არ ვპოეტობ, უბადრუკად ქაღალდს გავბწკარავ,
ვმღერი, მომღერალს არასოდეს ვუწოდებ ჩემს თავს,
სჯობს, უხმაურო მელოდიით დაყრუვდეს ზეცა,
ვიდრე ვაგლახი და საბრალო პოეტი მერქვას!
სჯობს, შიმშილისგან ამომიხმეს ფესვები, ვიდრე
სამადლო ლუკმა მომაწოდოს ვიღაცამ ხელით,
სიკვდილი მიჯობს, ვიდრე შვილით დაჭრილი გული,
ვიდრე ტკივილით და ღიმილით, ვითომ ნამღერი...
მე არასოდეს ვიოცნებებ, – მერქვას პოეტი,
ის მძიმე ტვირთი მომღერალის, – რა ვქნა, არ მინდა,
ჩვეულებრივად და უბრალოდ მაცხოვრე, ღმერთო,
თუ შემეშალა, რომ დავიწყო მღერა თავიდან...

## სრულყოფისაკენ სწრაფვის გზები

ჩემი მისია სრულყოფისკენ სწრაფვის ცოდნაა,
ცისა და მიწის სამომავლო დალოცვას ვსწავლობ,
ასჯერ ვიქუხე, ვიხმაურე წინაპართ მადლით
და დღემდე, ჩემი მამა-პაპის სიმღერით ვხარობ!..
რამდენჯერ მშვიდად ამოვიდა ჩემი მზის სხივი,
რამდენი ფიქრი გამიმხილა ლუჯთვალა ზეცამ
და მაინც, გულმა, სამყაროზე და მის წესრიგზე
ერთი ღვთიური, მადლიანი სიტყვა ვერ მითხრა!
სად იბადება სიკეთე და მადლი უფლისა,
საიდან იღებს ბოროტების აზრი სათავეს,
მზაკვრობისა და შურის, მტრობის, ომის მიზეზებს

პიროვნებებს და ბრმა იდეებს რატომ ვაბრალებთ?!
დღემდე არ ვიცით, ვინ ვიყავით... რანი ვიქნებით...
ყინულ გულებში სიყვარული თუ დაინთება...
სიკეთესა და მართალ საქმეს თუ ვუერთგულებთ,
სრულყოფისაკენ სწრაფვის გზები გამოგვიჩნდება!..

## ᲡᲐᲓᲔᲓᲘᲡᲓᲦᲔᲝ

სიხარულისფერ მზედ აანთო მეუფემ დილა,
ანგელოზები ყურისძირში ჩუმად მღერიან
და დღევანდელი, ბედნიერი იის ღიმილი
შვილის ნათელი ცისარტყელის თვალთა ფერია...
გმადლობ, უფალო, რომ ამაოდ არ მიცხოვრია!..

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ

დილა-ალიონზე თბილისს ვეგებები,
ღამით თეთრი ხიდის თავზე გამოვკრთები,
გელათს ვექარგები... სიონს ვეფერები,
მთაწმინდაზე, ცასთან უფალს ვევედრები,–
ჩემო თბილისო და ჩემო ქუთაისო,
ივერთ სადიდებლად გიძღვნით ქებას მწირსო.
ჩემო სინათლევ და ჩემო თვალთამზერავ,
მწუხრის დარდები მკლავს, როცა ვერა გხედავთ,
ჩემო თბილისო და ჩემო ქუთაისო,
ვერას დავიმღერებ თქვენთვის საკადრისსო,
ორი სანთლის მადლით ლხენის ცრემლი მდისო,
ჩემო თბილისო და ჩემო ქუთაისო...
როცა იმერეთის მშვიდი ქარი ქრისო,
თბილისს ელხინებ მიწითა და ცითო,
თავზე გვირგვინი გაქვთ და ნათელი მზისო,
ია-ვარდებო და საჯიხვეთო მთისო,–
დედა თბილისო და ჩემო ქუთაისო!

## უფლის ვალში ვართ

დედა მარიამ ღვთისმშობელის და ღვთის შეწევნით
გამოიქსოვა ქრისტეს კვართი, ლაჟვარდისფერი,
დრო-ჟამის გამძლე, სიყვარულით მონაფერები...
ღვთისმშობელის წილი მიწა გახდა კვართის პატრონი,
კაცთა მოდგმისთვის შეწირული ცრემლის ამბორით...
მაცხოვრის კვართი ლამპარივით დღემდე ანთია
და მადლიერნი ვუმზერთ მცხეთის ყოველ განთიადს!
უფლის ვალში ვართ, ქართველები, ლამის ყელამდე,
ნეტარი გზებით რომ მობრძანდა კვართი ჩვენამდე...
იესოს ვლოცავთ, დედა ღვთისას მადლს და სიყვარულს,
გრძნობა ვერ ჯობნის წმინდა მიწის ნახვის სიხარულს...
ვრცელი სამყარო იმოსება მაცხოვრის ნებით,
ელიოზის და ლონგინოზის ნათელ კვალს ვყვებით,
კვართჩახუტებულ სიდონიას ვიხსენებთ კრძალვით,
ჩემთა, ქართველთა ღირსებების დამალვა არ ღირს!
დღემდე ნეტარით ვუმღერთ ქართველთ–ისრაელთ ძმობას,
სიცოცხლეს ვუმღერთ, სიკვდილზე ფიქრს არვინ გავბედავთ!
ვალი გვაქვს მუდამ უფლისა და ვრცელი სამყაროს...
მტრობა და ომი დედამიწას უნდა ვაკმაროთ!

## საქართველოს მოხედე

ერთ დავარდნილ კაცზედაც თუ თავი კარგი გგონია,
ღვთიურ სასუფევლის კარი დაკეტილი გქონია...
დაკარგულ ცხვრად დაგიგულებს უფალი და მეუფე,
მოგძებნის და შეგიკედლებს, – თუკი ჭკუას მოუხმე,
ათი დრაჰმის მქონე ქალი მოგიძიებს სანთელით,
დაგატარებს ღვთიურ მადლით, უფლის დიდი ნათელით!
მეც, ობოლს და, მშობლებისგან ნებიერად გამოზრდილს,
მგონი ძალა აღარ მყოფნის და სურვილი გამოცდის,
თუმცა გეძებ... გიპოვი და... მომეფერე, უფალო,
შემიკედლე... თუ შეგცოდე, ცოტა ჩუმად მითხარო...

ობოლი ვარ, მოფერება მენატრება ქალ-ტიალს,
დავეჩვიე მარტო ბრძოლას, უთავბოლოდ ხეტიალს,
მკვდარი ვარ და გაცოცხლება მინდა უძღებ შვილივით,
ყველა ცოდვის გამზევება ცრემლიანი ღიმილით.
მცირედსა და დიდ განცდაში ერთგულ ქალად გეახელ,
არა ვუწყი, რაღა გითხრა მადლობელმა მეასედ!
მომწყლავდე და განმკურნებდე დამცემდე, კვლავ აღმადგენ,
შენი გზები შემასწავლე... აღმიყვანდე აღმამდე!
მიუწვდომელს მიმაწვდინე განგებითა შენითა,
ნება შენი აღმისრულე სინანულის ლხენითა,
შემასწავლე სიტყვა შენი, დიდებანი უფლისა,
ფსალმუნები, ლოცვა-მადლი დილისა და მწუხრისა!
მადლიერი დამიტოვე ქვეყნის ყველა მოკეთე,
ღმერთო ერთო და სამებავ, – საქართველოს მოხედე!

## კვალი ნათელი

ღამე დუმილით გადახსნის ფარდას,
დღის ჩაქრობისთვის იშოვის წამალს,
გამოაფხიზლებს მთვარეს, ვარსკვლავებს,
მზის ბრწყინვალებას ჩრდილით დაფარავს,
მერე შეღებავს ლურჯთვალა ზეცას
ნაღალატევი ღამის ფერებით...
მე მაშინ ვფიქრობ, რომ არ ვიფიქრო
ცაში აჭრილი ქალის გონებით...
თავს შემოვავლებ სრულად სამყაროს,
მიწას დავუტოვ დარდსა და ვარამს,
უდარდელობას მოვუხმობ ფარად,
ვარსკვლავის ქიმზე დავჯდები წყნარად,
ჩრდილსა და ნათელს, დუმილს, სიმღერას,
სანდო სამოსლად შემოვიფარავ,
გულსაც მოვუსმენ, მართალს და ალალს,
სულს რომ ჩავხედავ, ღიმილი სძალავს...
მთვარის სხივებით გამოვჭრი კალამს,
ლექსებს დავქარგავ, კეთილ ზნით მავალს,

ერთგული ხელით და სიყვარულით
მომეხმარება ღვთიური ძალა...
მოვაჩუქურთმებთ სრულად სამყაროს
რიგში ჩამდგარი ლოცვის სანთელით,
რომ მარადიულ საქმეს და მიზანს
მკვეთრად დავატყოთ კვალი ნათელი!

## ათი მტრედისა

ყოველ დილას, ჩემს აივანს ათი მტრედი ესტუმრება,
დავალხენ და დავაპურებ, ცხრა უმალვე გაფრინდება...
ათი კეთროვანის მსგავსად, კმაყოფილი
მხოლოდ ერთი დამირჩება, –
ფანჯარასთან დამცველივით დამიდგება,
მადლიერი თვალთამზერა არასოდეს მოსცილდება...
იღუღუნებს... იღუღუნებს...
როდის... როდის... ნეტარებით გაფრინდება...

## მარადიული სიცოცხლის ედემს

ფიქრები ფიქრებს მიეტმასნა, გული – საცხედრეს,
მერე, ფიქრები, გული... ერთი დანით გაკვეთეს...
გული გათეთრდა... ფიქრი გაშავდა...ქალი
ვაგლახით წამოაყენეს...
და კვლავ ივარგა... ლექსებს მივარდა...
ოცნებას აჰყვა აღმა და დაღმა,
სამოცდაათი მოასწრებინეს... ოთხმოცისაკენ
ბალახებს მარგლავს,–
მავნე თესლი რომ აღარ მოედოს ნაწვალევ ეზოს,
ფუძეს და სახლ-კარს!
ფიქრები ფიქრებს მიეტმასნება, გული – საცხედრეს,
ქალი მიელტვის მარადიული სიცოცხლის ედემს!..

## წლების ქარში

სამამულო ფიქრების და წლების ქარში
მედგრად ნათქვამს, თუნდაც დუმილს, არ აქვს ფასი,
ამიტომაც, მასწავლებლად წლებს მოვუხმე,
შემოკერილს, სიყვარულის მწვანე ძაფით...
შეუცნობელ სამყაროდან წამოვედი,
ფიქრის ტვირთი უფრო მეტად დამიმძიმდა,
ამ არარა წუთისოფლის გალიიდან
ოქროს ჩიტიც უცაბედად გამიფრინდა...
სად წავიდა... მე იმ ჩიტზე ჯიუტი ვარ,
თავისუფალ სამყაროსი მქვია შვილი,
ფიქრებს ბრძოლა შევასწავლე და სამყაროც
დამხვდა უფრო გულთბილი და მხრებგაშლილი!
კეთილშობილ ფიქრების და წლების ქარში
სიტყვას... დუმილს, – მოემატა უფრო ფასი,
დაფიქრებულ და ხანდაზმულ წლებით ვქარგავ
ქალობის მზეს, შემოკერილს, მწვანე ძაფით...

## მუნჯი დღის კანონები

დრო დაბრძანდება დროულად და...ზოგჯერ, უდროოდ...
ხან მოხუცის და, ხანაც გულჩვილ ბავშვის სწორია,
თანაც ჰგონია, სულს უბერავს ეპოქის სუნთქვას...
არა, ბატონო, – ეს მუნჯი დღის კანონებია!..
დრო კაცივით კლავს შორეული საწუთროს მზერას,
კვირტებს უჩქარებს საზაფხულო თვალის გახელას,
ჩქარაო... ჩქარა! –ხშირად შიშობს ადამიანი,
რადგან დროს ასწრებს... უგროვდება დარდი რამხელა!..
ხან დრო ჩერდება... გარბის ჟამი წუთისოფლისა,
მარადისობაც ისადგურებს მიწაზე ზოგჯერ...
ცას გამოკერილ სიცოცხლესაც ელევი, რადგან
მუნჯი დღის უტყვი კანონები ფეხდაფეხ მოგდევს!

## ელამი ისრის ბასრ ზედაპირზე

ელამი ისრის ბასრ ზედაპირზე წამომჯდარიყო
ნაიარევი ოცნება ჩემი...
არც წუთისოფლის დროს შემოჰყურებს, არც უდროობას,
არც უსამართლო სამართალს შველის,
არც უიღბლობით ეძიებს იღბალს, არც უღონობით
აღარ მოიკრეფს შესაფერ ძალებს,
უბედურების ჟამზე გაკვებილს და ნასაზრდოებს
საბედნიერო დღეები ალხენს...
და კვლავაც ფიქრობს, რომ არ იფიქროს, ან როგორ, რატომ...
მთელი ცხოვრება საფიქრალს ალღობს...
ცოტაღა დარჩა... გაიყინა, თუ... არა... გადარჩა!
გზა გაიარა ყველაზე შორი... უფლისთვის რჩება
კვლავ ახლობელი!..
ელამი ისრის ბასრ ზედაპირზე კვლავ ნებივრობს ოცნება ჩემი...

## ავტოპორტრეტი

სისაურთ ქალი ვყოფილვარ, ჭიკაიძისა გვარითა,
მივაპობ ქვეყნის კიდეებს უფლის ნებით და ძალითა,
ავამზეჭრელებ ფიქრებსა ვნებადამცხრალი ქალისას,
ამოვამხედრებ მეგობრებს, წისქვილს ავაგებთ ქარისას,
ავაგრძელგანებ არაგვსა, ხიდებს გავხედნი ხისაო,
მთას ვუგურგურებ გულამდე, აღარ ჩამოვალ ძირსაო,
გარდავისახავ პირჯვარსა, გარდავიხდები სულითა,
მოვკვდები, შენდობას მეტყვით კახურ ღვინით და პურითა...
ლიქოკის ხეობიდან ვარ, გადახვეწილი დგნალშია,
ობლობის სიმწრით მამაი ჩამოხვეწილა ბარშია...
აღარ ყოფილა ბეთლია უვაჟობისა ჯავრითა,
მიტომ მასწავლა ხელობა ნამდვილი ვაჟი-კაცისა!
დღემდე მხრებსა ვშლი წარსულის ღრმა ფესვითა და ძირითა
და მერცხვინება მამულის, ერთადერთ ვაჟიშვილითა,
დაცლილ სოფელსაც ვერ ვგუობ, გათითოებულ კაცებსა,

ცოლის და დედის ნაშრომზე გალაღებულად მავლებსა...
გაავდა წუთისოფელი, ოხერი და სატიალი,
ცუდი ხომ ყველგან ცუდია... დღესაც კარგია მტრიანი,
მეც მემტერება საწუთრო, უშნო ღიმით და ფერითა,
სიბერისა და სიქაჩლის სევდანარევი მღერითა,
მთიდან მომდევენ ფესვები, ქალაქს გავჭედე ხმალიო,
არცა მშობლები, არც დაი, აღარც ნანატრი ქმარიო,
დავეხეტები შვილის და ჩემი ძირების იმედად,
რა სიკეთითაც ვიცხოვრე, ის მიმზადდება დიდებად!..
ცალუღელობის სიავემ გადამიმტვრია წელიო
და ერთადერთი ვაჟკაცის იმედით ტკბილად ვმღერიო.
ღმერთო, გვიკურთხე შვილები, სანდო ხმალო და ფაროო.
შენი მრევლი ვართ, უფალო, შენ უნდა დგვიფაროო!
დავდივარ სისაურთ ქალი ჭიკაიძისა გვარითა,
მივაპობ სიცოცხლის დღეებს, უფალო, შენი ძალითა!

## კიდევ როდემდე

შენთან გასაყარ გზას ვერ ვპოულობ,
ვეძებ კი? – ისევ ჩემში ბინადრობ...
შენგან წართმეულ გულს ვიფიცავ და
სხვასთან გასაყოფს კვლავ შენ გწილადობ.
მარადისობის გახლართულ კვირტზე
შენს ჩრდილს როდემდე უნდა ვზვერავდე?
გამოგონილი ბედნიერებით
კიდევ როდემდე ვიდგე სცენაზე?!

## გულის სარკეში

გულის სარკეში ვიხედები... თვალებს ვაცეცებ...
დარდი მაწვება... ვერ ვემსგავსე უფლის ხატებას,
არც წმინდანების ცხოვრება ჰგავს ჩემს დღეთა ნათელს,
ვერც ღვთისმშობელის დავინახე ჩემთან მსგავსება...
დარდის ზეიმის ბედისწერას ავუტანივარ,

სად მე... სად უფლის მეუფება ცისა და მიწის,
ვნების საცდური ისე მიმზერს დამცველის სახით,
თითქოს ამქვეყნის ყველაფერი მე უკეთ ვიცი...
კვლავ გულის სარკეს ვეძალები ჯანსაღი თვალით,
სიბერის ჟამს თუ დავემსგავსე უფლის ხატებას,
სამყაროს სივრცეს მოვუძებნი ოქროს გასაღებს
და ღმერთი გულზე სიყვარულად დამეხატება!

## ლექსიც არ გაემეტა

კახეთს ჩაველ, ქალი ვნახე, მზეცისკარა ჰქონდა სახე,
ტანი, ფეხი ალვისდარა... თვალმა, გულმა გაიხარა.
პოეტია,– მომაჯახეს... ჩამიარა ცივმა წყალმა,
არა უშავს, – ამოვღერღე... მზერა გამიხვრიტა ქალმა.
მაპატიე?– მკითხა ქალმა... კუშტად შემომხედა ერთი,
ლაღად, ფრაზა მივაგებე, – აბა, მითხარ ერთი ლექსი!
სადღა იყო მზეცისკარა ქალის სახე, თვალი, ფერი,
ჩემი გულუბრყვილო ქცევით წავახდინე ყველაფერი...
უცნაურად შეიმართა, დაუდუმდა ბაგე ნეტარ...
ქალს ცოლობა დავუპირე, მას ლექსიც არ გაემეტა!

## მამული ჩემი

უფალო ჩემო, სამარიტელი კაცის გარდა
არ მომცე მტერი!.. წყალობას მოგვცემს
მამა-მეუფე და ლხინით გავა წუთისოფელი...
უფალო, შვილი გამიმრავლე, სულ ერთი ღერი!
მამული ჩემი, აფხაზ-მაჩაბლით, ტაო-ჰერეთით
– მანახე მთელი!

## ხელოვნება და ჭეშმარიტი სიტყვა

აბსურდულია ამა ქვეყნის მარადისობა,
თუმც აბსურდულის მინიშნება ვერაფერს გვშველის,

ვერც ბოლო ჟამის, წარღვნის შიში გვიმოკლებს ცოდვებს
და სიყვარულის სიძულვილით ლხენასაც ველით...
ზოგჯერ ფხიზლდება გონება და... დარბის კითხვები,
სად გვაქვს ფესვები, რანი ვართ და სად ვპოვებთ ლხენას,
აბსურდის კედლებს წავაწყდებით ჩვენივ ღირსებით,
გამოსავალის მოძიებას ვაბარებთ შვილებს...
მერე შვილები იჩიჩქნიან აბსურდის კედლებს
და შედარების ფრთხილი მზერით თვალებს ძაბავენ,
შედარებითი ვერ დაჯაბნის გონების ნათელს,
თუ მამა-შვილი ერთმანეთის ჯინზე ხარხარებს...
აბსურდის ცნობას, ამბოხსა და აღიარებას
ვერ შეაჩერებს გალღობილი აისბერგები...
ხელოვნება და ჭეშმარიტი სიტყვა გვიშველის,
გულწრფელობით და მადლიანი, სუფთა ხელებით!

## ის მაინც მითხარ

ვუჩოქებ ჩემი ქვეყნის დილას ყოველ რიჟრაჟზე,
ის გამცემს პასუხს საიმედოს, ყველა კითხვაზე:
კაენისა ვარ, თუ აბელის შთამომავალი,
ქართლოსიანთა მავანისა... თუ სხვა მავანის...
თუ კიდევ სხვათა, ცოდვიანი, ლამის ყელამდე,
მზის ჩრდილქვეშ ვნებას ან როდემდე უნდა ვკერავდე,
როდემდე მქონდეს რიჟრაჟის და დილის ვალები,
ღმერთო, მითხარი, რადგან შენ ერთს გეთაყვანები!
როდემდე ვძებნო კაცის თვალში კითხვის ნიშანი,
ვერც დუმილს ვსწავლობ, ვერც ცრუს ვგუობ,
რა ვქნა, მითხარი!
კვლავ დავუჩოქებ ჩემი ქვეყნის დილას რიჟრაჟზე,
თუ ის არ გამცემს პასუხს, ღმერთო, ყველა კითხვაზე,
ის მაინც მითხარ, რად დამერქვა ადამიანი,
თითზე კბენანი რომ არ იყოს მერე გვიანი...

## სიკეთის ხელით

დასაბამიდან ასეა დღემდე... კაენ-აბელის ძმობის მსგავსია,
გულმოწყალებით და ბოროტებით მთელი ქვეყანა
ისევ სავსეა...
ოდითგან დღემდე ასე ყოფილა, ასე არის და იქნება ასე,
კეთილი მუდამ იმარჯვებს ცუდზე, კარგი ჭარბობს და...
იმედი გვავსებს...
ვხედავთ ღიმილით ანთებულ სახეს... იქვე, ვიღაცას
ჩამოსდის ჟამი...
ცხვირი რომ არა... გონიერება... თვალიც კი ხშირად
მტერია თვალის...
მტრის რისხვა ერთხელ თუ არ იგემე და გულისტკენა
არა გქონია,
ბრძოლაც თუ არვის უსწავლებია,– ქვეყნად,
მარტივად არ გიცხოვრია...
დასაბამიდან დღემდე ასეა, ცოდვილი მიწა
მტრობით სავსეა...
სიკეთის ხელით თუ სწავლობ ბრძოლას,
მტერი ვერასდროს დაგაკლებს ვერას...

## ქალი შემრჩა არნახული

თავანკარა წყაროს თავთან, თავშალ-შემოხვეულ ქალზე
თვალის დადგმა განვიზრახე...
უცებ დაუბერა ქარმა, ჩამო-ინეტარა წყალმა,
გააშიშვლა მკერდი ქალის, დავრჩი ჭკუა-გადამდგარი...
და... შევახე მხარზე ხელი,– ეს სამოსი როგორ გმშვენის...
რას ბრძანებთო,–ამოშაქრა სიტყვა-მშვენიერა ქალმა,
წითელ-სირცხვილ დაჰკრა ალმა...
სახე-გაცეცხლებულზედა მეც ცეცხლივით მივეჭერი,
დავუკოცნე ბაგე, ყელი... ბედს მიანდო ყველაფერი...
მეგონა, რომ ავარიდე დეპრესია-აპათიას...
ქალმა ეს არ მაპატია...

გავექეცი, გამეკიდა... ვნების ცეცხლი წამეკიდა...
მდია, მდია შარამდენა, მანქანაშიც შემომდია...
შურისგება მომერია... ამოვხადე კოცნით სული...
ქალი შემრჩა, ქალი შემრჩა... ქალი შემრჩა არნახული!

## საქართველოს დიდებას

მოგონების შავ დღეებს დააცალეთ ძირები,
გულიანად დალოცეთ მტერი, თავის შვილებით,
დააგლიჯეთ მზაკვრობას უსახური ღიმილი,
დაამკვიდრეთ სიმართლე ვარდებით და გვირილით!
დაამშვიდეთ სამშობლოს ერი, ფესვებმაგარი,
სადღა მოიძებნება ჩვენი ქვეყნის სადარი...
უკან მზერა ქართველებს როდის ერთხელ გვჩვევია,
მოსაწყენი წარსული რაღა გასარჩევია...
პირტიტველა ბავშვები პასუხს ჩვენგან ელიან,
კაშკაშა მზე დაჰხარის მინდვრებსა და ლელიანს,
ჰოდა, მაგრად დაჰკარით, მტერი დაფრთხეს ვერანი,
საქართველოს დიდებას შევხაროდეთ ყველანი!

## აღარ გამოჩნდა გვირაბის ბოლო

დღეს ჩემს მამულში, ყველა ისე ფილოსოფოსობს,
თეორიებით პაექრობაში საქმეს ხედავენ...
რაშებს და მხედრებს ძველებური წესით წიხლავენ,
გაუწვრთნელ კვიცებს დიდებულთა სკამზე ხედნავენ
და საარჩევნო ტრიუმფების უბადრუკ დღეებს
გვიჭრელ-ფერებენ წითელი და თეთრი ვარდებით,
ღმერთის სახელით, თავისხელა წმინდა სანთლებით,
მლიქვნელობით და დაპირების კორიანტელით!..
აღარ გამოჩნდა დალოცვილი გვირაბის ბოლო,
ღმერთო, რამდენი ბეწვის ხიდი გამოვიარეთ,
ძველი სახებით საიმედოდ ვერ ვისახებით,
არგუმენტების ზღვებით გულზე გადაგვიარეს...

იმის დარდი მაქვს, ჭა არ დამრჩეს ჭაობის გუბედ..
ძველი გვირაბიც ახალ ხმებზე მგონი, ყანყალებს...
მე არ გავივლი ცრულამპრიან ბეწვის ხიდებზე,
ვისაც სჯეროდა, ანდა სჯერა, – ის გაატარეთ!

## ლაკმუსს ჰგავს

ლაკმუსს ჰგავს ჩემი ცხოვრების დღენი,
მე რომ ღიმილი ამართვეს პირზე,
მას შეეცვალა უმალვე ფერი...

## გამოვბრწყინდებით

მე პოეზიის ტყის მკვიდრი მქვია,
გავიკვირტები, ადრე თუ გვიან...
ავჯეჯილდები მწვანედ, ოქროსფრად,
დავიყვავილებ, ვიდრე მოთოვს... და
მუხა და წაბლი თუ ვერ გავხდები,
საუფლო გზიდან ხომ არ გავქრები?!
ლექსის ტყეებში ბუჩქი ვიქნები,
ანდა ბალახად გადავიქცევი...
პოეზიის ტყეს დავეფარები
და თუ შემოხსნა ვინმემ კარები,
ფეხებს ჩემს გულზე გაისუფთავებს,
თავადაც, სახელს გაიუკვდავებს,
მასაც ლექსების ტყის მკვიდრს დავარქმევთ,
ხის ძირში სანთელს ისიც დაანთებს...
რადგან ტყის მკვიდრის სახელი გვქვია,
გამოვბრწყინდებით, ადრე თუ გვიან!

## მეც ავიხდენდი მიზანსა

მზე ახლად გაღვიძებული, კიბეზე ზანტად ამოდის,
ერთგული მტრედი, ღუღუნით, ჩემს აივანზე გამორბის,

ვერ მოვუმზადე საუზმე, პურის ნამცეცი ვაჭამე,
ერთგული სიყვარულისთვის, დღეს ნამეტანი დავსაჯე...
ღარიბი ლუკმის წყალობით იმდენ-ამდენი ვაცინე,
მსახიობური ნიჭებით ცხოვრება გავიმარტივეთ...
და ამ მარტივი ცხოვრებით, მტრედიც საკმაოდ დავღალე,
კითხვისნიშნიან თვალებში პასუხს დაეძებს მალ-მალე...
ერთხელაც, ამოიკითხავს შურსა და ღალატს სოფლისას,
ათას წყლულს გაითავისებს კაცობრიობის მოდგმისას,
გაფრინდება და... ასცდება ცოდვებით სავსე მიწასა...
ფრთები რომ მომცა, ზეცაში მეც ავიხდენდი მიზანსა!..

## ფრთხილად, ადამიანო

დადუმებულა ხმელი წიფელი,
მისი ყლორტები შველას თხოულობს,
გავერანებულ თებერვლის ქარში
ლომის ბოკვერი იმედს პოულობს
და ყლორტებს ლოკავს ენით და სიტყვით,
გათბა, გაყუჩდა... უკან არ იხევს...
იმდენ სასწაულს ახდენს ბუნება,
კაცის გონება როგორ დაიტევს?!
გამოიზამთრა ბოკვერმა ყლორტთან,
ორივეს დღენი დაეტყო ლხენის,
განედლებულა ხმელი წიფელი
და სიხარულის ცრემლებით მღერის,
კეთილი სიტყვა საქმეა უკვე,
სითბოს, სიყვარულს თუ არ იშურებ,
ხმელს გაანედლებ, მკვდარს გააცოცხლებ
და უკვდავების გზით გაისტუმრებ!
ეჰე, უკუღმა ბედის მხლართველო,
არ დაგავიწყდეს იგავი ერთი, –
რა მახვილითაც სხვის ზიანს ნატრობ,
იმას მოგაგებს მაღალი ღმერთი!
ამიტომ, ფრთხილად, ადამიანო,

ყველგან სიკეთის გაავლე ხნული,
რომ სამამულო ყლორტებს და კვირტებს
ამოუმშრალდეთ დარდი და წყლული!

## მზეო, მითხარი

რატომ დამოკლდა დღე და სოფელი,
რატომ დაგრძელდა ღამე ნებით და,
დარდი რად დამდევს ძველი წლებისა,
გაზაფხულის და შემოდგომისა!
რად მენატრება ცისკრის ზმანება,
რად გაიოლდა გარდაცვალება,
რატომ გაგიქრა ორივე თვალი,–
მზეო, მითხარი!

## ჩაკლულ მოცარტს

სასიყვარულო დიდი ნიჭი უფალმა მოგვცა
და ღვთიურ ნებას ვერ გადავალთ ვერავინ, ვერსად!
უნიჭო როცა შეერევა სხვათა ღირსებას,
ისიც ღმერთის და მეუფების ნებით იქნება...
სიყვარულისთვის ქედს იდრეკენ ღამე და დღენი,
მემკვიდრეობას შემოაცვდა ღიმილი ჩვენი,
გაჩუმდით, სისხლის წვიმის წვეთზე მგოსანი მღერის,
ჩაკლულ მოცარტზე ბალადას წერს ეგზიუპერი...
წეროს და... იქნებ გაიშიშვლოს სული სხეულზე,
წეროს სამყაროს მზე შეშლილს და გადარეულზე,
წეროს, ვარსკვლავთა ცვენასა და ღრუბლის ტრიალზე,
გადაბრუნებულ მთვარესა და ზეცის ციალზე...
წეროს საქვეყნო სირცხვილებზე ჩემი და სხვისი,
ჭეშმარიტ გრძნობას ნუ შეურევს ოღონდ უბრალოს,
ოქროს გვირგვინი შემოავლოს ერთგულ სიყვარულს,
რომ არასოდეს... და არავინ გაგვიუბრალოს!..

## შეცნობა

ქარი ხეთა სინარნარით შეიცნობა,
ხე – ნაყოფით... წვიმა – თავად გუბურაში
დაწვიმების ძალით,
გამრჯე კაცი – გვარიანი შრომითა და
გონით, ჯიშით, მკლავით,
ხოლო სული ადამისა – სიყვარულით,
კეთილსაქმით და ნათელი თვალით...

## ყველას რომ ეცოდება

ყველას რომ ეცოდება, იმ ქალს არ დამამსგავსო, ღმერთო!
ყველას რომ ეშურება, ისევ ის მიმჯობინე...
მაინც შური სჭამს ქვეყანას და მეც შურმა შემჭამოს,
ვიდრე სიბრალულმა, რადგანაც შურიანს უფალი უპასუხებს
და მე ძველებურად, უვნებლად გადავრჩები...
ოქროპირს უჭირდა შურის ახსნა და მე ვინ ვარ,
რომ მის ახსნას ვეწვალო და ჩავეჭიდო...
პირიქით, შავდღიან გზას უნდა გავეხიდო,
რომ ლოცვა, სინანული და სიყვარული დედამიწას
საბანივით გადავაფარო...დავატკბო... დავაიმედო, –
რომ სრულად სამყარო მადლიანად გაგვიბრწყინდეს!
ყველას რომ ეცოდება, იმ ქალს არ დამამსგავსო, ღმერთო!

## შვილიშვილების მომავლისთვის

პირობითია დრო და ჟამი სიცოცხლის დღეთა,
პირობითობით მოგვავლინა ამქვეყნად ღმერთმა,
დროის სიუხვე, წლები, ჟამი არავის გვყოფნის,
ვერ გავარკვიეთ რეალობა ყოფნა-არყოფნის.
ვერ დავადგინეთ პირობები ცოდნა არცოდნის,
ძლიერი სუსტის შესადარი თითქოს არ იყოს...
სიკეთისა და ბოროტების პირობითობით

ცუდს და უარესს რად ვადარებთ... კარგს რად არ ვითხოვთ?!
მერე დავეძებთ შეფარდებით პირობითობას
დროის და სივრცის ულიმღამო გულის ნაპირზე,
ცოდვებით სავსე დედამიწის სიმძიმის ცენტრიც
ვერ გადავწონეთ და ვერაფრით გავითავისეთ...
ჩვენც პირობითად დავაბიჯებთ დედამიწაზე,
შესაბამისი ალბათობით ვცხონდებით კიდეც,
ზოგი დროს მისდევს, ზოგი დროს ქმნის, მარადისობის,
რომ უკვდავების ლაჟვარდებში ლაღად გავფრინდეთ!
მეც, პირობითად გათენებულ დილა მღიმარში
შედარებითად გაბრწყინებულ ლექსებს გავკიდებ
და ოცნებების მოძალების ღელვის ნაპირზე
შვილიშვილების მომავლისთვის მღერას ვაპირებ!

## ნანატრო თავისუფლებავ

ისევ შენ გიმღერ, ქვეყნის გამჩენო,
სამადლობელი ლოცვით მარცვლაში,
ენავ ქართულო და იავნანავ,
გადმოღვარულო ბებოს კალთაში.
ისევ შენ გიმღერ, არაგვის წყალო
და ალაზანო, სულის საგზალო,
გაპირშავებულ ღრუბლების წადილს
გულზე ცრემლები უნდა ვაკმარო!
გიმღერ ნამუსის ქუდო, პატარავ, –
მუჭა ქართველის დიდო ღირსებავ!
მშობელო, ძირო, საძვალევ, შვილო
და შენ, ნანატრო თავისუფლებავ!

## საშობაო სიმღერა

ჩემო დეკემბერა ქალო, მითხარ, რითი გაგახარო,
ნუგბარი მაქვს საშობაო, კიდევ ერთი სიმღერაო...
ქრისტეშობას დაბადებულს ღვთისმშობელის მადლი გაქვსო,

ანგელოსნი და წმინდანნი გეხვევიან მუდამ გარსო,
ჩემო დეკემბერა ქალო, მითხარ, რითი გაგახარო,
ლოცვებიც მაქვს საშობაო და ახალი სიმღერაო...
შენი სიყვარულის გარდა არაფერი მაბადია,
ჩემო დეკემბერავ, გულზე შენი გული მახატია,
დეკემბერა ქალბატონო, აბა, მეტი რა გითხრაო,
შეისმინე სიტყვა ჩემი, გულით მინდა, გაგახარო,
შენთვის ვკრიფე ლექსები და საშობაო სიმღერაო!

## გამახედოს ვინმემ ბავშვობისკენ

ნეტავ გამახედოს ვინმემ ბავშვობისკენ,
ვინმემ დამიბრუნოს ტკბილი ოცნებები,
ძველებურად, ხელში ისევ ამიყვანდნენ
ჩემი მშობლები და მამის მეგობრები...
დედა კვლავ მღეროდეს თავის გიტარაზე,
სიყვარულის საწყისს ტკბილად ამიხსნიდეს,
მამა კვლავ მმოძღვრავდეს რწმენის შესაძენად,
სიკეთის გზით ბრძოლის ილეთს მასწავლიდეს...
ბავშვმა, გულწრფელი და ცელქი ნაბიჯებით
გავი-ხეტიალო გულის მოსალხენად...
ია-ენძელებით ხელი დავიმშვენო,
ბავშვის ჯანსაღ ფიქრთა კიდევ დასამშვენად,
უდარდელი ღიმით დარდის შესაცვლელად,
სამომავლო დღეთა ტკბილად დასამღერად!
ნეტავ, დამიბრუნოს ვინმემ ის ბავშვობა!..

## ხმა ვიცნო მამა ღმერთისა

როცა ვდუმდები, უფრო ბევრს ვფიქრობ,
უფლის და ზეცის სურნელებს ვიყნოს,
ზოგჯერ დუმილი დამიხვრეტს ყურებს,
გაყინულ ფიქრებს ჩემს მხრებზე ითბობს,
მერე სამყაროს იდუმალებით

მოიჭედება არე და მარე...
მომაგონდება ბავშვობის დღეზე
გამოფენილი ტკბილი და მწარე...
შხამის წვეთებიც გამახსენდება,
გულზე სიკვდილად ჩამოდენილი,
რწმენა და ლხენა, მანუგეშები,
გულის თვალიდან გამოჟონილი...
მაშინაც ვდუმვარ, არარას ვამბობ,
მაგრამ ათასგვარ იმედზე ვფიქრობ,
დადუმებული ბევრს ვხედავ უფრო
და ღმერთის სურნელს ერთგულად ვიყნოს...
თევზიც მდუმარებს, ჩემი ბედივით...
ადამისაგან არაფერს ითხოვს,
წყალშია, მაგრამ ზეცასაც ხედავს,
ფსკერთან საუბრობს, ჩვენზე მეტს ფიქრობს!
როცა საუფლო გზას გამოვძერწავ,
სამყაროს შეცვლაც თუკი მეღირსა,
უფრო მდუმარედ ვივლი, თევზივით,
იქნებ ხმა ვიცნო მამა ღმერთისა!..

## წილადი

წილადი წილადია, სახლშიც და გარეთაც...
იყოფა და... კარგია!
ადამიანიც, წილადივით იყოფა ხან ვისად,
ხან ვისად... თავისად, ხან სხვისად...
მრიცხველი თვით არის, მნიშვნელი ისაა,
რას ფიქრობს თავისზე, რას უდრის წილადი...
მნიშვნელს თუ ამცირებ, იზრდება სიდიდე
და შენი ღირსებაც მატულობს დღითი დღე...
წილადი წილადია, სახლშიც და გარეთაც...
იყოფა და... კარგია!..

## ლექსი ნიჟარაა სიყვარულისა

ლექსი ნიჟარაა სიყვარულისა... ზღვის სამყაროს
იდუმალ ფსკერზე ერთგულად მიწებებული
და იდუმალებას შესისხლხორცებული...
ლექსი ბედნიერებაა, ოქროსფერი სიხარულით
სავსე, ზღვის სიღრმეში მშვიდად დაძინებული,
სულისა და სხეულის შვებით ამავსებელი...
რითმა მარგალიტივით ამშვენებს ნიჟარას,
მიწებებულია და მიჩვეული, სიყვარულივით...
ლექსი, ზოგჯერ ზღვის ვარსკვლავის მარიჯანია,
იდუმალი სამყაროს ბედნიერებაში შერეული,
გაბრწყინებული და ამ ლექსივით გადარეული...
ლექსი წითელი ზღვის გულსავსე ვარსკვლავია,
ზოგჯერ ხორკლიანი, გაუჩორკნავი, უმადური
და ეკლებიანი, – ჩვენი დღევანდელი ყოფასავით!..
ლექსი ნიჟარაა სიყვარულისა... მარგალიტთან,
მშობლებსა და დასავით ჩახუტებული!..

## წყვდიადსა და ნათელს შორის

ხან მზის სხივი ვეღარ ატანს ფიქრის კვანძებს,
ხან რითმით ვარ მთვარის მკერდზე განაბული,
დავბანცალებ უთანაბრო ოცნებებით,
წყვდიადსა და ნათელს შორის დაკარგული!..
ვხეტიალობ უაზრობით მოშხამული,
მოკირწყლული, უცხო ბაღში გადარგული,
ხან ღვთის მადლით ბედნიერი ფუტკრის დედა,
სანთელსა და საკმეველთან გაბაწრული...
უაზრობით მერამდენედ გახარჯული,
შავ ფიქრებზე თეთრი ღიმით გარუჯული,
კატის ბრჭყალით, სანადიროდ გატრუნულით,
გაყურსული... ღრუბელიც ვარ, დათალხული...
გულზე მაწევს უგრძეგანო ლაბირინთი,

უსასრულო ფიქრებს შორის დაკარგული,
საღი ფიქრით, ალიონზე გახედნილით,
მადლიანად შესუნთქული გაზაფხულით...
მზის სხივი თუ ვერ ერევა ფიქრის კვანძებს,
რითმებით ვარ მთვარის მკერდზე განაბული...
ლხენითა და ოცნებებით დავაბიჯებ,
წყვდიადსა და ნათელს შორის დაკარგული!

## სამი მშობელი

როგორ მინდოდა დედოფლობა საქართველოსი,
ხან მესურვილა, მსოფლიოსი გავხდე მფლობელი...
სიმშვიდე ვეღარ დავიგროვე, ვიდრე „სამშობლო“
არ გავარკვიე, – რომ ყოფილა სამი მშობელი!
მას შემდეგ დავალ მამისა და ძე ღვთისას მადლით,
სული წმინდისგან სანეტარო ფიქრებს მოველი,
მადლიერებით შევისწავლე სიმშვიდე სულის,
რადგანაც უფლის ნებით ხდება ირგვლივ, ყოველი...
აღარ მომინდა დედოფლობა საქართველოსი,
არც სურვილი მაქვს, დედამიწის ვიყო მფლობელი...
თვითონ სამშობლო დედოფლობს და მეფობს ჩემს გულში!
ენით, რწმენით და ქართველობით ასე მოვედით!..

## რა მარტივია ადამიანი

მარტის ქარები რომ ჩაივლიან,
მთვარეს ჩამოვხსნი და მზეს დავკიდებ,
ლურჯფერა ლექსით სავსე ხურჯინებს
ოცნების თვალზე წამლად დაგიდებ.
რომ ჩამოვსხდებით მე და ლექსები,
ძვლების ჩხრიალი დაყეფს ფეხებთან,
დაიყმუილებს ბედი ტიალი, –
უნდილ რითმებში ვინ რას ეძებდა...
ცაზე გაკიდულ მზეს რომ მოხსნიან,

მთვარეს წასკდება სიო მღიმარი,
ლექსი იმღერებს, – რა რთულია და
რა მარტივია ადამიანი...

## გოგო იჯდა მიწის პირას

გოგო იჯდა მიწის პირას, ტროტუართან,
ვითარ მართლა ანგელოზი, ფრთიანი,
გაჰკიოდა ირგვლივ მკვახედ, – ლიმონები,
ლიმონები, თხელკანა და წვნიანი!
ბანანები! ბანანები! რეზინები, საღეჭი!
რა გაყვირებს... შენი დედა...
წამოკრიფე ეგ მზითვი და... აბა, დროზე ადექი!
მიმქრალი და სევდიანი თვალთამზერით,
ბრგე ვაჟკაცებს გოგომ კრძალვით გახედა...
ქათქათა და ნატიფ თითებს უცნაურად არხევდა!
გოგოს ცქერით, ზოგიერთი უცაბედად გახევდა...
თვალები და რა თვალები!..
ლურჯ სიღრმეში გაწოლილი, უცნაური
თვალთამზერით ცეცხლი ააბრიალა...
ცეცხლი ქუჩას წაეკიდა...მერე, ალი გადაედო
ირგვლივ ყველა ცნობისმძებნელს...
ლიმნისფერი სწვავდა სახეს, მთლად ყვითელი კი არა,
უფრო ნაზი... და თავისი კრძალვით, მშვენით...
მიწის პირას, გოგომ ლამის, უნებლიედ, ცოდვა დაატრიალა...

## უფლის მადლით

დიდებულმა მამა-ღმერთმა ცოცხალ-მკვდარი აღმადგინა,
დამამდაბლა, დამალხინა და ცხოვრება შემაყვარა,
თვალზე ცრემლი დამიშრიტა, გული სიკვდილს გამოსტაცა,
ბრკოლისაგან ფეხდახსნილზე ოცნებები გამიმყარა...
უფლისათვის სათნო გავხდი, საიმედო – ჩემიანთა!
ავი კაცი ვერას მაკლებს, ღმერთსა ვესავ მწედ და ფარად,

მოძაგებულ მკვდარს რომ ვგავდი, ხშირად ნათლის
სვეტსა ვგავარ,
დაწუნებულ ლოდის ნაცვლად, ხშირად თავკიდეზე ვდგავარ,
არაფრიდან ყველაფრისთვის გულს გაგიშლით
ოქროს კარვად,
სამების და ღვთისმშობელის მადლი ყველას დაგვიფარავს!

## ყველა სიმღერა მხოლოდ შენია

დრო უცებ გარბის... ჟამი ბერდება... მადლიერების
დილა თენდება...
რაც ოდეს გულით დამიმღერია, ყველა სიმღერა
მხოლოდ შენია!
წახვედი, მაგრამ ჩემს გულში სახლობ, შენი ალერსით ცივ
კედლებს ვათბობ,
სულს გიბერავ და სიყვარულისგან ნანატრ ოცნებას
ისევ შენ განდობ...
შენი იმედით ვფურცლავ გაზაფხულს, ზამთრის ყინვისაც
არ მეშინია,
შენი კუთვნილი სიმღერებია, რაც ოდეს კარგი დამიწერია...
შენი თვალების ღიმილით ვხარობ, ყველაფერს შენი
სახელი ჰქვია,
რაც გულში სიტკბო შემომრჩენია, თურმე მხოლოდ
შენ დაგიტოვია...
დროც გაწარსულდა... ჟამი ბერდება...მადლიერების
მადლით თენდება,
ყველა სიმღერა მხოლოდ შენია, რაც ოდეს
კარგი დამიმღერია...

## დავაბიჯებ

დავაბიჯებ საქართველოს შარა-გზებზე,
სიყვარულს ვფენ ყოველ დილა გამთენიას,
მდაბლობის და საკეთილო საქმის გამო
ჩემს გეგმებში ჯერ სიკვდილი არ წერია!..

## დანარჩენი

სიო საქართველოს მწვანე, მოხატულ გულს დაატკბება
და ფუტკარი ტუხტის ყვავილს ზედ სინაზით დააკვდება,
ბავშვი დედის კალთაში რომ გამოითბობს სულს და თვალებს,
მონაზონი ლოცვაში რომ გულს სიამით ინარნარებს,
ლამის გაწყდეს სუსტი წელით, მაინც ხედავს ნეტარებას
და მის სულთან შერკინებას ქვეყანაზე ვერვინ ბედავს.
გულთან ერთად ხელებიც რომ სიყვარულით ათრთოლდება,
დაღამდება, გათენდება... კიდევ ბევრჯერ დაღამდება,
დავიღლები უაზრო და უსასოო ლექსის წერით,
უძილოდ და უამინდოდ, ლურჯი მზერით მაინც ვმღერი,
სხვა რაღა სიყვარული, თუ უძილომ არ იმღერე,
თუ უფალი არ ადიდე, „ღირს არსი" არ დაიმღერე,
აბა, რაა სიყვარული, რა მთისა და რა ზღვის დარი,
თუ რამ ვერ ვთქვი, დანარჩენი... და- ნარჩენი
თქვენ მითხარით!

## სადა ხარ, ჩემო ოცნებავ

ქებამ აწყინა ქვეყანას... ლიბრი აეკრა თვალზედა,
ხალხი ჰკიდია ფეხზედა, კოკა გაიდო მხარზედა...
არც ხანჯლის ჟანგზე ტირის და არც მამა-პაპის ფარზედა,
შაირს ვიცრემლებ გულზედა...სიტყვა ამიგდო ბანზედა!
ნასახლარები გოდებენ სხვისა და თავის თავზედა,
გადამეღალა ცხოვრება სხვათა ტკივილის ჯავრზედა!
ბოლო დროს, ხშირად ბოლდება გადამქვარტლული ბუხარი,
გულს ებრძვის, – დაბეჩავებულ ქვეყანას რამე უთხარი!..
ბრმა ორივ თვალსა ჩიოდა... კედელი ცერცვით გაივსო...
სადა ხარ, ჩემო ოცნებავ, დანაპირებო მაისო?!

## სამოსელს ვქარგავ

წვიმამ თავ-პირი ჩამოიტირა,
მზეს გაუხუნა ქალობა ისე,
გადაუკეტა გულის კარები,
ოცნების დღეებს ჩემიდან ივსებს...
წვიმა, რა წვიმა... დარდები ცისა,
მასაც რამდენი სცოდნია ცრემლი,
არც ოცნებათა სანთელი ქრება,
არც ნეტარების სურნელით ვთვრები,
გულის ფეთებით ვეახელ უფალს
და მუხლმოყრილი დავდექი მყარად...
სიყვარულის მადლს ვაგროვებ ტყეში
და შვილის სულის სამოსელს ვქარგავ!..

## ყვავები

დიდებისმოყვარე ადამიანების სიმაღლისკენ სწრაფვა რატომ უნდა გამიკვირდეს, როდესაც ვერის ბაღში, საკმაოდ მომრავლებული ყვავებიც კი, მაღალი ნაძვების კენწეროს ირჩევენ დასაზვერად და დასასვენებლად, რომ ადამიანებივით, მათაც ზევიდან ამაყად გადმოგვხედონ, ხშირად დაგვჩხავლონ თავიანთი უაზრო ჰანგებით, იქნებ, როგორმე დაგვიმორჩილონ, გაგვანადგურონ და მძორებადაც მალე გადაგვაქციონ...

## არდაბრუნების ფილოსოფია

როცა არაგვი დუღილს დაიწყებს,
ცხელი ორთქლები ჭიკათს დაათრობს,
ხელისგულივით გაშლილი წყალი
მთიულთა მზერას უცებ დაატკბობს,
მერე დამთვრალი და დაგეშილი
აახმაურებს გულის ნაპირებს,

ოქროსფერ სხივთა გამასპინძლებით
სიხარულს ყველას გაუნაწილებს
და შეუკერავს საუფლო მიწას
იელისა და ენძელის სურნელს,
პოეტის ხმაზე აჭრილ ცის კიდეს
ლექსის ელვები საკმეველს უკმევს
და დამწუხრდება მაისის ღამე
დავიწყებული ტრფობის მტკიცებით,
როცა დავკარგავთ, მაშინ რად ვსწავლობთ
ფილოსოფიას არდაბრუნების?!
მთვარე არაგვის დუღილს შენატრის
და ვარსკვლავები დგნალს რომ დაათრობს,
ათასი ლხენა და სიყვარული
დაგვებედება მე და სამყაროს!..

## ყოველ ახალს ფეხდაფეხ მივდევ

ერთხელ, დარდიანს, მოულოდნელად,
შემოვეყარე სამყაროს გზაში...
მიმიხვდა დარდებს...დამიმარტოვა
და გამიყარა თვალები – თვალში!
მე... უტიფარმა... ჩვეული ღიმი
დავაბნიე და... ერთად ვილხინეთ,
მას შემდეგ დარდსაც კარი დავუხშე,
ვეღარც მოვა და...ვერც დაიჩივლებს...
ვზვერავ მომავალს და სამყაროს ფერს
ღიმილიანი შევყურებ ისევ,
ფერადი ძაფით ვკერავ ხვალის დღეს
და ყოველ ახალს ფეხდაფეხ მივდევ!

## დედაჩემის ძახილი

წუხელ მესიზმრა დედაჩემის ძახილი, ტკბილი,
დიდ თასში, თბილი მარილწყალით ცომს რომ ზელავდა,

მერე ვარცლს დიდხანს აომებდა დამუშტულ ხელზე,
გაფუებულ ცომს ვარცლის გვერდზე მარჯვედ ხელავდა...
კუთხეში გათხრილ სანაცრეში მადლსა ფშრუკავდა
და თონის პირებს აგრილებდა ნაცარი, სველი,
თიხით გაბერილ თონის მუცელს, მის ირიბ გვერდებს
მარილს აჭმევდა, თანაც წმენდდა საგველით, ძველით...
მცხობელის ხელით მწკრივდებოდნენ ჯარისკაცებად
ნაკვერჩხლის ელვით ნაფერები დედას პურები,
თონის პირებზე მოწოლილი შესანდობარი
ყველის, პურის და საფერავის მადლის დიდებით –
ვისაც მრავალჯერ დაუცხვია დედას პურიო...
ვისაც სოფლელთა სიყვარული ქალაქს მიჰქონდა,
ვისაც და ვისაც... ათასგვარი მოგონებებით
სოფლის ნიავი მთვარისაკენ ღიმით ილტვოდა...
წინაპართ მხრებზე გამოზრდილებს, დიდს თუ პატარას,
ღირსეულს, უღირს, – თონე ყველას ისე გვალხენდა,
რომ წუხელ, სიზმრად, დედაჩემის შეძახილები
კახეთის ძილშც სიყვარულის მადლებს გვაფრქვევდა!

## პიკასოს გამოცხადების შემდეგ

(ალტამირასთან შედარებით სხვა ყველაფერი
დაბალი დონისააო,– ესპანელი პაბლო პიკასო)
ნეტავ, ღმერთო, დამბადებდე შემოქმედის ბედით,
ვიზრდებოდე ბოტიჩელის, ან ვან გოგის გვერდით...
მაჟამებდე წმინდანების საოცარი გულით,
მაცხოვნებდე ნინოსა და სიდონიას ჭკუით...
ამიყვანდე თამარის და ქეთევანის ცაზე,
მირიანის, ნანასი და გორგასალის კარზე,
დამაჩოქო ზეცის თაღზე, ღვთისმშობელის ფეხთან,
სამების და ქრისტეს ნებით ბაგე მექცეს ვერცხლად,
ოქროს დუმილს მასწავლიდე დიდებულთა დარად,
ზედ დავაკვდე ჩემს მიწა-წყალს მახვილად და ფარად!
მოგიტევებთ... მომიტევეთ... არ ვინანებ სიკვდილს,

რადგან ღმერთმა წასვლის დრონი ჩვენზე უკეთ იცის...
მერე წავალ... წავალ, აბა... როს უფალი იტყვის,
ან ჯოჯოხეთს გამატარებს, ან დამადგამს გვირგვინს...
სიხარულით ვეახლები, დატვირთული წლებით...
იქ არა არს შური, მტრობა... არ მანახოთ ცრემლი!
ნეტავ ახლად დავიბადო შემოქმედის ბედით,
ალტამირას მღვიმეებში... თუნდ პიკასოს ხედვით...

## როცა გიჭირს

როცა გიჭირს, უფრო ბევრი მეგობარი გყავს,
დანანებით რეკავს ყველა სასამძიმრო ზარს...
თუ ცხოვრებამ სიკეთისკენ მოგიბრუნა მზე,
ო, რამდენი შურის თვალი მონუსხული მზერს,
დაშრობიათ სიხარულის, სიყვარულის ზღვა,
გაჰქრობიათ კაცობა და ზნეობანი სხვა...
როცა გიჭირს, უფრო მეტი მეგობარი გყავს...

## მშვენიერება

სოფელში, სტუმრად, ქალი დავლანდე,
დალალებს მადლის სუნი სდიოდა,
სიმაღლით ისე გაირჩეოდა,
ვით ველისციხე კავკასიონთან...
მდაბლად ელვარე ვარსკვლავს მოჰგავდა,
ბაგეს ვარდების ფერები ჰკლავდა,
ნუკრის თვალებით ცეცხლებს ანთებდა,
მაგრამ მეხანძრე არსაით ჩანდა...
უმანკო ბავშვის ნაზი ღიმილით,
გრძლად გამოთლილი ლალის თითებით,
მარადიული ჭეშმარიტების
ხელშეუხებელ ქმნილებას ჰგავდა!..
მინდვრად გადაშლილ ყველა ყვავილზე
ლამაზი ჰქონდა ტანი და სახე, –

ასე უნაკლო მშვენიერება
დედამიწაზე პირველად ვნახე!
გაცისკრებული ღიმილის პირზე
თვალი გარბოდა... განა მინდოდა...
მე რომ ქალისთვის დავკარგე თავი,
ვაჟკაცებს რაღა მოუვიდოდათ?!..

## მადლობა ყველა შვილს და მშობელს

გულისტკივილმა შემიწუხა ყველა ოცნება
და ცხრა აპრილმა ამიშალა ძველი იარა...
ბასრი ნიჩბების და ტყვიების მწარე ტკივილმა
თბილისის ციდან კვლავ ჩემს გულზე გადაიარა...
ბავშვების სისხლი მწუხრის ქარად დაზუზუნებდა,
შურისძიება ველურ ხელში დაძუნძულებდა,
ბრმა ტყვიებით და ალმაცერი, ელამი ცეცხლით
გზაზე ელავდა ოცდაათი, იუდას ვერცხლი...
დაგრიალებდა ბართლომეს და თბილისის ღამე,
კუნელი ხეზე ყვავილობდა ზარით და რისხვით,
ისტორიები გრიალებდა ქართლის და სხვათა,
ჟინის სურნელი ასდიოდა ივერის ცასა...
ჩვენი მამულის სამსახურის ერთგულო ჯარო,
ჩვენო ფიქრებო, სანუკვარო და გულო მკვდარო,
თავისუფლების წყურვილებში გამოზრდილებო,
თვალდათხრილებო და ჯანსაღო ჩვენო შვილებო!
ბედნიერია ერი, როცა მშობლის ნაფეხურს
შვილი უკეთესს მოუძებნის გზას და საფეხურს,
მონობის უღელს არასოდეს თქვენ არ მოითმენთ,
მადლობა ყველა შვილს და მშობელს, მებრძოლს, მოისრეს!

## საბრალო ცხოვრება

ცხოვრება რთულიაო, – წუწუნით გულებს ვიღონებთ,
თუმც ჩვენს ხელშია, თანაც საამო და მარტივია,

მაგრამ ხშირად თვითონვე ვართულებთ,
ხელიდან ადვილად რომ არ დაგვისხლტეს,
რადგან ყველაფერი ისევ ცხოვრებას უნდა დავაბრალოთ...

## როდის გამოვბრწყინდებით

ხშირად, სიტყვას ათამაშებ სადედოფლო სამოსლით,
მაგრამ პაიკს ყველაფერი შენზე უკეთ გამოსდის...
იმედგაცრუებულ დღეთა უსამართლო დუღილი
ევედრება სურვილწამხდარ სულს და სხეულს, წუხილით:
ყველაფერი სადედოფლო სამოსელის ბრალია,
გლეხის დიაცს დამამსგავსე... ერთად ვიმღერთ არიას,
საბრალო და კეთილ მზერით სულს ალალად ვაცხოვრებ,
უკეთესად ჩავაბარებ მზის ცივილურ გამოცდებს!..
და ვინ იცის, ვინ რას ფიქრობს... ვინ რა ფერით ირთვება...
როდის მოთოვს... როდის ყინავს... როდის წამოწვიმდება...
დღემდე ვერც ის მიპასუხეს, რად ვქრებით და ვინთებით,
რატომ ვდარდობთ... როგორ ვილხენთ...
როდის გამოვბრწყინდებით!..

## ხმელი ფიქრები

იძულებული ღიმის სასჯელით
გაწყვეტილ მძივებს ცრემლი ვაპკურე,
შემორჩენილი ხმელი ფიქრები
დარდს ოცნებებად შემოვახვიე...
გამოშიგნული ქალის თვალებით
მთვარე სინაზის ფერებს აქრობდა,
დაჟინებული ვარსკვლავთა მზერა
გულის კუნჭულებს ვეღარ ათბობდა
და გაწყვეტილი მძივის ცრემლები
დღემდე იღვრება კიბის ფეხებთან...
მიყვარხარ, რადგან ვერ შეგიძულე,
მძულხარ, რომ ასე ძლიერ მიყვარხარ!..

## გამარჯვების გზა

რა ღმერთი აქვს გამწყრალი ამ უღრუბლო ცას,
მოწმენდილზე ტირის და, სულ ჩემს ცრემლებს ჰგავს...
დაუთვლელი ტკივილი არ გვანებებს თავს,
ხან კორონას ვაბრალებთ, ხან–საკუთარ თავს.
უნდობლობას ვამსხვერპლეთ ბარიცა და მთაც,
ერთი კაცი გამოჩნდეს და სიმართლე თქვას,–
შევწირავდი სიცოცხლეს, თუნდ შავფერა ხარს,
ოღონდ დავინახავდე ციმციმელა კვარს...
შურითა და მტერობით რატომ ვითხრით თვალს,
რად ვღალატობთ ერთმანეთს და საკუთარ ძმას,
დაგროვილ განძს რად ვატანთ წვიმასა და ქარს,
მაინც რა გვჭირს ქართველებს, რად ვიბნელებთ გზას?!
რა ღმერთი აქვს გამწყრალი ჩვენს უღრუბლო ცას,
მოწმენდილზე ტირის და, სულ ჩემს ცრემლებს ჰგავს...
ღვთიურ მიწის მშველელიც არსაიდან ჩანს...
ღმერთო, შენ გაგვინათე გამარჯვების გზა!

## ქალი სეირნობსო...

ღრუბლები ცაზე დასეირნობენ, მე – ქუჩაში...
ისინი ზევიდან დამცქერიან,
შავ თვალებს ურცხვად აელვებენ და...
თავსხმა წვიმასთან ერთად, სიყვარულს მთავაზობენ...
მე კი მდაბალი მზერა მიტაცებს
საკუთარი თავისაც, ღრუბლისაც და... კაცისაც...
ნუშისფერ თვალებს ფარული მზერით რომ ავანაპერწკლებ,
ზოგ-ზოგის გულში ცეცხლს რომ ავანთებ და...
ვიღაცას რომ ჰგონია, – ქუჩაში ქალი სეირნობსო...

## ღიმილს და სიყვარულს ჩამოგიტანთ

როცა ზეცის სიყვარული მომწყურდება,
ყველას დარდებს კლდე-ღრეებში ვასამარებ,
გულმოდგინედ გადავკეცავ დედამიწას
და გულისგულს მასზე ზრუნვას დავავალებ...
ვეახლები ლურჯთვალება, ოქროს ქიშკარს,
ხელს შევახებ... ცას ღიმილით გამიხსნიან...
მზე სხივს გაშლის... ღამით მთვარე მიერთგულებს,
ვარსკვლავები სარეცელსაც გამიშლიან...
როცა მთვარის სიყვარულით დავიღლები,
ალიონის მზეს სხივები გაეყრება,
გულისგულში გადაკეცილ დედამიწას
ისე გავშლი, არაფერი დაეტყობა...
მუხლმოყრილი გადავკოცნი მიწის გვერდებს,
ერთგულებას ქართველებთან დავიფიცავ...
და თუ ზოგჯერ ცაში ავალ, არ ინანებთ,
რადგან ღიმილს და სიყვარულს ჩამოგიტანთ!

## ზნეობის გაკვეთილების მოსასმენად

დიდი და პატარა ფეხები ხშირად დარბოდნენ
ზნეობის გაკვეთილებზე დასასწრებად...
უმრავლესობას მასწავლებლობა სწყუროდა,
მოსწავლეობა უმცირესობას სურდა...
უკვდავმა ღმერთმა ხრწნადი კაცობრიობა
რატომ შექმნაო?! – ყველას ეკითხებოდნენ...
მასწავლებლები პირს აღებდნენ, ყურს აფრთხობდნენ,
მოსწავლეებს ცოდვებზე ფიქრის დუმილი ჰკლავდათ
და ყველას მაგიერ, სირცხვილი მხოლოდ
მარადისობას და უკვდავებას სწვავდათ...
დიდი და პატარა ფეხები დღესაც ხშირად გარბიან
ზნეობის გაკვეთილების მოსასმენად, და ისევ...
რატომღაც... უმრავლესობას მასწავლებლობა სურს...

## და გაპატიებ

დრო მიძველდება თვალსა და ხელში,
მოგონებები ლოკავს დარდის მღვრიე ნაპირებს,
შენ იმას ვერა მპატიებდი, მე რომ ყოველთვის
გპატიებდი და ეს მატირებს...
შენი სასჯელი დანაშაულის პატიებაა,
ამიტომ ერთხელ კიდევ დაგსჯი და გაპატიებ!..

## უკეთესი მომავლისთვის

თავისუფალ ნებასა და ოცნებებში
დავათრევდი ბავშვის მძიმე ტვირთებს,
არჩევანის უფლებებში გზა დამებნა,
რადგან ბევრი, ძალზე გვიან მითხრეს...
მეც მცირედით ავიკრიფე ოცნებები
და სიმშვიდით შევეჭიდე რთულ გზას,
ღირსეული მასწავლებლის ძებნა ვცადე
და მარტივით,–რთულისაკენ წინსვლა...
გვიან-გვიან მოვიძიე სიბრძნის წიგნი,
მოვითხოვე უფლებების დაცვა...
შინაურსაც, გარეულსაც გაუკვირდა,–
რა სჭირს ქალსო... ეს რა გვთხოვა... რა ქნა...
გაზრდილმა და წელში უკეთ გამართულმა
ჩამოვიხსენ სხვათა მძიმე ტვირთი,
თავისუფალ სამყაროში გადმოვფრინდი,
უკეთესი მომავლისთვის ვილტვი!

## ღმერთი და თავისუფლება

ერთ ალიონზე, გაღვიძებისას, უფალი ღმერთი სახლში მეწვია,
მარცხნივ, მაცხოვრის ლურჯმა თვალებმა გამომაფხიზლა, –
შენთან ღმერთია!
მარჯვნივ, სულისა წმიდის მადლებმა გამოაცისკრა

გონი და თვალი,
შუაში, სხივთა ელვის ნათელმა მანიშნა, – მამა
ღმერთი ეს არის!
თვალთუხილავის სპეტაკ თმა-წვერზე თვალისმომჭრელი
შუქი ელავდა,
ზეცა, მიწასთან შეერთებული, კანონზომიერ ტრფობით
ღელავდა...
ბედნიერების შიშის ქარებმა ვეღარ იპოვეს გულის ნაპირი,
დედა ღვთისამ და ანგელოზებმა ლოცვით მომიძღვნეს
თეთრი მანდილი.
დაჩოქილ მუხლზე, თვალბნელ წარსულთან მადლი
დაგროვდა და დაინისლა,
მას შემდეგ ქვეყნის არარაობა უფრო და
უფრო გაწუთისოფლდა...
გაწამიერდა ამქვეყნიური ყველა დიდება და სამართალი,
მას შემდეგ ვპოვე ჭეშმარიტების კარიბჭის თავზე
სიტყვა მართალი!
ვოცნებობ, ღმერთო, ხშირად მესტუმრო, მასპინძლობისთვის
რას არ ვიზამდი,
მადლობა, ჩემო გადამრჩენელო, ყოველისა
და ყველაფრისათვის!
დროებითობის ციხე-დარბაზებს მარადისობით
ვუცვალე ფერი,
არარა მიწის არარა შვილი თავისუფალი მომავლით ვმღერი!..

## შუალედური ზღვარის ძებნით

შუალედური ზღვარის ძებნით გადავიღალე
და ბევრჯერ ვცადე დასვენება ვერხვების ჩრდილში,
ხან დასვენებით გადაღლილი წამოვიმართე,
ხან დღემდე მიუწვდომელ ზეცის ნათლისკენ ვილტვი...
დავდივარ რწმენაშემართული, უძლეველ გზებით,
დავფრინავ ზოგჯერ ფრთებდახრილი, მამულის მთებზე,
დავწვები ცრემლით გამომშრალ და დახრუკულ ქვებზე,

ვმღერი სევდიან და ბედნიერ თავსა და წლებზე...
უცებ გარბიან წუთისოფლის დღენი და ჟამი,
ბედნიერებას ვუფრთხილდებით, კიდეც დავეძებთ,
ტკივილებს ვკრძალავთ...დარდიანზე ხშირადაც ვმღერით,
ორგულობის და ღალატისგან რომ არ დავეცეთ!
და მოგონების ხარისხები დაგვრჩება მხოლოდ,–
ეს არის ჩვენი წუთისოფლის თავი და ბოლო...
შუალედური ზღვარის ძებნით გადავიღალე
და სახვალიო იმედისკენ გადავიხარე!

## ვაი, გონიერს...

გაყინულ ფიქრთა სათავე სიმართლის თავში დევს,
ქვევით დავრბივართ... ვზღაპრაობთ
შემოკლებულს თუ გრძელს,
როცა ყველაფრით შევმოსავთ ნახევარსა და მთელს,
არარაობას პატარა რაობა მუდამ სძლევს...
იგრძნობენ და იქცევიან დაბურულ ხეთა ტყედ,
რაობას მოუძებნიან მიზეზს და ათას მტერს,
სიმართლის ყველა მოყვარეს დაუბნელებენ მზეს,
რაობის კეთილ პატრონზე გაიწმენდავენ ხელს...
დროსა და სივრცეს უტიფრად დაუკარგავენ ფერს,
რაობას ჩაუსაფრებენ არარაობა მცველს
და დღემდე, ვაი, გონიერს... ვაი, მის ბაღს და ხეს...

## სამყაროს ჩრდილში

დაბინდებული სამყაროს ჩრდილში მე ნათელს ვითვლი...
გასაოცარი მხოლოდ ის არის, ყოველ ბინდ-ბუნდში
არის ნათელი და ყოველ ნათელს თან ახლავს ბნელი...
ამიტომ არის ჩვენი ცხოვრება ტკბილიც, შავბნელიც,
მაგრამ ბოლო ჟამს, მე იმ ბნელეთშიც სინათლეს ვხედავ
და არ ვივიწყებ, – ღამეს დღე მოსდევს, ბნელეთს – ნათელი!
ამიტომ, დარდი ახლოს მოსვლასაც ვეღარ მიბედავს!

## უხმო თევზივით

ჩამოიტირა წვიმამ თავ-პირი,
ფიქრად ჩამოწვა წყნეთის თავებთან,
დედამიწაზე სვეტად დამდგარი
სახეზე ჰგავდა გარდაცვალებას...
სადღაც იქუხა! შეკრთა წვიმა და
სხივად არჩია როლის თამაში,
ამოიჩემა ჩემი ოთახის
ჭერზე მოხსნილი გაჯი, ტალახი...
ღვარი სკდებოდა საწოლის თავთან,
მერე, დუმილად, იმედად სცრიდა,
ჩამოწურული დარდის მორევი
სასთუმალს ცრემლის მძივებად ფსკვნიდა!
მგონი დაკარგა წვიმამ რაღაცა,
გაუთავებლად , ჩემს სახლში ეძებს,
შემომანათებს ცრემლიან თვალებს,
თან, სიამაყით ისწორებს გვერდებს...
წვიმს და წვიმს ისევ ,შინა და გარეთ,
ხვალ მზე იბრწყინებს, გვიშველის ყველას...
ოსტატს ვიშოვი... ჭერს შევაკეთებ..
უხმო თევზივით ვდუმილობ ჯერაც...

## დავბერდი, დედა

დავბერდი, დედა, – ხშირად მახსენებს
ჩემი ვაჟიშვილი და ჭაღარა თმებზე
გაახელებს ფათურს ხელების,
თან დააყოლებს ღიმილით მზერას...
ო, როგორ მინდა, მჯეროდეს,–
რომ ისევ ბავშვია ჯერაც...
თორემ, თუ ის დაბერდა, მაშინ... მე?!..

## კვლავ იას

ლურჯი სამოსით მორთული, თვალებხატულა ია ვარ,
იცით, ქარები რა ხშირად მიჩენენ გულზე იარას?
ო, როგორ მინდა, დარდები გავუზიარო სამყაროს,
რადგან მეტყველი თვალები ლამის ნიავმაც დამთხაროს!
ჩემი სინაზის წყალობით, კეთილად მიმზერს ქვეყანა,
მაგრამ იოლად მთელავენ!.. პასუხს ვერ მცემენ ვერარას...
როგორც ჩანს, ადვილად ჩაგვრა პატარა იის ხვედრია...
ჩემი პატრონიც... შენსავით... მხოლოდ მაღალი ღმერთია!

## სიყვარულის ძალა დამკვიდრდეს

ზოგჯერ მინდა, რომ ვიყო გიჟი, გადარეული
და არაფერი გავიგონო ამქვეყნიური...
ჩასაფრებული მარტოობა ისე ამტკივდეს,
მწუხარება და ცრემლად დაღვრაც არარად ღირდეს...
და კიდევ... მინდა, – გავხდე ღირსი ადამიანი,
ენერგიებით ავივსო და სიკეთის მადლით,
სული, სხეული ერთგულების ნებით ვატარო
და ზომიერი სიყვარულის ვისწავლო ფასი!
ბევრი საქმე და საფიქრალი მქონდეს დღემუდამ,
სხვისი ტკივილი ჩემი დარდის ნაწილად იქცეს,
არასდროს გავხდე შურისა და მტრობის სამიზნე,
სიკეთის მადლით, თოთო ბავშვის ნაბიჯებს მივყვე!
დრო უმკურნალებს იდუმალი ფიქრების ნაწილს,
მშვიდად გავიტანთ გოლებსა და ლელოს, ცხოვრების,
მერე, კვლავ მერე... დადუმდი და... წერე... დაწერე...
მკითხველი გიბღვერს, ან, შეგნატრის... თან...უნდა ცხონდე!..
და... ზოგჯერ, მაინც... მინდა, ვიყო გადარეული,
აღარაფერი გავიგონო ამქვეყნიური...
ადამიანთა ტკივილები აღარ ამტკივდეს
და სამყაროში სიყვარულის ძალა დამკვიდრდეს!

## უკვდავებისთვის

როცა ლოცვებით ამოვღლი თვალებს,
ლაგამი სხეულს ნებით მოუჭერს,
ზარმაცი სული გამოცოცხლდება,
ნეტარი მზერით გადავჭრი სივრცეს...
მაინც ვერ ვარკვევ ზომას სიმდაბლის,
ვერც სიყვარულის ვპოულობ საზომს
და ხშირად, ზომაგადასულ გრძნობით
კეთილს და ბოროტს, – ორივეს ვწყალობ...
მერე, ბოროტში დავეძებ კეთილს
და მარცვლისხელა ღვთიურს თუ ვნახავ,
ჩავეჭიდები, ჩავეხუტები,
მანუგეშებელ სიბრძნეს მოვნახავ...
გავლენ დღეები, დასაფიქრები
და შვების წყარო დაგვედინება,
ცხოვრება ნებით დაგვიღვინდება,
წეს-ქცევებს ღმერთი დააკვირდება
და თუ ნათელი შენიშნა გონში,
სიკეთისა და ტრფობის მთესველი,
ისე გვაცხოვრებს, კიდეც გვაცხონებს,
არც მოვკვდებით და... არც დავბერდებით...

## უფალივით, ერთი დამრჩი

უფალივით, ერთი დამრჩი
და მადლობა ერთხელ არ ვთქვი!
მომიტევე, ღმერთო, ყველა
უშენობის ჰანგზე მღერა,
მომიტევე, შარა-შურა
აბრეშუმზე გაბმა მძივის,
გაწყვეტილი ძაფების და
სინანულის ვერ ვკლავ ჩივილს.
დაკარგული მარგალიტის

ველარ ვპოვე ვერა კვალი,
შენეული წყალობისთვის
მადლობაც კი ვერ გითხარი...
ახლა, მხოლოდ შენ დამრჩი და
ერთადერთი შვილი ჩემი,
დედა მარიამის ლოცვით,
ისიც მადლიანად მღერის,
ღმერთო ერთო და სამებავ,
გევედრებით, შეიბრალეთ,
უფალივით, ერთი მყავს და
უძღებივით შეიწყნარეთ!..

## ჩემი ბესოს დედა

არასოდეს ვოცნებობდი სახელოვან მამას...
ქმრის უთვალავ ტიტულებსაც დღემდე ხშირად ვმალავ,
ჩემით ვქმნიდი ყველა ნაბიჯს, ამაოს თუ მართალს...
უსასრულო ფიქრის ძაფით დღემდე ვქსოვ და ვხლართავ...
ბოლო ჟამზე ბევრ უცნაურ ახირებას ვბედავ,
სიბერეში მინდა მერქვას – ჩემი ბესოს დედა!

## დაუკარ, ძველო ფანდურო

დაუკარ, ძველო ფანდურო, ამოიმაღლე ხმებიო,
მამულის ოკუპაციით ყოველდღიურად ვკვდებიო,
მერე ვქრები და ვცოცხლდები!.. რომ არ ვახარო მტერიო
და ხშირად, ასომთავრულით, ძირტკბილა ენით ვმღერიო...
ბრძენო, ძირძველო ფესვებო, ანიდან ჰაეს მიჯნამდე,
სიკვდილ-სიცოცხლის წესებო, როგორ არ უნდა მიყვარდეთ?!
სისხლნაღვარავ და ძვალტყავავ, მტერი დღემდე
რომ ავსულობს...
ენავ და რწმენავ ნეტარო, ტკივილიანო მამულო!
ჩემო დაცლილო სოფლებო...ფანჯრებო, ამოფიცრულო...
გულზე ცრემლებად ნაჟედო და ემიგრანტო ქართველო...

დაუკარ, ძველო ფანდურო, ამოიმაღლე ხმებიო...
გადავიფიქრე დარდები! შვილს ველი!.. აღარ ვკვდებიო!..

## შიშს დიდი თვალები აქვს

შიშს დიდი თვალები აქვსო,– ამბობს ხალხი...
თავისუფალი ნების განგაშში შიში მიძალავს
გონების თვალებს
და ვერ დავმალე მორალური თავისუფლება და უფლის ნება...
ვერც გადავკვანძე ამაღლებული ემოციის დიდი ნაწილი
და გავნაწილდი უარყოფის უსხეულო უარყოფაში...
ახლაც არაფრის წინაშე ვდგავარ და იმ არაფრის
შიში მძალავს,
რომ ზუსტად იმ მაჯლაჯუნა არაფერმა ფანჯრიდან გადახტომა
არ მიბრძანოს, ან არ ჩამაცვას ჯამბაზების შესამოსელი...
და მუდამ მიკვირს: რად ეშინია ყველას
სრული ჭეშმარიტების?!
მე კი, უმწეო, არაფრის შიშს თუ ღირსეულად ვერ მოვერევი,
საკვირველი სულაც არ არის, მაგრამ რადგანაც
უიღბლო მქვია,
მოდით, თვალები ამიკარით ხერთვისელის ლურჯა ცხენივით
და გადამჩეხეთ კლდის პირიდან ხევის გულამდე,
თავისუფლების ლტოლვისათვის რომ არ დამრჩეს
ტვინში ადგილი,
თორემ, აჰა, და... სადაც არის, კვლავ უარვყოფ
თითქმის ყველაფერს
რომ ტკივილებში მოვიძიო სულის სიმშვიდე
და ამ სიმშვიდეს თუ დამირღვევს მხოლოდ სიგიჟე...
არაფრის შიშზე აღარ დავძალავ გონების თვალებს,
არც მორალური თავისუფლების და უფლის ნების
დავკარგავ ძალებს და...ამასობაში...კიდეც გათენდება!..

## მაპატიე

კრძალვის ნიავს გამოვწალდავ რითმებით და
ბასრი ცულით გავაშიშვლებ წარსულ ამბებს,
ზეწარს ავხდი სირცხვილნახად დარდის ალბომს,
გიჟ სტრიქონებს საკურნებელ წამლად დავდებ!
გამოვხშირავ გულისპირზე ფიქრის ვაზებს,
შაბიამნის წამალს დავცხებ ფილოქსერას,
მემცირება თავიცა და შენი გულიც,
ღილაწყვეტილ ოცნებათა ძაფს რომ ვხედავ!
გადავკაფავ ბასრი ეკლის საიდუმლოს,
დაფნას ვწალდავ, – კვლავ არავინ გადარიოს...
მაპატიე, გამარჯვების მოტრფიალეს
იმედსაც რომ ვერ გატან საიქიოს!

## შვილის ალერსივით

არასოდეს ვიზამ ამას, – გულს ფიქრი არ გააკარო,
არ შეშინდე, არ დაღონდე, მტერი არსად გაახარო,
ცრუ, მავნე და ბოროტები ელვისდარად მრავლდებიან
და ცოდვებით დაცემულნი ზოგჯერ უფრო მაღლდებიან,
თუკი, უცებ, ღირსეულნი ჭაობებში ვარდებიან,
თვალხილულ და ბრძნული სიტყვის ოსტატებად ახლდებიან,
ხილულსა და... უხილავსაც დიდებულად გადაწყვეტენ,
მცირე ფიქრით დიდ საქმეებს ყოველ დროში აკეთებენ...
წუთისოფლის ეჭვის დღენი შენც რწმენის გზით გადაფარე,
მოეფერე... დაალაგე... სიყვარულით გაამყარე...
ეს ცხოვრება, უაზრო და არასმთქმელი, – დაღვინდება,
დაშაქრდება... და გულს შვილის ალერსივით დააატკბება!

## სად ხართ

სად ხარ, ზვიად! სად ხარ, მერაბ! გადმოფრინდით...
ჭეშმარიტი სიმღერებით გააღვიძეთ მთა და მდელო,

თორემ ისე გაგვიჭირდა...სამ ათეულ წელს ჯიჯგნიან...
იყოფენ და... ვერ გაიყვეს ეს პატარა საქართველო!

## დრონი და ჟამი მეფობს

მზემ ძლივს გააპო ნისლების ფენა
და გაცრეცილ დღედ გადაიფერა...
გააპაჭუნეს თვალი ბუჩქებმა,
რცხილამ ზევიდან გადმოიხედა,
ამოიკვნესა ქვევით ბალახმა,
სრულად სამყარომ სული განაბა...
ბულბულმა დილა ამცნო ფრინველებს,
ცოტაც და, ტყეში ცაც დაიმღერებს!
არწივმა გაჰკრა მიწას ბრჭყალები,
კურდღელს დაეტყო ნაიარევი...
ტყემ შეიფარა რუხი ყურცქვიტა
და ბედი ასე გადაუწყვიტა...
ცას შეერია არწივი ისევ,
ტყის ბინადართა სამდურავს ისმენს!
უცებ გამოჩნდა ადამიანი
და ტყისთვის იყო ძალზე გვიანი...
წამოიმართა ნაჯახი, ხერხი,
შიშისგან, ხევში ათრთოლდა ვერხვი...
დუღს და გადმოდის მთელი ქვეყანა,
დრონი და ჟამი მეფობს ყველგანა!..

## ახალ ვარსკვლავს ველოდები

წუხელ, სიზმრად, ვარსკვლავები მთვარის
გაღმა გადაჰქონდათ,
მშვილდ-ისარი მოვამზადე ერთი მნათის დასაპყრობად...
გამომყვება?!.. რა საკვები მოვახმარო ამ დიდებულს?!
თვალებს ვეღარ ვუსწორებდი კითხვის ნიშნებს,
დაკიდებულს...

გაქრა ძილი... ის ვარსკვლავიც მთვარის
გაღმა გადაჰქონდათ...
ახალ ვარსკვლავს ველოდები, სულ ახალი სამყაროდან!

## ჭრიალა კარის ზღაპარი

შენ თქვი... თქვი უფრო სუფთა და ურცხვენელი!
დედიშობილასაც რომ ვერ შეგაცდენენ
თავდაყირა დედამიწის გიჟური მუსიკის ჰარმონია,
ან, თუნდაც, ხმალშემართული სიკვდილის აგონია!..
შენ თქვი! თქვი, თუნდაც საწარსულო მარტოობის,
დღევანდელი ტკივილის გაქარვება-გაცხადების...
ოღონდაც თქვი!.. თქვი და მონათლე სიმღერებად,
უსმინე გაყურსული ღამის ჭორებს და კარის ჭრიალს,
მლიქვნელები უფრო მოხერხებულად რომ არგებენ გასაღებს
და კარს შენ გიტოვებენ ღიას, რადგან ჰგონიათ,
რომ ღია კარის უშნოდ ჭრიალი შეგაქცევინებს თავს
და შეგაცვლევინებს ჯანსაღ აზრს!..
და შენ მაინც თქვი! ოღონდ, თქვი...უფრო ჯანსაღი,
მართალი თქვი... სამომავლო და ურცხვენელი...

## თუ არას მამეფერები

მთაო, რამხელა ყოფილხარ... სად გაქვს თავი და ფესვები,
შენი სიდიდის თაყვანით ყველა ოცნებას ვეშვები...
თვალს თვალში გიყრი, ვერ მხედავ... არადა, მოვედ ნეტარად,
შენს მნახველს, მე და ქვეყანას, გულჭირი გადაგვეყარა!..
ამაყს და მიუკარებელს, კრძალვით დაგიხრი თავსაო,
მეფე მგონიხარ, დედოფალს ერთს არას ამიძრახავო,
ისე ამაყად დამყურებ, ერთს არ გამიშლი გულსაო,
შენს ფეხთან, იას, ათასნი უხსნიან სიყვარულსაო...
ჩავალ და იმათ დავკოცნი, ტყე მიმასპინძლებს შრიალით,
მდაბალი მდაბალს გამიგებს, არასა მამთხოვს ტიალი!..
ქვევიდამ არაგვ მამძახის, ნახვა ისურვა ჩემია,

მთიულს მთას მინდა ხარება, – ეს გულის განაჩენია...
სიმაღლის გზების ძიება ზოგჯერ მძებნელსა ღლისაო,
მიტომ არ მინდა დიდება არც შენგან, არც კაცისგანო...
ღმერთია ჩემი მფარველი და მამა-პაპის ძვლებიო,
ბეთლიას ჟინით ვფრთიანობ, შენთან ამიტომ ვჩნდებიო...
მთაო, რამხელა ყოფილხარ, სად გაქვს თავი და ფესვები...
თუ არას მამეფერები... მითხარ და...სულ შაგეშვები!

## კითხვისნიშნიან სამყაროს

საღამო გამოვაგორე გადასიცხული ბანიდან,
ტირილს ნამსგავსი ფიქრები აფორიაქდა თავიდან,
გადამეჭედა ყურები... ზმუოდა პაპას ხარი... და...
„თურმე“ დარბოდა მინდორში ხანის საწყისი ანიდან...
ძილი მომწყურდა „თურმესთან“... ქვეშაგად ჩალა მეფარა,
თავს მედგა ჩიტი მკვეხარა... ძილს წაუღია ქვეყანა
და დაფეთებულ მზექალას ათასი კითხვა მეყარა,
ზოგი პასუხით ავკრიფე, ზოგი, სიმძიმით – ვეღარა,
აბალახებულ ოცნებას ჭირისუფლობდა ზეცა და...
კითხვისნიშნიან სამყაროს ვერ შეველიე... ვერა და...

## ბეღურასავით

ქარმა დაგლიჯა გიჟი ლექსები,
ჩამომიშალა ბუდე რითმებად,
გამისტრიქონა და გამიკვეთა
ფუჭი აზრები ალალ სიტყვებად...
მგელი წანაღებს ჩივის დღედაღამ,
პატრონი თავის დანაკარგს ტირის,
შენ რომელს დარდობ, ჩემო ქვეყანავ
და რომელ ჰანგზე აპირებ ჩივილს?
სამართალია ჩვენთვის საძნელო
და გულწრფელობა, – ყველაზე მეტად,
ბედნიერებაც ცრუ ოცნებაა,

თუ ადამიანს იწამებ ღმერთად!..
მთაო, ყოფილო...ნეტარ ვლოდინობ,
რადგანაც ჩემი მუდამ სჯობს სხვისას,
ლალ-ზურმუხტის და მადლისფერება
ჩემი სამშობლოს აუგი ვინ თქვას?!
ქარი კვლავ დაგლეჯს ბუდეს რითმებად,
ქკუაზე შეშლილ ლექსთან ნავარდობს,
ბეღურასავით, აქ მომკალ, ღმერთო,
საქართველოვ და თბილის-ქალაქო!

## სამყაროს სიდიადის ძალა

სამყაროს, ყველაზე მეტად სიყვარული ასაზრდოებს...
დედამიწასაც, სიყვარული აბრუნებს უსასრულოდ...
მზესაც ის ალხენს... მთვარეს და ვარსკვლავებს აკაშკაშებს,
ჩვენ კი, დღემდე მეცნიერულ მწვერვალებს ვეძალებით,
რომ უკეთ შევისწავლოთ პლანეტები, სამყაროს
საიდუმლო კანონები და... ბოლომდე ვერ გამოვიკვლიეთ
სიყვარული, – მთავარი სიმძიმის ცენტრი სამყაროსი!..
სიყვარული სინათლის სიჩქარეზე სწრაფია და გადამდები,
ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიაზე ძლიერია იგი,
პირობითსა და შესაძლებელ ცნებებზე დიადია,
სითბო და იმედია, სინათლეა, დამთრგუნველი წყვდიადისა!
სიყვარული უკვდავებაა და ძალა სამყაროს სიდიადისა!

## ჩემი თავისა ვერა გავიგე

ვიცი, ხეებზე ჩიტი რას გალობს,
ან ნაძვი ჭადარს რას უჩურჩულებს,
ვიცი უცნობთა და ახლობლების
თვალთამზერები სად რას მიწუნებს...
ისიც გავიგე, ვინ, როდის, რისთვის
ირგებენ ნიღბებს, მრავალფერიანს,
ვხატავ ოცნებას კითხვის ნიშნებით,

ვრითმავ პასუხებს, მრავალტომიანს.
სხვისი აზრებით არ მიცხოვრია,
ვერ დავეჩვიე მიწაზე ფორთხვას,
ვეღარ მოვერგე გულის მალამოდ
ტყუილ-მართალზე აგებულ ყოფას!
ყველას წამლეკი სიკვდილის ჟამი
გატრუნულა და ხმასაც არ იღებს,
მისიც გავიგე დუმილის აზრი...
ჩემი თავისა ვერა გავიგე!..

## მშვიდი ძილის ნეტარება

ღამით, მეფეს არა სძინავს, ბორგავს, ბოდავს...
ძილი აღარ ეკარება! შურს მონების მშვიდი ძილის ნეტარება...
დილით, მეფემ დაიბარა ერთი მონა... მითხარ, მშვიდად
როგორ გძინავს, როცა ვიცი, კიდეც გცივა, კიდეც გშია?!
მონამ ქუდი მოიხადა... გულზე ხელი აიფარა,
თქვენი მონა მქვია, მაგრამ თავისუფლად ვცხოვრობ მუდამ...
არავისი მშურს არარა... უცოდველად მიქრის თვალი,
სიმართლე მაქვს თვალის ჩინად! ქიანქველას
ფეხს ვარიდებ...
და კაცს ყველას, –გავატარებ ჩემზე წინა...მშიერს ვაჭმევ!
მადლიერი ვარ ყველასი...მიყვარხართ და... ერთგულებით
გლოცავთ ყველას...მე არ ვიცი, მშვიდი ძილით
რატომ მძინავს...მაგრამ ყველას მადლიერსა,
თქვენზე ლოცვით და სიკეთით, სიმშვიდე და სიხარული
მხვდება წინა...მეფემ სცადა, მაგრამ ვერა...
ვერ ლოცულობს ვერვისთვინა...მონას უმზერს,
მაგრამ მასში მეფეს ხედავს!.. ძილი აღარ ეკარება...
შურის თვალით უმზერს მეფე თვისი მონის მშვიდი
ძილის ნეტარებას...

## ზეცას ახედე

ზამთრით დაღლილი, მეფიტიურ ჰაერსა ვყნოსავ
და კახეთისფერ ვარსკვლავების მოძებნას ვბედავ...
აისის თავზე გლეხიკაცი რომ იწყებს შრომას,
დაღამებამდე უალერსებს ვაზის დამყნობას...
ღიღინით, შრომით გაჰყავს გლეხკაცს ჟამი და ლელო,
იმედით ცოცხლობს... ზურგს უმაგრებს ის საქართველოს!
თუ გლეხიკაცი დაძაბუნდა, – ქვეყანას უჭირს!
ბავშვს თუ ღიმილი დაეკარგა, – მშობელს გახედე
და ვიდრე გულის საგრილებლად წყაროს წყალს დალევ,
მაღლა ღმერთია!.. სამჯერ მაინც ზეცას ახედე!..

## სიყვარულო და უკვდავებავ

შენ ისევ გათოვს თვალებიდან სათნო ცის ფერი,
მშვენიერებას ემონება აქ ყველაფერი!
ზოგჯერ, კაშკაშა ნათელს სეტყვის ღრუბელი ერთვის,
უკვდავებას და მარადიულს დრო არას ერჩის...
საფლავიდანაც კვლავ მისხივებ სათნო ცის ფერებს
და სადაც არის, გული ბავშვის ხმით დაიმღერებს...
შენ ჩემი ძალა იყავი და... მადლიც დაგერქვა, –
ქვაში გათლილო სიყვარულო და უკვდავებავ!

## ყური დაუგდეთ

ყური დაუგდეთ, როგორ ფშვინავს მიწა საღამოს...
დაღლილზე, ძილი აცხებს გულზე კეთილ მალამოს,
შეაზანზარებს ზოგჯერ მუცელს სამშობიაროდ,
რადგან შურისგან ლამის ერთურთს გადავუაროთ...
ლამის დავკორტნოთ თვალები და გრძელი ცხვირები,
ღვთის ნებით, თავის ხატად, სახედ გამოთლილები,
ხან ისე მაღალ ტრიბუნიდან ვისვრით ტალახებს,
ჩვენ ვართ, რაცა ვართ... და უფალი არას განაგებს...

ის დალოცვილი კარგად ისმენს გულისთქმას ჩვენსას,
ავს და კარგ ნაყოფს რა გულით და რა ხელით ვძერწავთ...
ერთ დღეს უფალსაც გაუწყდება თმენის ძაფები
და ღალატისთვის... უსარგებლოდ დავიკარგებით,
შემოგვესევა ცოდვების და ვაგლახის სენი
და უცრემლო მკვდარს შვილის ლოცვა ვერას გვიშველის!
ყური დაუგდეთ, რატომ ფშვინავს მიწა საღამოს...

## რქით გაწეული ძალის მხნეობა

მზე საწარსულო გამებს მიაპობს,
მე ვერ ველევი ცისკრის დასასრულს,
ვებღაუჭები ჟამის წირვაზე
დაბუდებული ფიქრის აღსასრულს.
ხან უდღეური შველი ვარ მინდვრად,
ჩასაფრებული თოფის ლულებით,
დაუმადლები მზერის სიცივით,
დაუნდობელი ნაფეხურებით,
წყალში ჩაყრილი მიზნის ტკივილით,
ჩამორთმეული ფიქრის უნარით,
სანატრელ გზათა გავლის სურვილით,
ძიების წყლებში მკვდარი წყურვილით!
ამ ცოდვიანი ბაგით და ღიმით
ვტკივილობ... იქნებ შენ მაინც მითხრა,
ოცნებისათვის დამბადე ქვეყნად,
თუ ოცნებები დამიხშობს იღბალს?!
მოდი, გავტეხავ ბებერი ფიქრის
სააღსარებო კარის ბოქლომებს,
მტრის და მოყვასის უსასრულ გზებზე
მშვიდად რომ შევხვდე ჟამის მოთხოვნებს
და არ დავკარგო სურვილის გემო,
გადამექარგოს სულის ზეობა...
ღმერთო, ბოლომდე მიმატანინე
რქით გაწეული ძალის მხნეობა!

## ქართულო ენავ

ამოხმიანდი ენავ და აახმიანე ველები,
ხან სიხარული გვაგემე, ხანაც ტკივილის ფერები,
ხან დააპურე მოყვასი, სულის სიმდიდრე აწვიმე,
ხან გულსა მიეც ზეობა და სიყვარულით აცდინე...
ურთიერთობის საუნჯევ, ენავ, ტკბილო და წყლიანო,
ბედკრული ჩემი ქვეყანა არასდროს გაატიალო...
ფარნავაზი და ზოსიმე ენას აქებდნენ, აბა, რას...
სიკეთე მიეც, უფალო, ჩემს მრავალტანჯულ ქვეყანას!
შემოარიგე ქართველნი, მტრობას დაუხშე კარები,
ქართველთ ერთობით გვამღერე, ენავ, შენ გენაცვალები!

## დალოცვილო სიყვარულო

დრომ ფიქრები გამიხშირა და თვალ-გული დამიღალა,
დამიბერდა ოცნებების ციხე-კოშკი ალვისტანა,
მერე ისევ ბავშვისდარა სიყვარულმა ამიტანა,
რა ვიცოდი, ხანდაზმულიც იქნებოდა ამისთანა...
ალმოდებულ ცეცხლის ენამ მთის მწვერვალზე ამიყვანა,
კლდის ნაპრალში ჩამახედა, ოცნების გზა გამიმყარა,
სოფლის სქელი ბოლის სუნი, საქართველოს ნისლისდარა,
ქარვისფერი სიყვარულის მონატრებით დამიფარა!
აიკინძნენ ოცნებები ხარისთვალა, ზურმუხტდარა,
გაიკრიფა სევდის ფარა, ცა ღიმილით დაიფარა,
დამუჭული დედამიწა გულიანად გაიშალა,
გაიზმორა ნიკოფსიით, სპერით, დარუბანდისდარად...
დედა ღვთისავ და სამებავ, მადლიანო მამაღმერთო,
გთხოვთ, ნინოს და მაცხოვარის გულისგულში ჩამახედოთ,
გზა მასწავლოთ, შემასწავლოთ სინანულის ანა-ბანა...
დალოცვილო სიყვარულო, რა ყოფილხარ ამისთანა!

## მთვარის სიმღერა

ბაიათებს იწყებს მთვარე, ქინძმარაულს დოქით დავლევ,
რასაც ღმერთი დღეებს მაძლევს, ღიღინსა და
ლხინში გავლევ!
მზეც ამზევდა შუბის ტარად, ჩემი გულის გასახარად,
ღვინოს დავლევ წყლის სადარად, თვითონ
მზემან დამიბარა...
პაემანზეც მზემ მომიხმო... ლოდინით რომ დაიღალა,
გამიბრაზდა, თავზე ღრუბლის თავსაფარი დაიფარა.
მეც, ჯინაზე დაველოდე, ვაბუბუნე ჩემი ქნარი,
მღერის მზე და მღერის მიწა! ყელამდე ვარ მათი ვალით!
ბაიათებს იწყებს მთვარე, ქინძმარაულს დოქით დავლევ,
რასაც ღმერთი დღეებს მაძლევს, ღიღინით და
ლხენით გავლევ!

## ემიგრანტებს, ანუ–ნუშის ხეებს

ნუშის კვირტმა აიწყვიტა თავი,
სიცილისგან თვალებს ვეღარ ახელს,
შესევია გაზაფხულის სითბო
და შარშანდელ ტრფობის ლექსებს ამხელს!
მის სურნელში რომ ვცურავდით ორნი,
გრძნობას რომ ვერ ვუძებნიდით სახელს,
იქნებ კიდევ გვეცადაო, ბედი...
ნუშის რტო...ო... რამდენ სითბოს აფრქვევ!
მამა-პაპის მადლი გიწნავს ფესვებს,
ღვთისმშობელის მიწა გაძლევს საკვებს,
მეც ქართულად გავილექსე ბაგე,
სიყვარულით აღარ გაძლევთ საშველს...
როგორც ღმერთი არ იშურებს ძალას,
ყვავილობას მუდამ მასწრებს შენსას,
სხვა ქვეყნებში გადახიზნულ ნუშებს
ღმერთო, თავი მოუყარე, ჩვენთან!..

## ახლაც ვერ ვხვდები

ცამ ნაცარივით დაიყარა ღრუბელი თავზე
და ცრემლიანმა გამაცილა ზეცის გაღმიდან,
დროებით ვიყავ ნასტუმრები მარადიულ მეუფე
ღმერთთან, – დროებითობის გამოსაკვლევად...
ახლაც ვერ ვხვდები, – დედის და მიწის მარადიული
სიყვარულით დასხივებული მანდილოსანი
რად დამაბრუნეს დედამიწის მრუდე კუთხეში,
დროებითობის ამ ადგილის გამოსაკვლევად...

## წაქცეული ხე და კაცი

სოფლის სასაფლაოს გზაზე გამოვედი,
გზის ქოჩორთან ხე ლაღობდა, თვალუწვდენი,
დამესია ათასგვარი საფიქრალი,
დარდის დღეთა საზრუნავით დავიბენი...
დის საფლავზე ცრემლი დავდე, ხელთუქმნელი,
მშობლებისგან გული დამრჩა ცარიელი,
აშოლტილი ხეც მოჭრილი დამხვდა გზაზე,
მეფესავით იწვა, მაგრამ... მზეჩამქრალი...
კეთილი გზის ქუდი უელავდა თავზე,
დაწოლილი ხე სასწაულს აშუქებდა,
კენწეროდან ფესვებამდე დავიტირე...
მკვდარიც ზეცას ელტვოდა... და ათასს სჯობდა...
კაციც ხეს ჰგავს, ზეცისაკენ მზერით მავალს,
დაჰკრავენ და... სიდიადეს ვერ დამალავს,
ღირსეულს და ძლიერს, მტერი არ ელევა,
წაქცეული, – უკეთესად იზომება...

## ვარ ევროპელი
## (ზურაბ ჟვანიას)

ღვინო და პური ქართველთათვის არის მთავარი,
გულს ახარებს და განამტკიცებს, უფლის მადლითა...
წუთისოფელი დროს არ უცდის დღეთა თარეშში,
მზესაც კარნახობს ცის ბილიკზე ასვლა-დასვლისას...
არავინ იცის ამა ქვეყნის ცხოვრების არსი,
არარა ფიქრის სამიზნემდე ვინ როდის მივა...
დღემდე ვშავდღეობთ, ნუგეშ-წამლად ზეცა დაგვტირის
და ვიღაცეებს ცის ცრემლები ჰგონიათ წვიმა...
დღემდე ვქართველობთ! ესე იგი, ვართ ევროპელი!
რწმენის კედელი აჰყოლია არწივთ საბუდარს,
დაბრძანებულა იალბუზის ყინვის ქოჩორზე
და ევროპული გზის დირეზე ჯაჭვი გაუბამს...
მეც ქართველი ვარ - ესე იგი, ვარ ევროპელი!..

## ისეთი ნატვრისთვალი მაქვს

ისეთი ნატვრისთვალი მაქვს,
ენა ვერ იტყვის ადვილად,
მოყვარეს გამიძლიერებს,
მტერს ავატირებ ახლიდან!
ისეთ სიყვარულს ვასწავლი
შვილებს, ადათს და წესისას,
სამშობლოს არ დამიტოვენ
იმედად მარტო ღმერთისა.
გამრავლდებიან ბიჭები,
გაისქელებენ ქედსაო,
ალმას-ზურმუხტა რითმებით
მოგვიჭედავენ ბედსაო.
რწმენა სამართალს დაალხენს,
ვით მოსეს ათი მცნებაო,
კეთილი საქმით ქარგვაში

მამული ვერ იცნობაო...
დაულხინდება ნიჭსა და
გავიზეპირებთ ზნეობას,
ძალადობისა მოყვარულთ
აღარ ვაღირსებთ ზეობას!
და ივერიის ფესვებზე
ცხოვრება უნდა ღირდესო...
ისეთი ნატვრისთვალი მაქვს,
სამშობლოს გადამირჩენსო!

## ვრცელი სამყარო და ჭკვიანი ადამიანი

შენს სიცოცხლეზე უფრო ძვირად დააფასებ
სხვათა სიცოცხლეს
და უანგარო სიყვარულიც სხვაზე მეტად გეცოდინება,
ცხოვრებას აზრი მიეცემა და ურთიერთობაც გაადვილდება,
გაათკეცდება კაცთმოყვარება, სულის საკვებად დაგვედინება!
იმედის შუქით გავითბობთ კერას! სიკეთის გრძნობას
გადავდებთ ყველას!
და სხვანი...სხვანი... ერთმანეთის ზრუნვით ისე
გავძლიერდებით,
რომ არასოდეს დაიჩაგრება ვრცელი სამყარო და
ჭკვიანი ადამიანი!

## დუმილის შესანდობარი

საშემოდგომო ფიქრების კვალზე
მოვილხინე და... დავღალე თვალი,
ღამენათევ და ცარიელ ქუჩას
ეხმიანება თითქმის არავინ...
მხოლოდ მობუზულ ჩიორას ვზვერავ,
მთვრალია ჩემებრ... ტოტზე ბანცალებს,
დაცლილი ქუჩის მუნჯი ნაძვები
დილამდე გლოვას გამოაცხადებს

და შესანდობარს დავლევთ დუმილის,
ცაში ავზიდავთ სიცოცხლის დღეებს,
მხოლოდ დაცლილი ქუჩა გაარკვევს
ჩემი შეშლილი სიმღერის ფერებს...

## მე არ გიტირებ

ყველაფერს მასწრებ დღეჟამზე...ღამესაც მილხენ აისად,
გადაყრუებულ ზამთარში გაზაფხულისკენ წამიყვან...
თვალს მომიტყუებ ცრემლებით, ღრუბელს
მიხატავ მთვარისად,
მილაპარაკებ, მიმღერებ გადაბერებულ ღამესაც...
ფეხებს მოათრევს ზამთარი და გვიჯანყდება ორივეს,
აქ ვჭამოთ ყველა სირცხვილი, იქაც რომ მოგვესვლებოდეს!..
წუხელ, გალეულ ღამის ქვეშ, ცუდი სიზმარი ვიხილე...
შენ თუ დამასწრებ სიკვდილსაც, იცოდე, – მე არ გიტირებ!

## გულსა და პირმშოს

წუთისოფლის სამდურავი არასოდეს წამომცდება,
დღეს თუ მიჭირს, ხვალ ოცნება ისერიგად ამიხდება,
დრო მკურნალი გამიზიდავს დარდის ქარებს მთების მიღმა
და ცხოვრების სამდურავი, გეფიცებით, აღარ მინდა!
შემოდგომის დაქრის ქარი, აზანზარებს სახლის კარებს,
უფლის გარდა, ჩემს დღენათელს ნურავინ ნუ დაიბრალებთ,
ხშირად ვდგავარ ახტალაზე... შავი შაშვი ჩუმად გალობს...
ვალამაზებ წარსულ დღეებს და მომავლის გვერდით ვხარობ...
უფალია ჩემი მზე და საქართველო – ჩემი მთვარე...
გულო ჩემო, შვილო ჩემო, ამღერდით და გაიხარეთ!

## გაგიმარჯოს, საქართველოვ

როცა ჩემი ქვეყნის თავზე მზე იცინის,
ანდა წვიმა ცრის,

მაშინ მინდა დავიმღერო საქართველოს
მადლიანი ცის!
წყაროს მინდა მოვეფერო, თმებშევერცხლილ,
ყინულიან მთას,
შევუმღერო სამაჩაბლოს ტაძრებსა და
აფხაზურა ზღვას...
ასჯერ დავლევ სადღეგრძელოს ჩემი ქვეყნის
პირნათელი ცის,
გაგიმარჯოს, საქართველოვ, დაგეფინოს მადლი
მუდამ ღვთის!

## მშობლების სუნი

მე ჩემი მშობლების სუნი მახსოვს და... ჩემი – არა...
ხშირად დედაჩემის ზრუნვა მახსენებს თავს
და ჩემი დედობის დროს გაწეული ამაგი –არა!
ჩემი შვილიშვილების გაზრდა მახსოვს, შვილისა – არა!
დღემდე წარმოსახვის ძალა ძლიერობს და მაინც,
ჩემი მშობლების სუნი მახსენდება... ჩემი – არა...

## ჩემი სიწმინდე მთებში მარხია

ჩემი სიწმინდე მთებში მარხია,
ხევსურთ თვალსა სჭრის ჩემი მერანი,
წინაპართ ძვლების ნაანდერძევზე
მიტომ მიყვარხართ ასე ყველანი!
ჩემი სიწმინდე მენესოს იცავს,
ქართალს ადგება სხივის დარები,
ბინდდადენილი დგნალის ხეობის
თოვლსა და ნისლებს ვენაცვალები!
მოგულძვირეობს თითქოს ქვეყანა,
გვიჭირს გალობა სიყვარულისა,
მთამ სხვა სამყარო შემოინახა
და სიმართლისთვის ჩამოინისლა.

მთაო, შენა ხარ ჩემი ღირსება,
შენს ფერდზე ვანთებ რითმების ფერებს,
ამ ლექსის მადლით, გულში ნურაფერს
ნუ დამიტოვებ გადასამღერებს,
თორო გავთავდი, ნისლებს ვერევი,
ცოტაც და... ღრუბლად რომ არ გადვიქცე,
შენი სურნელით ვივსებ სამყაროს,
უშენოდ, მთაო, რომ არ წავიქცე!

## სიმღერა ველისციხიდან

ჩემს ველისციხეს ვერ ვესტუმრები,
„ყურყურას" პირას თუ არ გავჩერდი,¬
ქანდარ-ვეჯინსა და გურჯაანში
თუ არ გავფინე ურმულ-ჰანგები!
მერე ჩავმუხლავ ახაშნის თავთან,
ქერმის ხევს მდაბლად მივესალმები,
გვერდით, გულთბილად ნაშენ ნაბუდარს
მდუმარ ცრემლებით ვეთაყვანები...
ჩუმად დავზვერავ ცისფერ აივანს,
ქუჩაში ურცხვად გადმოკიდებულს,
დედას დავლანდავ, მამას, დარიკოს,
მოაჯირებზე გადმოყუდებულს...
როცა ამბურძგლავს მონატრებები,
ჩამოვუქროლებ მშობლიურ მიწას,
არ დამზარდება კახეთის ქება,
ველისციხეს და გურჯაანს ვფიცავ!
ღმერთო, კეთილად აგვსრულებოდეს,
რაც ჩემს მამულზე დიდება მითქვამს!

## არაფრიდან – არარად

ისე მძიმეა პოეტობის ტვირთთან ჭიდილი,
არაფრისათვის მეზე მინდა ზოგჯერ სიცილი,

არარაობის ხელით ვცდილობ პირის დაბანას,
რომ არაფრიდან გარდვისახო ისევ არარად...

## ცოტა კიდევ მაცალეთ

წლები ისე დამიმძიმდა, დედამიწა ბანცალებს,
თუმც ცხოვრების ყოველი დღე სიხარულით დავცალე,
სიყვარული მაცოცხლებს და სხვათა ზრუნვა მახარებს,
ლოცვის მადლებს ვუნაწილებ დიდებსა და პატარებს,
დედამიწის ზურგზე მდგარი ხელებს ვაწვდენ ვარსკვლავებს,
იქაც დავთეს სიყვარულის ოქროპირა თავთავებს,
საოცნებო კონას შევკრავ, ათასჯურა ფერებად,
იქნებ მთვარეს შევეფეთო... ცოტას მომეფერება,
ანდა, მზისკენ წამცდეს თვალი, გულდამწვარი ფიქრებით,
მთვარე, მზე და ჩვენ ყველანი –ცის შვილები ვიქნებით!
სიცოცხლის და ლხენის ჟამი, ლამის არის, დავცალე...
დრო არ მრჩება სიბერისთვის, მით უმეტეს, –სიკვდილისთვის,
უკაცრავად... ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ მაცალეთ!

## დედამიწის ღერძს

ჰეი, სიყვარულო... მწვანე გაზაფხულო,
შენეული მადლი მხოლოდ გულმა იცის,
დილის გათენებავ, ჯერ არდანახულო.
სისხლად მოვარდნილო, გულზე გადასულო,
ფიქრად გადმოღვრილო ჟინო მწველი ვნების,
ყველა უიმედო წამის დასასრულო,
სატრფოს აღტაცებავ, მზერავ მორჩილების...
ჰეი, სიყვარულო, პულსის გაჩერებავ,
მხრებზე დაფენილო ლურჯთვალება ცაო,
ნაოცნებარ ჟამზე ღამის გათენებავ,
თაფლად გადმოღვრილი ბაგის ტკბილო ხმაო.
ამოგორებულო მზეო, ნარინჯფერო,
კრძალვით მოელვარე ცეცხლოვანო მზერავ,

ჰეი, სიყვარულო, ყველგან... ყველაფერო,
ღამეგათეული ლექსის ბედისწერავ!..
მთიდან ვნების ქარის ბარში დაბედებავ,
ჰეი, სიყვარულო, ძალავ ღმერთის ენის,
უცხო სამყაროში ფიქრის ამღერებავ,
სიამის წამებო ცაში აღმაფრენის!..
ჰეი, სიყვარულო, უფლის სასწაულო,
ჩვილის თვალებივით სუფთავ, არნახულო,
უბედნიერესი ყოფის დღეებო და
ერთგულებისათვის ოქროს საზღაურო,–
ჰეი, სიყვარულო, ღერძო დედამიწის!

## რომ არ ჩამოვრჩეთ

ყოველი დღის და საათის მარცხი
ბოროტების ქარს დალალებს ვარცხნის
და ამიტომაც, ნელი სიჩქარით
უნდა ვიაროთ, რომ არ ჩამოვრჩეთ
და არც გავასწროთ შეშლილ სამყაროს...

## მოგიკვდი, ჩემო

დღეს ქლიავისფერს ავედევნე ჩუმად შარაგზას
და უნაბისფერს დავესესხე დღეებს ფერები,
მამულო, – დედავ, შვილო, კერავ...უფრო დიადო,
მოგიკვდი, ჩემო, შესაფერად ვერ გეფერები!
არარაობა როცა მჩაგრავს გულზე ბრჭყალებით,
მე გენიოსი შოთას მამულს ვეთაყვანები! ..
თავს ვუხრი მდიდარ ენასა და საგმირო წარსულს,
ქართულ გენსა და ერთგულებას ვენაცვალები!
მღვდელი თევდორე გზას აუბნევს უმწეო რითმებს
და არჩილ მეფის, დამამშვიდებს გლეხზე ფიქრები...
აქეთ, ილიას და აკაკის ჩანგის ჟღერაში
ვაჟას ალუდას დაათენდა ქისტის მზერაში,

ეჯიბრებიან არწივები რითმით ფრენაში,
რა დააბერებს საქართველო მართვეთ ლხენაში!
დამერანობენ ტატოს ირგვლივ ლურჯა ცხენები,
გალაკტიონი მერის ნაცვლად ანას უღიმის
და სადღეისო პოეტებზე შემრჩა წუხილი,
ვაგლახო, ჩემო მუზების დღევ, კვლავ წარსულს ვტირი!
დღემდე ვამაყობთ საქართველოს ძველი დიდებით,
მაგრამ უკეთეს ხვალის დღეთა ნათელს გპირდებით!
ჯანსაღი აზრი ვარსკვლავეთის ცაზე ბატონობს...
თავატკიებულ ჩვენს სამშობლოს ცოტა ვადროვოთ,
რადგანაც, თუ არ დავამშვიდეთ ზღვა და მინდორი,
ათასნაირი ჭრელი ფიქრით მტერი გაჰკივის,
თუმც არ იციან, ენას, რწმენას, თავისუფლებას
ქართველი კაცი არაფერზე, არსად გაყიდის!
ბრუნავს და ბრუნავს პოლიტიკის ჭრიალა ჩარხი...
ამ ჩემს მამულში ზოგჯერ ბამბა კაკლად ჩხრიალებს,
მაგრამ ფესვებზე ქორფა ყლორტის სუნი ტრიალებს
და გამარჯვების ქართული მზე კვლავ იბრიალებს!
დღეს ქლიავისფერს აუვედევნე ჩუმად, შარაგზას
და უნაბისფერს დავესესხე დღეებს ფერები,
მამულო, – დედავ, შვილო, კერავ... მათზე დიადო,
მოგიკვდი, ჩემო, საკადრისად ვერ გეფერები!..

## არ მომანატრო ლექსი

უფალო ღმერთო, შენი სახე ვარ
და ანარეკლი შენი დიდების,
ზვაობის ჟამზე რომ გამოჩნდები,
სირცხვილის ცრემლით გადავფითრდები,
მდუმარ ლექსებზე აღერებული,
ჯანსაღი ფიქრით დარდებს ვაქარვებ,
სხვისი მოლხენა მყოფნის იმედად,
შურსა და ბოღმას გულს არ ვაკარებ!
ამპარტავნების ტრფობის კვირტებზე

ზოგჯერ განკითხვის სენი მჩვევია,
ცოდვებმა ზურგი გადამიტყავა,
სხვისი რა ჩემი გასარჩევია...
ზოგი უკუღმა ლესავს სამყაროს,
ზოგს წაღმა ესმის ბედის ტრიალი,
ორივე უფლის ხატად შექმნილა,
ორივეს ჰქვია ადამიანი!..
ღმერთო, გამხმარი ხეც შემაბრალე,
თავზე ნაცარი დამაყრევინე,
მოყვარისა და თუნდაც მტრის გვერდით,
ცრემლის მორევი დამალევინე,
დამადებინე მხრებზე უღელი
და მძიმე გზებით მატარებინე,
დედოფლობაზე ხელაღებულმა
თავი შენებურ მამდაბლებინე,
თორემ გაჭირდა ცოდვის ტალღებში
წლების თრევა და ხელის ფათური...
შენი წყალობით მაცხოვნე, ღმერთო,
არ მომანატრო ლექსი ქართული!

## თუ შემარჩინა ქარმაო

ქარმა უმატა მთის წვერზე საეჭვო გულის ძგერასა,
ქალური შურით შემშურდა, არ დავერიდე წყენასა.
ძლივს ავუზიდე სათქმელი, –მთის ტრფობა მეც რომ მწყურია,
სული ფურცლებად გავშალე, ზედ დავაწებე გულია.
მთამ გამიშალა ხელები... ქარს შევეცილე ტრფობასა,
მგონია, ავუტანივარ საშინელ ბედისწერასა!
შეჭირხლულ მთის ქოჩორზე ვარ, ლექსის ძაფებსა ვქარგავო,
ჩამოგიყოლებთ სიყვარულს, თუ შემარჩინა ქარმაო...

## მარტივს ართულებს

ეჰე, სამყაროვ, ვიცი, არ გძინავს,
გამოიცალე ნაცარი თვალში,
გამოაჭენე სიმართლე ხალხში
და ნუ გააქცევ სიმართლისმთქმელ
კაცსა და მერანს,
თორემ იმედი საძებარი გაგვიხდება
შენცა და ყველას...
არარა მაინც ვერასოდეს გაიგებს ვერას
და ასკილის თავს, მცოდნესავით
დააკანტურებს,
რთულს ვერ ჩასწვდება და, სანაცვლოდ,
მარტივს ართულებს!..

## რად მითხარი... და...

ნატვრის ხესთან კაცი იდგა,
ცისფერ თვალებს აელვებდა,
საბერძნეთის მეტეორას
საქართველოს ავედრებდა!..
ისეთ თვალებს აელვებდა,
ქალის გულს რომ აღელვებდა,
ცად დაკიდულ მეტეორას
ჩემს სამშობლოს ავედრებდა!
მეც ვედრებით შევუძახე,
როგორ გიძლებს ქართველს გული,
წამო სახლში! აქ ვინ გიმღერს
„ივნანას“ ტკბილ ქართულით...
კაცმა ხელი ჩაიქნია
უდარდელი ზნის სადარად...
თვალზე ცრემლით მანიშნებდა,
რად მითხარი... და... რად არა!..

## მგალობელ ბულბულს

წუხელ, იმ გადარეული ქარიშხლისა და წვიმის ქვეშ,
დარდს შევეჭიდე, ბულბულო... შენზედაც ბევრი ვიფიქრე...
როგორ გეძინა, თავსხმაში... ან, განთიადის პირასა
როგორ გალობ და რას მღერი... ვერ გხედავ
ბედით მტირალსა...
თითქოს არცა რა მომხდარა... არც ბუდე ჩამოგშლიაო,
არც შვილი მოგწყდა გულიდან... არც მამრი დაგკარგვიაო...
დარდი... სტიქია... თითქოსდა, არასდროს დაგტეხიაო...
გაოცებული გიყურებ გამოდარებულ ყოფისას...
შენც, ზოგჯერ, ადამიანზე უფრო ძლიერი ყოფილხარ!

## შავ ღრუბლებს

არავინ და არაფერი, არასდროს მიყვარს თავხედი, –
ჩამამეცალეთ, ღრუბლებო, ჩემს ლექსებს თავად გავხედნი!
რას დამდგომიხართ თავზედა, ჩემ ცქერით ვერას შეიძენთ,
განა ყველაფრის ნება გაქვთ, რის კეთებასაც შეიძლებთ!
გაიწით ცოტა განზედა, ნუ დამდგომიხართ თავზედა,
ათასი საფიქრალი მაქვს... გული შამტკივა სხვაზედაც...
ამაღლებული ერდოდან ამპარტავანნი ცვივიან
და სხვათა ავკაცობაზე ისინი უფრო ჩივიან...
ვერას გაუგებ სოფელსა... კანონსაც ჩვენ ვწერთ, წესებსაც...
ღმერთს ჯვარზე ვაკრავთ და უღირსთ
გამოვაცხადებთ ღმერთებად,
ჩემი ცხოვრების წესებით, სიტყვა ჯერ უნდა გავხედნო,
ზევიდან მაშინ დაგხედავთ, როს უნდა წამოგაყენოთ...
თქვენ კი მიცქერით რისხვითა, გამჭოლი მზერით, თავხედით,
ჩამამეცალეთ, ღრუბლებო, ჩემს ლექსებს თავად გავხედნი!

## თებერვალი თბილისში

მიყვარს თებერვლის სურნელში თრობა და სულის თარეში,
მარტის გიჟურად შევარდნა ზამთრით აჭედილ კარებში...
აფეთქებული თაბორი, ტყემლები სოლოლაკისა,
გადაპრანჭული ნუშები გაზაფხულისა დარისად...
ჭორიკანობის სურნელში ჩაცუცქებული იები,
ბჭობა...რა ბჭობა ბუჩქების... ცოტაც და, გადავირევი...
მიყვარს თებერვლის თრობა და თბილისში სულის თარეში,
მარტის შემოჭრა გულსა და ზამთრით აჭედილ კარებში!

## მიწავ ქართულო

ქსნისა და ბზიფის შუაგულებო,
რამდენჯერ თქვენთვის თავი ვიტეხე,
როცა მადლიან კალთებს გახევენ,
გულსა და ხელებს მაშინ მიჩეხენ...
როცა მავთულის უცხო ხლართები
ჩემს მიწას ფეხებს უშნოდ შეახებს,
მაშინ დარდები იღარავს თვალებს
და გულზე მახევს ნაკაწრს იარებს!
ყელში გადასცდა კოდორს ლოდინი,
პანკისს გადასწვდა ოცდაათ ვერცხლად,
ძალა აღმართს ხნავს, გული ძალობს და,
ვიგაზაფხულებთ სულ მალე ერთად!
იუდას ხელი თარეშობს ჯერაც,
უჩინარის ძალს ყველა ვიჯერებთ...
შენ შემოგევლე, ჩემო ქვეყანავ,
ხოხბის ყელს მაინც სანდოდ იღერებ!
ძირძველ მამულში საზღვრებს გიდგენენ...
გულზე მეწვები, სანთლად მენთები...
მიწავ ქართულო, მშობელო ჩემო,
ისე გიმღერე, – როგორც შევძელი!

## არასდროს დავაგვიანებ

შობის მადლით და უფლის დიდებით
რამდენი გზები გამოვიარე,
სწრაფი სიჩქარით, ნელი სიმშვიდით,
ყველგან მცირედით დავაგვიანე...
დიდებულო და მაღალო ღმერთო,
ღვთისმშობელო და იესო ქრისტე,
თქვენი წყალობით, იმქვეყანაში
გამგზავრებისთვის ისევ ფეხს ვითრევ...
აქა ვსურვილობ მე თქვენს დიდებას
და სიყვარულის განაწილებას,
მტლად თუ ვედები ადამიანებს,
ცოდვილი გული ამით მშვიდდება...
ვერ შევლევივარ სამყაროს სუნთქვას,
ლხინით თუ ჭირით, ათასფერებით,
ვფუთავ და სულზე მალამოდ ვიდებ,
ყოველი დღე მაქვს მოსაფერები...
შობის მადლით და უფლის დიდებით
რამდენი გზები გამოვიარე,
ნელი სიჩქარით, სწრაფი სიმშვიდით,
არასდროს, არსად დავაგვიანებ!

## კანას ღვინოს ვსვამ

მანავურს, ხან გალილეის კანას ღვინოს ვსვამ,
უფლის ყველა საიდუმლოს ვაგლახ გულში ვკლავ
და ტკივილებს, ძაღლის მსგავსად, ძვლებივითა ვხრავ,
მარტოსულ ვარ, სიბერე და სიყვარული მჭამს,
მაგრამ ახალგაზრდის მსგავსად ყველას ვუბამ მხარს,
მტრის ავ-ზრახვის, ბოროტების აღარა ვჭამ ჯავრს,
ოთხი ელემენტის შიშიც ზომიერსა ჰგავს,
ის გააპობს წუთისოფლის ლურჯ სანახთა ზღვას,
ყველა ვერა მარადისობს... ზოგი მისდევს ქარს...
მეც სიმშვიდით მანავურს, ხან კანას ღვინოს ვსვამ...

## შემოგავლებ თავს

გაცრეცილი ცის პირიდან შორს
ზეზეურად ძლივს საუზმობს მზე,
მოპარულა გაზაფხულის დღე,
ფანჯრის შუბლზე თებერვალი დევს.
ქარი მიდის ცოდვიანი გზით,
ჟინის მოკვლის დასრულებას წუხს,
ზამთრის მზერა ისე იგლეჯს ქურქს,
მგონი მალე ამომითბობს გულს,
გამარტდება... იაპრილებს ცა,
შეადნება ყინულები მთებს,
თავს აიწყვეტს სიყვარულის გზა,
ეშველება თბილისურა მზეს...
მეც მიშველის მოვერცხლილი დრო,
მომიშუშებს დაბრმავებულ თვალს,
საფლავიდან თუ მომაწვდენ ხმას,–
ძველებურად შემოგავლებ თავს!

## ჩემო კვნესავ და ფიქრებო

ვწარამარაობ სამშობლოს ლურჯი ზეცით და ტრფობითა,
ახლაც, ამ ნაშუაღამევს, ისევე ქება მომინდა
შენი ცისა და მიწისა, ჩემო კვნესავ და ფიქრებო,
შენივ დღის ნათელით ვხარობ, არც არა გაგიკვირდესო,
ოღონდ შენ მყავდე ბედნიერ, ამოვისუნთქო იქნებო, –
დედავ, მამავ და მამულო, – ჩემო კვნესავ და ფიქრებო!

## არავინ დააგვიანოს

მზემ ცის ბილიკზე ვერ მიაგნო მშობლიურ ბინას
და ფიქრის კარზე უსახურად ჩამოიძინა...
სიცივისაგან ატმის რტოებს ყვავილი სცვივათ,
მაისის მზერას განთიადის სხივები სტკივა...

მე საქართველოს მიწის ნატეხს ვიწვავ სხეულზე,
ცეცხლებიანი გულისყურის ძახილს არ ვუსმენ,
კახური მიწის რომ გავხდები მსუყე სალუკმე,
მთის ცრემლი მინდა კუბოს მზითვად და მტრის სამიზნედ!
ათეულ წლებით გავასწარი საწუთროს ჟამებს,
ზიზილ-პიპილა ცხრა აპრილებს ვუთხზავდი გამებს,
ოღონდაც ბავშვებს არ დათხრიდნენ უმანკო თვალებს
და ვაჟკაცები არ გაექცნენ მშობლიურ ქარებს...
ტყუილ-მართალში არეული წუთისოფელი
თავგზის აბნევას ხშირად ცდილობს ალალი ფიცით,
გამოვითალე მოღუნული გვერდები მიწის,
რადგან დუმილმა ზოგჯერ დიდი ხმაური იცის...
ახლაც ვაპრილობთ! სისხლის ცრემლით ვაშხეფებ გამებს,
მოძმის ხელებით თვალდათხრილი ვაჩერებ წამებს,
ხან ოიდიპოს მეფეს ვკორტნი უკვე ბრმა თვალებს,
ალმაცერ მზერას გამოვტყუებ მშობლიურ მხარეს...
მზე ცის ბილიკზე წოწიალით ვერაფერს გახდა,
შიშით გაავსო სახვალიო საკისრის ბურთი,
რომ სურვილებმა არ იძალონ შვილების ხარჯზე
და მობრძანება არ ისურვონ ელიფსის მრუდით...
გამშრალ ოცნებით გაფიტულა გულის ძარღვები,
დაცლილი სოფლის ალიონზე ბულბული გალობს,
ნატვრით და ფიქრით გადაღლილა ქართველი დედა,
შვილებს მოგიხმობთ... და არავინ დააგვიანოს!..

## წლები დამიხვავდა

წლები დამიხვავდა, სული გამიშიშვლდა...
ვაი სირცხვილო და... ვაი ჩემო თავო!
გადამარეცხინეთ შავი დედამიწა,
უფალს სინდისის წინ თავი დავუხარო!
გადამაზიდინეთ მძიმე ცოდვები და
გამიაღსარებეთ დღენი სანეტარო,
გადამატანინეთ ერთი ჟამის წირვაც,

უფალს ამტკივნული მუხლი მოვუყარო!
მისი შვილი ვარ და... გადამატა-ნინოს...
ვაი, ჩემი თავო, შენც რომ ვერ გიტყდები,
რად არ მომიქაჩე გულზე მარწუხები,
რად არ მომატეხე ცოდვილს ყალბი ფრთები!
გადამაყვანინეთ სული ბნელეთიდან,
დაწვით დაძონძილი სამოსელის წყლული,
გზები ამიძირკვეთ უხეშტანიანი,
გადამალექსინეთ ლოცვის დასასრული!
წვიმა მომიყვანეთ, თოვლი მომინამქრეთ,
გადავაგულგრილო მთვრალი დედამიწა,
თორემ გაფხიზლდება, ჩემი ცოდვის ზიდვის
ტკივილს ვერ გაუძლებს, ვეღარ გადაიტანს!
საყვედურით გული უნდა გავაწყალო,
გადაშიშვლებული სული გავამწარო,
სხვისკენ გაშვერილი თითი მოვიდრიკო,
ჟამის გაჭირვებით ჩემსკენ გადმოვხარო...
გადამიფერადეთ ზეცის ლურჯი ქუდი,
გადა-მახატინეთ სულის სამლოცველო,
მიწას დამთხვეულმა, უფლის ფეხის მტვერმა,
სინანულის ცრემლით მდაბლად გადვიხედო!
წლები დამიხვავდა, სული გამიშიშვლდა...
ტკივილ-დარდიანო... ვაი ჩემო თავო!
გადამაკითხინეთ შავი დედამიწა,
უფალს სინდისის წინ მუხლი მოვუყარო!

## რწმენა და გადარჩენა

ცოცხალი მკვდრებში რომ იმარხები,
საკუთარ თავს რომ გამოექცევი,
კარებს მიხურავ სანთლის ხელებით,
სამზეო ამინდს შეუერთდები,–
ეს არის რწმენა და გადარჩენა!

## სიკვდილის შემდეგ

მე რომ ამაღამ გული გამისკდეს,
ხვალ ჩემს ნაწვალებ, დაღლილ ლექსებში
ყველა დაუწყებს მარგალიტს ძებნას...
გაცრეცილ რითმებს შეაერთებენ,
აელფერებულს, ნეკროლოგებში,
საფლავის თავთან, იქნებ წიგნებშიც
მიმომქარგავენ... იყო, იცოცხლა
მამულისა და ხალხის გულისთვის,
რა დიდებულად იღვაწა ქალმა...
ქვეყნად ასეთი ხალხი არ კვდება...
დავბერდი, მაგრამ ვერ გამიგია,
სიკვდილის შემდეგ ასე რად ხდება?!

## ის გული მტკივა

ის გული მტკივა, სიტყვით თუ საქმით
კაცს რომ სწამლავენ და სამარცხვინოდ,
სხვის თვალებში ბეწვს დაეძებენ...
და... ჰეროდიას ასულის ცეკვით
იოანეს რომ თავს კვეთენ და
მკვლელებს დღემდე არ დაეძებენ,–
ის გული მტკივა!..

## და დაგვამშვიდე

ვერ ავიშალე, მებაღისათვის რომ მიმერთმია წყალი,
ღმერთო, უშველე მტერს და მოყვარეს, მადლი აპკურე, ამინ!
შენი კალთის ქვეშ შემოგვიფარე, არ მოგვიხურო კარი,
არ მოგვაშორო ღვთიური მადლი, პურიც გვიკურთხე, ამინ!
მოგვაყურადე... სულის და ხორცის ვნება დათრგუნე წამის,
დალოცე ჩვენი ახალგაზრდობა, წამოეშველე, ამინ!
დალოცე ქართველთ ყველა ნაბიჯი ნათელი დღის და ღამის,
თავისუფლების ღიმი გვაღირსე და დაგვამშვიდე, ამინ!

## ცის ფეხებთან

ყოველ დილამზეს, ცის ფეხებთან ვხვდები განთიადს,
მზე ხელებს იბანს და წყალნაბანს ვწრუპავ პეშვებით,
გაგრილებული გულითა და შუშის მზერებით
დაკოჭლებული მიწის თავზე აღარ ვეშვები...
მიწა ზანზარებს... მემუქრება ისეთი ძალით,
ლამის დასცვივდეს ნაცნობი და უცხო ქანები,
სევდის ჰანგებში ვიპარები იმედის რტოთი
და ჟინიან მარტს ლექსწერაში დავეხმარები...
ხან დავარცხნილი რითმებისას ავწეწავ ქარებს,
მთვარე ბოღმიან ღამეს უმხელს, – ო, ეს ქალები!..
ხან მეც არ ვიცი, რომელ რითმით დავხატო ზეცა,
ღრუბლებში ვდგავარ, მზის ოჯახში მივექანები...
და მაინც, დილას, ცის ფეხებთან ვხვდები განთიადს,
მზე ხელს დაიბანს და მის ნაბანს ვწრუპავ პეშვებით,
უხმოდ ბზრიალა, დადუმებულ დედამიწაზე
ცოცხალი თავით არასოდეს არ დავეშვები!

## რესტარტი და ჩემი ლექსი

ამდენ უაზრო ხმაურში კარგს ვეღარ ვისმენთ ვეღარას,
ზოგი ბეჯითად ამტკიცებს, – რესტარტი უშველს ქვეყანას...
ზოგს ამოქათვა მოუნდა... ქოფი ფეისთი... ყველასო...
ზოგმა გინება ისურვა, – ძველის და ახლის ენასო...
სიტყვაძვირობენ სხდომებზე... ტელეეკრანთან ომობენ,
რომ ამა ქვეყნის ძლიერნი მტაცებლობენ და ღორობენ...
ზოგი ცხრა წლისთავს გვახსენებს, ზოგნი ათისთვის დავობენ,
შურისთვალება მოყვრები და მტრები ურცხვად ხარობენ...
როდემდე, ანდა სადამდე... მტყუან-მართალს ვერ გაიგებ...
ნამდვილ ქართველი დადუმდა... დარდებს
საფლავში წაიღებს...
ამდენ უაზრო ხმაურში კარგს ვეღარ ვისმენთ ვეღარას,
ვეღარც რესტარტი შველის და ვერც ჩემი ლექსი, – ქვეყანას...

## ნეტამცა ჩიტად მაქცია

ნეტამცა ჩიტად მაქცია,
შაგიმღერებდი დილასა,
მოვფრინდებოდი ადრიან
შენი სარკმელის პირასა,
დაგიჯდებოდი ქვეშაგთან,
დაგიკოცნიდი ბაგესა,
დაგიყენებდი დარაჯად
ხან მზესა, ხანაც მთვარესა.
ანამცა არწივ მაქცია,
გაგიტაცებდი მთაში და
ფრინველთ დედოფლად გაქცევდი,
არ გაგიშვებდი სახლშია.
ანამცა წყაროდ მაქცია,
გაგიგრილებდი მკერდსაო,
ნეტარებას და სიყვარულს
დააბრალიდი ბედსაო,
მამენდობოდი გულიან,
მეც გულს განდობდი ერთსაო,
შენ ბედს უძღვნიდი მადლობას,
მე კი – მადლიან ღმერთსაო...

## ხმელ ფოთლებს

საით მიფრინავთ, ხმელო ფოთლებო,
რად აგიყრიათ გუდა-ნაბადი?
ქარის ნებაზე არაფერი არსად წაიღოთ,
რადგანაც მისგან მოტანილს და,
მისგან წაღებულს,
გზა ვერასოდეს... ვერვინ გაუგო...

## ზამთრის მთვარის სონატა

მთვარემ ოქროთი მოჭედა ღამე,
შემოაკერა ნისლები ვერცხლის,
გაგიჟდა ღამე... ბანს აძლევს მთვარე
და შეიშალა ჭკუაზე ლექსიც...
მე ამ სამყაროს ამაოების
საფერი სიტყვა ვერასდროს ვერ ვთქვი,
ვერც სხვის ჭკუაზე ვაბრუნებ ბორბალს,
ქარის წისქვილებს არ დავდევ ნებით,
თავს არ ვიწონებ რითმის საკაზმით,
არც მეხოტბე ვარ მოთეთრო ლექსის,
ვერლიბრს ვულეწე გულის კარები,
მთვარემ სხივები დაკარგა ცეცხლის,
ეძებს და ჰპოვებს... მე კი თავს ვკარგავ,
მაგრამ ამ ღამეს ჭკუაზე შევშლი,
რომ უძილობის დროთა ალებში,
არ დამეჩაგროს გულჩვილი ლექსი...
მზენატრულ გულის წაღმა ტრიალზე
მთვარეს თავისი ფიქრი ადარდებს...
გამოვიგონებ ლხენის გასაღებს
და გიჟი ლექსით ღამეს გადავრევ!

## ჩემო დედაქალაქო

აღარ ვიცი, რა შეგკადრო საქებარი, თბილისო,
ალიონის შეძახილზე ჰაერი ხარ დილისო,
უშენობის გაფიქრებით გული მწარედ ტირისო,
რა ძალა გაქვს, რა ნათელი და რა კარგად თილისმობ!
მტკვარზე სულიწმინდის მადლის ნეტარებით ივსები,
მოწყალების ცვარს გაგვიშლი ქალაქური ღირსებით,
ქრისტეს კვართის სურნელებას მცხეთიდანაც გვაპკურებ,
დედასავით გულში გვიკრავ, მამასავით დაგვყურებ!
ზეცას ვწვდები მთაწმინდაზე, გული ნებით ბრწყინდება,

დღე მებნევა მარგალიტად, ღამე – ზურმუხტფერებად,
თაბორისკენ მზის ნათელი ყელს რომ ამოიღერებს,
წლების ტვირთებს ამსუბუქებ, თავს არასდროს იბერებ!
ზიარი ხარ საქართველოს ლხინისა და ჭირისო,
ქართველობის სიყვარულში გეჯიბრები თბილისო!
ალიონის მზის ცეცხლებით ნათელს გვაფენ დილითო,
გვერდით ხარ და მენატრები, შენგან ვსწავლობ ღიმილსო,
საქართველოს სახვალიო ბედით მუდამ ვამაყობთ,
მის მომავალს შენ გაბარებთ, ჩემო დედაქალაქო!

## მაინც მიგიყვან

ტვირთის ზიდვა რომ გავიადვილო,
ზურგზე მოგიგდე, წუთისოფელო,
ძლივს მიგათრევ... და გულს ვერ ვუტყდები,–
ეს რა მძიმე ხარ, უნდო, ოხერო!
დრო და ჟამებით გაჭარხლებულო,
ლხინით და დარდით სავსე ყელამდე,
დაე, შენ დარჩი ჩემი მევალე, –
მაინც მიგიყვან გაჩერებამდე!

## ჩემი ბესოს აზრით

ვინმემ მითხრას, დედამიწა მრგვალია თუ ბრტყელი,
რატომ არის ვარსკვლავები მუდამ ჩვენზე ზევით,
რატომ დადის ზოგჯერ მთვარე გადაცრეცილ ცაზე,
ან მზე როგორ დაბრძანდება სხივით შუბის ტარზე?!
ამიხსენით, დედამიწა მრგვალია თუ ბრტყელი,
მაშ ზემოდან რატომ მოჩანს გადაშლილი წელით?
თუ მრგვალია, რად არ ვცვივით ჰაერსა და წყალში,
როგორ დარბის თვითმფრინავი წამოკუზულ ცაში?!
ოკეანეს, ზღვას და მიწას როგორ ხედავს თვალი,
სწორად რატომ მეცხადება ზეციერი ძალნი?
ანდა, როგორ ვხედავ ღმერთის მადლით სავსე ხელებს,

მიზიდული ძალით გული როგორ დაიმღერებს?!
ბიბლიაშიც, ორად გაყო ღმერთმა ზღვა და ხმელი,
წყალი ზე და ქვეშე დადის, მიწა რომ არს ბრტყელი!
მრგვალ მიწაზე ტრფობის წყარო არ ივსება მადლით,
ვარდ-ყვავილებს, წალკოტიანს, ვერასოდეს დავთვლით!
ვინმემ მითხრას, მიწის ქერქი მრგვალია თუ ბრტყელი,
თორემ გულიც, თანასწორად, სხვა სიბრტყეზე მღერის!

## ღმერთო, მიშველე

მრავალგზის გიხმობ, – ღმერთო, მიშველე,
მადლისმიერი ფრთები გავშალო,
გადამატარე ზეცის სამოთხე,
შემაცნობინე სრულად სამყარო!
უფალო, შენი სიყვარულისგან
ყინული გული ტრფობით გამითბე,
არ მომანატრო მეზვრის ღაღადი,
არასდროს ვიყო მტრების სამიზნე,
ვაზი გამხადე ქრისტეს ვენახის
და უკვდავების წყაროდ მადინე!
ღმერთო, მიშველე!

## ნეტავი იქ...

წაველ, მოველ... ჟამის მტვერში სად არ დამიმღერია,
ამ სოფელში ყველაფერი მაინც არაფერია...
ღირსი ქალი მომღერალის ღიმი გადამფენია,
ყველაფერი დიდებული ისევ არაფერია...
გზა დავუთმოთ, მოვუსმინოთ... ახალშენზე მღერიან,
ყმაწვილების არაფერში მუდამ ყველაფერია...
წაველ, მოველ წლების მტვერში, სად არ დამიმღერია...
ნეტავი იქ, – არაფერშიც თუკი ყველაფერია!..

## სეკვენცია დაღმავალი გამით
## (რატი ამაღლობელს)

ანი და ბანი მეც მინდა და აღმაფრენა განიდან,
ცხრა მზეკაშკაშა ცა მინდა, მარადისობის წამიდან...
ამოვძვრებოდი კანიდან, ლექსს დავიწყებდი ანიდან,
გავბედავდი და... სიცოცლეს მოვისურვებდი თავიდან...
ბედ-იღბალ-მარჯვე ამინდმა გამოიდარა ღამიდან,
მაგრამ მხრით ვეღარას ვზიდავ დაბერებული ტანითა...
ჯანსაღი დღე და ოცნება გამომეფანტნენ თავიდან,
გოლგოთას ზიარების და... აღსარებათა ჯავრისგან...
დონი და ენი დავლანდე გეთსამანიის ბაღიდან,
ვინ-ზენ-თანი და კვლავ სხვანი, მთაწმინდელთ
ლოცვა-მადლითა,–
ათონში გაბრწყინებულთა, საქართველოის კარიდან...
ინ-კან-ლან-მანთან ერთადა, გახარებული ვივლი და
მონანიებაც მომინდა ძველი ცხოვრების წიგნიდან...
სიმღერის გაშლას ვსურვილობ ჭანით აღვსილი მინდვრიდან,
ხანით ჰაემდე... ღმერთისგან ნდობა-შენდობა მეც მინდა!
რა შემოდგომა დამიდგა, მოვისურვილე ანი და...
ნეტარგზით გევლოს, რატი და... მზე აბრიალოს ამინმა!

## ვინ დამაბრკოლებს

ვინ დამაბრკოლებს
თავისუფალ სივრცეში მავალს,
გვერდით ღმერთი მყავს,
მეფერება, არას ვუმალავ.
თანაბარი და ზომიერი
სიჩქარით დავქრი,
ღვთის გარდა, ჭკუას ვეკითხები
არასდროს არვის...

## მთის ხარს ვემსგავსე

ტირილი როგორ გაშინებთ ბარში, ეული ქალისა,
მთაში მსგავსება მომინდა ნაიალაღარ ხარისა,
თორო, ვაგლახად ვწუწუნებ... რაის პოეტი ქალიო...
ცხოვრების ორთაბრძოლაში გამამეცალა ძალიო,
უბრალოდ, კარგით ვხარობ და ცუდსაც
დავმარცვლავ კარგისად,
შური ბოროტი არა მჭამს არც კაცის, არცა ქალისა...
ჰოდა, ნუ გაკრთობთ სიმღერა ახალგაზრდული ჟამისა, –
უბრალოდ, მთის ხარს ვემსგავსე და გულმაც გაიხალისა...

## მანახეთ ერთი უცოდველი

მანახეთ ერთი უცოდველი ადამიანი,
მის წინ დავემხო, გულიანი ვუთხრა მადლობა,
ვადიდო ღმერთი, ქრისტეს ჯვარცმა მოვინანიო,
წელგამართული შევეგებო შობა-აღდგომას!
მანახეთ ერთი უცოდველი ადამიანი,
დედა მარიამს შევავედრო ის გულმზიანი,
მოვინანიო შენს წინაშე, ადამიანო,
რაც დღემდე ვერ ვთქვი მადლისფერი, იმედიანი...
ერთი მანახეთ უცოდველი ადამიანი,
დღემდე უფალმა და იესომ რომ ვერ იხილეს,
სხვის თვალში ბეწვის მძებნელები გამრავლებულან,
საკუთარ თვალში ვერა ვხედავთ გახინჯულ დირეს
და სხვების ცოდვებს ისერიგად ავაელვარებთ,
ლამის ცამ შეკრას რისხვის კარი, სამარადჟამო...
ერთი მანახეთ უცოდველი ადამიანი,
რომ მის წინაშე მოკრძალებით თავი დავხარო!..

## სიკვდილსაც არარაობა ჰქვია

ზოგჯერ ცხოვრების უიღბლო გზაზე
არარაობა თუ შემოგხვდება,
იმედით სავსეს და გაბრწყინებულს
მოყვარესავით გადაგეხვევა
და აღარ გაძლევს გზასა და საშველს,
კარგს ვეღარ ხედავ თითქმის ვერაფერს...
სიცოცხლის დღეთა ხანმოკლეობაც
ბრალად საწუთროს დღეებს ედება,
და არ ვიცოდით... ან რა ვიცოდით,
რომ ჩვენი ლხენა, ბედნიერება,
აზრი და არსი ცხოვრების დღეთა
უნდა ვიპოვოთ, რადგან ჩვენშია...
კაცთმოყვარე და იმედით სავსე
ხალხს და ქვეყანას მუდამ არგიხარ,
სიკვდილსაც არარაობა ჰქვია,
თუკი მართალი გზებით დადიხარ!

## ჩემს საქართველოს

მე საქართველოს ცისქვეშეთის ტკივილი მტკივა
და საქართველოს წყალი არის ჩემი მკურნალი,
ქართული სიტყვა ფიანდაზად მეგება მანამ,
ვიდრე ოდესმე არ მიმტყუნებს ბედი ტიალი...
ვერ შეველევი კლდეს, ჭიუხებს ქართული მიწის,
მამა-პაპათა სალოცავებს ვერ გავცვლი სხვაში,
თუ შევურიე სხვა სიმღერა ჩემს ქართულ ხმაში,
ამ ლექსისა და პურის მადლი გამიწყრეს მაშინ!

## სიტყვაძვირი და საქმიანი მამაკაცები

ადამიანო, უფლის სახედ და ხატად ქმნილო,
შენივ ურჩუბით სამოთხიდან გამოდევნილო,

და მაინც კაცო, ღირსეულო, დედავ და ცოლო,
ლექსის ჰანგო და ყოვლისმთქმელო იმედო ჩემო,
ადამიანო... მშობელო და ნატვრავ რამდენო,
სიყვარულო და ზეცისაკენ აჭრილო თვალო,
ვნების ქარიშხლით დაუმშრალო კამკამა წყაროვ,
ლოდინის ცეცხლის ოქროსფერში დამწვარო ქალო,
ქვრივის მუხლებზე გამოზრდილო ლომის ბოკვრებო,
სირცხვილისაგან გაწითლებულ ქალთა ზმანებავ,
სამარიტელი დედაკაცის შუადღის ფიქრო
და მოციქულთა ღირსეულად გარდაცვალებავ...
კეთილი ჰანგით, ცეცხლოვანი ორბის თვალებით
ქართველო ჩემო, გვერდში დგომას არ დაგზარდები,
ოღონდ მიმრავლე ბასიანის მსგავსი მხედრები,
სიტყვაძვირი და საქმიანი მამაკაცები!

## თმოგვის ლეგენდა

ხელის გულზე დაბრძანებულ სამესხეთოს
ფეხშიშველმა გულს სიამე დავაბედე,
როცა თმოგვზე აჭრილ კიბეს ავუყევი
და მტკვარს, ქვევით ნეტარებით გადავხედე,
როცა ციხის ქონგურებზე შარავანდი
გაბრწყინდა და თამარისკენ გაიხედა,
გვირაბებმა ბაგე ყურთან მომიტანა
და სიმართლით გული გამიდარდიანა...
დაკიდული კლდის გულები ჩემი ხელის
გულებს ერთვის, სიყვარულით უკან მომდევს,
დრო-ჟამი ჭამს საუკუნეს, მაგრამ მაინც
ლეგენდები აცოცხლებენ სარგის თმოგველს...
ნასოფლარი, ნასახლარი ცოდვის გზებით
მივდივარ და გული დარდით მეკუმშება
თვალბინდული ცხენის ოხვრა და თმოგველის
მზერა დღემდე ცის სარკმლიდან იბლანდება...
ღირსქართველის და ვაჟკაცის დიდი გული

ბევრს გპატიებს, თუმც ვერ იტანს ზურგში ღალატს,
ამიტომაც ჩემს ქვეყანას ერთგულების
და ულევი სიყვარულის მადლი ჰფარავს!

## შენ დაგკარგე

შენ ხანძარს ჰგავდი... წარსულს მიწვავდი
და გამქრალი მომავალი უკან დამიბრუნე,
მაგრამ როცა გული საგულეში დაიგულე,
დრომ ამოსუნთქვა აღარ დაგვაცადა,
ან იქნებ, ჩვენ თვითონ არ დაველოდეთ დროს...
ჯერ ამინდს შეეპარა გრილი სიო,
მერე ზვავებმა იძალა და გაყინული
ფერდობისკენ გაგვაქანა,
ერთმანეთის ჯახირში გაგიმხილე, რომ მე პოეტი ვარ...
ისე ძალიან შეგეცოდე, რომ სახე წაგეშალა...
შენ დაგკარგე, მაგრამ საკუთარი თავი ვიპოვე,
რადგან ხმამაღლა ვაღიარე, რომ მე პოეტი ვარ!..

## ვერ შევადარებ

ჩემი კახეთის გარუჟღულ მიწას
ვერ შევადარებ ვერა სამოთხეს,
ღვთისმშობელმა და ცამეტმა მამამ
იგი სხვა ტრფობა-მადლით დალოცეს!
აბიბოს ნეკრესს, სტეფანე ხირსელს
ალავერდელს და ზენონს, გარეჯელს
ვუმადლი, რადგან კახეთის მიწა
კეთილშობილი ზრახვით დაფერეს,
ცოდნის ნათელით გააცისკროვნეს,
რწმენის კედლები ცამდე აღმართეს,
ამიტომ ჩემი კახეთის მიწას
ვერ შევადარებ ვერა სამოთხეს!

## გული ბრწყინავდა

საგაზაფხულო ფიქრები იის ცრემლებით დავნამე,
ამიყვავილდა ოცნება შენი დანახვისთანავე...
ავამზისგულე რვა მარტი წარსული დროის რითმებით,
იის კონების მორთმევა პატარა თათუნიებით
და გასაოცარ ღიმილზე თვალების სხივთა თამაშით, –
„დედა, დილოცავ... მიკაქარ“, – ვბედნიერობდით ჩვენ, მაშინ!
ახლაც, ჩემს გადასარჩენად, ისევ პატარა დაგლანდე...
წლებს გავატანე სურნელი მომავალი წლის მარტამდე...
ემიგრანტობის სიშორე თვალის ნათელმა გაწყვიტა,
მზერას ვამსგავსე... და შვილის გული ბრწყინავდა სარკიდან!

## ეს უფლება ჩემია

ალიონის მზის სხივები ჩემთან ერთად მღერიან,
ნუ დაგვიშლით, ბატონებო, ეს უფლება ჩვენია!
გამარჯობა, საქართველოვ... შენს მთებსა და ლელიანს,
უკეთესი, მე შენ გარდა, – სხვა არა დამრჩენია...
მოციმციმე ვარსკვლავებიც ჩემთან ერთად მღერიან,
უფალი და საქართველო, – ყველა ერთად, – ჩემია!
ქართლოსიანთ წარსულს ვფიცავ და შვილების ნათელ დღეს,
სიყვარულის ერთგულება ღვთიურ გზისკენ მახედებს,
ხალხისა და მომავლისთვის წყალობას თუ გავიღებ,
რასაც მომცემთ, აქ დაგიტოვთ, საფლავში არ წავიღებ!
ამა ქვეყნის დიდიც, მცირეც,– ყველა დარდი ჩემია,
ძირს ვუმჩვილებ, ვეფერები ბალახს, ყვავილს, თელიანს,
მოგუდული ბანით შევძრავ მამულის მთებს, ველიანს,
ვერ დამიშლით, ბატონებო, ეს უფლება ჩემია!
მწირი რითმით შეგეწევით, ეს უფლებაც ჩემია!
ქვეყანაზე, არავისგან, ვითომ არც რა მწყენია...
განთიადის მზის სხივები უჩემობით დარდობენ,
გასურნელდა ფიქრის დღენი, მამულისთვის ვარდობენ,
ვაოცნებებ მზეს და მთვარეს... ეს უფლებაც ჩემია,

ოქროსფერი მზის სხივები განთიადთან მელიან,
სიყვარულად რომ ვიღვრები, – ეს უფლებაც ჩემია!

## ია ტაძართან

ტაძრის კედლების ძირებთან ამოხეთქილმა იამო
ვაგლახი ამინდის თავზე ალერსი დამაწიაო,
კამკამა წვიმას თვალებში ლურჯი მზე აუნთიაო,
საკინძე გაუგლეჯია და გული გაუღიაო.
ვის ეკუთვნოდა ის გული, დღემდე ვერ გაუგიაო,
მეტანიების სამსგავსოდ თავი მე დამიქნიაო,
სასხვისო ცოდვის სიმძიმე თვის თავზე აუღიაო,
გამისხვაფერა ცხოვრება, ალერსი დამაწიაო, –
ტაძრის კედლების ძირებთან ამოხეთქილმა იამო.

## ზიარჟურჟელი

წუთისოფელი სულ ზიარ-ჟურჟლობს,
ერთს თუ შესძულდი, სხვა შენზე ფიქრობს,
შენ იყინები, სხვა შენით თბება,
შენ დაიქცევი, სხვა აშენდება...
ერთი სხვის ხარჯზე ზეიმებს იწყობს,
სხვისი ნამღერით სხვა ხელებს ითბობს,
ცის კანონებით მიწა გაივსო,
ზოგი გლოვობს და ზოგიც მაისობს...
ზოგნი მდაბლობენ, კიდეც მაღლობენ...
სხვის ჭირზე ზოგნი ურცხვად ხარობენ,
შენ ნელად ქალობ, სხვა ნატვრისთვალობს,
ის ამპარტავნობს, სხვა სიტყვაძვირობს,
იბადებიან გოგო-ბიჭებად...
იკრძალებიან ლაჩარ-გმირებად,
ერთი მაღლდება და სხვა მდაბლდება...
დღეს დააკლდება, ღამე იზრდება,
ფილოსოფოსობს ბრძენიც, უგონოც,

ცოტა თქვი... სცადე, ბევრს მოუსმინო!
ზიარ-ჭურჭელობს ჩემი სოფელი,
მე რომ ვიცლები, ზოგი ივსება,
ხვალიდან მე თუ გადავივსები,
სხვას, ჩემს სანაცვლოდ, რა ეშველება?!

## ახლა ვუყურებ მარტივად

შემომეპარა ასაკი... სათქმელი გამიადვილდა...
რისხვით რომ ქუხდა სამყარო, ახლა ვუყურებ მარტივად,
რთული რომ ჩანდა სიცოცხლის ყოველი დღე და წამები,
ასე იოლი თუ იყო, თავს რატომ გავიწამებდი?!
მეგონა, წახვედ... უშენოდ დავისახიჩრე გულიო,
ახლა გავიგე, ღვთის ნებით, უკვდავ ყოფილა სულიო..
მცირედი რწმენის წყალობით არაფერს ვჩივი ამიტომ,
როცა უფალი ინებებს, მოვალ... სამარეს გაგიყოფ...
და შენი ლომა მკლავებით... იმ ძველებური ძალებით
ისე მიმიკარ მაგ მკერდზე, გულს მომაშორე ღარები...
შემომეპარა ასაკი... სათქმელი გამიადვილა,
რისხვით რომ ქუხდა სამყარო, ახლა ვუყურებ მარტივად...

## ბგერებს ვკითხულობ

დაისის ჟამი გაზაფხულისა
დეკემბრის ყინვის გამებს მოჰგავდა,
შენს სიამაყეს ვინ დათრგუნავდა,
გვერდს გიმშვენებდა, ვინც შენ გიყვარდა,
მე კი მობუზულ წიწილას ვგავდი,
შეშინებული ქორს რომ მიჰყავდა...
ფიქრებს ვაწვალებ დღეთას, უიღბლოს,
ჟამი რამდენჯერ ავ დღეს მითვლიდა...
ახლაც, მიწაზე ფეხს არ ვაბიჯებ
და ვიყურები შენი იღბლიდან,
ბედნიერებით ხელმოცარული
ბგერებს ვკითხულობ შენივ წიგნიდან!

## არ ვივიწყებ მთავარს

რაც ამქვეყნად მისწავლია, არ ვივიწყებ მთავარს, –
რომ ტირილით, მთლად შიშველი დავიბადე
და ღიღინით, კვლავ შიშველი წავალ...

## თუ დროა უდრო...

შელამაზება ვეღარ გვიშველის ამა საქმეთა,
რადგანაც ჭირი არ დამალავს თავის თავს არსად!
ნაცოდვილარი გზებით ვცოდვილობთ...
ხსნის გზის ძებნაში ნეტავ ვივლით კიდევ რამდენ ხანს,
ან თუ დავკოცნით ერთხელ მაინც უფლის ნატერფალს?!
თურაშაული ვაშლის ხის პატრონს ქვის მსროლელები
გაგვიმრავლდა და აღარ გველევა...
ის ვერ გავიგე, თურაშაული ვაშლის პატრონი
უცხო ტყეებში პანტა-მაჟალოს რატომ ეძებდა,
ან ახლა რაღას დადის ხეთა ალთა-ბალთაში?!
შელამაზება ვეღარ გვიშველის...
ჭირი არასდროს არ დამალავს საქვეყნო ვარამს!
თვალი ლაკმუსობს! რწმენა ეძებს ცოდვილთა წამალს!
ჭირს არ სჩვევია ჩრდილში ჯდომა, უხმოდ და მყუდროდ...
ვეღარ გავიგე, მე მოვედ ცუდ დროს, თუ დროა უდრო?!

## „ჩაკრულოს“ ხმაზე

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო, თელავში თუშმა გაგჭედა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა“... ქართველმა გულით გაგხედნა...
გმირ ისტორიულ დღეებით, ხევსურთ და მთიულთ მადლებით
ნაშავდღევები, ნაბრძოლნი, აღარსად დავიკარგებით...
ბოლო დროს შემოგვესია ჟამ-კანონების რისხვები,
არ დაგველია მზაკვარი... არც ვდუღვართ,
აღარც ვღვინდებით...
ხევსურეთს ნაჭედი ხმალი კედელზე უხმოდ ჰკიდია,

გამარჯვებების წყურვილი წარსულზე უფრო დიდია,
ბევრი დაგვირჩა სასწავლი, წასაკითხი და სათქმელი,
„ჩაკრულოს“ ჰანგის ჟღერაში კოსმოსს შემორჩა ნამღერი!..
ზეცა ვარდისფრად ინთება, ანგელოზთ ხმები მატულობს,
ივერთა წილხვედრ მიწაზე დედა მარიამ ლოცულობს,
გვიშუამდგომლებს... ღამეებს კეთილ ფიქრებში ათენებს,
სამების მადლსა და ძალას ის შეავედრებს ქართველებს!

## მოდი ჩემთან, უფალო

უამრავჯერ შეგაწყინე, არსათქმელი გითხარო,
მარტოობის მეშინია, მოდი ჩემთან, უფალო!
ერთი შვილით გთხოვდი შველას, მოგაბეზრე ცოდვებით,
გზა ამებნა საწუთროსი, ვიდრე შენთან მოვედი...
ცხრა შვილი რომ შემძენოდა, ლექსს სხვა გულით დავწერდი,
ჯიუტ რქებით, სიბერეში უკეთესად გავწევდი...
შენი არსებობის შუქზე სიბნელეშიც ვმღერიო,
ფეხის ადგმას ახლა ვსწავლობ, არ გამიშვა ხელიო...
მერამდენედ შეგაწყინე, ვერსათქმელი გითხარო,
მეშინია მარტოობის, მოდი ჩემთან, უფალო!
მარტოობის მეშინია, ჩემთან დარჩი, უფალო!

## ხელოვნური ინტელექტის გამო

ბრუნავს სამყარო... ატრიალებს დიდებულ მიწას,
ჩვენი ღირსებით და თავისი კანონით გვიცავს, –
ბნელს სინათლე სცვლის, ბოროტს კეთილ
საქმით ვანაცვლებთ,
ახალ სიტყვას და წარმატებას ყველას ვანახებთ,
მაგრამ სად ვპოვოთ საძიებო სისტემის კვალი,
თუკი ბუნებრივს ხელოვნური დაჯაბნის კვარი?!
ადამიანი რა სასწაულს შეგვაჩვევს კიდევ,
თუ ხელოვნური ინტელექტი ფეხს მოიკიდებს?!
სამყარო ბრუნავს და სიახლის მოსწონს საწყისი,

მაგრამ სისტემა ჩვენს გარეშე გზას ვერ გაიხსნის...
გთხოვთ, გადაშალოთ ხელოვნური ფიქრების ზღვარი,
კაცის ინტელექტს ვერვინ სჯობნის... ამიბით მხარი!..

## ოქროს წვიმა

გულო, ატკიებულო და განწმენდილო სულო ჩემო,
სინანულის სიხარულზე ოქროს წვიმად წამოსულო,
ჟამის წირვავ, სანეტარო, მოძღვრის ენავ, დაქარგულო,
ზიარების უჩინობავ, სისხლით, ხორცით გაჟენთილო
და ზოსიმეს ენავ, ჩემო, მშობლიურად გამოთქმულო,
საქართველოს სადღეგრძელოვ, გულიანად წარმოთქმულო!
ქვეყნის კალთავ, შემოჭრილო, ალთა-ბალთა დატალღულო...
გათანგულო ოცნებებო, სამოთხისფერ დახატულო!
მკვდრეთით აღდგენილო ქრისტევ, სიხარულად გაფანტულო,
სამამულო ხვალის დღეო, უფლის ბედზე გაჩარხულო,
განწმენდილო სულის დედავ, სანეტარო ჟამის წვიმავ,
საქართველოს დიდებისთვის, აღმა სვლისთვის წამოსულხარ!

## მცირედი მიჯობს

მცირედი მიჯობს მუდამ მართლისა,
ვიდრე ცოდვილის სიმდიდრე დიდი,
რადგან მართალ კაცს ღმერთი მფარველობს,
ცოდვილს არა აქვს ცხოვრება მშვიდი...
ცოდვილი მუდამ მონაა სხვისა,
აქოთებული ვნების სურვილით,
გზააბნეული შავი ფერებით
სათამაშოა მრავალთ ხელებში...
ბორგავს და შფოთავს ცოდვილი ნუდამ,
მართალი მშვიდად იგროვებს საზრდელს,
ალალად მშრომელს ღმერთი მფარველობს,
სიყვარულისთვის სიკეთეს აძლევს...
მართალი იცნობს უფლის სამართალს,

ძლიერდება და ღმერთის ხმა ესმის,
არსად გაგწირავს, არ გიღალატებს,
ყველგან გეწევა,– სახლშიც და მრევლშიც...
ცოდვილი, თავის სამართლის მსგავსად,
ბოროტი გულით დაგატეხს რისხვას,
მართალი კეთილ საქმეზე ფიქრობს,
ტკბილი სიბერით გამღერებს დიდხანს...
წმინდა სამართლით, კეთილი ზრახვით
უფალს ვუმადლი ლოცვის მადლითა...
ცოდვილი კაცის დიად საგანძურს
მუდამ მცირედი მიჯობს მართლისა!

## მორჩილი ვერასდროს ვიქნები

მორჩილი გზისა და ბილიკის
არ ვიცი სავალი ნიშნები...
დაგროვილ კითხვებზე... პასუხი...
პასუხზეც, ულევი კითხვები...
კითხვის არსს თუ გულით არ ჩავწვდი,
პასუხს სრულ-ყოფილად არ ჩავთვლი!
ამაოდ შევჩივი უფალს და...
მორჩილად ვერ ვვარგობ... მიყვარს და,
აზრებში კითხვების ზღვა მიყვარს,–
რატომ და... როგორ და... საიდან...
კითხვებზეც კვლავ კითხვის ნიშნები...
პასუხის პასუხზეც - კითხვები...
ვწუხვარ, რომ ჩემეულ აზრებით
სხვადასხვა გონებრივ სივრცეში
მორჩილი ვერასდროს ვიქნები!

## სამყაროში არაფერი იკარგება

ფიზიკური კანონების შესატყვისად, სამყაროში არასოდეს,
არაფერი იკარგება, – ერთი სახის ენერგია
მეორადად გარდიქმნება,
მერე კეთილ, ან ბოროტ გზით, მოყვარ-მტრობით, – ჩვენვე,
უკან გვიბრუნდება!
ალალ შრომად, ავად... კარგად... ყველაფერი
სათანადოდ შეფასდება...
თუნდაც, გზაში, გლახაკებს რომ განვიკითხავთ, ზოგს პროცესი
გვაძლევს ნუგეშს,
ზოგი – ნელთბილ საქმეს ვიდენთ... კიდეც ვგმირობთ, ან,
ვალს ვიხდით უფლის წინა...
ზოგი გულით შევწირავთ და... ჩვენ არ ვიცით, ვისი...
როგორ შეიწირა...
მთავარია, რომ ის, ჩვენგან გაცემული შესაწირი,
სხვადასხვა დროს,
სხვა გზებით და ენერგიის გარდაქმნებით – ყველას
უკან გვიბრუნდება!..
ამიტომაც, სამყაროში უკვალო გზით არაფერი იკარგება...

## სამშობლოს და შვილს

გადაიარა ზამთრის ვნებებმა,
ქრისტეს ჯვარცმამაც გადაიარა
და სინანულის ვერცხლის ცრემლებმა
არ დამიტოვა გულში იარა,
არ დაილექა გაცრეცილ ზამთრის
სიცივეები გულის კუნჭულში,
გამიფერადდა გამშრალი სისხლი
პულსის რუზრუზსა და ფაციფუცში.
ეჰა, აღდგომის ცეცხლის სვეტებო,
მიმტევებელო ცოდვის ხელების,
ეჰა, ოცნებავ, სამომავლჟამო,

უფლის წყალობით არ დაბერდები!
ეჰა, მამულო, თავგადაკლულო,
მოუვლელობით თითქოს შეხრილო,
ცოტაც დაიცა, ბევრის მომთმენო,
უფლის შეწევნით არა გეტკინოს!
აყვავილდება მაისის ვარდი,
ეზო-კარებში გამოიდარებს,
ქართველი ერის ბედნიერებით
ეშმაკი თვალებს გამოიღამებს,
მოვა უფალი... მოიტანს ნუგეშს,
სასოება და სიმხნე ჩადგება,
ქართული ენა, შვილი და ძირი
არასდიდებით გადაგვარდება!
გადაიარა ზამთრის წუხილმა,
გულზე დარდები გამომელია,
ჩემი სამშობლოს და შვილის მსგავსი,
აბა, მითხარით, სხვა რომელია?!

## ყაყაჩო ბეტონის კიბეზე

ალიონიდან ცის ნამზე, დარდებმა ლამის დამახრჩო,
გადამავიწყდა ყოველი, რომ დაგინახე, ყაყაჩო!
რამ მოგიყვანა ცემენტზე, უდედმამო და ეული,
ვერ მოგერია დრო-ჟამი, ავი და გადარეული?!
სიხარულს ავუტანივარ, ფეხებთან რომ შემეფეთე,
ცემენტის კიბის საფეხურს, თქვი, როგორ შემოეკედლე?
რაღას ვიფიქრებ ცხოვრების არარასა და მიზეზზე,
როცა წითელი ყაყაჩო ხარობს ბეტონის კიბეზე!..
რაღას დამჩაგრავს ზღვის ფსკერი მარტოობის და შიშისო,
ეულ ყაყაჩომ ბეტონზე ყვავილობა რომ იცისო!..

## ერთად ვიქნებით

დღეს ისე ვხარობ, ისე ვირთვები
დედის მარჯვენა ხელის თითებით,
ერთი სული მაქვს, მამასთან, დასთან
და შენთან ერთად როდის ვიქნები!
წყალივით გნატრობ და ჰაერივით,
მაგრამ დრო არ მაქვს, – კი არ გღალატობ!
ღვთის ნებით დედის როლსა ვთამაშობ,
შვილიშვილების ვარსკვლავს ვდარაჯობ
და ერთ დღეს, ისევ შენი თითებით
სამგზავრო კაბით რომ მოვირთვები,
სასუფეველთან შემომეხვევით
და ძველებურად... ერთად ვიქნებით!..

## მამული და მე

ზოგს გულზე არ ვეხატები... ზოგის ცხოვრების ლხინი ვარ,
თვალი ენძელას დაჰხარის... მე დაცლილ
სოფლებს ვტირივარ!
ზოგი გვირილას ალერსობს... მე ხმალს ვულესავ სამყაროს,
ვიღაცამ ჩემი ოჯახი უკაცოდ რომ არ ჩათვალოს...
უაფხაზეთო შავმა ზღვამ მტრის გულის რომ არ გამხადოს,
სამაჩაბლოში ღალატმა ხელახლა რომ არ გაგვთვალოს...
ვინმემ გვიშველეთ! დაუხშეთ უჰაერობას კარები,
უბრალო რითმის მკერავ ქალს არ მედოს ქვეყნის ვალები...
მე რაღა დედა ვყოფილვარ, შვილებს თუ ვერას ვპირდები,
მთიულის ჟინით, თუ ზოგჯერ ვერავის ავუხირდები!..
მეც დამადებდნენ ბორკილებს, ოცნებით რომ არ ვილხინო,
უზნეო, შურიან კაცთა დარდებზე რომ არ ვიტირო...
რა ვქნა, თუ ზოგს არ ვუყვარვარ... ზოგის
ცხოვრების ლხინი ვარ,
ლუკმის საშოვნად წასულ ყრმას და დაცლილ
სოფლებს ვტირივარ...

ზოგი სულ მეხმატკბილება... მე... ხმალს ვულესავ სამყაროს,
ვიღაცამ მე და მამული უპატრონოდ არ ჩაგვთვალოს!..

## საბოდიშო აღარ გახადო

ბოდიშს იხდიან დიდი კაცები
და პატარებიც ხშირად ბაძავენ...
ვალდებულების ფესვსა და ღერზე
სიტყვის კონებსაც ურცხვად ხარჯავენ...
და მოირგებენ იუდას ამბორს,
ოცდაათ ვერცხლად იყიდებიან...
ისტორიების მკვახე ჩრდილებში
ნემსის წვერივით იჩხვლიტებიან,
თავს გამოყოფენ ახალ ქაოსში,–
ვერ მოვიქეცი უწინ, კარგადო...
ისე აკინძე სიტყვა და საქმე,
რომ საბოდიშო აღარ გახადო!

## ფესვებს მიმიხედე, შვილო

ფესვებს მიმიხედე, შვილო... ტრფობით ამოხადე სევდა...
დგნალში ვანო პაპა მიმზერს, სახლში მამის
თვალებს ვხედავ...
მთებო, თქვენი მწუხრი შემრჩა, კიდევ – მათე პაპას ვალი...
დარდით სავსე ვდგავარ ობლად ფესვებ-შემოცლილი ქალი!
მთებო, ისევ თქვენკენ მიწევს გული, მთიულ კაცის მსგავსი,
თქვენი სიყვარულის სურვილს უკვდავების
წყალზეც არ ვცვლი!
გამოვილამაზე თავი... გამოვიადვილე გზები...
ყოჩას შვილიშვილი გიხმობ, მთაო, უშენობით ვკვდები!
შემოგიდგები და, თანაც, შემოგიერთგულებ თავსა,
შემოგევლები და, ბოლოს, ბარში თუ წამიღებთ მკვდარსა...
წადი, მთისკენ გასწი, შვილო, ფესვებს ამოხადე სევდა...
ეზოს პაპას ცხენი ალხენს... სახლში მამის ღიმილს ვხედნავ!..

## გვერდით ყოფნის ტრაგედია

მზემ ვერ შეავლო მიწას თვალები,
ღრუბლით ნაწყენმა სარეცელს უხმო,
დილას ცა ნახა ისე ნათელი,
ამოცეცხლფერდა შიშვლად და უზმოდ,
გამოაბრწყინა მზერა ისეთი,
პირის დაბანა ვეღარ მოასწრო,
ღიმილის გუნდებს ესროდა მიწას
და ცასთან ტრფობა ნებით უარყო...
ზოგჯერ სიშორე ყინავს სამყაროს,
აპრილი მოვა და გვეშველება.
უშველებელი მხოლოდ ის არის,
როცა გვერდით გყავს და... გეშორება...

## აქ ვარ, სამშობლოვ

ღმერთო, დალოცე საქართველოს მწვანე კალთები,
მადლი მოჰფინე თრიალეთის ოქროს საგანძურს,
ხრამზე კანიონს დახედე და კლდეკარს აუწყე,–
წარსულ დიდებას მოკრძალების ჟამი აღარ სურს!
მე ვუდარაჯებ თრიალეთის ნაკაწრ-ნახატებს,
პეტროგლიფების სურნელს ვიყნოს, ნაირფერებას,
პრეისტორიულ ხანას დავშლი ალმასის მარცვლად,
სანეტარ წარსულს ხვალის დღენი მოეფერება!
გაიზრდებიან ალგეთელი ლომის ბოკვრები,
ალაზნიდანაც ამღერდება ქერმის ქარები...
აქ ვარ, სამშობლოვ, შვილებს ვკვებავ ლექსის ნამცეცით,
აჰა, ინებეთ ჩემი სულის ნაიარევი!..

## ხვალ ვინ ვიქნები

მზემ აიწია თბილისის ცაზე,
ფრთები შემართა გადასაფრენი,

ისე უცაბედ გამოდაისდა,
ვერ მოვასწარი გულით სათქმელი...
წუთისოფელიც თბილისის მზეს ჰგავს,
გამარგლულ ეზოს ვავსებთ ვარდებით...
ვერ ვასწრებთ სათქმელს და საფლავის ქვას
შავ-თეთრ წარწერად დავებლანდებით,
ან, ოქროს ჯვარი და სინანული
ერთად იღვრება წუთისოფლიდან...
ღმერთო, სიცოცხლე და სიყვარული
დაგვაწყებინო, იქნებ ახლიდან!..
მზემ აიწია თბილისის ცაზე
და გასაფრენად შემართა ფრთები...
გამოიძინებს... კვლავ გაბრწყინდება...
მე იმას ვფიქრობ, – ხვალ ვინ ვიქნები!..

## საქართველოს ვალს წავიღებ

რაც ვიგრძენ ფასი ველისციხის ცისა და მიწის,
ვალად დამყვება ქართველობა, – ეს დღემდე ვიცი,
გუდა-ნაბადიც აღარ მახსოვს მშობლიურ სოფლის
და სუნი მისი, ალიონზე ყოველდღე მომდის...
ისევ აფეთქდა მოგონების ელდების ნისლი,
ბებიაჩემის „იავნანა" ძილშიაც ისმის
და შვილიშვილის სარეცელთან უძილო ღამე
ვერა, ვერ დაძლევს წინაპართა დაგროვილ ვალებს!
ნეტავ მე ვიყო ყველას ლხენა და ყველას ჭირი,
ან ორთაბრძოლას დავარდნილი წმინდა მანდილი,
თუნდ გაზაფხულის მოსვლა შევძლო მსუსხავ ზამთარში,
მე საქართველოს ვალს წავიღებ მაინც საფლავში!

## დღემდე დავეძებთ

თავისუფლება გულში გვაწვიმს ყოველ ცისმარეს,
გარეთ, უჟმური, უგუნური აზრი მძვინვარებს...

ჭკუით და გონით გავსებული აზრების ავტორთ
ექვით უმზერენ გულგამშრალი დედამიწა და
ადამის ცრემლის კურცხლით სველი, ლურჯი სამყარო!
შიგნით დავეძებთ გადარჩენის უებარ საშველს,
გარეთ წყალი დის, მარადიულ უსასრულ საგზლად...
მტერი სიკვდილის, შურის გზაზე მავთულებს ხლართავს,
ჩვენ უძრავ დღეთა საჭოჭმანო საქმებს ვმართავთ...
დღემდე დავეძებთ... რწმენით სავსე, უბადლო სარდალს!..

## იასამანს

შენ რაღას იღიმილები, ქვა-ღორღიანი მიწის პირს?
რას აღარ მოიგონებენ სილამაზის და მიზნისთვის...
მეზობლის კართან მეფრქვია შენი სინაზის სურნელი,
დავიბენი და დავმუნჯდი... სიტყვები დამრჩა უთქმელი...
რად გქვია იასამანი... ის არ ჰგავხარ, ძვირფასო,
ცოტას დავიცდი და ლექსოს პატარა ანის ვკითხავო...
სურნელებით და სინაზით, ია-სამ-ანი დაგარქვეს,
იქნება, სამშობლოსავით, – სამ მშობელს ერთად გამსგავსეს?..
ნეტავ ვინ გყავდა ნათლია... ვინ მოგიძებნა სახელი,
რომ შენი სიტურფისაგან სათქმელი მრჩება ამდენი...

## გვეზარება აღიარება

ხშირად ვემდურით ამა სოფლის უსამართლობას,
გვაღელვებს ჩვენი წარმატების დაგვიანება,
არადა, ღმერთი ისე ძერწავს თავის სამართალს,
მეტსაც გვაძლევს და... გვეზარება აღიარება...

## საქართველოზე ფიქრისას

ქართული მიწის თავსა და პირზე
გაუთავებელ დარდის მარცვლებად წვიმს...
ადიდებული მდინარის სვლას ვდევ,

მაგრამ როდემდე... ან, ვის შევჩივლო, ვის...
ვის გემზე უნდა ავზიდო ტვირთი,
თავისუფლების, ბედნიერების გზის,
გემის კაპიტანს ვეძებ სადარისს...
იქნებ მის თვალზეც ჩემსავით, ცრემლი წვიმს?..
სამ ათეულზე მეტი წელია,
ცხრა აპრილებად და დარდის მარცვლად,
სახლში თუ გარეთ, კითხვის ნიშნებად წვიმს...
შვილებმაც რომ არ ნახონ ტკივილი
გაურკვეველი და ცრემლიანი გზის, –
„ჯოს“ დაძახილში, მიტინგის ქარში,
ვეღარ გავიგე, ვის დავედევნო... ვის,–
არადა, დღემდე, ქართული მიწის
თავსა და პირზე... გადაუღებლად...
დარდის მარცვლებად წვიმს...

## თავისუფლად ვსუნთქავ მუდამ

თავისუფალ ადამიანს მეძახიან,
რადგან ყველა გარემოსა და სივრცეში
თავისუფლად ვსუნთქავ მუდამ...
და ეს მადლი... ეს წყალობა, –
არსებობის საზრისი და მიზანია!
იცი, როგორ მიხარია, რომ არ მყოფნის
სადღეისო სივრცეების გზა და კვალი,
მიხარია, – თავისუფალ კლდეს ჰგავხარო,–
ამასწინათ... განთიადის მზის ამოსვლას
რომ დაასწარ და მითხარი...
თავისუფალ ადამიანს მეძახიან,
რადგან ყველა გარემოსა და სივრცეში
თავისუფლად ვსუნთქავ მუდამ...

## შე დალოცვილო უფალო

შე დალოცვილო უფალო, რა დიდი მადლი გქონია,
ამქვეყნიური ძვირფასი აღარაფერი მგონია,
რისხვა მეგონა სიკვდილი, შიშის ცრემლები მადინე,
გარდაცვალება უწოდე,– სიკვდილი გამიადვილე,
ალთას და ბალთას მატარე, ღობეს და ყორეს მიმაგდე,
საამქვეყნოდაც ვივარგე, ათასი კარგი ვინატრე,
რამდენი ლოცვა მასწავლე, მიტევება და გალობა,
რამდენჯერ გამოიმეტე უღირსისათვის წყალობა...
ტანჯვა რომ იყო იმქვეყნად გარდაცვლილებთან შეხვედრა,
ვოცნებობ, რა ნეტარება და რა ზეიმი გვექნება...
სული შემომრჩა უცვლელი, ისიც შენივე წყალობით,
მშვიდად გამიშვი იმქვეყნად, ბრეთის დედების გალობით.
შე დალოცვილო უფალო, რა დიდი ძალა გქონია,
გარდაცვალების დარდიც კი აღარაფერი მგონია!..

## რასაც დათესავ

არა არს კაცი, რომ არა სცოდოს,
სინანულია ამის წამალი...
კეთილმოწყალე ღმერთი შეგინდობს,
თუ გზა ისწავლე მასთან სავალი
და თუ გაჭირდა უფალთან მისვლა,
სინანულისთვის ვეღარ მოიცლი,
ჩამოიხსენი ცოდვის ტვირთები,
სიკეთე სცადე, სული მოითქვი,
თორემ ამქვეყნად რასაც დათესავ,
შვილი და ძირი იმას მოიმკის!..

## გამოგონება

შენი ერთგული სიყვარულისთვის
ბავშვობის დღიდან რა არ ვიღონე,

ხელმოცარული აღარ დავბრუნდი,
ჩაგიფიქრე და გამოგიგონე...
მალე გამოჩნდი ფერიასავით,
ფრთებმოხატული მეფის ასული
და დავიწყების ქარმა წაშალა
ტკივილიანი, მძიმე წარსული...
ნეტავი, ღმერთო, ჩაფიქრებული
ყველა ოცნება ნებით ასრულდეს,
სიყვარულის და ბედნიერების
გამოგონება აღარ დაგვჭირდეს!..

## ყველას დედავ

გაცეცხლებულ სხივის წვერზე ვხარომ ჩვენი მაისის მზით,
კეთილსურნელ მირონს ვიყნოს საქართველოს ნათელი ცის,
მყუდრო თავშესაფარი ხარ აღელვებულ ცხოვრების ჟამს,
მომალბობელ წამლად იქეც ქვადქცეული, ტლუ გულისა,
ცდუნებისგან მუდამ მიხსნი... მონანულთა შემბრალე ხარ,
ისეთ ნავთსაყუდელს მიწყობ, სულს მიცხონებ მოყვარისად!
გულმოწყალე დედის სახეს თვალნათელი მზერით ვხედავ,
უშრეტელი სიბრძნის წყაროვ, მაცხოვრის და... ყველას დედავ!

## სიყვარული

ცხოვრებაში სიყვარული თურმე ერთხელ მოდის,
ჩვენი ნებით დავკარგავთ და, მერე ვიწყებთ ლოდინს,
უსახური პალიტრის მზით ვიფერადებთ გულებს,
რომ დამწვარი მზის სხივები დავაფაროთ წყლულებს.
ვეწაფებით ათასფერა გაზაფხულის სურნელს,
ვეხმარებით გამოგონილ სიყვარულის ბუდეს,
ავამღერებთ ჩვილ ყმაწვილებს, გადავიხდით ვალებს,
ოღონდ, ვისთვის, სად და რისთვის!
– ვეღარ ვარქმევთ სახელს.
თავს ვერ ვუყრით და გზას ვუბნევთ სანთელსა და საკმელს,

მიბნედილი გულის თვალი სხივებს აღარ გასცემს,
დამჭკნარ ხელში დავაბერებთ საოცნებო ლოდინს,
ცხოვრებაში სიყვარული რადგან ერთხელ მოდის...

## უფრო მთავარი

მე უკეთ ვიცი ჩემი ლექსების
სიდიდისა და სიმცირის ზღვარი,
ზოგში გულია გამოქსოვილი,
ზოგში ყინული, ან წყალი, ძმარი,
მაგრამ სხვა როგორ ხედავს ჩანაფიქრს,–
ჩემთვის ეს არის უფრო მთავარი!

## პირობითი და დროებითი

ამქვეყნად ყველაფერი პირობითია და დროებითი,
განსაკუთრებით, – გაჭირვება და დალხენა...
რამდენი ბნელი კაცი ვიცი, ყველა სიკეთე
აქვს, მაგრამ უკმაყოფილოდ აცეცებს
საცეცებს და სხვის ბედნიერებას ეშურება! ..
ბევრი გაჭირვებული იმედ-ნუგეშით ავსებს სახლსაც,
კარსაც, სხვასაც, – ყველაფრისთვის მადლიერია,
შეჰხარის ცხოვრებას, რადგანაც, იცის, რომ ამქვეყნად
ყველაფერი პირობითია და თანაც... დროებითი...

## გათენდა დილა

ბნელი სიზმრების რაობის არსი გულმაც გაიგო
და გულისგულმაც,
სულის ნაკაწრით გაღვიძებულმა გონებამ
ლექსი წაიჩურჩულა...
თავისუფლების ფიქრების ქარი შხაპუნა წვიმის
წვეთებად მაწვიმს...
ცრემლებად მალხინს... უძინარ სახის ფერსა და აზრებს

წვიმები არ სცვლის...
ლოცვის და ღმერთის დიდი მადლებით, ამინდი
ისე გამოიცვალა,
სიმშვიდის ფერი დაედო ღამეს და მეოცნებე,
თაფლისფერ თვალებს...
ისევ გათეთრდნენ შავი ღრუბლები...
ისევ ამღერდა ადამიანი...
ბაღში ბულბული აკვდება გამებს...
ალიონის მზით დავხურეთ ღამე
და როგორც იქნა, საოცნებო გათენდა დილა...

## მშვიდი ცხოვრება

საწუთისოფლო დრო და ჟამის ფერთა გამაში
ჟანგვა-აღდგენით ისე გავერთე, რომ გვარიანად
დავჟანგდი და... ფეხზე დადგომა ვეღარ შევძელი...
შურისგების და კეთილი საქმის მუგუზალებით
ცეცხლად დავენთე...დროს და სივრცეში დაჟანგებულმა,
წყლის ზედაპირზე ცურვის მაგიერ, ფსკერზე ვიტივტივე,
რომ ბეცი თვალებით და შიშით სავსე,
ქვიშაზე არავის ამოვეყვანე... ხახამშრალი და
თვალდამდგარი, მდუმარე თევზის მსგავსად...
ზოგჯერ ჟანგვისა და აღდგენისათვის, გულის სიღრმეში
ახლაც დარბიან მოლეკულები და სხვადასხვა ელემენტები,
მაგრამ თვითჟანგვას აღარასოდეს შევეგუები,
რადგანაც მხოლოდ თვითაღდგენაა და იმედი
ჩემი ცხოვრების წესი და რიგი,
რის წყალობითაც დავიბრუნე ცხოვრება მშვიდი!

## რამდენს ვფსალმუნობთ...

წყნეთში ნესტია შემოდგომისას,
რას ვეშურები ნესტიან წყნეთში?
ვგალობ და ვაშრობ მამულის ჰაერს

კელაპტრითა და სანთლებით ხელში,
ჩემი შვილების ნაფეხურს ვფერობ,
ჩამიქსოვია სული და გული,
ხმელი ფიქრების კიბეზე ვდგავარ,
ცაში საფრენად გამზადებული...
შემოსცვეთია ზაფხულს პერანგი,
გაძვირებულა ფასი მიტკლისა,
ალიონის მზეს დააქრეს სხივი,
შაშვი ბულბულობს მაინც ცისკრისას...
წყნეთში ნესტია შემოდგომისას,
ნეტავი სადღა არ არის ნესტი,
არარაობავ, ყველაფრისათვის
არარაობის კითხვებით გებრძვი.
სამარადისო გაკვეთილების
შესამოსელით დინჯად ვირთვები,
რამდენს ვფსალმუნობთ მე და ფიჭვები,
მაინც დარბიან კითხვისნიშნები...

## ახალგაზრდობას ვებღაუჭები

ახალგაზრდობის ჩამოცლილ წვეთებს
ვებღაუჭები ლომის თათებით
და საოცარი ბედით მავალი
ბებერ წყვდიადშიც დავიქარგები...
ეჰე, ბავშვობის ექოს წყურვილო,
წვიმად ნაღვარო სიტყვავ, წკაპუნავ,
დამცხრალი გული და გაზაფხული
ბავშვის ღიმილში გადაზღაპრულა.
გადაბარგულა უკვდავებაში,
რქაწითელ ფიქრად ამზევებულა,
მამული, რწმენა, ენა და ძლევა
ბებერ ძარღვებში გახევებულა...
ბერწი ქარების უიმედობას
შემოაფხვენით ვინმემ ნათელი,

ახალგაზრდობის დარჩენილ წვეთებს
დავცლი ძლიერი ლომის თათებით!

## კვლავ მამულს

ფირუზ-ლალად გადაფსკვნილო ქედებო და ველებო,
ცავ და მიწავ მადლიანო, ცისფერ-მწვანე ფერებო,
ლურჯთვალა ზღვავ, მოლიცლიცევ, ფიქრო ნაირფერებო,
საოცნებო, სანატრელო, ტრფობით მონაფერებო.
ფესვებო და წინაპართა ძვლებო ანათრთოლებო,
ადათ-წესო, ფარის მწყემსო, გენიოსო ქართველო,
უფლის მადლით ავსილო და გულით ანამღერებო,
გევედრები, მეტი ტრფობით ნუღარ გამახელებო!

## გადარჩენისთვის

ცალუღელობის ტვირთის სიმძიმით,
დედაკაცობის სიმწრით,
დავიარები საწუთროს ჩრდილში
და ლხინის დღეებს ვითვლი...
როცა ავდარი აჭარბებს მზიან,
კეთილშობილურ მიზნებს,
ცუდშიც კარგს ვეძებ და ტკივილების
საფუძველს ჩემში ვიკვლევ...
გადარჩენისთვის... დანარჩენისთვის,
გულს ვანუგეშებ სიტყვით
და ბედნიერი ცხოვრების თავქვეშ
მხოლოდ ტკბილ წუთებს ვითვლი!..

## საით მიფრინავთ

საით მიფრინავთ, მერცხლებო,
მეც წამიყვანოთ იქნება,
იცით, რამდენი ხანია,

ცის საფერ ძალებს ვიკრებავ,
გადამატარეთ მთა-ბარი,
ცას ამიხადეთ სარქველი,
მომანახინეთ უფალთან
ასი ათასი ქართველი,
სხვანიც მანახეთ წმინდანი,
მომაყრევინეთ მუხლები,
მეტანიები უთვლელი,
ცოდვიან ბაგით უთქმელით,
დედა ღვთის, სამების მადლით,
წმინდა ნინო და ბარბარე,
შუშანიკ, მეფე თამარი,
და ქეთევანი მანახეთ!
ლომი ბუნაგით იცნობა,
კაცი – საქმით და სახლითა,
სიკვდილი – უკვდავებით და
უფლის დიდების მადლითა!
თუ გამიღიმა ბედმა და
მიწა დავლანდე მაღლიდან,
უფალს შევხედავ... ღვთის ძალით
ამოვალ ყველა დარდიდან.
თანაც, მდაბლობით ნათქვამი
ზოგჯერ, მიწაზე ყრუვდება,
ხოლო ზეციდან ნამღერი
მზის სხივებივით ბრწყინდება,
ცად თუ მიდიხართ, მერცხლებო,
მეც წამიყვანოთ, იქნება...

## ერთი პატარა საფლავი

წვიმა მომინდა ნარნარი, თეთრფერა, ვერცხლისწყლიანი,
ქარი მომინდა, ჩემსავით აშარი, ოქროსფრთიანი...
ნაჟური წყალი მომნატრდა მენესოსა და დგნალისა,
თაყვანისცემა მომინდა ლომისისა და ჯვარისა!

როგორ მომწყურდი, კახეთო, შუამთის ნისლის დარდითა,
თელაველების სიმღერით, ალავერდობის მადლითა!
ცივ წყაროდ დაგეწაფები ველისციხელთა ნაბანო,
ჯვალოვ, სოფელში ნაგდებო, მწყემსის ბინაში ნახმარო,
გურჯაანო და ახტალის ტყეში თენებავ დილისა,
საბაწმინდურო სიზმარო, კარდენახელთა ძილისა.
თავს იკლავს ალაზნის ველი, – სიღნაღიდანაც მნახეთო...
ერთი პატარა საფლავი მანდ მომიძებნე, კახეთო!

## გლახაკები და დედოფლები

სიმდიდრის და სიღარიბის შეფარდებით
და პირობით ნოველებზე ხშირად ვწერდი,
რადგან ფულის მეპატრონე გლახაკებიც მინახავს და
სიღარიბის ჭაობიდან ამოსული დედოფლებიც!..

## ათივე თითს სანთლად აგინთებ

უფალო ღმერთო, მაცხოვარო და დედა ღვთისავ,
პატივმოყვარის სული იქნებ განაგდოთ ჩემგან,
დალეწეთ რქები, დაამსხვრიეთ ცოდვები ბნელი,
სული სიმდაბლის, მორჩილების მომმადლეთ ყველგან!
მხოლოდ შენნაირ დედობას გთხოვ, დედაო ღვთისავ,
ვერავინ შეძლო ბაგეთაგან ქება შენისა,
ქერუბიმთა და სერაფიმთაც უჭირთ სიმღერა,
ანგელოზური ენით მოთქმა შენი მშვენისა...
ღმერთმა განკაცნა ძე შენი და დარჩი სასწაულ
ქალწულებრივი დიდებით და შეუვალობით,
ჯვარზე გამსჭვალეს მაცხოვარი, მხოლოდშობილი,
არა გვესმოდა... ბრიყვულ ჟინში ურცხვად ვხარობდით
და დედის გულს თუ ეკენწლება ახლაც დარდები,
ისევ შენ გიხმობს, ტკივილიან დედას, საშველად,
თუ არა შვილის დიდი მადლი და სიყვარული, –
აბა, საიდან გვეტევება ცოდვა ამხელა?!

ცეცხლისფერ საყდარს როცა გულით მივეახლები,
შენ მიწყაროებ, დედა ღვთისავ, სიბრძნეს, დაუტევს,
უფლის შეწევნით, შენი ლოცვით, ხვალის ნათელით
სხვას თუ ვერ შევძლებ,– ათივე თითს სანთლად აგინთებ!

## კაცი განადიდე

დედოფლობის გვირგვინს თუ ისურვებ ოდეს,
მამაკაცის გამეფება პირველ მიზნად გქონდეს...
კაცი განადიდე... კაცი გაამეფე,
უთხარ, შენი ნეკნის ნაწილი ვარ მცირე,
ნეკნის ზიარობა ხშირად შეახსენე,
გაეკეკლუცე და გული აუმღერე...
კაცი გაამეფე... უერთგულე მუდამ,
შეუსრულე ზრახვა, თუკი რამე უნდა,
შენი დედოფლობაც მოვა თავისთავად
და ცხოვრების დღენი ნეტარებით გავა...
დედოფლობის გვირგვინს თუ ისურვებ ოდეს,
მამაკაცის გამეფება პირველ მიზნად გქონდეს...

## მარტივია ჩემი ლექსი

რთულს ჰგავს, მაგრამ მარტივია ჩემი ლექსი,
თუ მიაგენ გასასვლელი ბილიკების ხლართებს,
გარითმული ბრძოლის ველზე გაიჭრები
და შეიგრძნობ, – სამყაროსი არაფერი გმართებს...
რთულს ჰგავს... მაგრამ მარტივია ეს სამყაროც,
თავადაც ხომ უფლის ხატი დაგვერქვა და სახე,
ჩვენში ჩადო ყველაფერი უფალმა და
გონივრულად დავუკვირდეთ სიბნელეს და ნათელს...
რთულს ჰგავს... მაგრამ მარტივია ყოველი დღე,
სიკეთით და სიყვარულით თუ ვიმღერებთ ყველა,
განკითხვის და შურის ცეცხლს თუ დავამარცხებთ,
ერთსულოვან მღერით მტერი ვერ დაგვაკლებს ვერას!
რთულს ჰგავს... მაინც მარტივია ჩემი ლექსი...

## კინაღამ

მინდორი ქალის სურნელით ტკბებოდა
და ქალი – უზენაესის შემოქმედებით...
წამოდგა ქალი, გათელილ ბალახებს
გვერდები შეუსწორა და...
კინაღამ, ჭიანჭველას ფეხი დააბიჯა...

## მთებსაც გადავდგამ

პირველად ჩნდება საღირსო სიტყვა,
მერე მოჰყვება დიადი საქმე...
სიტყვის და საქმის ერთობლიობა
ადამიანის ბუნებას ავლენს!
სიტყვის საუფლო ძალის დიდებას
მამაჩემივით ვეთაყვანები,
რომ კეთილ-მართალ და სანდო სიტყვას
მუდამ გავუღო გულის კარები!
სიტყვისკაცობას ამას ეძახდნენ,
უაზრო სიტყვას არვინ იტყოდა,
დაგპირდებოდა, – შეასრულებდა,
და რთულ ცოხვრებას გვიადვილებდა...
წინაპართ ძვლები დღესაც გვიხმობენ,
რომ კითხვის ნიშნებს აღარ ვხედავდეთ,
ცრუ სამართალზე არავინ ბჭობდეს,
ნამდვილი სიტყვით საქმეს ვჭედავდეთ!
ცა-მოწმენდილზეც თუ რამ წამომცდა,
სანამ ცოცხალ ვარ, აღარ გადავთქვამ,
რადგანაც სიტყვას დიდი ძალა აქვს,
რწმენით თუ ვიტყვი, მთებსაც გადავდგამ!

## ძლივს გადავურჩი

დროსა და სივრცეს აერია გზა-კვალი ერთად,
ათასი ვინმე შევიცანი კინაღამ ღმერთად...
ბევრჯერ ვევედრე ჩემი ბედის გამობრწყინება,
მტრის და ბოროტის სამოყვროზე გადმობირება...
გზააბნეული დრო და სივრცე როცა გაყუჩდა,
ხეზე ჯდომაც კი არ ვიცოდი, მსუქან მწყერივით,
გამოვიტირე სიყვარული უფლის ხატის წინ,
დატირებაც კი ვერ ვისწავლე... რატომ, არ ვიცი...
დროსა და სივრცეს ერთხელ კიდევ აებნა კვალი,
ჩამოვიცრემლე... ავქვითინდი უგვანო, ურჩი,
ჯანსაღი თვალით შევიცანი ღვთის სამართალი,
მტრის ლუკმად ქცევას და სიმწარეს ძლივს გადავურჩი!

## უფალი და შვილი მაინც დაინახავს

ჩემთვის ღამეს ძილი აღარ გაემეტა
და წყალობა ალიონმა გამოიღო...
ნუშის კვირტზე ჩიტუნები ზეიმობდნენ,
სააპრილო და ნათელი დილა იყო...
ჟრიამული აეტეხათ შავფერ მერცხლებს,
ნისკარტ-ნისკარტ აგროვებდნენ დაბლა ტალახს,
შრომის ნაყოფს დაჰხაროდნენ და გალობდნენ,
ბუდის კედლებს აშენებდნენ სანდოდ, მყარად,
ბალახებით ათბობდნენ და ამშვენებდნენ,
მერცხლის ბარტყებს რომ ჰქონოდათ ფუძე-ჭერი,
სიყვარული, იმედი და ტკბილ-ნუგეში,
საიმედო ოჯახი და საფარველი...
და დედ-მამა ისეთ სითბოს ამკვიდრებდა,
საყვარელი მშობლების შვილს მაკვირვებდა...
მზეც ბრწყინავდა...და მშობლების ზრუნვას, ამაგს,
ჩემი, შენი იმისი...და, თუნდ მერცხლისა,–
სხვა თუ არა, უფალი და შვილი მაინც დაინახავს...

## როცა კარგად ხარ

როცა კარგად ხარ, საფიქრალი და საკითხავი
არაფერი გჭირს, რადგან სიტკბოზე მოსული
ჭიანჭველებივით გიმრავლდებიან
მლოცველები და მომკითხველები...
საკითხავი მაშინ ყოფილხარ, როცა გლახად ხარ
და მამაჩემის მევალეებივით რომ გეფანტებიან
ნაცნობი ადამიანები...

## ყველაფერი ისევ სულერთი

შემორკალულან მდუმარე მთები
და მტკვრის ხეობას ჩაუწითლეს ნამტირალევი
თვალები ისე, რომ თავდაყირა შემომდგარი
სიმართლის წლები, გარდასულ ჟამთა სახელებით
და პორტრეტებით ამოეფარნენ გაყინულ კარვებს...
ბოქლომდადებულ კარის წიგნით საკითხავია,
ვინა და როგორ გაართმევს თავს წლებსა და ჟამებს,
ბევრი შეაკლავს უაზროდ თავებს,
თუ გადარჩენის მეთოდებით მოუხმობს ძალებს,
გაცუდკაცებულს შეებრძოლოს ავყია ქარებს,
რომ სულელებმა გონიერთათვის
არ გახადონ ყველაფერი ისევ სულერთი!..

## რაც ვერა ვთქვი

მიყვარს შენი გაზაფხულის დღეთა ფურცვლა,
ივლისისთვის მოწოლილი სიცხის ჟამი,
შემოდგომის ზღვის ტალღებში ხეტიალი,
და მთის ბროლზე დაფენილი თოვლი, მდნარი,
დღის კენწერზე, სიოს ხმებით ნაფერები,
დედასავით, მზე კალთებს რომ აიღერებს,
ივრის ველზე აყლარწული განთიადი

ხოხბის ყელით საგალობელს დაიმღერებს!
მიყვარს შენი გაზაფხულის დღეთა სუნთქვა,
ზაფხულისას აფურცლილი სიცხის ჟამი,
შემოდგომის ზღვის ტალღების გადაკითხვა,
ზამთრის ყინვით მოხატული მინანქარი...
საქართველოს სადიდებლად, ალაზნის პირს
ეფერება ველისციხის მშვიდი ქარი,
მთიულეთის მომღერალი არწივის ხმით,
საქართველოვ, რაც ვერა ვთქვი, შენ მითხარი!..

## დედილო

შენზე ფიქრებმა გამტეხა წელში,
სიბერე ტირის ჭაღარა თმებში,
დამატარებდი და მახარებდი,
დამატარებდი მუცლად და ხელში...
მანებივრებდი, მაგულთბილებდი,
ლამის მარჩევდი ცასა და ღმერთში,
როგორ გნატრულობ... როგორ ვოცნებობ,
რომ ძველებურად დაგდევდე გვერდში!
სიყვარულისთვის დაგედო დამღა,
ჩვენზე ზრუნვაში გადაიღალე,
დარდმა დაიპყრო მტკივანი გული
და სიკვდილისკენ გადაიხარე...
როგორ გამტეხა ფიქრებმა წელში,
როგორ ატირდა სიბერე თმებში...
რას არ მივცემდი, რას არ მივცემდი,
დედილო, ისევ რომ მყავდე გვერდში!

## ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ერქვა ქვეყანა ვრცელი,
ძველი დიდების გასახსენებელს იმედიანად ვმღერი,
მიდით, ბიჭებო და იგალობეთ, შეაზანზარეთ ტაო,

ჰერეთში დასცხეთ „მუმლი მუხასა“ და მიაწვდინეთ ხმაო
ბებერ ხანძთას და ახლად დაკარგულ სამაჩაბლოთა შვილებს,
სოხუმში მძინარ ღირსეულ გმირებს, აფხაზ
ქართველთა ძირებს,
კალთადახეულ საქართველოსთვის ვინც უფალს
გვერდით უდგას,
ვინც ივერთ გულის გადასარჩენად, მამულისათვის სუნთქავს,
ვინც ხევის მთიდან ამოიზარდა სნოს,
სტეფანწმინდის ჰანგზე,
ვისაც უფალი, ერი, მამული არ გაუცვლია სხვაზე...
მადლობა ღმერთო, რომ უწმინდესის და ჩვენს
იმედად გვყავხარ,
ივერთა მხარევ, ქართველო ჩემო, კვლავ რომ
იმედით დგახართ!
რა ხარ ასეთი, საქართველოო, ღვთისმშობლის წილო მიწავ,
რომ შენს საფლავებს და ადათ-წესებს გამეხებული ვიცავთ,
რომ თავგანწირვით და სიყვარულით თითო გოჯ მიწას ვიცავთ
და კვლავ დავიცავთ, და კვლავ დავიცავთ, ვფიცავ,
ვფიცავ და ვფიცავ!

## ბეღურები– მზეს

ზამთრის წლები ისერიგად შემესია,
ვით ფუტკარი ატმის რტოებს, აპრილიან დღეს...
ისე ძლიერ ვეფიცხები შენს სიყვარულს,
როგორც დიდი წვიმის შემდეგ, ბეღურები – მზეს!

## არაგვს

ნეტავი, საიდან იყრი, არაგვის წყალო, სათავეს,
იმ ბუდის უნახაობის ფიქრებით ლამის გავთავდე...
მოათამაშებ ნაპირებს, ქალივით იგრეხ წელსაო,
შეშლილ ვარ შენი შემყურე... ვაგლახ ვითენებ დღესაო!
იქნება შენი ცხოვრება ზოგიერთისას ჰგავსაო,–

ვერ შეეგუე სიმშვიდეს და მტკვარში იხრჩობ თავსაო...
მტკვარი დადუმდა, გიკედლებს... ეთაყვანება ჯვარსაო
და სვეტიცხოველს აუწყებს, – შემოგევლებით თავსაო...
არაგვო, შენი ჯანსაღი ტალღებით ხარობს მტკვარიო,
შენც მისი ნაწილი გქვია, მიტომ აგიბი მხარიო
და როცა ვერა გნახულობ, ნატვრის ჟინს ვიკლავ მტკვარზეო,
მთის მონატრების ცეცხლს ვაქრობ ბარში
მონადენ წყალზეო...
ნეტავი, საიდან იყრი, არაგვის წყალო, სათავეს,
იმ ბუდის უნახაობის დარდებით ლამის გავთავდე...

## იმედის წვეთი

„მრავალჟამიერს“ ძველებურად თუ ვერ მღერიხარ,
თუ უსიამო, ან უსახურ ამბებს ელი... და
იმედის ბოლო წვეთიც თუკი გაქრა ხელიდან,–
სევდამორეულ გონებაზე ბევრი იფიქრე...
არ დაანებო თავისუფალ ნებას შენი მზე,
თავისუფლება და იმედი აროს დაკარგო,
რადგან საკვები და საზრდოა შენთვის, იმედი,
გახსოვდეს, სამყაროსგან რამდენ ნეტარს იღებდი!..
უიმედობა არის კაცის უცხო სიკვდილი,
სულის შიმშილი, საშინელი და ბრმა სირცხვილი...
„მრავალჟამიერს“ ძველებურად თუ ვერ მღერიხარ,
იმედის წვეთი არ გაუშვა, მაინც, ხელიდან!..

## ფრენა მასწავლე

ცაო, გახსენი ლურჯი თვალები
და ჩამახედე მაგ შენს გუგებში,
შენს იქით სუფევს დიდი მეუფე,
ღმერთს ჩავუვარდე, მინდა, მუხლებში!
გემუდარები, გახსენი თვალი,
ვიცი, შენს იქით მამა ღმერთია,

გადამახედე მის სამყაროში,
სავედრებელი დამრჩა ერთია:
მარადისობის წამი, უებრო
გადამიცვალოს იქნებ საათით,
საწუთისოფლო კიბის საფეხურს
ამომაყოლოს ბავშვის ტაატით!
ფრენა მასწავლოს!.. ხანდახან მაინც
ჩემი ბუდიდან ამოვშავდები,
მასთან გავიფრენ, ვისაც ყოველთვის
ვესურვილები... გავუხარდები!
ფრენა მასწავლე და, მცირედ მღერა...
სწავლა ყოველთვის სანატრელია,
შენზე ოცნებაც მასწავლე, ღმერთო,
შენს იქით სხვა გზა არ დამრჩენია!

## ნათელ დღეში როცა ვბნელობ

როცა ბაღში მაისის კვირტს აენთება ცეცხლი,
ნათელი დღე იკაზმება ოქროთი და ვერცხლით,
თეთრი ღრუბლის ხალიჩები ეფინება ზეცას,
ბნელი ღამის მოსვლას ვუხმობთ საიდუმლო კერპად...
ვეტრფით ღამის გაგრძელებას, საათებად დაშლილს,
დროს და წამის შემოპარვას არაფრად რომ არ ვთვლით,
ღრუბელივით შეასკდება სხვისი ფიქრი – შენსას,
წყლულს დაგიტოვს...ხან სიხარულს... გაექცევი ვერსად!
მარადიულს თუ დროებითს ჟამი გვიტოვს უთქმელს,
მერე გვიკვირს, – ჭირვეული სული რამდენს უძლებს...
და ეს პაწაწინა გულიც რამდენ ტკივილს იტანს,
ოცნებების ნამსხვრევს მიკრეფს... მანუგეშებს, მიცავს...
ნათელ დღეში როცა ვბნელობ, აქაც გული მწყალობს,
ნეტარების ღრუბლებს ვუცქერ და იმედით ვგალობ!

## დიდი ხის ჩრდილქვეშ

ნუ იამაყებ წინაპართა გვარიშვილობით,
მშობლების ჩრდილშიც არ მოძებნო ადვილი გზები...
შენით იშრომე, იბრძოლე და იწვალე, თორემ
დიდი ხის ჩრდილქვეშ მასზე დიდი ვერ გაიზრდები!

## გარეჯელთა სამფლობელოდან

რა ახლოსა ვარ, უფალო, შენთან,
წვიმასთან ერთად ქარიც ღიღინებს,
მოვალ, მოგიტან მადლობის წერილს,
ღრუბელი ფიქრებს დამიგვირისტებს.
მეჯახებიან შუბლზე ნისლები,
ერთი მათგანი ღაწვებს მიწითლებს
და უკვირს ჩემი ბავშვის სიწითლე,
ვიწრო ბილიკზე გავლას მითითებს...
როგორც ყოველთვის, აქაც მასწრებენ,
თავზე დამატყდნენ ღრუბლის ქულები,
თეთრი ნისლების თავსაბურავით
ცის კიდევ, მგონი დაიხურები!..
მაინც მოვდივარ! ახლოს ვარ შენთან,
ხელით მოვწვდები ფესვებს სამოსლის,
ჩამოვიტოვე ნისლი ბილიკზე,
გახელდა ფიქრი შენთან წამოსვლის!
ცოტაც, და... შენთან ვიქნები, ღმერთო,
მადლობის ძღვენით მოვრთავ ბილიკებს
და გარეჯელთა სამფლობელოდან
ნისლები ლექსებს დამიგვირისტებს...

## კაცი ამშვენებს სახელსო

უბრალო ქუდით დადიხარ, ჩემო ძვირფასო ბატონო,
სულის და ხორცის ზეობით ზეკაცთა ნიჭის პატრონო,

უბრალო სიტყვით ადიდებ კაცს, დიდებულს და გვარიანს,
მლიქვნელობას და სისუსტეს ამიტომ არ გაბრალიან...
სანაცვლოდ, ერთობ მარტივი ადამიანი რომ გაქებს,
ძვირფასი სიტყვის კონებით აგავსებს ლამის ყელამდე,
თავს წარმოაჩენს და უცხო სიტყვებს დაეძებს, ახალსო,
რომ თვისი უგუნურება ძვირი სიტყვებით დაფაროს...
არა ამაღლდე, თუ გინდა, მდაბალი არა გნახონო,
მიტომ დადიხარ უბრალოდ, სანთლად გიბრწყინავს სახეო...
ვაი, იმისი ბრალიო, ვინც სხვას ტყუილად აქებსო,
სახელით არვინ ფასდება, კაცი ამშვენებს სახელსო!

## შვილს და შვილობილს

ტანშემართული სხედან ბიჭები,
თვალთამზერებით მითბობენ კერას,
სიყვარულისგან დადუმებული
კრძალვით შევცქერი ბესოს და ლევანს.
დედის წიგნისთვის ისე შრომებენ,
ამქვეყნად თითქოს ამჩნევენ ვერას...
რა იქნებოდა, ორი ვაჟკაცი
ეჩუქებინა ჩემს ბედისმწერალს?!

## სამყაროს კეთილი ნება

მეტაფიზიკურ, ფსიქოლოგიურ განგაშის ზარებს
როცა ატეხენ, თავს დამატეხენ ფიქრები რისხვას,
წამი რომ გავა წამების დღიდან... არაფრიდან რომ
არარა მინდა... ისევ წამს ვითვლი გათენებიდან,–
ავი თვალისგან თავისუფალი ვნახო სამყარო!
წამიც გავიდა... თავისუფლების ვიხილავ ზეცას
და მუხლმოყრილი კვლავ ვევედრები სამებას, ერთარსს!
მეტაფიზიკურ, ფსიქოლოგიურ განგაშის ზარებს
როცა ატეხენ, ვერ დამატეხენ ფიქრები რისხვას,
რადგან სამყაროს კეთილი ნება მუდამ დამიცავს!

## სატრფიალო

ცისკარი გიდგას თვალებში,
დაუღამები დღისაო,
ცეცხლის ვნებების დამწველი
და წყარო ნუგეშისაო.
დარდზე სიხარულს მანიჭებ,
სნეულს სწრაფადა კურნავო,
ფიქრი ხარ სიუხვისაო,
სიმღერა, კეთილ დღისაო...
ყვითელთვალება მთვარე ხარ
ბნელში ნათელი გზისაო,
გაცისკრებული დილა ხარ
ამ ჩემი ცხოვრებისაო,–
დამილოცნიხარ, რადგანაც
სიცოცხლე შენით ღირსაო!

## აღდგომას მაინც

სირცხვილისაგან, უფალო, გულით ვერ დამიმღერია,
მუხლები გადამიტყავდა, სული ვერ დამიწმენდია,
სისხლი, თუნდ ჯანსაღი სისხლით არასდროს დაიბანება,
მას თვალი უნდა სპეტაკი, სინდისი – ვერცხლისდარება!
გულიც ვერ გავისპეტაკე... ვერა ვშლი ჩემსა სადარად,
სულსაც ზიანი დაეტყო, ამიქრელ-განდა ათასფრად...
ვეღარც მტრისთვინა ვლოცულობ...
დარდიც მომქარბდა, ტიალი...
აღდგომას მაინც გამხადე, უფალო, შენი ზიარი...

## ჩვენი წვის ჟამი

დადუმებული ვდგავარ ტაძართან
და ცოდვის დიდი მდინარე მახრჩობს,
გაყინულ გულს და შიშისფერ თვალებს

სანთლის ალების ზეიმი ათრობს
და გავაგრძელე ნაბიჯი ღვთისკენ,
ნეტარ ვეახელ მონასტერს ცისფერს!
შევძელი ყოველ მნათობი სანთლის
ცოდვის ხელებით მი-მოახლება,
უფლის წინაშე ქედის მოდრეკა
სულის სინაზემ შემაძლებინა...
სანთელი იწვის, დნება და ქრება,
ვით ჟამთა ავი დღეები სოფლის,
ადრე თუ გვიან, ყველას მოგვიწევს
ჩვენი წვის ჟამი ამქვეყნად ყოფნის...

## დრო და ახალგაზრდობა

სიბერისა და ახალგაზრდობის
ფართო მიჯნაზე კრძალვით მღერიან,
ლხენის და მწუხრის დიდი ნოველით
დრო ყველაფერზე უძლეველია!..
დრო გვასაზრდოებს, კიდეც გვამშვენებს,
სახელს უწოდებს ფესვსა და ღერებს,
აგვიყვავილებს ვარდებს და ტიტებს,
გარდაცვალების მოჟამულ დღეებს...
დარბაისლობით და აღმაფრენით
დრო ზოგჯერ შფოთავს, ნაპერწკლებს ისვრის,
ზოგჯერ განაბავს ზურმუხტა თვალებს,
მოლოდინის და ტკივილის შიშით.
ზოგჯერ სიცოცხლე იმგვარად ქრება,
სამადლობელიც სათქმელი გვრჩება
და მაინც, დრო და ახალგაზრდობა
სიბერის ჟამზე ყოველდღე ტკბება!

## მადლიანი დილა

ამოაცისკრა უფალმა დილა,
კალთა და უბე ლხენით აივსო,
ილხინე გულო და დედის მზერავ,
გათენებულო, თბილო მაისო!
ხეთა ტოტებში შემოჭრილ სხივებს
თვალებს ვუსწორებ მადლიან მზერით,
თურმეობითით ვწარამარაობ
და თურმე დღეებს გავდივარ ლხენით...
თან მოწამეთა საფარველს ვუმზერ,
სულის სამოსლის დასათბუნებლად,
სიცოცხლის, კეთილგადმომდინარის
მოსაფერად და ასამღერებლად...
ამოაცისკრა უფალმა დილა,
და შეგვიწყნარა მართვეებივით,
ჟამის მარცვალი გვიკურთხა ყველას,
ავისმზრახველი დაგვაკლებს ვერას!

## ზამთარს დანებებული შემოდგომისას

გაწითლებულა ტყის პირები წყნეთის თავებთან,
ვნებააშლილი შემოდგომა ზამთარს დანებდა,
თან მოემზადა შესახვედრად მეფე ქარებთან
და საბუდარი მოიძია ბედის კარებთან...
რა მორჩილებით ასრულებენ ბუნების კანონს,
წლის ყოველი დრო დროულად რომ დაიბადება,
ბუნების ერთგულ საწნეხელში ჩაიწურება,
დროის და სივრცის საქვაბეში მოიხარშება...
როცა დადგება წამი სულის გასაყარისა,
მოგიყვებიან ზღაპრებს კაცის, აღმავალისას,
არარაობაც დაიბრმავებს მზერას თვალისას...
დრო და სივრცე ქმნის კაცის სახელს, წასვლის ჟამისას!
ახლაც გაწითლდა ტყის პირები წყნეთის თავებთან,

ვიღაცის აზრით, შემოდგომა ზამთარს დანებდა,
სინამდვილეში, ჩაიმუხლა, – ჯერ ადრეაო...
და მოემზადა საბრძოლველად მეფე ქარებთან...

## რად მიყვარხარ

დღეს თბილისში მშვენიერი ამინდია,
სიყვარულის მაინც ვერა გამიგია...
დაფიქრებულ თოვლის ფიფქებს ვეხმარები,
დედამიწის გზები ერთად აგვერია...
თეთრი ფიფქი ბაგეებზე შემომევლო,
მერე ხელში შემაკვდა და შემომადნა,
წყლადქცეულმა, არარა დრომ, დროებითმა,
მარადიულ საფიქრალებს მაზიარა...
საოცნებო სამყაროს გზას ვახმიანებ,
მდუმარებით რომ აყრუებს არე-მარეს,
მაწვიმს, მათოვს, თუ ოქროს მზეს ვეფიცხები,
ერთგულებას თავს ყოველთვის ვანაცვალებ!
ყველაფერი ითოვლება, კიდეც წვიმს და
სასწაულის ვერაფერი გამიგია...
სიხარულის, სიყვარულის აღმაფრენამ
ცა და მიწა – ყველა ერთად გადაგვრია!
ჩემდა ბედად, თუ ავბედად, მაგ თვალებმა
ძველებურად, ისევ თავგზა ამიბნია,
დღეს თბილისში დიდებული ამინდია,
რად მიყვარხარ, – მაინც ვერა გამიგია!..

## თუ ჭკვიანი ხარ

თუ ჭკვიანი ხარ, ხანდახან მოისულელე თავიო,
რომ ბოროტების ავდარით არ შეგეცვალოს დარიო,
რომ არ დაგაქრან ფრთები და არ ჩამოგტეხონ მხარიო,
არ შეგილახონ სახელი... არ დაგიშრიტონ წყალიო,
არ შეგაძულონ მოყვარე და ზოგჯერ, შენი თავიო!..

ღვთის ნებით, უნდა გადარჩე! ცოტაც დაყავი ხანიო,
ამოახშირე სიბნელე, რწმენით შეხედე ალიონს,
მოისულელე თავი და... ვაი, ბრიყვების ბრალიო!

## უკეთესი ქვეყანა მინდა

ერთი პატარა გაღიმება და... ასე გვგონია,
მთელი სამყარო საჩუქრად გვიძღვნეს...
ოღონდაც, ხელს ნუ გავიწვდით სხვისკენ...
მით უმეტეს, თუ... ვერას შევწვდებით...
თვალით რომ ვნახავთ, გულით აღვიქვამთ
და საიდუმლოდ შევინახავთ აფროდიტეს
სიუხვის ცრემლებს... მკერდზე გადაღვრილს...
დღეს ჩვენს ნებაზე სულ არ არის ყოფნა ადვილი,
თეორიული თავისუფლებით, შედარებითით
დაღლილი ხალხი დღემდე მღერის იმ ძველ
სიმღერას, – მგონი ეს სჯობსო...იქნებ ის ღირდა...
მე უფრო ვრცელი, უფრო ჯანმრთელი,
უკეთესი და თავისუფალი ქვეყანა მინდა!

## არაფერი რაც გეგონა

არაფრიდან ყველაფრისკენ გზაა დიდზე დიდი,
მოუსვენარ შრომას მწუხრობ, ჟამი გინდა მშვიდი
და თუ ერთხელ, ყველაფერი არაფრისკენ წავა,
გაქენებულ დროს ვერ ხედნავ, აღმა-დაღმა მავალს,
ჟამის დღეთა ტკივილები დაეტყობა ნერგებს,
ასჯერ მკვდარი გაცოცხლდები, გულით დაიმღერებ...
სიყვარულის ოცნებების უსასრულო ქარში
დამთავრდება სანეტარო წუთისოფლის არსი...
ყველაფერი რომ დაარქვი, უაზრო გზით გაქრა,
არაფერი რაც გეგონა, – ყველაფერი გახდა!..

## ყველას დრო მოვა

მზის სხივმა ალიანდაგა
კუთხე-კუნჭული მიწისო,
ამ დალოცვილმა ბუნებამ
რა კარგი ხატვა იცისო!
ამოიშალნენ ვარდები,
პომადა ჰქონდათ ყურამდე,
ღია საკინძე, ვნებები
აწყვეტილები გულამდე.
იპრანჭებოდნენ, ქარისგან
ვითომდა დაზნექილები,
ყელს უღერებდნენ ბულბულებს,
ტრფობისგან ალეწილები.
ამოირჩია ბულბულმა
ერთი, სულ თვალებკვარკვარა...
შურმა ქვეყანა შეჭამა,
ვარდების ჯერი დამდგარა!
მდარედ დადუმდა სამყარო,
ბოღმას სუნი სდის მიწისო,
ამპარტავნება ყვირისო,
შურმა დუმილი იცისო!..
მზე კვლავაც ალიანდაგებს
მიწის კუთხეს და კუნჭულსო,
ლეიბსა კერავს თუ საბანს,
მხოლოდ უფალმა იცისო...
ვაი, მის თავსა და ბრალსა,
ვინც ერთი არა იცისო, –
დრო გადასულა ფიცისო!
ყველას დრო მოვა მიწისო!

## მოდა ის არის, რაც გამშვენებს

მოდა ის არის, რაც გამშვენებს და გიხდებაო,
–ასე მმოძღვრავდნენ...
დღეს, ჭკუის მსწავლელი სრულად ქვეყანა ყიჟინს
ვერ ფარავს, –
მოაშორეო ბიჟუტერია მაგ სტრიქონებს!.. და აღარ ვიცი,
დალალებივით დავარცხნილ რითმებს რით გადავირჩენ...
თუმცა, ჩავერთე ვითომ მრგვალი და
თანამედროვე დედამიწის
ზანტად ბრუნვაში... ამყოლს ავდევ და... ჩამყოლს ჩავყვები...
თავშესაცნობად, ახალგაზრდები არ მახედებენ,
თუნდ მრუდ სარკეში,
რომ ზოგჯერ მაინც ჩავულეწო ცხვირ-პირი სარკეს,
ჩემი რითმებით!
და...ვიკვებები თინეიჯერის თვალითა და მოდურ სიტყვებით...
თუკი, ოდესმე, სიბერეს, მე და გულვნებიან ახალგაზრდობას,
ვერლიბრთან ერთად, ჩახუტებულებს დაგვინახავენ,
 იქნებ დამგესლონ...
მაგრამ არ ვჩივი, რადგან სიკეთეც არ დაილევა ამ შავმიწა
წუთისოფელში... ჰოდა, მადლიანს გამაგონებს ვინმე კახურად,
ან – სწორქართულად! მეც, მოგუდული ბანით შევძრავ
სრულად სამყაროს,
რომ შური, მტრობა და განკითხვის საშიში სენი
ყველამ იკმაროს!..
მოდა ის არის, რაც გამშვენებს და გიხდებაო,
– ასე მასწავლეს...

## ქარიც ჩემსავით გადარეულა

ქარი არხევდა გიშრის ოცნებებს
და ბორცვის პირას იმედს ქარგავდა,
ჭაობისფერი ნაძვის ჩრდილებში
ორი ბეღურა თავებს კარგავდა...

ალვა ფესვებით გადარყეულა,
ღობე ყორესთან გადარღვეულა
და ქარიშხალთან ღამენათევი
ქარი ჩემს მკლავზე გადარეულა...
მერე ბაგეს და თვალებს დააკვდა,
ვარსკვლავა ღამე არც განძრეულა,
მთვარეს ღრუბლების ფარაჯა ეცვა,
ცა მნათობებად გადაქცეულა...
უცებ გაცისკრდა...იცინის მთვარე,
ღამე დღესავით განათებულა...
ლექსებს ბოდავდა ქარიც ჩემსავით...
ქარიც ჩემსავით გადარეულა!..

## მთაში წავიდეთ

მთაში წავიდეთ, იქ ველოდოთ ცისკრის განთიადს,
არაგვის წყალზე სიყვარულის ცეცხლი ანთია,
ნისლის ფარჩებით მებადურის მზერას დაგიფენ,
თუ გამექცევი, აბრეშუმის ბადით დაგიჭერ...
სული გამითბე ცისარტყელის შვიდფერი ჰანგით,
როცა არაგვი ღრუბლის ქუხილს დაედევნება,
წამოვეშველოთ მთიულური კაფიით ბანებს,
ჟიპიტაურით ვნების ცეცხლი გაიოლდება...
სინდისის თვალი დაბრმავდება და გახევდება,
შავი ღრუბლების გვერდით თუკი თავი დავკარგე,
დედამიწაზე ცეცხლის ალი გამიელვარე,
გადამშალე და... ვარსკვლავების ჭორად დამხატე,
რომ სამაისო, ვარდისფერი ატმის კვირტებზე
ცოდვის ზამთარმა გამოიშროს ყინვის თვალები...
თუ უპასუხოდ დამიტოვებ ერთგულ სიყვარულს,
სინანულისთვის მაინც ნუღარ დაგენანები...
მთაში წავიდეთ, იქ ველოდოთ ცისკრის განთიადს,
არაგვის წყალზე უფრო დიდი ცეცხლი ანთია...

## ფიქრის გორაზე

საგაზაფხულო ფიქრის გორაზე
ოცნების ბაღი ძლივსღა მოჩანდა
და მოლოდინით დაქანცულ გზაზე
ცრემლის მაგიერ წვიმა მოთქვამდა...
გადავუშალე წვეთად სურვილი,
ზედ მივაყოლე მკერდი შიშველად,
გულის ტკივილის წამლობა ვთხოვე,
შენ თავთან მედექ და... ვერ მიშველა...
გაქირდა შენი სახების დახსნა
დადარდებული გულის ნაპირზე,
გამზევებული წარსულის კვალით,
ღმერთო, რამდენჯერ უნდა ავტირდე?!
უცებ წახვედი... სიკვდილად გაქრი...
ვერ გადავურჩით მკაცრ ბედისწერას,
შენ გაზაფხულად დამამახსოვრდი,
მე ბილიკს მივდევ, უნაბისფერას...
გამარჯვებული მაინც შენა ხარ,
გულზე დღედაღამ სანთლად მენთები
და ცოდვიანი სამძიმრის დღეზე
ქირისუფალი დღესაც მე ვრჩები!..

## გაზრდა თუ გინდა

უწიგნურს წიგნს ნუ აჩუქებ,
უღმერთოს – ხატს და სანთელსა,
თავბედს გაგიხდის საწყევარს,
მზეს დაგიბნელებს ნათელსა.
შეგრაცხავს დედის გინებით
და თავის სახელს დაგარქმევს,
პასუხს თუ გასცემ საღირსოს,
უარეს აუგს გაკადრებს...
უგონო კაცი, გონიერს

რომ ვერ მისწვდება გონითა,
თავს ესხმის, კბილსაც გამოჰკრავს
ბილწი ენით და ჭორითა.
ჭკვიანი, თავის სიმდაბლით
ვითომ ვერ უგებს ზრახვასა...
მატლივით ცოცავს უგონო,
ედება ალთა-ბალთასა...
მდაბალი, თავისზე კარგებს
მუდამ ჩრდილებში მალავსო...
გაზრდა თუ გინდა, გახსოვდეს,
ემოყვრე შენზე მაღალსო!

## ჩემს უფლებებს მოვითხოვ

გზაჯვარედინზე ვდგავარ თავდახრით,
გზის პირას... მწვანე ოცნების კალთით...
თავის შეცნობის სურვილით მძლავრით,
თავისუფლების მოთხოვნით, კრძალვით...
სიკეთისა და მშვენიერების
გამოზომილი სურვილის არსით,
ამაღლებული ცხოვრების წესით,
სიყვარულით და საუფლო მრწამსით...
ასი ათასჯერ მატკინა გული
გზაჯვარედინზე თავდახრით დგომამ,
მაგრამ შეცნობა ვისწავლე თავის
და ჩემს უფლებებს მოვითხოვ ყველგან!

## სოფელო, მუდამ გენაცვალები

ავისვეტე და... ავისურვილე
სოფლის წარსულით თვალის გახელა,
დაგალავებულ ბატების წყებას
იხვების რაზმი მისდევს რამხელა...
ყივის მამალი, ბღავის ძროხა და

გამოიცისკრა მადლი დილისო,
მზედ დასცემია ატმის ღიმილი
დედის და ბებოს კეთილ ღიმილსო!
მამის თვალების მზერა დიდგულობს –
პირგაბადრული მთვარის სადარი,
ჩემი ეზოს და სახლისმაგვარი
ამქვეყნად, მგონი არსად არ არის.
ურმის ჭრიალის სუნი მომინდა,
მწვანე სხეული კლანჭა-დანდურის,
შაირი მინდა კახეთს ნაჭედი,
მადლით ავსილი კვნესა ფანდურის...
გაცივ-სისხლდარდა თითქოს ქვეყანა,
ღალატის გემო იწყევლის გამჩენს,
გაყალბებული პატიოსნება
ჩემი მამულის წეს-ჩვევებს ანგრევს!
გაასავსავა ცოდვამ თვალები,
ქალაქს ეჭვების დღენი დაატყო,
დაცლილი სოფლის გამრჯე გლეხობამ
ბარაქის კვალი სადღაც გააქრო...
ავისვეტე და... ავისურვილე
სოფლის წარსულში თვალის გახელა,
მონატრების და უშენოდ ყოფნის
ტკივილები მკლავს, თურმე რამხელა!..
ტალახში ბრწყინავ ოქროდ მეგულვი,
ქვეყნის ბალავარს გენაზ-მთვარები,
სოფელო, შენი ღიმით ვდიდგულობ,
სოფელო, მუდამ გენაცვალები!

## მართალი სიტყვა

გასანთლულ ძაფზე მეჭიდება მართალი სიტყვა,
რაც არ ვყოფილვარ, არასოდეს დამირქმევია,
შვიდი თუ არა, საკუთარი ვაჟიშვილების,
ერთი აკვანი ხომ გულდაგულ დამირწევია!

თუ ვერ ავაგე მამაჩემის ციხე-კოშკები,
ავი ქალობით არც ქვეყანა დამიქცევია...
მადლობა, ღმერთო, სულს რომ მივსებ კეთილი ზრახვით
და გუშინდლიდან აქამდე რომ მომიღწევია!

## დროს უდროობა ვერაფერს აკლებს

დროს უდროობა არაფერს აკლებს,
გზას სიარული არ დაღლის ჩვენი,
ამასობაში გარბის საწუთრო,
მისდევს ნანატრი წუთისოფელიც...
მივდევთ ფეხდაფეხ... ვუთმენთ ცრუ-მავნეს,
თევზივით, ხშირად, მდუმარედ ვცურავთ
მდინარეებში... ოკეანეშიც...
ზოგჯერ, დროს, დუმილისათვის ვძულვართ...
მაინც ვარსებობთ... ვხატავთ მომავლის
დღეთა ნათელ და ნანატრ ოცნებას...
ალმასით ვჭედავთ ლურჯი ცის თაღებს,
გულებს ვაერთებთ, ზოგჯერ, თავნებას...
დროს უდროობა ვერაფერს აკლებს,
გზას სიარული არასდროს დაღლის...
ჩვენც დავაბიჯებთ... და კიდეც ვიბრძვით
თავისუფლების ოცნების ძალით!

## შენად რომ მთვლიდი

სადღაც, გვირაბში შემიტყუა შენმა ზმანებამ,
საშემოდგომო პეპლებს იქვე დაუდგათ რიგი,
გაყინულ სახეს ვერ ათბობდნენ შენი თითები
და ცოდვებისგან გასქელებულ მტვერს ნაზად ვშლიდი...
მიმოდიოდნენ მწვანე ფიქრით გადავსებული,
იმედებისგან დაკარგული მკვდარი ქარები,
რისთვის მოვდივართ, თუ ვერ ვასწრებთ წასვლის სამზადისს,
თუკი სიკეთით არც არავის დავედარებით?!

გამოიხედეთ, როგორ ფეთქავს პირი მიწისა
და რას დაგვტირის შებოლილი ზეცის სამყარო,
გულს გადავხედოთ და წარსულის ცოდვა ვიკმაროთ,
სინანულის და ცხონების გზა სხვასაც ვასწავლოთ...
გასაჭირის დღე დასდგომიათ ფიქრებს კარებთან,
საგაზაფხულო პეპლებსაც კვლავ დაუდგათ რიგი...
ვინ იცის, ცოდვით გადაპენტილ საწუთროს კიბეს
მიტომ ჩაუტყდა საფეხური, შენად რომ მთვლიდი...

## უსახელო პლანეტებიც გვისმენს

მოცაფერდა ზამთრისპირა ზეცის შუბლზე
ჩაუმქრალი მზის ნათელი თვალისაო,–
არც ცისფერა, არც დისფერა, არც დედისა,
თვალის ფერი არც ჩემი და არც სხვისაო...
დაუშინეს სეტყვამ ქვა და მიწამ – შური...
ჩაუმქრალ მზეს არ დაეტყო წყენა, წყლული,
მოცაფერდა მზის სამყარო, აინთო და
აკაშკაშდა, გადაბრწყინდა, თანაც ისე,
რომ ზეცის და დედამიწის სიყვარულით
უსახელო პლანეტებიც დგას და გვისმენს...

## სატრფიალო

სიხარულის ცრემლის ცვარო,
რა ლამაზი ქალი ხარო, –
შენი სიყვარულითა და ლხენით ვხარობ.
ულეველო ლხენის წვეთო,
საქალეთში ერთადერთო, –
ლამის არის, უფალივით გაგაღმერთო...
საფიქრალო დარდის ღვარო,
უკვდავების ლხენის წყარო, –
სულს მიმშვიდებ, ჩემი ანგელოზი ხარო!
სიხარულის ცრემლის ცვარო,

ია-ვარდის დილის ნამო,
სიყვარულის ნამცეცების წვიმა ხარო...
შენი სიყვარულითა და ლხენით ვხარობ...

## რწმენა რომის ასისთავისა

როგორც ყოველთვის, დღესაც ისევ დავაგვიანე,
და როგორც გუშინ, რა ვქნა, ახლაც ვერ ვაღიარე,
ჩამოიზამთრა დასაწველი კალთები გულმა,
დაგვიანება და ალერსი ქალს მუდამ სჭირდა...
ვერ ვიმსახურებ! ვის რა ვთხოვო... დავაგვიანე,
გათენებამდე თუმცა რჩება რაღაც წუთები,
ქარს გადავუთვლი წუთისოფლის ქირას რითმებით,
დროულად მოსვლას, რა ვქნა, ჩემო ვერ დაგპირდები!
მაინც წამოვალ! გადმოვხეთქავ დარდის ნაპრალებს,
უძილო მთვარის გალექსებას შენ ერთს გაბრალებ,
არ შემიშინდე, თმენის ძაფებს ვსანთლავ რითმებით,
შეგიკრავ გულზე, ვიდრე შენთან არ დავღვინდები!
გამაისდება ზამთრის წვერზე ყინულის კვირტი,
წყალს დავიგუბებ თევზისდარად და არას ვიტყვი...
სათქმელი ჩემში დავანებულ შენს გულს ვუთხარი,
ღარიბ-უგონოს, დამიფარავს ყველგან უფალი!
როგორც ყოველთვის, დღესაც ისევ დავაგვიანე,
და როგორც გუშინ, ცოდვის კვალზე, ვერ ვაღიარე...
დაღლილი გული აღარ-საით არ იჩქარისა,
ღმერთო, მაღირსე რწმენა რომის ასისთავისა!..

## არვის დავემონები

ცხარე კამათი გაუმართავთ დროსა და სივრცეს,
ორივე ერთად, გამალებით შეჯიბრში მიწვევს,
ზოგჯერ დრო მასწრებს, სივრცე მაბნევს უსაზღვროებით,
თუ ნელად ვჩქარობ, სიჩქარის წამს ვასწრებ, დროებით...
ხან ყურს ჩამოვყრი... დავაბიჯებ სიბერის ქოშით,

წლები მომდევენ... უნებურად ვუმატებ ქოშინს,
მე კი შეჯიბრის არც დრო მაქვს და აღარც სურვილი,
თუმც წლების მწარედ დამარცხების დამდევს წყურვილი!
დროის და სივრცის უსაზღვრობის მაბნევს გოლები,
ერთი რამ ვიცი: არსად, არვის, დავემონები!

## არ ჩამოხვიდე, არწივო

თვალებში ძალა მოგწოლია, ბრჭყალებში ვერაგობა...
შენ მეფე ხარ და გგონია, ყველგან ივარგებ,
მაგრამ შენი სტიქია ცა და გაშლილი ფრთებია,
თორემ ჩამოვაკდები და ჩვეულებრივი
სისხლისმსმელი ხდები, მთვრალი კაცივით
დაბანცალებ, აქეთ-იქით აცეცებ ველურ თვალებს,
რომ სწრაფად მოიპოვო და არავის გაუყო ნადავლი!..
ამაშიც მდიდარ და ხარბ კაცს ჰგავხარ, არწივო!
ამიტომ ცაში იმეფე, მთაში აიშენე სასახლეები,
რომ აქ არ ჩამოხვიდე, ადამიანს არ დაემსგავსო
და შენც არ დაამძიმო ცოდვებით სავსე დედამიწა...

## ლურჯ მონასტერთან

მიყვარს ბებერი შენი ლოდები,
ძველი აგურის წყობა ღერებად,
ლურჯი კარიბჭის მიახლება და
საგალობელთა გადამღერება...
მონატრება და ლექსად წაკითხვა
მამა დავითის ლურჯი თვალების,
გამომზევება ლოცვის მადლების,
უფლის ხარების და გახარების!
მიყვარს ღვთიური მადლის სურნელი,
შეზავებული ჟამის წირვებად
და გადამდები კეთილი საქმის
საშვილიშვილოდ დაგვირისტება!

ღამენათევი მიყვარს ლოცვები
მართლმადიდებელ კაცთა სურნელით,
მდაბლობით ყველა ამაღლებული
და ქართველობის ძალით ურღვევით...
და სიყვარულის, მადლიერების
ნეტავ სიმღერა აღარ გათავდეს...
ღმერთო, იმდენხანს გამაძლებინე,
უფლის დიდება ვიდრე დამზარდეს!

## მიტომ მიყვარხარ

მთელი ცხოვრება მინდორ-ბაღს ვრწყავდი
და გატაცებით ვკრეფდი იელებს...
მიტომ მიყვარხარ, რომ ქვეცნობიერს
ზეცას დასწევ და... ჩემი გულისთვის
გალამაზებულს აცნობიერებ!

## დედასავით

გორგასალს რომ არ ენახა შენი სითბო,
მე ვნახავდი შენეული ვერცხლის მძივებს,
თაბორსა და მამა დავითს მოვხატავდი
და მეტეხთან ფუნჯს ვანდობდი აბო თბილელს!
ასი ათას ტივს შევკრავდი მტკვრის ნაპირას,
ასი ათას დარდს ღიმილით ვაცისკრებდი,
უწმინდესის „დავიღალეს“ ტკივილებსაც
ცეცხლისფერი ღამილებით დაგილხენდი.
დამიმოკლდა ახალგაზრდის სამოსელი,
ძველ ძაფებზე ვეღარ ვაბნევ ახალ ღილებს,
დაგელოცოს ღვთის დიდების ერთგულება,
თბილისურად, ახალ ფთილებს მაქარგვინებ!
გადაღლილ თვალს მოვატყუებ მტკვრის დუდუნზე,
სანაპიროს ოცნებები თავს მევლება,
ბავშვის ღიმით შევერევი სიონის მრევლს,

სიყვარული ბულბულის ხმით გამომყვება...
ჰოდა, ახლა, მადლი ქენი, თბილისო და
შენებური სიხარული დაგვასწავლე,
აგვიხადე საქორწინო ჭერი მაყარს,
დედასავით დაგვლოცე და გაგვახარე!

## ღმერთმა გვაკმაროს იდუმალება

ჩამოსულიყვნენ მიწის სადგურთან
მოუსვენარი თოვლის ფიფქები,
ჯარისკაცებად, თეთრი სამოსით,
ფაფუკ დაშნებით, თეთრი ქუდებით...
ლაღი ნაბიჯით შემომესივნენ,
მღერას არ მაცდის ერთი ბეღურა,
მასაც მოთეთრო სამოსი ეცვა,
თავზე ფიფქების ქუდი ეხურა,
უცებ გაზანტდნენ ჯარისკაცები,
ხმა დაიმოკლა თეთრმა ბეღურამ,
სიცივისაგან გუნდას მოჰგავდა,
თავზე ყინულის ქუდი ეხურა.
დამძიმებული ალვის ხეები
ბეღურას დუმილს ტოტზე კილავდნენ,
ბაგეს დაადნა თეთრი ფიფქები,
შენსავით, ჩუმად გაუჩინარდნენ...
სამარის დუმილს ჰგავდა სამყარო,
კაცის ჭაჭანი აღარსად ისმის,
ცა, მოვერცხლილი აივნებიდან
მაინც სიყვარულს და სითბოს ისვრის!
სიცოცხლის ფერი ეცხო იანვარს,
თეთრი სამოსით ზეცა ყვაოდა,
თავგაყინული, თეთრი ბეღურა,
თოვლის ფანტელში ვეღარ ჩხაოდა...
აჰა, ამხედრდა ყმაწვილთა გუნდი,–
დედა სამყაროს მშვენიერება!

თოვლსაც ამხნევებს ბავშვის ღიმილი,
ღმერთმა გვაკმაროს იდუმალება!

## ვეთაყვანები ყველას

დღეს არაფერმა შემომიტია,
სიცარიელემ დამადო დამღა,
ამინაპერწკლა სურვილები და
ოცნების ტყეში შემომაღამდა...
ფიქრის ბილიკის დავიწყე ძებნა
და ყველაფრისკენ ავიღე გეზი,
დიდი არასდროს დანამცეცდება,
პატარაშია ცუდი საძებნი...
დიდი ისედაც იჩენს ღირსებას,
არ იცრუებს და არსად ძალადობს,
სუსტი თავისას არას გაგანდობს,
ცრუობს, ერთგულებს წამში ღალატობს.
ზოგჯერ არაფერს უფრო აქვს ფასი,
ვიდრე ყველაფერს... და მაინც... მაინც,
ყინულ სამყაროს ვუცვლი ვერაფერს,
ვეთაყვანები ყველას... ყველაფერს!

## ცხრამ მადლობა არ ვთქვით

ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ისაა,
თუ რას ვიფიქრებთ მასზე,
ვემდურებით და ვწუწუნებთ მისი
კეთილდღეობის არსზე...
ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ისაა,
რას გაიმეტებს ჩვენთვის,
ვსარგებლობთ მისი კეთილი ნებით,
მადლობას ძუნწად ვეტყვით.
მადლიერების მადლი არ ვიცით,
სიყვარულისა – ფასი,

ათი განკურნა იესომ კეთრით
და ცხრამ მადლობა არ ვთქვით!
ცხოვრების მდურვით, კაცთ სიძულვილით
არაფერს ვფიქრობთ სხვაზე,
კეთილი საქმის ძებნით ვშავდღეობთ
კეთილდღეობის არსზე...
ვერ დავისწავლეთ სიყვარულის და
მადლიერების არსი,
ათი განკურნა იესომ კეთრით
და ცხრამ მადლობა არ ვთქვით...

## სიმართლე

სიმართლე თვალის სინათლე იყო და არის ყოველთვის,
ღმერთის შეწევნით, მეც ამის დასტურისათვის მოვედი...
ნუ მომატყუებთ ნურასდროს, მხოლოდ სიმართლე მასმინეთ,
მართალ კაცს ღმერთი მფარველობს! ცრუს
– ეშმაკები ალხინებს!
მართალი ღვთის წესით ცხოვრობს, სხვის
სიცრუესაც განიცდის,
ცრუ კაცს ტყუილი აცოცხლებს და სულიცა სძულს თავისი,
სამოთხე-ედემის ნაცვლად ჯოჯოხეთის ცეცხლს იმზადებს,
სიმართლისმოყვარე კაცი ორივ ქვეყანას იხარებს!

## როგორ გავცურო

მახვილის წვერზე შემდგარა ერი,
ელამი შვილდიც ჩასაფრებულა,
გაფითრებულა ჩემი ქვეყანა,
დედა თბილისი გათალხებულა,
გახშირებული მოღალატენით
გაგიჟებულან მტკვარი, არაგვი,
დუმილი ოქროდ გარდაქცეულა,
სამართლით გვემა ახლა არა ღირს.

რადგანაც ცრუნი ზეობენ ისევ,
რადგანაც სიტყვამ დაკარგა ფასი,
რადგანაც დღემდე ვერ გავარკვიე,
სკამს და უფლებას ვინ რაზე გასცვლის...
მრუდე საქმეში გაჭედილ სირცხვილს
ეხმიანება ხალხის სამიზნე,
ორპირში მყოფი სიცრუის ზღვაზე
როგორ გავცურო, სულ ის მაშინებს...

## შენს ქარიშხალს

თვალში ჩამივარდი... მიყვარდი,
ვეღარ ამოგშალე მზერიდან,
უგულოდ დათვლილი ცხოვრება
თურმე ჩვენს მომავალს სწყევლიდა...
ისევ თვალში მყავდი... მიყვარდი!
სიოდ რომ მოვარდი, მშვენოდი,
მშობლების სიკეთის იმედით
უდარდელ ფრინველად ვმღეროდით...
სიშორეს ვწონიდი... მათბობდი,
ჯადოსნურ ტრფობის ცეცხლს მინთებდი,
ვისზე და რაზედაც ვფიქრობდი,
მძულდი და... მაინც შენ მიყვარდი!
ახლა რომ შევძლებდე, ღვთის ნებით
ასარჩევ ზურმუხტად გაქცევდი...
მამას მზემ, დედისა დარისად,–
ისევ შენს ქარიშხალს ვარჩევდი!

## დღენი გამი-იოლდა

უსახლკაროს, უმწეოს, შიშველს, მუდამ მციოდა,
მცირედ როცა შემმოსეს, გულისგული მტკიოდა,
რადგან სხვის სამოსელზე, სხვა...უფრო სხვას ჩიოდა...
ცაც, შურისგან გამსკდარი, ფანჯრებიდან კიოდა,

სიმწარისგან, პირიდან, სეტყვის ბურთი სცვიოდა,
მერამდენედ უმწეოს, მერამდენედ მშიოდა
და მამალიც, პეტრესთან, მერამდენედ ყიოდა...
რაც უფლის ხმა შევიცან, დღენი გამი-იოლდა!..

## მხატვრის ფიქრები

ისეთი მხატვარი ვიყო, მომახატინა მთა-ბარი,
ჩემი ლამაზი მთაწმინდა, ათასი კიდევ ამგვარი,
მომაძებნინა ფერები, სიღნაღის მონაფერები,
ქიზიყის ღვინისფერება ნისლებზე ანამღერები.
მხატვარი ვიყო ისეთი, სამებას სული ჩავუდგა,
მეზობლად, ლურჯი მონასტრის, თუნდაც გზაკვალი ამებნას,
მერე მაქცია ნიკალას მტვერდაყრილ ყალმის ფერებად,
დამთვრალ და შეშლილ ხელოვანს ცის ნამიც მომეფერება,
ტილოზე ავახმიანებ დაფრთიანებულ ჩიტებსო...
ცოტა მაცალე, უფალო, შენს ვალსაც გავისტუმრებო!

## ისევ შენ გთხოვ, ღვთისმშობელო

დილას ადრე, ქართული ცა რომ იღვიძებს კავკასიის თავზე,
მზე თაბორთან რომ გაახელს გულმართალ
და ოქროსფერა თვალებს,
აინთება, დაიღვრება ველ-მინდვრებზე სიყვარულის წვიმად
და საღამოს მეუფესთან ჩვენი ცოდვის შესანდობად მივა...
ღმერთო, სიყვარულისაო... ყოველდღიურ შენ მანიჭებ ძალას,
მაგრამ როცა ძლიერ მიჭირს, მაშინ მითხარ,
რა ვაკეთო, რა ვქნა,
მაშინ მინდა, ამიზღვავო სახვალიო სინანულის წვიმა,
მაშინ მინდა დამანახო, ვინ ვიყავი, ანდა ახლა ვინ ვარ...
ქალი ვარ და... წმინდა ნინოს ჯვარს ვავედრებ
საქართველოს მთლიანს,
თუმცა ამა ცხოვრებისა, დღემდე ვერაფერი გამიგია...
ფაციფუცსა და რუზრუზში ვაფაციცებ სევდისფერა მზერას,

მაგრამ შვილის და მამულის დარდის წამალს
ვერ ვშოულობ ჯერაც...
ვერც გონება მოვარჯულე... ჩემს გემოზე
ველარაფერს ვქარგავ...
ისევ შენ გთხოვ, ღვთისმშობელო, დაგვაფარე
მოწყალების კალთა!

## უნაბისფერი შემოდგომა

წვიმას აპირებს...გაინაპირებ
დაქარგულ სხივებს და ძველ სიმღერას,
კვლავ მენატრები, ისევ შენ გიმღერ
და შემოდგომას, უნაბისფერას.
შენზე სიმღერა მე ისევ მშველის,
შენზე ოცნება და ფიქრი შენი,
მე შენ მიყვარხარ, შენ მენატრები
და შემოდგომა – უნაბისფერი!
შენი სახება ვერსად დავსახე,
შენი თვალები, ლურჯი ცის ფერი,
ნაგვიანები შემოდგომაა,
ნატვრისთვალა და უნაბისფერი...

## სიყვარული მიჩვევით იწყებაო

ხალხის გაუმაძღრობას ბოლო რომ აღარ გამოუჩნდა,
ვერის ბაღშიც დაგლიჯეს ხეები და მოთხარეს საფლავები...
ძველი ტექნიკის და მუშების აურზაურს, ავეჯზე თეთრად
გაწოლილ მტვერს, – ისე მივეჩვიე, რომ ღელვიანი
დღეებით სამოთხესა და წალკოტში მეგონა თავი...
ხმაურიანი ფილტვები გაყუჩდნენ...ჩიტები დადუმდნენ...
ეს დუმილი ახლაც ისე მაშინებს, რომ
აღარაფერი შემაშინებს...
ვინ იცის, ამ ზღვარგადასულობასთან ერთად, მტვრის
ნაწილაკებსაც მიგვაჩვიონ, კორპუსის ნაგავი

და მტვერიც შეგვაყვარონ, რადგანაც ბავშვობაში მსმენია,–
ხშირად... სიყვარული მიჩვევით იწყებაო...

## გულმა დარდით არ დაიჩივლოს

შეშლილ მზერისას მომაშველეთ კახური ღვინო,
რომ მთიულ ქალის გულისგულმა შვებით ილხინოს,
დასცხოს და დაჰკრას თელავიდან „მრავალჟამიერ“
და სიღნაღამდე არ გაჩერდეს, თუნდაც წამიერ...
კვლავ შევუდგები წინაპართა საფლავის ბილიკს,
არ გაგიმართავთ გლოვასა და დიაცის ტირილს,
გულს თუ დააჩნდა მონატრების ფარული კვალი,
არაგვი მიმღერს და ქიკათის ფარფატა ქარი...
შეშლილი თვალიც დამშვიდდება მთიულთა ლხენით,
მერე, კახელთა სათაყვანო ერით და ბერით...
ბოლოს, თბილისში დავივანებ თავნება გრძნობას
და შეშლილ თვალებს დედა ღვთისას მადლი დალოცავს...
მთიულ ქალს ოდეს, თუ მომინდა კახური ღვინო,
შემომაშველეთ, – გულმა დარდით არ დაიჩივლოს!..

## სამადლობელი

მამავ ჩემო, ძე ღვთისავ და სულიწმინდავ,–
გმადლობ, ღმერთო, ქვეყანას რომ მოვევლინე,
დრო და ჟამი დამილხინე, სანეტარო,
ნატვრის დღენი და სურვილი ამიხდინე...
დამილოცე მამული და ფუძე-ქერი,
სიტყვა ჩემი კეთილ საქმით დამიმშვენე,
წინაპართა ფესვის ფესვი დამილოცე,
შვილი, ძირი, მომავალი დამილხინე...
ქიკათაში და კახეთის ცხელ მინდვრებზე
დამანთე და ცის ფეხებთან დამაწვინე,
გულის ხანძარს სიყვარული დაუმატე,
ჟამის დღენი ნეტარებად დამადინე...

ისერიგად ამიმღერე გულისგული,
ივერიელთ დიდ-პატარას ვესურვილო,
დედამიწა სიყვარულით დამტკბარიყოს,
ქართველთ შორის სიძულვილი გამქრალიყოს!
მამავ ჩემო, ერთარსებავ და სამებავ,
მიხარია, რომ ქართველი ქალი მქვია,
არ მამადლი სიკეთის და ლხენის დღეებს,
საწყალობელ-სადიდებელ სიტყვებს, დიადს!
დედა-ღვთისავ, შუამდგომლად გიგულებ და
სულით ცოდვილს დამაპკურე მადლი ღვთისა,
დიდებული სულიწმინდა დამიმკვიდრე,
ქრისტე იყოს წინამძღვარი ქართველთ გზისა!
მამავ ჩემო, ძე ღვთისავ და სულიწმინდავ,–
გმადლობ, ღმერთო, ამქვეყნად რომ მომავლინე!..

## ლურჯი იის კრძალვით გიმღერთ

რად ვუმღერი ჩემი ქვეყნის უსასრულო ველებსა და ლელიანს,
როცა თვითონ საქართველოს ზღვა, ხმელეთი
ნაზი სიმღერებია?!
ასი წელი საქართველოს სიყვარულით არა, არ წავიქცევი,
მერე, როცა მოისურვებს თავად ღმერთი,
მიწად გადავიქცევი...
მიწა ვარ და... მოწამე ვარ საქართველოს ცრემლისა
და ლხენისო,
ზოგი ტირის... ზოგი ხარობს... ფიქრი მკლავს და...
გული მაინც მღერისო...
საქართველოს ლურჯი ზეცის ალიონზე თეთრ
ღრუბლებად ვირთვები,
ლურჯი იის კრძალვით გიმღერთ, – მიწა ვარ და...
მიწად გადავიქცევი...

## არ მიკადროთ აუგი

საქართველოს არცერთ კუთხეს არ მიკადროთ აუგი,
ვიდრე ძველი, მხიარული ჭიანურით
დალოცვილი მამულის გზებს ავუვლი და ჩავუვლი!
ქართლოსიანთ ფესვებს ვლოცავ, მადლიანს,
იმ ქართველს და არაქართველს ვენაცვალე,
ვისაც ჩემი ქვეყნის ფიქრით დღე და ღამე არ სძინავს!
იმ ბოლნისელს, იმ დმანისელს... არცერთ მუსლიმს
არ მიკადროთ აუგი, ვიდრე ჩვენი, დალოცვილი
მამულის გზებს აუვლის და ჩაუვლის...
არა მეთქი... საქართველოს არ მიკადროთ აუგი,
ვიდრე ჩემი გმირი ხალხი ამ მადლიან
დედამიწას სიყვარულით აუვლის და ჩაუვლის!

## ორი ბოკვერი

წვიმდა და ლომის ორი ბოკვერი
ქაობისფერ ტყეს თვალებს ავლებდა...
ერთი, დედის ფეხს ლოკავდა, ტრფობით,
მეორე, ძაღლის ენით ავობდა...
ერთი, წვიმისგან გალუმპულ ფრინველთ
შველას და მათთან ფრენას ნატრობდა,
მეორეს, მათი ჩახრამუნების
და სიძულვილის ნერწყვი ახრჩობდა!
ერთს, ღიმილები დასთენებოდა,
მეორე, სხვათა დარდით ხარობდა,
მხეცი კი... დედის გულით და თვალით,
ორივე შვილის იღბალს დარდობდა!..
ფიქრმა აიკლო ტყის მდუმარება,
წვიმას კი უკვე გადაუღია...
ვაი მას, ვისაც კარგის დანახვა
და სიყვარული არ შეუძლია!
დათარეშობდა სამართლის ქარი,

ტყის ვნებებს მკაცრი მზერით აქრობდა...
იქვე, დიდ მუხას... ფეხქვეშ... იების
სურნელება და მადლი ართობდა...

## მადლობა უთხარი

ცოცხალი ისედაც უკვდავი ყოფილხარ
და როცა მოკვდები,
თუ მაშინ ნამდვილად გიწოდეს უკვდავი,
აღსდექ და სიცოცხლის ყოველ დღეს
მუხლმოყრით მადლობა უთხარი!

## ბედის წიგნი

როცა დახურავს უფალი ჩემი ბედის წიგნს
გულდაგულ... სამ კაცს მაინც რომ მოვაკლდე,
სამმა მიმგლოვოს გულდაგულ,–
რა ბედნიერი ვყოფილვარ...
თუ ამას დაემატება ჩემთა გაზრდილთა
ცრემლები, უფლის წყალობით, სიკვდილსაც
სიმღერით შევეგებები და ბედნიერი ვიქნები...
ვაგლახო, ჩემო ცხოვრებავ, რამდენი
დარდი მქონია, სამმა კაცმაც რომ მიმგლოვოს,
ამაოდ არ მიცხოვრია და ბედნიერი ვყოფილვარ...

## ყველა ჩემი ხართ

ბევრი წესი აქვს ქართველს საღირსო,
ბევრსაც გონების თვალითა დევნის,
ყველას ლიდერის ნიჭი დაჰყვება
და სადაც წავა, ქართულად მღერის!
ბოლოს... გაჭირდა ლელოს გატანა
გონიერი და შიშველი ხელით,
გადამეღალა მამულის ღერძი

დაპირებით და ძველისკენ ცქერით...
ჰეი, შენ, წვიმავ, გვალვიან მიწის
გაგულგრილება რომ შეგიძლია,
ღვთის მადლო, დედის ფიქრის ღარებო,
თქვენი საფერი ვეღარ მითქვია,
მაგრამ ლექსების შუაგულში ხართ,
თქვენზე ფიქრებში რა დამაბერებს,
თანაც, მამული მდარაჯობს ზურგში,
ყველა ჩემი ხართ!.. ვაშა ქართველებს!

## ვაჟიშვილი მიწას მომაყრის

ავაწრიალებ დედამიწას მამულ-დედულის,
მთას შევავედრებ ლომისას და ლაშარის ჯვარსა,
სისხლიან ფესვებს გადავხერგავ ქსანზე ალერსით,
დარდსა და ბოღმას გავაყოლებ არაგვის წყალსა...
გადავაყოლებ გულს ჯვრისა და სამთავროს ედემს,
ცრემლით ჩამოვბან სვეტიცხოველს უნაკლო გვერდებს,
მადლიერებას, ღუზასავით ჩაჭიდებული,
გრემსა და ნეკრესს ჩამოვუშლი წარსულის ფესვებს
და ამოვლოკავ ალავერდის მადლსა და ძალას,
თეთრი გიორგი დამილოცავს სამკვიდრო ფარას,
თელავისა და ველისციხის გულის საკინძეს
გურჯაანული ხავერდის მზის სხივით დავფარავ...
ბეწვზე დაკიდულ იღბალს ბევრჯერ გადარჩენილი,
თვალიდან ნაცარს მიწმენდს ერი, ვითარ მონას ღვთის...
აქა ვართ, ჩემო... არსად ვეძებ, უკეთეს ადგილს
და ვაჟიშვილი ქართულ მიწას მადლით მომაყრის!

## და იწურება ისიც ლექსებად

გაახლებული, ნამგალა მთვარე
ფიქვის გირჩებში გაჭედილიყო,
ათასჯურა და ასგვარი ლექსი

ღამის უჯრედში დაკარგულიყო...
ცამ დაუკივლა საელვე ღრუბლებს,
შეახეთქა და წვიმაც გახელდა,
მადლი მოეცხო გვალვიან მიწას,
შიშის ფერები ოდნავ განელდა...
ქაფი მოირგო მიწამ თავ-პირზე,
ექვის ღრუბლებით წვიმა ხელდება,
თავთეთრა ნისლში ღამე ბერდება
და იწურება ისიც ლექსებად...

## სხვის კეთილზე მწუხარება

სხვის კეთილზე მწუხარებას, დღემდე ისევ შური ჰქვია,
სიყვარული მე ყველასთვის უშურველად ამინთია,
გამიცია გულიცა და საგანძურიც გამიცია,
ჩემი წილი ლუკმა მტრისთვის უხმაუროდ გამიყვია...
უფლისათვის საყვედური დამშეულზეც არ მითქვია,
არასოდეს მინანია, სიკეთისთვის რაც მიქნია!..
კეთილს სიხარულით ვზეობ, მწუხრზე დარდი დამიწყია...
ვაი იმას, სხვის კეთილზე ვისაც მწუხრი დაუნთია...

## და ვინ იცის

ერთად მივდივართ ცისკენ, მზისკენ და ზოგჯერ სხვისკენ,–
შემოდგომის ჟამს როცა ბუდობს სახლებზე თრთვილი,
გამოამზევებს გაყინული მთვარე პირს ჩვენსკენ,
კარგი... მე, მე ვარ... სადღა მიდის ეს ჩემი ჩრდილი?!
გავყურებ პროსპექტს და დაჟონჟლილ ჩიტუნებს ხეზე
გაწითლებული ალიონით დაუფრთხათ ძილი,
წუხანდელ წვიმით ჩამობანილ ჭადრების უკან
ღამის პერანგით გაპარულან მთვარე და ჩრდილი.
მზეს ერთი ფთილა ღრუბელიც კი არ დარჩა ცისთვის,
რთული ცხოვრებაც კალაპოტში გულდინჯად მიდის;
სადღაა ჩრდილი... და ვინ იცის, ბედისმწერალი
ხვალ რას ამზადებს ჩემთვის, შენთვის და ანდა სხვისთვის...

## სიასამურის მსგავსად მაცხოვრე

სიასამურის მსგავსად მაცხოვრე
და ყველას ჩემი იმედი ჰქონდეს,
ატალახებულ გუბეში ყოფნას
სიკვდილი სჯობდეს!
უფლის შეწევნით, ყველასთან ერთად,
ჯანსაღი, ტკბილი სიბერე მქონდეს,
ერთგულისა და დიადის ღალატს
სიკვდილი სჯობდეს!

## უფლის მონა ვარ, თავისუფალი!

როგორ მჯიჯგნიდა წუთისოფელი,
როგორ მაცლიდა სიცოცხლის ძალებს,
როგორ მკორტნიდა ნუშისფერ თვალებს,
უსიტყვოდ მსჯიდა ქრისტეს მოწამეს...
მსჯიდა... რას მსჯიდა... და როგორც იქნა,
მტერს ერთგულებით მოვტეხე მხარი...
დედა ღვთისმშობლის ლოცვების ძალით
უფლის მონა ვარ, თავისუფალი!..

## რა დაგერქმევა სახელი

სოფელი გონიერია, უკვალოდ არას გააქრობს,
მარადისობის ნათელით საუკუნეებს დაატკბობს...
ადამიანი წავა და... სახელი ისევ აქ რჩება,
გავლილი ცხოვრების კვალი შვილიშვილებსაც გაჰყვებათ!
დრო ვეღარ კურნავს ჩავლილ გზას, წყალივით წაილეკება,
ავი და კარგი სახელი ქვიშაზე დაილექება...
სოფელი გონიერია, ბნელიც იცის და ნათელიც,
გახსოვდეს, შენი ნებაა, – რა დაგერქმევა სახელი!

## კვლავ გვირილას

შენ რაღამ აგალაპლაპა,
ყვითელგულავ და ფრთიანო,
ლამის ბებერი მანდილი
მტკვრის გაღმა გამიფრიალო...
კედლის ფეხებთან რამ გშობა,
ძველი აგურის თავთანა,
თეთრი სხივები, მზესავით,
ვინ შემოგავლო თავთანა?
სიცოცხლის დარად ყვავილობ,
კეკლუცო, ყვითელგულება,
ამაღამ შენთან დავრჩები,
თუკი სტუმარი გენება...

## უწმინდეს ილიას ლოცვით

ბარი რომ წამოიკოჭლებს, მთა აიმაღლებს ხმასაო,
გარმონს დატკბობს ფანდური, ლექსით ავუბამ მხარსაო...
სხვა რაღა მინდა, დიდგულა ბეთლიას გაწვრთნილ ქალსაო?!
მეხრედ მავარგე, უფალო, თუ ვერ მამსგავსებ ხარსაო!
წუთს არ დაიცდი, სოფელო, ვეღარ ვატყუებ თვალსაო,
ამიზმუვლდება მთისგული და დამიფეთებს ბარსაო,
ყოველი ბილწი საქმენი სათავიდანა მყრალდება,
ხარიც შეიცვლის ზნე-ფერსა, სხვების უზნეო ხარებთან.
სოფლის ჟამი თუ ერთგულად ათასჯერ არ გაიკითხე,
მგლის თავზე თუნდ სახარება, თუნდ ფსალმუნი წაიკითხე!
არა შეჯდება მწყერი ხეს... არცა ექნება გვარიო...
უაზროდ ნაყავ წყლის გვერდებს, მაინც დარჩება წყალიო...
ყველაფრის უცოდინარი, ხშირად, ლამის ვარ მკვდარიო,
ღმერთო, დალოცე ქართველი, აღარ მოსტეხო მხარიო,
შვილებს მიეცი ზეობა, სულის და ხორცის მშვენება,
უწმინდეს ილიას ლოცვით მამული დამიმშვენდება!

## თითო ქოთანი

ყველა ოჯახში თითო ქოთანი
გაუთავებლად დუღს...
საითაც უნდათ, ქოთანს იმ მხარეს
გამოაბამენ ყურს,
დაედინება ცრემლი სადუღარს,
დარდებისაგან წუხს,
მერე გაწმენდას დაავალებენ
მოგულძვირეს და ტლუს, –
ამაზე უწუხს ქოთანს გული და
გაუთავებლად დუღს...
ყველა ოჯახში თითო ქოთანი
ცხადად, თუ მალვით,
ალბათ ამიტომ დუღს...

## რომ დავბრუნდები

შენს ხსენებაზე, ჩემო ქვეყანავ,
გუშინდელივით, თვალებს აწვიმდა,
დედის თვალები გამოგაყოლე,
ვაითუ, ისევ რამე აგტკივდა...
მტრის დანაპირით, ენაწყლიანით
და უჩემობით კვლავ არ გაწვიმდეს,
შორიდან მაინც მოგეფერები,
რომ არასოდეს არა აგტკივდეს!
რამდენი დღეა, დაგიშორეთდი,
ჩემებურს ვეღარ ვღერღავ ჰარალოს,
მონატრებული ქალის ცრემლებზე
ჩემი ლექსები გერგოს მალამოდ!
აქაც ქართველთა ტრფობას შევხარი,
ემიგრანტების სიზმრის ტკივილებს,
მოლოდინების უსასრულობას,
შვილის და დედის სისხლის ყივილებს!

ჩემებთან ვხარობ... მაინც არ მინდა
უცხო მიწაზე თვალის გახელა...
გულში მეტევი, სულს ამზეგანებ,
უფალივით ხარ, ფიქრი, რამხელა!
შენს ხსენებაზე, ჩემო ქვეყანავ,
ყელში ცვრიანობს დარდის ბურთები,
გადაგიკოცნი ვარდის ბაგეებს,
მიწას დავცრემლავ, – რომ დავბრუნდები!

## ნებისმიერ სამსხვერპლოზე დაგიდგები

შენი ხსნისთვის, საქართველოვ, ზეცის თავზე ავიჭრები,
დავმდაბლდები... მამა-პაპის მიწის მადლით დავითვრები,
ვისასოებ... თითზე დავთვლი შენი ხვალის ნათელ დღეებს,
როგორიც შენ მოგიხდება, ისეთი დღე გაგითენდეს!
თუ მიკადრებ, მეგუთნედ და საზღვრის მცველად დაგიდგები,
გეამება?.. – „იავნანას" გიგალობებ... გავბავშვდები...
მერე, „მუმლი მუხას" გიმღერ, ლოცვის მადლით შეგეწევი,
ოღონდ არა უგულობით... და არა ცრუ დაპირებით...
დედას ვფიცავ, დას და მამას... ოღონდ გეშველებოდეს და
უყოყმანოდ, ნებისმიერ სამსხვერპლოზე დაგიდგები!..

## ცალუღელა ვარ ისევ

ცალუღელა ვარ ისევ... ცალი გვერდი მაქვს ქვისა,
სიტყვამ დაკარგა მადლი ჭეშმარიტების თქმისა,
საქმემ დაკარგა ძალა ზებუნებრივი ღვთისა,
ვარდს უპატრონებს ყველა... შროშანის დარდი მჭირსა...
საწუთრო, დინჯი მზერით საჩვენო ამბავს ქარგავს,
თუმც, დედამიწა ზოგჯერ ტყუილ-მართალსა ხლართავს,
ცოდვის ხელებით ვცეხვავ გამხმარ ყვავილთა ამბავს,
შროშანს დამიწვავს ცეცხლი... მე შენი ვნება დამწვავს!..
ცალუღელა ვარ, მაგრამ მინდორზე იმედს ვქარგავ,
მცივანს მომხედე, თორემ შროშანთან ერთად წავალ...

## გამოიგონე ბედნიერება

თუკი იღბალი არსად გიმართლებს
და ბედნიერი დღეები ქრება,
იმედიანი კელაპტრის შუქი
თვალებში ცეცხლად მოგაჩერდება,
თუ ჭირვეულობს გული კეთილი
და უგულობით სული დალია,
გამოიგონე ბედნიერება, –
მე ასე ვხარობ, კარგახანია...

## უფრო მეტს გეტყვი

არა მახვილით დაგვიმკვიდრდა ქვეყანა ვრცელი,
არცა ძლიერი მკლავითა და მარჯვენით ჩვენით,
არამედ შენი ნებით, ნათლით და... დღესაც შენით...
მე არც მშვილდს ვზიდავ და არც მახვილს ვულესავ გვერდებს,
სიმართლის გზების საძიებლად ვლოცულობ დღემდე,
გულში დავინთე სიყვარული... შენს სიტყვას ვენდე...
ბევრი ვიარე უმიზნოდ და უმისამართოდ,
ძლივს მოვაღწიე, ღმერთო...რადგან მოველ შენამდე,
მოძულესა და მაჭირვებელს პასუხს შენ აძლევ...
მე კი გადიდებ! სამადლობელს გიძღვნი ათასგვარს,
სულის ამაგდარს და სიცოცხლის გადამრჩენს გლოცავ,
უფრო მეტს გეტყვი,– შენი ნებით წამოვალ, როცა...

## ბედაურები დახოცილან

ბედაურები დახოცილან საქართველოში
და მოჩაქჩაკე ჯორცხენები ბედაურობენ...
ზოგს კი სიმართლე ისე ახელებს,
რომ დანანებით მოთქვამენ უკვე –
ვაი, ქართველებს!

## ხევშელი ბიჭის ამბავი

ხევშაში ბიჭი გავიცან, ბადრი მთვარისა სადარი,
დამპირდა, ხშირად გნახავო, ველოდები და, სად არის?
მანამდე თაყვანისმცემლებს ყველას დავუხშე კარიო,
არ ვაწყენინო კაცასა, ჩემი მიწა-წყლის არიო...
ამ სატიალო პირობამ დამაკარგვინა თავიო,
იმდენი წელი დავთვალე, იმდენი დრო და ჟამიო,
შემომეწიფა სიბერე, გამომაცალა ძალიო,
რომც მოსულიყო ხევშელი, არ მქონდა მისი თავიო,
კარგ ოცი წელი რეკავდა, სატელეფონო ზარიო,
რომ მისი მოუსვლელობის მიზეზი რაღაც არიო...
წლებმა მასწავლეს საშველი, ამბავ მითხროდენ ბევრიო,
რაღა დროს შენი ქმარია, ტყუილად ვისღა ელიო...
მიყივლა მთიულის სისხლმა, ფიქრებს დავუხშე კარიო,
გასაგონადაც აღარ მსურს, თუნდაც მთიული ქმარიო!

## გაზაფხულის უშენობა

მიყვარს ძველი თბილისი და
სიტყვაძვირი, დაკლაკნილი, ჩუმი მტკვარი,
ისერიგად მენატრება ნარიყალა, –
როგორც ჩემი ბაღის ვარდზე
მარგალიტად აკინძული დილის ნამი.
მენატრება გაზაფხულის ამღერება ნუშის ტყეში,
თეთრი თმებით დაბერება ტყემლის თქეშში,
იის სურნელმორეული მაისი და
იასამნის იისფერი მოფერება,
მენატრება შენეული გაღიმება,
უჩვეულო მოფერება...მოფერება...
მიხარია, მაგრამ მტკივა და არ მჯერა
გაზაფხულის უშენობა... უშენობა...

## სოფელზე დარდი

დამიწერია, დამიხატია
ჩემი მამულის ავი და კარგი,
რა ვქნა, თუ ისევ გამომყვა უკან
სოფელზე დარდი...
მიმოვიხედავ, ვდუდუნებ, ვჩივი,
სახლის სიშორეს ბავშვივით ვტირი
და შევეკედლე თბილისის ქუჩებს
ვით მღვიმეს მწირი...

## ალაზნიდან მონაბერო ქარო

ალაზნიდან მონაბერო, კახელივით დინჯო ქარო,
ერთიც ამომიქროლოდე, სიყვარულში დავიღალო,
არ დამაკლდეს კრუხ-ჭუჭულა, ერთიც უნდა დავითვალო,
ერთიც უნდა დავიმღერო, თვლაში უნდა გავიხარო,
გამისკდება გულისგული, თუ სიმართლე არ გითხარო,
შვილო ჩემო, ამ მიწიდან, ნეტავ რატომ გარბიხარო?!
ალიონი მანაყრებს და ივერთა მზე მითბობს ლოგინს,
ასი წელი გავძლებ, მაგრამ ვერ ავიტან მე თქვენს ლოდინს,
ერთადერთო, უღალატო, საქართველო და უფალო,
ენავ ჩემო, გმირწარსულო, –თავი უნდა დაგიხაროთ,
მუხლმოყრილი მოგეფეროთ, სული უფრო დავიმდაბლო,
გული უფრო ავიტკიო, თქვენს ტრფობაში გავიხარჯო,
მერე დგნალში გავშლი ფიქრებს, შავ-თეთრ არაგვიან წყალო,
მთიულეთის სალოცავად გულში სანთლად მინთიხარო,
უფალო და საქართველოვ, მრავლად უნდა შემიწყალოთ, –
ავი ხარ თუ კარგი ხარო, მაინც ჩემი დარდი ხარო,
ჟანგისფერო მიწავ ჩემო, კახელივით დინჯო ქარო,
თქვენ მაფესვებთ და მაცოცხლებთ, თქვენით უნდა გავიხარო!

## თოვლის ფიფქო

გიყურებდი... უაზრო ლხინს დაჩვეული
ფარფატებდი თეთრი ზეცის თავქვეშ, ლაღად,
მერე მომიახლოვდი და... უკითხავად
ბაგეს ხელით მოეფერე ისე მაგრად, –
მომეწებე... მეც ცხელ გულზე გისურნელე...
ერთად დავდნით... წადი მეთქი, ვერ გითხარი...
ბედი შენი, დალხინებულ ხასიათზე მომისწარი!

## ულამაზეს წლებს

სიბერის და სიჭაბუკის გასაყართან
მდუმარება გაყურსული დევს...
გულის წვერზე ვნებიანად დაკიდულა
გაზაფხულის შემრეშილი მზე...
თვალხტულა, სამაისო ღიმილები
ჭრელა-ჭრულა ყვავილებად ძგერს,
ვერა დრო და ვერა ძალა გადაწონის
სიჭაბუკის ულამაზეს წლებს!
სამაისოდ მოპარული სურნელება
შემოდგომის ოცნებებთან წევს...
სულ არ ვნანობ მოზღვავებულ წლების გროვას,
არაფერში შემიშლიან ხელს!..
სიბერის და სიჭაბუკის გასაყართან
მდუმარება ექვიანად თვლემს,
ვერა ძალა... ვერა ძალა ვერ დაჯაბნის
სიჭაბუკის ულამაზეს წლებს!..

## ვიდრე სამყაროს ცა იკაშკაშებს

რად მინდა ბაგე, თუ ვერას ვიტყვი,
ან თვალი, – თუკი ვერარას ვხედავ...
ყურს არა ესმის... ვერაფერს ვიყნოს,

თუ მტერ-მოყვარეს გული ვერ იცნობს...
უსიყვარულოდ არსად დავდივარ,
ჩემს მართალ ნაბიჯს მუდამ შევხარი,
რომ სიმართლის და სიკეთის ნაცვლად
გულს არ შეესოს ბასრი ეკალი...
ვიდრე მღვიძარ ვარ, სიცოცხლით ვხარობ,
მამულის მკერდზე ჩიტივით ვგალობ!
უფალს ვადიდებ და ისიც მწყალობს,
დიდი, პატარა, ღვთის ნებით ვხარობთ
და სულ ვზეიმობთ, – ვიდრე ცოცხალ ვართ,
ვიდრე სიყვარულს ვეფოფინებით,
ვიდრე სამყაროს ცა იკაშკაშებს,
და მადლიან კაცს დაველხინებით!..

## დაკარგული სიყვარულის გამო

რა ჯანსაღი, რა ნატიფი გული მქონდა,
ვერ ვაჯობე გაავებულ თვალებს,
ვერ გავათბე უმადურთა სულის ავზი,
ვერ ველევი ბოროტების ძალებს...
გაცრუებულ იმედებს და შეწირულ სულს,
ცხოვრებაში არაფერს არ ვნანობ,
ხელახალი სიყვარულის მეშინია
დაკარგული სიყვარულის გამო...

## ვიყო არავინ

ნეტავი, ერთი ქოხმახი მქონდეს
თუნდ ალაზანზე, თუნდაც არაგვზე,
გამაშლევინა თუნდც კარავი
და ყველაფრისგან ვიყო არავინ...
დამადგმევინეთ დედამიწაზე
ჟანგისთვალება, რუხი კარავი,
არარა სოფლის არარა ქალი

მცირე ხნით მაინც გავხდე არავინ!
ერთხელაც მარტოს მაცალეთ ძილი,
გამაშლევინეთ სადმე კარავი,
არარა სოფლის უშნო ხმაურში
რომ ყველასათვის გავხდე არავინ!

## სიყვარულის წამალი

სიყვარული ისეთი მარტივი და რთულია,
უცებ შეგიყვარდება, გიწუხს სული, გულია,
ქვეყნად მასზე ძლიერი ისევ სიყვარულია...
სიყვარულის ნოველა მარტივი და რთულია,
რადგან დიდს და პატარას სიყვარული სწყურია.
სიყვარულის წამალი მხოლოდ სიყვარულია!

## ნუ დაიფიცავ

ნუ დაიფიცავ ზეცას მადლიანს – ეს ღვთის ტახტია!
ნურც დედამიწას შეეხები, ნურც მეფის ქალაქს...
თმის ღერის შეცვლას ვერ შეიძლებ უფლის გარეშე
და საკუთარ თავს თუ იფიცავ, ეგ ცოდვაც კმარა!
გახსოვდეს: შენი ჰო – ჰო არის და არა – არა!

## სხვას არას ვდარდობ

მთის გაცისკრებას შევესწარი ჭიკათის თავთან,
ფიქრი ავუნთე ცის მახლობლად დგნალსა და ხანდოს,
ბარის ნისლებთან მოგროვილი ოცნების რითმებს
ისევ მთას ვანდობ...
არ გამიყიდო,ღმერთო, ჩემო, იუდას ხელით,
ქვეყნის წყალობა, მადლი, ისევ ოცდაათ ვერცხლად,
ქართლიდან არაგვს სიყვარულით დამწვარი მზერა
დამინთე ცეცხლად!
და მეც ამანთე, ღმერთო, მზის ერთ უმწეო სხივად,

დგნალსა და ხანდოს სიცოცხლესაც ღიმილით ვანდობ,
წამლად დაედოს ეს სიმღერა სრულად სამყაროს,–
სხვას არას ვდარდობ!

## მაშინ მოგეფერები

უშენობის გასაყარის ბედის კართან ვტრიალებ,
ბალახთ დავცქერ, მწვანეთვალას, დაფეთებულს, ცვრიანებს,
მომწყურდები, ლოცვა-ფსალმუნს ვიზეპირად ერთგულად,
სადაც წახველ, იქაური კაცის ქუდი გეხურა...
თვალის ჩრდილებს ვერ ვუბრძანე სამზეოში მყოფობა,
ვერც ვარსკვლავი დაგიკრიფე, ზღაპრად ფრენაც მეყოფა...
ამიტომაც, სიკვდილისთვის არ ამოვთქვამ სამდურავს,
რადგან სასუფევლის გზაზეც კაცის ქუდი გახურავს!
შენით ვანთებ აისის მზეს, მაგრამ დარდი აღარ მსურს,
პატიებას მოგთხოვ, როცა მოვიძიებ დასასრულს,
ახლა მწვანე მინდორს ვიწნავ თმებში, იის ფერებით,
შვილიშვილებს რომ ვუმტყუნებ, მაშინ მოგეფერები!

## ბედნიერება

მტერსა და მოყვასს ნუ განიკითხავ,
საკუთარ თავში ეძიე ნაკლი,
სულში სიწმინდის ხნული გაავლე
და ამოძირკვე ეკალი, ღვარძლი!
სანთელ-კაშკაშა სიმართლის გზები
გადაიშლება ვარდის ღერებად,
მხოლოდ, სიმართლის და სიყვარულის
ნიჭი მოგვმადლებს ბედნიერებას!

## ამდენ სიყვარულს

ყოველს დიდ აღმართს მოსდევს დაღმართი,
ყოველ სიხარულს თან ახლავს მწუხრი...

და... მე, უღირსმა, ისიც არ ვიცი,
ამდენ სიყვარულს ღმერთი რად მჩუქნის...
კვლავ, უკეთესის არ ვკარგავ იმედს,
მტერსაც ვლოცავ და ყველა მოყვარეს,
უარესს მუდამ ვუხუჭავ თვალებს,
მწუხრსა და დარდებს გულს არ ვაკარებ
და მაინც, აღმართს მოსდევს დაღმართი,
ყოველ სიხარულს თან ახლავს მწუხრი,
ამიტომ ბევრი უნდა ვიფიქრო, –
ამდენ სიყვარულს ღმერთი რად მჩუქნის!

## ბრალი იმისი

მზისა და თოვლის ბრძოლებში
ენძელა ნაბავს თვალებსო,
ბუჩქების ძირში ოცნებობს,
იას რით გავახარებო...
თვალებში უყვარს ყურება
ყვავილთა მახარობელის,
საწუთისოფლო შარაზე
ღიღინი მგზავრის ფერების...
იას თავისი მე აქვს და
ენძელას თურმე – თავისი...
ბრალი იმისი, ვინც დღემდე
ვინ არის, ისიც არ იცის...

## ჩემო სუნთქვავ

დედა ღვთისმშობელის კვალზე ღვთიურ მადლად ამოსულო,
ჩემო ერთო ამოსუნთქვავ, ზღვავ, ხმელეთო საოცარო,
ლოცვისფერო, მადლისფერო, ნატვრის წყაროვ, დაუშრალო,
ათას ტკივილების გამძლე ვაჟკაცო და ნეტარ-ქალო, –
სამსხვერპლოზე უხვად მავალთ თავი უნდა დაგიხაროთ!
წარსულსა და მომავლის დღეს ისე უნდა ვეთაყვანო,

ცამ და მიწამ გაიგონოს, იბერიავ, მრავლისმთქმელო,
ოღრო-ჩოღრო გზებზე დღესაც ზურმუხტ-ლალად დაფენილო,
ლოცვა-ხვეწნით და მუდარით ღვთის
მადლებით დალოცვილო,
ჩემო სუნთქვავ... პატარავ და... უდიდესო საქართველო!

## პაწაწა ღიმილი

თითქოს ჯინაზე ეპარება გაზაფხულს წვიმა
და სიყვარულსაც უნიათო სევდით ასველებს,
ხან გულიანად აამღერებს სამყაროს სუნთქვას,
ხან ღალატიან მოლოდინსაც გადააცრემლებს...
ახლაც წვიმა, გაზაფხულთან შემოპარული,
ისევ წვიმს, ჩემო... ნუ გგონია ქალის ცრემლები,
გულდაწყვეტილი ცის უაზრო ნიშნისგებაა,
მტკვარზე ღელვად და სიყვარულად გადაფარული...
დიდგულობს წვიმა, ზედ აკვდება ჭაღარა თბილისს
და დასრიალებს მეტეხის ქვეშ ფარულ ოცნებად,
მრავალ დროების მოწამეთას ურჩი ცრემლებიც
აქ დაჭენობდნენ, წვიმიანზე, ტატოს მერნებად...
მარადისობას გაცდენილი ლურჯა ცხენები
ამაოების ფუჭ სურვილებს წერდნენ მაღლიდან...
განწირულთა ბედს დიდხანს ქსოვდა ბედისმწერალი,
მთაწმინდის მთვარე მესაფლავეს სიცილს აყრიდა...
წერდნენ... წერდნენ და... უკვდავებად გვეწვიმებიან,
ან წვიმიანზე როგორ წერდნენ, ნეტავ მენახა...
ისევ შენ მოდი, დამაწვიმდი მაისის ფიქრად,
ჩემი ღირსების გასაზომი რადგან შენა ხარ...
ძლიერმა ხელმა გაუხანჯლა ქალს გულისპირი,
სითბოდ დაღვრილი კაცის თვალში ალერსი წვიმდა...
რამდენ განსაცდელს იტანს ქალი უმწეო მხრებით,
სიხარულისთვის, სულ პაწაწა ღიმილი უნდა...

## უფალი მაინც გაიგებს

ენა ხომალდის საჭესავით
მართავს ჩემს სხეულს,
მაგრამ თუ ზოგჯერ დამაჯახებს
პატარა კუნძულს, ანდა აისბერგს, –
შვილი თუ არა და შვილიშვილი,
მიზეზს უფალი მაინც გაიგებს!

## თუ არ დამგვიანებია

შენ ქარი ხარ, მოვარდნილი ჩემს სიზმრებში,
მე გამხმარი ფოთოლი ვარ, პაწაწინა,
წამიყვანე, სადაც გინდა, თუ არ დამგვიანებია!
მე ენძელის ყვავილი ვარ, ცისფერთვალა,
შენ ქარი ხარ, ჩემი ბედისწერის ქარი,
თუ გიყვარდი, დღემდე რატომ ერთხელ მაინც არ მითხარი.
დრომ თავისი გაიტანა, დამრჩი დაღად,
დარდს ღიმილი გაჰქონდა და გამოჰქონდა,
ყველა ნატვრას შენეული, მათრობელა სუნი ჰქონდა!
რა ვქნა, თურმე უშენობის არ მაქვს ნიჭი,
დაბერებულ რითმის ქარში ისე მიჭირს,
მე ვარ შენი ერთი ციდა ქალბატონი, შენ – ის ბიჭი...
მე ია ვარ, შენ კი მიწა, სადაც ვდგავარ,
ფესვებით და ყვავილებით შენ რომ გგავარ,
„სიყვარულსა მალვა უნდა“, რა ვქნა, ჩემო, ვეღარ გმალავ...
შენ ქარი ხარ, მოვარდნილი ჩემს ფიქრებში,
მე გამხმარი ფოთოლი ვარ, ზოგჯერ ია, –
წამიყვანე, სადაც გინდა, თუ არ დამგვიანებია...

## შენი ცხოვრება ჰქვია

ნებაზე მოგდევს წუთისოფელი,
ზოგჯერ ათეულ წლებით დაგაცდის,

მერე უფლისგან ნაჩუქარ იმედს
გულისგულიდან ისე აგაცლის,
გაგიცამტვერებს მინდვრის ყვავილებს,
ამოგიღამებს ვარდობას მზიანს,
ერთს არ დაგიტოვს ნუგეშად იას
და მაინც შენი ცხოვრება ჰქვია!
ხან თავს იტყუებ, ოცნებას ზვერავ,
უკან მოსაბრუნ კარს ტოვებ ღიას,
ჭირს და ლხინს მშვიდად რომ უმკლავდები,
ამასაც შენი ცხოვრება ჰქვია!

## ფრთები რომ მომცა

ფრთები რომ მომცა, ჩამოგიფრენდი
და ყველა ტკივილს დაგიფარავდი,
მაგრამ გაჭირდა, – არ შემიძლია
ერთ მდინარეში ორჯერ ნავარდი...
ფრთები რომ მომცა, გაგიტაცებდი,
არწივის წყვილი გამიხდებოდი,
ჩემი ოცნების ლაღი სიზმარი
მოულოდნელად ამიხდებოდი
და ბედისწერა გამიხდებოდი...
სიყვარულადაც არ ითქმებოდი,
დარდის პერანგქვეშ, ამოცლილ ნეკნზე
ჭიამაიად ამეკვრებოდი!..
ერთ წითელ კაბას კიდეც გიყიდდი
და არასოდეს გაფრინდებოდი,
გულზე ფიფქებად დამადნებოდი,
ბადაგ-შარბათად დამატკბებოდი,
ცეცხლის სვეტებად ამენთებოდი
და უკვდავებად დაგეთვლებოდი,
მარადიული სანთლის ნათელის
ლოცვით მუხლებზე დაგემხობოდი,
გულისგულს შიგნით ავეკვრებოდი,

სიცოცხლის წყაროდ დამეღვრებოდი,
აღარასოდეს გაგექრობოდი, –
ფრთები რომ მომცა!

## მკვდარიც შენ მოგეფერები

ლხინში ცას მიწვდენ სამართალს,
დარდებში ჭირისუფალო,
მზეგრძელო, ჩემო ქვეყანავ
და ყოვლისშემძლე უფალო!
ენავ, ხმალივით ნაჭედო
ქარტეხილ-ცეცხლებიანო,
სიმღერავ უკვდავებისავ
და ღმერთის თანაზიარო!
ორბის თვალს გავლებ, მამულო,
არწივის ფრთების ფერებით,
ისეთი ძალით მიყვარხარ,
მკვდარიც შენ მოგეფერები!

## ამ ბოლო დროს

ამ ბოლო დროს, მრგვალ დედამიწასაც ეჭვით ვუმზერ, –
იქნებ ბრტყელია, თორემ რა გზებით დაიტევდა
ბილწი სამართლის გამსაღებელ ჩარჩებს და ვაჭრებს...
ვიცი, დრო-ჟამი დაგვიღლიან ლოდინის დღეებს,
კრძალული ფიქრით გადავხედოთ დაკოჟრილ ხელებს,
რომ ახალ დროში გადავსახლდეთ და მივეგებოთ
სამართლის რაშზე ამხედრებულ, სუფთახელა,
მებრძოლ რაინდებს, კაცობრიობის ღირსებისა
და თავისუფლების დასამკვიდრებლად!

## დრომ გაჩერება იცის

დრომ გაჩერება იცის ხანდახან,
სალი კლდესავით აღიმართება,
ისე სიზუსტით ზომავს გზა-სივრცეს,
წარსული დარდი დაგავიწყდება.
უცებ დაამსხვრევ დუმილის კარებს,
ამოაყოლებ გულიან მღერას,
მოყვარე ბანით შეგეხიდება,
მტერი ვერასდროს დაგაკლებს ვერას!
და უძრავი დრო ისე გაირბენს,
მადლიერებით გული დაილხენს,
ღმერთი წყალობას არ დაიშურებს,
ცხოვრების არსს და მიზანს გაიგებ!..
უბრალოდ... ისე... დრომ გაჩერება იცის ხანდახან...

## აღდგომა ზეგანის მონასტერში

ყვითელთვალება, შავმა ღრუბელმა
საშველად იხმო წვიმა და ქარი,
გადაუკეტა მზეს გულის კარი
და აუცხადა ღამის სიზმარი...
ლაღი ოცნებით ნამღერმა წვიმამ
მზერა ამივსო ბავშვის ცრემლებით,
უფლის კვალს მივდევ ლიტანიობით
და წვიმის სურვილს არა ვნებდები!..
მივდევ ზეგანის მონასტრის კედლებს,
მაცხოვრის მადლით სიყვარულს ვქარგავ,
გულთან ვსურვილობ დედა მარიამს,
ლექსოს თვალებში იმედებს ვსახავ!
გადაიცისკრა ზეგნის ტყის გული
სელაფიელის ლოცვის მადლებით...
შენი ვარ, ღმერთო, მხევალი ღვთისა,
გულში ნურასდროს დამიმთავრდები!

უფლის სიამით ვფერავ აღდგომას
ზეგნის მონასტრის ვეება კართან,
მხატვრის ფუნჯით და ღმერთის პალიტრით
მაცხოვრის მზერას რითმებად ვხატავ!
წვიმა ქარს უხმობს, თვალდანამული,
მზე ამოვა და მოგვითხრობს ამბავს...
მე კი, მანამდე, სულიწმინდისგან
უფლის სიყვარულს შვილისთვის ვქარგავ!
საკმევლის სურნელს ვყნოსავ ნეტარად,
ლოცვით ვაგროვებ ღვთისმშობლის მადლებს...
უფალო, შენი ომფორის თავქვეშ
სულის ზეობა გვაღირსე ქართველთ!

## არსაიდან – შენამდე

დაღამდება, გათენდება, მთვარეა თუ მზის სხივი,
შენეული გაღიმებით ისევ შენს გზას მივტირი...
ზეცის ბაღში ია-ვარდებს ლურჯადაც რომ ვფერავდე,
ალერსს ითვლის თვალი, გული, არსაიდან–შენამდე...
გალაღებულს ფრთებს მაჭრიდი, ცოტა მაკლდა ფრენამდე,
მაინც უშენობა მკლავდა, არსაიდან – შენამდე...
როცა ღამე მასამარებს, ფიქრი მახრჩობს ყელამდე,
ბნელში ისევ ცისკარს ვხედავ, არსაიდან – შენამდე.
ზეცის ბაღში ია-ვარდებს ყვითლადაც რომ ვფერავდე,
გესურვები არსაიდან... გამოვიფრენ შენამდე...

## მენატრები

უშენობა სისხლში მტკივა ანემიად
და სახეზე წითელ სახადს ემსგავსება,
ციების და ცხელებისგან დაღლილ თვალით
ზურგზე წლების უხვი გროვაც ემატება...
სხვებზე ფიქრის მძიმე ტვირთიც შენებრ მტკივა,
მათი დარდი ჩემებურად მენაღვლება,

სიბერის გზა ახალივით მედარდება,
სულს ვერ გბერავ... შენი სული მენანება...
უშენობა სისხლში ჟონავს ანემიად,
სახის ნაოჭს ტკივილები ეხატება,
ჯოჯოხეთის თუ სამოთხის ნათლის სვეტზე
შენი თვალთა მზერის მადლი მესახება...
მიზეზ-მიზეზ მაპატიე დარდის ცრემლი,
წლების ქარში ძველებურად გეფერები,
მენატრები, შენი სულის სასოებით
და ღვთიური სიყვარულით მენატრები!

## რომ არ ვიფიქრო

ხშირად ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ არ ვიფიქრო,
და მაინც, როცა მეძალება არარა ფიქრი,
ან მომპარავენ უფაქიზეს სიტყვათა საგზალს,
ან სიმართლის თქმა მომინდება უცებ გულიან,–
შეკაზმულ რაშსაც ვეღარ ვხედავ გადასახედთან
და დაღლილობის მოგონებით დავიტვირთები
„ვითომ“ მოძღვრებით შენიღბული, ყალბი ციკლიდან...

## ვუმღერ სიცოცხლეს

სინანულიდან მოვედ შენამდე,
იმედიანი გამით მაჟღერე,
ცოდვის შარაგზა გამისუფთავე,
შენს მოყვარეთა გუნდში ჩამწერე.
როგორც მეზვერე განამართლე და
ტკბილი სამოთხე მიეც ავაზაკს,
ქანანელს ერგო წყალობა დიდი,
მეც გაგიბედავ ღმერთს და ამაგდარს:
მინდა მაცხოვნო, შენი სამოსლის
შემხებელი და სისხლებმდინარე,
მდოგვისმარცვალა რწმენის უქონლად

მაინც გიწამე და გაღიარე!..
ცისა და მიწის მეუფევ, ღმერთო,
პაწაწა გულში დიდად მეტევი...
ისეთი ძალით ვუმღერ სიცოცხლეს,
წლები გარბიან... და არ ვბერდები!

## მოსაწყენია...

როცა სამყაროს სივრცის კედლებს ეჭვებით ვუმზერთ
და ერთგულების სიმღერებიც გვაგვიანდება,
როცა მამულის გამარჯვებას ვოცნებობთ ყველა
და თავგანწირვას ჟინი ჰქვია, ზოგჯერ, გართობაც...
როცა სამართალს აბნევია გზა-კვალი მწარედ,
ყველა ზღაპარში პირველობით თავებს ვიმშვიდებთ,
გაქცეულ ქართველ ემიგრანტთა მოლოდინებით
დაღლილი დედა თუნდაც აქვე თვალებს ითხრიდეს,
მოსაწყენია... ო, რარიგად მოსაწყენია
სიცრუის მართლად წარმოჩენა, დუმილი, გლოვა,
ერთმანეთისთვის უსასრულოდ ტალახის სროლა,
სკამებისათვის გამართული, ბინძური ბრძოლა...
ძველის აუგმა, ახლის ქებამ ისე დაგვღალეს,
უკეთესობის ჟამი გვინდა, უფრო ახალი...
გამოჩნდებოდეს კაცი, ისე ღირსეული, რომ
ეთქმოდეს სიტყვა სასიკეთო, მუდამ მართალი!

## მზე ხელზე დამადნეს

ნეტამც მზე ხელზე დამადნეს,
მთვარე ჩემ გულად აქცია
და თვალდამდგარი ქალობის
ცეცხლის ნამწვებში გამხვია.
ალიონს ღიმით ვხვდებოდე,
გული არასდროს მწყდებოდეს
და დაქანცული რითმები

ვარსკვლავთ დათვლაში მშველოდეს,
გულდახურული სოფელი
არასდროს დაიცლებოდეს,
ქართველ ვაჟკაცთა გუგუნი
ნურასდროს მოგვაკლდებოდეს,
დედა-შვილობის სიყვარულს
სენი არ შეეყრებოდეს,
ჩვენი ცოდვებით, ქართული
მიწა არ დამძიმდებოდეს!..
ქალობა-დაბნელებულზე
ლექსის ნათელით ვმღეროდე
და კიდევ... ქალობა ბნელზე,
შენი კოცნაღა მშველოდეს...

## ვერავინ მშველის

ვერ გადავშალე თავმდაბლობის კანონთა წიგნი,
წყვდიადს მზის შუქზე ვერ ვასწავლე თვალის გახელა,
ვერც ნებიერად გაყუჩებულ ეგოს ვუშველე,
ვერც მრავალ ომში გამოწრთობილ ამპარტავნებას...
დაფარულიც რომ ვერ დავმალე გულის სიღრმეში,
გაცხადებული გამარჯვება სივრცეებს მიხშობს
და დედაჩემის შეძახილით გამთბარ სამყაროს
სინანული და სიყვარული ამშვიდებს, თითქოს...
აჰა, ვინანე... დავიტირე ქალობის დღენი...
დამცხრალი ეგო სიმშვიდის ჟამს თითქოსდა, მშველის,
ამპარტავნების ჯურღმულებში ქარი ხარხარებს, –
პირველ სიყვარულს დასასრულის გზა ვერ ვასწავლე!
ვმღერი და.. ვმღერი, უმწეობით თვალებდამდგარი,
ცოდვის ჭაობში სახეცვლილი და პირგამშრალი...
ვის შევეკედლო, ვის შევჩივლო სათქმელი ჩემი,
თუკი არარა საწუთროში ვერავინ მშველის?!

## უძირო თვალების ზღვაში

შენი უძირო თვალების ზღვაში
სიზმრად შევცურე ლურჯი აფრებით,
ლექსის მორევში შემოგასახლე
და ცხადშიც ნუღარ დამეკარგები!..
მთელი ცხოვრება შენ დაგეძებდი,
უფლისთვის არა არის გვიანი...
შენ ჩემი ბედი გქვია, საღირსო,
მე – შენი ნეკნის თანაზიარი!

## უფალი რომ მოვა

უფალი რომ მოვა, მეც გაშლილ სუფრასთან,
უმწეო ბავშვივით, ცრემლებით დავხვდები,
იარას ავიშლით... და სააღსარებოდ
გულს გავშლით რამდენი ... და კიდევ, რამდენი...
მეპატარავება დიდი დედამიწა,
დაბალი მგონია ლურჯი ცის თაღებიც...
სად დაგტევთ, ღალატო, შურო და სირცხვილო,
განკითხვის ცოდვებო, მარხვაშიც არ ცხრებით!
ღმერთო, მოგვიტევე! შენს სახეს, ხატებას,
როდის დაგვიგროვდა ცოდვები ამდენი?!
უფალო, ჩვენს გაშლილ სუფრასთან რომ მოხვალ,
უმწეო ბავშვივით, ცრემლებით დაგხვდები!..

## მუხის ფოთლების გარდაცვალება

ზოგჯერ სურვილზე ძლიერია უცილობელი
აზრის სიმარჯვე... და მეც ვიმარჯვე,
თუმცა სამწუხროდ, ვერ მოვიშორე
ლურჯი თვალების უცნაური სხივთა ნათება,
დარდისდარება... ჩემდა წამებად...
და ამ გვიანი შემოდგომისას გული თავისი

ნებით ესწრება ახტალის ტყეში
მუხის ფოთლების გარდაცვალებას...

## აუგზე ფიქრი ძნელია

ზღვა კოვზით დაილევა და... ქვიშა არ დაიჩივლებსა,
ბოროტს რად უნდა სიკეთე, ბოღმაშიც დაიძინებსა,
გაასავსავებს ხელებსა, ააბრიალებს თვალებსა,
ცოდვების დიდი ავტორი სხვას არქმევს თავის სახელსა...
იმავ სხვას, ურცხვი ღიმილით, სტუმრად შეუღებს კარებსა,
ბოროტი სიტყვით ჩააქრობს მასპინძლის კეთილ თვალებსა...
მზაკვრობითა და გესლებით სადაც გაიქცა, – წაიქცა...
ზეცას რომ ასწვდეს ნაგავი, მტვერი ჩამოვა მაინცა!
ქარი დაათრევს ნაგავსა... მტვერი კვლავ ყველგან მტვერია...
შორს ნუღარ გავედევნებით... აუგზე ფიქრი ძნელია...
აგერა, მინდვრის ბოლოზე, ლექსის კონები მელიან,
მოვუგურგურებ... მგონია, უჩემოდ ვეღარ მღერიან!..

## არარა დაგვირჩეს სათქმელი

ჯანსაღი ფიქრები... საქმე და...ფიქრების ძაფები არ წყდება...
რამდენიც სიღრმეში ჩახედავ, იმდენი სიახლე დაგხვდება...
მერე, ტყის და მინდვრის სივრცეში ლექსები
თავისით გაჩნდება,
სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობ და... ფიქრები
საფლავშიც გაგყვება...
ჟამი რომ ამთავრებს წვის დღეებს და იღბლის
სანთელი გაქრება,
ვიღაცას გულზე მოეშვება... ვიღაცას გულიც კი დასწყდება,
ამაყი, უდრეკი სული რომ ცის კიბეს ცრემლებით აჰყვება,
ჯანსაღი ფიქრები ყველგან რომ კეთილის საწყისი გახდება,
დიდებულ, ზნეკეთილ საქმეს რომ დახატავს
კეთილი ფიქრები,
ოცნების ზეიმის ოქროსფერ დღეებში ნატვრად

რომ ვიქცევით,
ლექსები იწვიმებს, შხაპუნა... ლექსები უკვალოდ არ ქრება,–
სულია... გული და ფილტვები...ნუგეშად, იმედად გვატკბება!
ფიქრი ხომ ისედაც საქმეა... და საქმე – ფიქრების საშველი...
ჯანსაღი ფიქრი და... საქმე და... არარა დაგვირჩეს სათქმელი!..

## ჯერ აქა

საწუთროს დღეო, მზეგრძელო,
ჯინში მიდგახარ ქალასა,
აგზვირთებია გულ-მკერდი,
ურცხვად მიჩვენებ ძალასა...
მეც, ტიალი და სამიწე,
ვეღარ ვეშვები ბრძოლასა,
ვერ ვგუობ ბეთლიას ქალი
შიშსა და უშნოდ ძრწოლასა!
ზავს დავდებ შენთან, ოღონდაც
მასწავლე ჭირის წამალი,
დასაშურები, ამქვეყნად
ღვთის რწმენის გარდა, რა არის...
ზურგზე ვერ დამცემ, სოფელო,
უფლის ვარ! ვკოდავ მიწასა!
სადაც შენი თქვა, ჩემიც თქვი
ჯერ აქა... მერე... იქაცა!

## კახეთის და მთიულეთის ნატვრით

ჩემი კახეთის მიწის ნაფხვენს მოვუალერსებ
და მთიულეთის ხვეულ ბილიკს ავახმიანებ,
მშობლების ანდერძს ისერიგად დავაგვირისტებ,
მათ გულისტკენას საფლავშიც რომ გავამთლიანებ!
ხშირად დაგხედავთ ველისციხევ, გურჯაანო და
დგნალო, მენესოს ცის კიდემდე აწვდილო ტყეო,
ხანდოს ხევო და არაგვის წყლის ტკბილო ნანინავ,

დედის ლოცვავ და... მამაჩემის საგულე მზეო!
დედას პურებო... ერბოს ქადავ, მხლოვანის გემოვ,
საფერავო და მთიულეთის ლუდის ზღაპარო,
დედულეთო და მამის მიწავ, სამშობლოვ ჩემო,
ერთარსებავ და მადლიანო, – უფალს ჰგავხარო!
P.S. შვილს და დისშვილებს დარდი როცა შემოგაწვებათ
და ჩემი ჟამის დღის სანთელი დაიფერფლება,
გამომინახეთ ორი მეტრი მიწა მშობლებთან...
სიცოცხლის დღენი კიდევ უფრო დაგილხინდებათ!

## თავისუფალი ადგილი მინდა

ველურ ბუნების მოტრფიალე ქალს,
გაუხედნავი ოცნების მიღმა,
თავისუფლების სამყაროს ჩრდილში
თავისუფალი ადგილი მინდა,
რომ ვაგიზგიზო გულის ბუხარი
სიყვარულის და სიკეთის ნიშნად!

## ნედლი სახადი

გაწვრილებულა გზები, ველივით,
დროს ასწრებს სადღაც, გადარეული
და დაიხატა მზიან ბილიკზე
ტვინის უჯრედის მსგავსი ხვეული.
გავარდისფერდა სიმდიდრე ტყეთა
შემოდგომური ჟამის გამებით,
გამხმარ პანტას და შინდისფერ ასკილს
გამოუბრწყინდათ მოსართვები.
ტეხრავის წმინდა მიწის პირებზე
ჩამწკრივებული მოხუცის ლანდებს
გაცისკრებული დგნალის მზის სხივი
ალამაზებს და უფანტავს დარდებს.
თავგანწირული ცქმუტავს ჭიქაში

ჟიპიტაური, ქვრივის ნახადი...
მე კი, კვლავ მჩხვლეტავს ნემსის წვერივით,
მთის სიყვარულის ნედლი სახადი...

## დემოკრატია

როცა ყველანი დამნაშავე და
უღირს-უძღები შვილი გავხდებით,
დემოკრატია თავისით მოვა, –
სამართლითა და ლხენის ჰანგებით,
თავად გაგვიღებს თავისუფლების
მოოქროვილ და ჩუქურთმა კარებს,
ძმათა მტრობასა და სიძულვილში
თუ არ გავხარჯავთ სიკეთის ძალებს...
დემოკრატია მაშინ მყარდება,
თუ ირგვლივ ყველა დამნაშავე ვართ,
დიდი, პატარა, შავი თუ თეთრი,–
თუ ყველა ერთად სიმართლეს ველტვით...

## შვილის თვალები

მზე ძოწის სხივებს მაშინ აცისკრებს,
როცა მის თვალებს ზეცა ალერსობს,
დედა-შვილობის მწვანე ბილიკზე
შენც მზისფრად ნაბავ, შვილო, თვალებსო...
ათასი ჯურის მტერი, მოკეთე
შემოგილეწავს გულის კარებსო,
თუმც ვერასოდეს და ვერაფერი
ვერ შეედრება შვილის თვალებსო!

## ლექსები მტკივა, ლექსები მზარავს

სულ ერთმანეთს ჰგავს დღენი სოფლისა,
მე განსხვავებულს ვისახავდი მოდელს ზეცისას,

ჰოდა, ცა მქონდეს ახალი, მინდა!
ლექსები ცვივა, თანაც, ზეციდან... ლექსები მტკივა,
ლექსები მზარავს! ყველა შავ დღეში
ის არის ჩემი ჰაერი, წყალი და ის მიფარავს!
ო, როგორ მოსაწყენია ამდენი გიჟი პოეტი
და როგორ მოსაფერია სიტყვის ძარღვი და გენია,
სიცოცხლეს მიეცა აზრი და ამიტომაც მოსალხენია!
აქ ყველაფერი ელავს და ყველა ქვა დასამღერია!
თითო ტაძრის ნანგრევი, თითო ბალახის ღერია,
ეს დაჯიჯგნილი და წართმეული მინდვრები, დიახაც, ჩემია!
კალთადახეულ მამულზე დაცრემლილები ვმღერივართ!
ჩემია ღალატიანი შადიმანი და თავგასული ბატონი,
ქალაქში ბედისმაძიებელი, ზარმაცი გლეხიც ჩემია,
ის შეფუთული წარსული და შიშველი მომავალიც ჩემია!
ის გიჟი პოეტიც ჩემია და არც ისე მოსაწყენია,
რადგან ჭკვიანთან შესადარებელია...
სულ ერთმანეთს ჰგავს დღენი სოფლისა,
მე განსხვავებულს ვისახავდი მოდელს ზეცისას,
ჰოდა, ცა მქონდეს ახალი, მინდა...
ლექსები მტკივა, ლექსები მზარავს... ყველგან და მუდამ
ის არის ჩემი ჰაერი, წყალი და... ის მიფარავს!

## ალაზნის გამები

კახეთში ვაჟღერე ალაზნის გამები,
მთას დამრჩა ფესვები, თვალდაუდგამები...
ბედს შევრჩი ღიმილით გულგაუხარები,
ხეს შემრჩა ნაყოფი, თვალგასახარები
და მაინც, მთაში მაქვს გრძელწვერა ფესვები,
მამილო, შენს თმებზე ოქროსფრად ვენთები,
ბარიდან მთის შუბლზე რომ არსად გამრიყოს,–
ლომისი, ჭიკათი სანაცვლოს არ ითხოვს...
და მაინც, ალაზანს გადავდებ სარითმოს,
ალმასის საფლავი სადმე რომ დამითმოს!..

## და შენ, ქართველო

ჩემი თბილისის თვალთ-შეუდგამ ტაძრების მადლო,
რუსთავ-ბოლნისო, მცხეთის ჯვარო, კვართის ნათებავ,
გაოცებული რად დაგვყურებს არწივი ციდან,
დაცლილ სოფლებზე ცრემლის წვიმა რატომ არ წყდება?!
აგერ, ლომისი, ლაშარი და ქიკათს ვედრება
ნეკრეს-გრემის და ალავერდის ძალით ერთდება,
გარეჯელ ბერთა ლოცვის მადლი დაემატება
და საქართველოს ლალის გულზე დაეხატება.
მერე ხახმატით დაიქროლებს ტრფიალა ალი
და არაგვიდან ალაზნამდე იმღერებს მთვრალი,
ვნების ქარ-ცეცხლში დაიწვება ფერდობზე ქარი,
სანთლის თითებით დააკვდება გარმონზე ქალი,
აელვარდება ერისკაცთა სიტყვა მართალი,
გერგეთს ნაკურთხი, მადლიანი, კამკამა წყალი,
ქართლელ-გურულის, იმერელის საქმე საგმირო,
მოხევე თინას და მეგრელის ბრიალა თვალი...
აქეთ ქეთევანს, თეიმურაზს მოუხმობს კახი,
მეფე ერეკლეს, დიდი ბრძოლის მნათეს, გენიას,
ვიმარაბდელებთ დიდგორელთა ნასუნთქი ჟამით,
ეჰე, რამდენი ჯერაც ისევ დასამღერია...
ჩემი თბილისის თვალთ-შეუდგამ ტაძრების მადლო,
მცხეთის ჯვარო და სვეტიცხოვლის კვართო, ნათელო,
წითელი ხარის რქაზე ლექსად თქმულო სანთელო,
მუხლს გიყრით ხვავიანო მიწავ და შენ, ქართველო!

## ვითომდა სულგრძელს...

შემოენთება მაისის სითბო თბილისის ქუჩებს,
ქადართ სიმღერას რუსთაველზე ქვეყანა უსმენს...
დღესაც არ ვიცი, გენატრები,
თუ უჩემობა შემოგეჩვია, ვითომდა სულგრძელს?!

## სიმშვიდის სანეტარო დღეებით

შეშლილ სამყაროს მდუმარ კედლებში თავშეფარებულს
ზოგჯერ სიმშვიდე ათასგვარად მაღიზიანებს,
ვნატრობ მიზეზებს, – აღელვებულ ზღვად გადავიქცე
და შეშფოთებულ ტალღებში ვპოვო სულის სიმშვიდე...
შფოთი მადუმებს ... დალოცვილი ოქროს დუმილი
ფიქრის დროს მაძლევს... უამრავ აზრს მაფიქრებინებს,
ზოგჯერ ტკივილის ძალით ვიცინი... დარდი მამშვიდებს,
ხან სიხარული ცრემლიანი გულით მატირებს
და მდუმარ სულში კვლავ დუმილი დაისადგურებს...
რადგანაც დუმილს მოაქვს ზოგჯერ სიმშვიდის ფერი,
მეც ამ სიმშვიდის სანეტარო დღეებით ვმღერი...

## სიმართლის მზით

დედამიწას სათვალავი აერია,
ვარსკვლავეთი ძლივს- ძლივობით დაითვალა,
ყველა შვილი მთვარეს ციმციმ ჩააბარა,
ლურჯი ზეცა მზრუნველობით გაახარა...
მთვარემ ისე აკვარკვარა მზერა თვალთა,
ღვთისმშობელმა დააბერტყა ლოცვით კალთა,
დედამიწამ დედის ლოცვა წაიკითხა,
ბოროტება კლდის ნაპრალში გაიხიდა...
შურმა შურით ამოჭამა თავი თვისი,
სიკეთე რომ ამწუხრებდა მუდამ სხვისი...
წავა ღამე... სადაც არის, გათენდება
და ქვეყანა სიმართლის მზით ამღერდება!

## ეს რა ხანი გასულაო

გადაღლილი ოცნებებით ფიქრის ზღვაში დავცურავო,
ვიდრე წლები აღზევანზე სამარილოდ წასულაო,
სიყვარული დამეფინოს ლამაზ წლების წარსულადო...

რამდენი დრო გასულაო... ფიქრის ზღვაში დავცურავო,
მოციმციმე ნაკადული მდინარემდე გასულაო...
გადაღლილი ოცნებებით ფიქრის ზღვაში დავცურავო,
ის ბავშვობა, სანატრელი, სადღაც, უხმოდ წასულაო,
გული წლებით გართულაო... ეს რა ხანი გასულაო...

## იმედიანი დღისთვის

ზოგჯერ ცივგულა, თეთრი თავსაფრით
მარტი ყვავილებს გაეკიდება,
იას ჩაქოლავს და ენძელებსაც
ყინვის ცეცხლები წაეკიდება...
ტყე შეჭირხლდება... მთა გაბრწყინდება
და სიყვარულის დახლართავს ამბავს,
თეთრი ნისლები მტკვარსა და არაგვს
მოუზიდავენ ტყუილს და მართალს...
და ცრუპენტელა ზამთრის ნარჩენი
ნუშსა და ტყემალს თვალს დაუყენებს,
მერე, გვალვები დაითხრის თვალებს
და წლის მოსავალს ცულს დაუღერებს...
ჰოდა, ბუნების კეთილო ძალავ,
აპრილა გზების გულცეცხლა მზეო,
გლეხის მარჯვენავ და გადარჩენავ, –
იმედიანი გვიბრწყინეთ დღეო!

## სადაც მინდა... როცა მინდა...

შემოყრილა ცაზე დარდი, გაწვიმებას აპირებს,
ელვისფერი მოსდებია მტკვრის ნარნარა ნაპირებს,
უპატრონოდ იყურება ჭრელა-ჭრულა არღანი,
იმ დალხენილ წარსულს ვეძებ, მეარღნე კი არ არის...
ცაზე შავი ღრუბლის ფერმა სიყვარული არია,
ხიდის თავთან, მტკვრის ტალღებმა ამომძახეს არია...
ჩემებურად შევიშალე... წვიმის ფეხქვეშ ვბანაობ...

ვიღაც ძრავას ამუხრუჭებს, აქ რამ მოგიყვანაო!..
რა უნდოდა, ჩემთვის ვიყავ... არვის ავუხირდები...
რად დამიფრთხო წვიმიანი სიყვარულის ფიქრები?!
და ვინ იყო... რა უფლებით მომაყარა კითხვები?!
სადაც მინდა... როცა მინდა... როგორც მინდა,– ვიქნები!..

## ერთხელ, ბინდში

ბინდი ძალებს იკრეფდა და... მოვდივარო, –
დედა თბილისს აფრთხილებდა...
დამძიმებულ გულითა და ცქვიტი ფეხით
გზას ბარაქას ვაყრიდი და...
გაშლილ თმებს და ფრანგულ სურნელს აედევნენ
უდარდელი ყმაწვილები...
მე ვჩქარობ და... გულისცემას ვაკვირდები...
ნახე, როგორ „დაგაზაო“,– ხარხარებენ ყმაწვილები...
წინ გუბურას გადავევლე და გაისმა:
ხიდან ხეზე გადაფრინდა ნაზად ჩიტი...
შემოვბრუნდი... ჩიტი არა, ბებო...ყვავი!
ახლა მაინც დამანებოთ იქნებ თავი!
ჩიტის ნაცვლად, ცელქ ბიჭუნებს
მართლა შევრჩი ხანდაზმული, თეთრი ყვავი...
სიბრალულით გამიღიმეს... მიბოდიშეს...
სევდიანი თვალთამზერით დამანებეს თავი...

## უსიყვარულოდ ვერავინ შეძლებს

გათეთრებულან გზაზე ტყემლები,
აჩემებული სიმღერის მსგავსად...
გაზაფხულის მზეს ებრძვის ფიქრები,
დაისის თავზე სიმშვიდეს ქარგავს.
გაწვრილებულა მთვარე დღის გულზე
და თეთრ ღრუბელთან იქარვებს დარდებს,
ზეცა, ბოღმისგან გადარეული

მზისა და მთვარის სიყვარულს ამხელს...
ჯერ ისევ დღეა... მთვარეს რა უნდა,
უსამართლოდ დგას და კანონს არღვევს,
თუმც სიყვარულის კანონს და წესებს
კაცობრიობა ჯერ კიდევ ადგენს...
დაიარება ჟამი ტრფობისა,
არ მორჩილდება სამყაროს წესებს,
მზე... ცა... მიწა თუ ადამიანი, –
უსიყვარულოდ ვერავინ შეძლებს!

## ჩემს საქართველოს

დედავ ჩემო და რწმენავ კეთილო,
ჩემი ცხოვრების ანკარა წყაროვ,
შენი დიდებით და სიყვარულით
ყოველ გაზაფხულს შენსავით ვხარობ!
გულზე მაკვდები მაისის ფიქრით,
წითელნისკარტა ფრინველთ გალობით,
ილხინე, ჩემო, პირგაბადრულო,
გაზაფხულით და უფლის წყალობით!
ვარდის ფურცლობის საგალობელში
დამწვა შავჩოხა შაშვის გალობამ,
ღმერთო, მაღალო, ჩემს საქართველოს
არ მოუშალო ლოცვა-გალობა,
ჩემს საქართველოს და დედამიწას
არ მოეშალოს უფლის წყალობა!

## დედის თვალით

შვილთმოყვარე დედის მსგავსად, – ყველა ლექსი
ჩემია და... ვეფერები... ყველა მიყვარს,–
მათში ვხედავ ცხოვრების გზას, არსს და მიზანს!
ზოგჯერ ეგო, დიდებისა, ისე მმართავს,
ვეღარ ვარკვევ ტყუილსა და ჯანსაღ მართალს,
პოეტობის ბადეს ვქსოვ და... ზოგჯერ, ვხლართავ

და ამ ბადით მივედები ალთა-ბალთას...
სულის საკვებს ვიგროვებ და ვანაწილებ,
ერთგულ დედის ხელით ვქარგავ გზას და ხიდებს.
კვლავ დავქარგავ ! ლაბირინთებს გადავლახავ,
ჩემს ლექსებსაც სიყვარულით ავადევნებ,
დაუღლელი დედის თვალსა...

## ჩვენი ცხოვრება

საოცარია ჩვენი ცხოვრება,
ზოგს ემდურის და ზოგს უხვად სწყალობს,
წლების და დროთა ორომტრიალში
მე დამამშვიდა... თავად, სულ ჩქარობს...

## დაბრძანდი, დეიდა

გავრბივარ... ვეწევი ცხოვრებას,
ვფუთავ, რომ არ გაქრეს ხელიდან
და წლების ქარბუქში არ მითხრან,
დაღლილხარ, დაბრძანდი, დეიდა!
ბრძოლებით მივაპობ ცხოვრებას
და წლების სიმძიმეს ვერ ვიტან,
ოცნებას მტაცებენ ხელიდან, –
თუ მითხრეს, დაღლილხარ, დეიდა!
გავრბივარ, ცოტაც და... ჰეი და...
ვიღაცის მართლა ვარ დეიდა,
თუმც წლების ზიდვისას არ მინდა,
რომ მითხრან, – დაბრძანდი, დეიდა!
ყოველ წუთს დავძახი – ჰეი... და...
ნაოჭებს არ დავთვლი დღეიდან,
ოღონდაც არვისგან გავიგო, –
დაღლილხარ, დაბრძანდი, დეიდა!

## ნეტავი და... ნეტავი

მამას მზემ, დედის მთვარისად და დაიკოს ვარსკვლავისად,
მონატრებათა წყურვილმა დილიდან გამახალისა...
ნეტავი ერთი მასწავლებელი მაინც დამრჩენოდა ცოცხალი,
თმებზე ხელი გადაესვა, – ჩემი ჭკვიანი გოგოო,
ან მშობლიურ სახლში დედაჩემის ღიმილი დამხვდებოდეს,
ჩემი ჩხიმალა გოგო, დედის მზე და სიხარულიო,
ან იქვე, მამის მწვანე თვალთამზერა დამეიმედოს
და ერთადერთი დაიკოც ნეტარებას დამაყრიდეს...
ან კიდევ, ლურჯი თვალების ცეცხლი მწვავდეს
და სიცილს მადევნებდეს, – ჩემი გიჟპოეტა ცოლიო...
ნეტავი... ნეტავი და... ნეტავი...

## მტერსაც კელაპტრებს დაანთებინებ

თუკი ივარგებს შენი ლექსები,
სიყვარულის ცეცხლს დაანთებინებ,
მახვილს მიბაძავს... ფარად იგულებ...
ბასრი ხმალივით გააქრევინებ...
თუ ერთხელ მაინც მიწისძვრამ შეგძრა
და შენთან ერთად გაუძლო ლექსმაც,
მაშინ წყალობა-მადლის სიუხვით
უკურთხებია კალამი ღმერთსა!
და შენივ ლექსით, სრულად სამყაროს
მშვიდობის ზავებს დაადებინებ,
ყველა ბრძოლაში გამარჯვებული
მტერსაც კელაპტრებს დაანთებინებ!..

## შენი მევალე დამტოვე

ცილისწამების ცეცხლით გათელილ
სინდისს ვუხუჭავ ჯერ კიდევ თვალებს,
ღმერთო, რამდენი შემაძლებინე...

შემაძლებინებ ჯერ კიდევ რამდენს!
იმდენი კიდევ... იმდენი... ვიდრე
არ დამიხუჭავ ნუშისფერ თვალებს,
ვიდრე დიდებულ შენს სამყოფელში
არ გავისტუმრებ საქვეყნო ვალებს
და ცოდვიანი სოფლის შარაზე
მუდამ მადლისფერ გზებით მატარე,
შენი მევალე დამტოვე მხოლოდ,
ეს სიყვარულიც თან გამატანე!

## თორემ, ვინ იცის

მთვარე ღრუბლებში ფიცხელ გარბოდა,
აფაციცებდა თვალებს არწივის,
ღრუბლის ყურიდან იჭვრიტებოდა
და იღიმოდა ლოთი კაცივით...
იმზირებოდა ღრუბლიდან ისე,
მიალამპრებდა მიბნედილ ღამეს,
თურმე ყვითელი თვალით ზვერავდა
ვარსკვლავ-კეკლუცა, მოხდენილ ქალებს.
მეც ვისურვილე მთვარის მოხიბვლა,
დიაცთა გუნდი ცოტას ახირდა...
მარჯვენა თვალის პაჭუნით, მთვარე
განთიადისას ნახვას დამპირდა.
კიდევ კარგი, რომ მზემ შემოგვისწრო
და სირცხვილისგან დავიწვი ლამის,
თორემ ვინ იცის, რას არ ვიზამდი
მთვარით შეშლილი, თავნება ქალი!..

## წამლად მოგერგოს ეს ლექსი

წამლად მოგერგოს ეს ლექსი,
მალამოდ – ჩემი სიტყვები,
ვიდრე ცოცხალ ვარ, მამულო,

შენი ერთგული ვიქნები!
ლხინში დაგილხენ ოცნებას,
შენთვის ჩავიცმევ შავსაო,
და უყოყმანოდ შევაკლავ
მტერსა და დუშმანს თავსაო,
ოღონდ იმზეოს შენმა მზემ,
ცამ არ შეიკრას ღრუბელი,
არ გავხდეთ მტრების სამიზნე,
ერთგული თანაგუნდელი!
ოღონდ არ ედგეს ჩრდილები
ჩვენს წინაპართა სახელებს,
მრავალხმოვანი სიმღერა
არ დაუძველდეთ ქართველებს!

## შენზე ვიფიქრებ

მთვრალი თუ არ ხარ, ვერ გაიგებ ჩემს აბდა-უბდას,
გიჟი თუ არ ხარ, ვერ მიხვდები, რად მკლავს სიგიჟე...
მიცვალებული ფოთლის ზღვაში გემებს ვამხედრებ,
გავიმარჯვებ და... ხვალაც ისევ შენზე ვიფიქრებ...

## არ გმორჩილდები

არ გმორჩილდები, სიბერევ, შენი მონა ვერ გავხდები,
გზაზე უფალი მიმიძღვის... სახლში მაცოცხლებს ვარდები,
აზრი მიეცა ცხოვრებას, რთულს ვეღარ ვხედავ ვერასო,
შიში და, თუნდაც სიკვდილი, ვერ შემიცვლიან რწმენასო!
ისე ნარნარით დავდივარ, ხშირად ზეცაშიც დავფრინავ,
შეუსრულებელ ოცნებას მუდამ ვუყურებ მარტივად...
არ გმორჩილდები, სიბერევ, შენი მონა ვერ გავხდები,
რადგან უფალი და შვილი არიან ჩემი მფარველი!

## ზეცაში ვიფრენთ

„განა ყველაფრის უფლება მოგვცეს,
რისი კეთებაც შეგვიძლიაო“ – ასე
გვმოძღვრავდნენ რომაელი ორატორები...
ჩვენი სამყაროს კანონმდებლობის ამ წესრიგით
თუკი ვიცხოვრებთ, თუ ჩვენს უფლებებს,
თავისუფლებას და ღვთიურ ნებას ერთმანეთში
აღარ ავურევთ, დაუწერელი კანონებით, ეგოს
დაცხრობით, თავის მდაბლობით,
სიყვარულით და ბედნიერებით, –ამ ცოდვიანი
დედამიწიდან, ძალზე ხშირად, ზეცაში ვიფრენთ!

## ვკრიფე, დავკრიფე რითმები

ვკრიფე, დავკრიფე რითმები, ლექსი ავაწყე სამზეო,
რაც გუშინ დამრჩა სათქმელი, დღეს უნდა გამოვამზეო!
როდემდე დავამდუმარო ლექსი ტიალი, მზიანი,
დღეს თუ არ გითხარ სათქმელი, ხვალე იქნება გვიანი!
გამიცალდება სიტყვები, რა ვიცი, ხვალე რა ხდება
და სულწასული რითმები ხელებში შემომაკვდება,
მდელოზე ნაფერ ყვავილებს გული რომ ასამარებდა,
ეგ დასაწველი თვალები იმედებს რაღას მაძლევდა?!
ისევ თუ დავაგვიანე, სიცოცხლის დღეებს დავიკლებ,
ლექსად ამოთლილ სტრიქონებს დასანანებლად ავიკლებ.
როცა მწყურდები, რითმების ალერსით ვწარამარაობ,
მაგ ცისფერ თვალებს გაფიცებ, ან ჰო მითხარ, ან – არაო,
თორემ დავღალე ოცნება, გული ეჭვებით წახდება,
რაღა ფასი აქვს სიყვარულს, თუკი საეჭვო გახდება?!
კიდევ დაგიცდი, ვიდრემდე გულს ტრფობა აწევს ლოდივით,
ვიდრე ვერ ვუგებ სამყაროს და ვკვდები შენი ლოდინით...
ვკრიფე, დავკრიფე რითმები, ლექსი ავაწყე სამზეო,
არ დამიბნელო საფერო, შენთან მსურს გამოვამზეო!..

## აპათია უაზრობის გამო

უაზროდ ვზივარ ამ საბრალო წუთისოფელში
და უაზრო აზრებს ვისვრი, ისიც, უაზროდ...
სიტყვასა და ტყვიასაც ისვრის ადამიანი, ჰაერში,
ზოგჯერ უაზროდ, მაგრამ ადრესატს ხშირად,
მიზნობრივად უბრუნდება... და... ვინ იცის,
ეს ჩემი უაზრო ჯდომაც აზრიანად გადაიქცეს
და ზარმაცი ბავშვის მსგავსად მონათხრობი უაზრობა,
აზრიანმა მასწავლებელმა ღირსეული საგაკვეთილო
პროცესისათვის აზრიანად გამოიყენოს...და მეც...
მასწავლებელივით, თვალებიდან გამოფრქვეული
იისფერი ცეცხლის იასამნის თაიგულიდან, პირველი და
დაკარგული სიყვარულივით, აზრიანად გამოვიხედო...

## ლექსს აღარ კითხულობენო

ლექსს აღარ კითხულობენო დღეს...
მე მაინც შეუსვენებლად ვწერ...
ლექსს არ კითხულობენ, უფრო ისმენენო,–
მსახიობის ან პოეტის კარგად წარმოთქმულს,
რადგან თვალით კითხვას და ტვინით აღქმას
გულისყურით და მარტივად მოსმენა სჯობს...
ლექსს თუ გულის თვალით წაიკითხავ, ვინ იცის,
რა აღიქვას და რა დაინახოს შენმა გონებამ...
იქნებ ათასფრად შენიღბული აზრებიც დაგებადოს...
როცა ერთ მშვენიერ დღეს, მე ძალიან გაგაოცებთ,
თქვენ იძულებული გახდებით, რომ წაიკითხოთ
საოცარი პოეტის უბრალო ლექსები!..

## სიცოცხლის სიყვარულით

როგორ გაჭირდა ტვირთის აზიდვა,
ღიმილის დარში თავის გატანა,

მაგრამ არ ვიცი, სიცოცხლის დღენი
ასეთი გრძნობით რამ შემაყვარა!
არცა რა მოგვაქვს... არცა რა მიგვაქვს...
ბოლო ჟამამდე დავყვებით უფალს
შიშველი ხელით... შიშველი გულით,
შინაურთა და გარეულთ წყლულით.
მაინც მივდივართ... ზოგჯერ მივქრივართ,
ვმდაბლობთ, ვზეიმობთ, ვკეთილობთ, ვნანობთ,
ღვთის ნებისა და სიყვარულის გზით
ხშირად მორჩილი თვალ-გულით ვხარობთ...
მაინც გაჭირდა ტვირთის აზიდვა,
გაღიმება და თავის გატანა
და ვერ გავიგე, სიცოცხლის დღენი
ასეთი ძალით რამ შემაყვარა?!

## ზოგისთვის ადრეა გვიან

ქარები ქარდაქარ ქრიან, ფოთლები მიწაზე ყრია,
ოცნებებს საცერში სცრიან, უვარგისს ნაგავში ყრიან...
მზე ყინვის სილურჯეს ალხობს, პოეტი ქვამარილს ადნობს,
მოზელილ ცომსა და ლავაშს გულდინჯი ფიქრებით აცხობს.
წვიმები ცრემლებსა ღვრიან, წარმავალ ცხოვრებას თვლიან,
ქარები ქარდაქარ ქრიან, ფოთლები მიწაზე ყრია...
ზოგისთვის გვიანი დარობს... ზოგისთვის ადრეა გვიან...

## წაშლილი ნაკვალევი

მთვარემ დახატა ვერცხლის ჩრდილი,
უზარმაზარი და მზემ წაშალა...
ცადასვეტილი ოცნებები ისე დაშალა,
არც შერცხვენია...
ზოგჯერ წაშლილი ნაკვალევი
სჯობს ახლის ხატვას, – ასე მგონია...

## მკითხველებს, ანუ – ფსიქიატრებს

თქვენ მაპატიეთ, შეშლილ პოეტს თუ ვერ ვემგვანე,
სამოთხის მზეზე ვერ ავანთე გული მღელვარედ,
ვეღარ მოვირგე ძველებური დროის ზმანება,
მონატრებაში ვერ გავცვალე გარდაცვალება...
ვითომდა რატომ, – დღისით მწუხრის სანთელს ანთებო,
რქაწითელის წვენს საფერავის სარქველს ადებო,
წინაპართ გლოვას სადიდებელ საქმეს არქმევო,
უდროობაში ჟამის წირვის სარკმელს აღებო,
ერთს არ იგიჟებ, – ბუზღუნებენ ლექსის გულები,
ფიქრები ზეცის დალხინებას ვეღარ აუდის.
რკინის ჯაჭვებით საპოეტო კაბა ამისხით
და საქართველოს სატოლფასო ღვინო დამისხით!
შეშლილი მხატვრის თვალით მინდა გავიღიმილო,
გადამეხატოს იქნებ, ირგვლივ, მთელი სამყარო,
გახარებული წუთისოფლის ბებერ დარდებზე
ლექსის ტყვიებით სახლის ჭერი უნდა ავხადო
და გადავხადო ძონძიან გულს საქვეშაგებო,
ბედის ვარსკვლავის საძიებელ რითმებს ვანთებო,
გამოგონილი ვნების ქარზე გადაკიდული
აჰა, გავგიჟდი! დამეხმარეთ ფსიქიატრებო!

## მარადისობის ხმებით

მიყვარხარ, ჩემო ოქროსფერო მზევ,
სხივებციმციმა მანათობელო,
თვალებმახარა დედათბილისო,
მშრომელ გლეხკაცის ბუდევ – სოფელო!
მიყვარხარ, ჩემი კახეთის მზერავ,
ალაზნის ველზე თვალის გახელავ,
არაგვის წყალო... მეგრელო ქალო...
გურიის მთების გადაძახებავ!
მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლის დღენო,

სიკვდილო, ჩემი წლების გვირგვინო,
სანამ ცოცხალ ვართ... ვიდრე ერთად ვართ,–
მარადისობის ხმებით ვილხინოთ!

## ვინ ვარ, რა მინდა

არ ვიცი, ვინ ვარ, გარდაცვლილი, თუ ცოცხალ-მკვდარი,
ვერ გამიგია, საამქვეყნოდ რისთვის მოვედი,
რასა ვსურვილობ, სად მივდივარ, რაზე ვჩივივარ,
სად მაქვს თავ-ბოლო, შრომით ვზეობ, თუ დაღლილი ვარ...
დადუმებულზე როგორ ვმღერი, ან რას ვოცნებობ,
დალხენილ გულზე ვისთვის, რისთვის, რატომ ვწუხილობ,
სხვის უმიზნო ლხინს რად დავტირი და რასა ვდარდობ,
მზიან ამინდში წვიმას ვნატრობ, ცასთან ვქუხილობ!
ზაფხულში ტრფობით გაგიჟებულ ამინდებს ვაქრობ,
ზამთრის ყინვაში თებერვლის მზის იმედით ვხარობ,
მეჩხერ გამებზე გაჟღერილი რითმებით ვწვალობ,
ღარიბი სულის გადარჩენის იმედით ვძალობ,
მიწაზე ვჟამობ... ვიქვრიტები ზეცის კარიდან...
იქნებ თქვენ მითხრათ, მიჩურჩულოთ, – ვინ ვარ, რა მინდა?!

## დგნალის ნიავო

ალალმე, დგნალის ნიავო,
ჭართლის ტყისპირა ჭალაო,
თქვენი ხავერდის კალთებმა
ლექსის ჟინ შამამყარაო.
მოვალ და გავიშლიგინებ,
მენესოს ავჭრი ტყეშიო,
მათე პაპაის ნასახლარ
იქნება ჩემსას ვირჩიო ...
ბოლო დროს, მაინც, ფინთადა
გაჭირდა წლების ზიდვა და,
უჟმურ-ზნიანი ქალაი

აქ მიმაბარეთ მიწადა...
ალალმე, დგნალის ნიავო...

## მიწა ვერ მიძლებს

განთიადის მზე შემიკერეთ ქორწილის კაბად,
ოღონდ დღის ნათელს ნუ მიუტანთ საჭორავ ამბავს,
ზამთრის ბერწ სხივებს დგნალის ტყეში მთიული მარგლავს
და ოქროს ყუთით მუჭა მიწას, მზითევში მატანს!
დღე დაიჩაგრა ღამის ბინდით და წვრილ
ვარსკვლავებს ფარატინა
ლექსებით ვართობ,
მიწა ვერ მიძლებს... გამისროლეთ სავარსკვლავეთში,
გულის დარდს დავცლი... თანაც...
მთვარის ცოლობას ვნატრობ...

## დედის კალთაში

გადავიღალე და დავიღალე
გლოვის ფერებში ღიღილოს ძებნით,
განკითხვითა და შედარებებით,
თვალსა და გზაში ბეწვის ძიებით,
ამპარტავნებით, შენი და ჩემი,
მისი და სხვისი...
გადავიღალე ცოდვიან მიწის
დარდის დღეების თითით დათვლაში
და დავიღალე უშველებელი
სათნოებათა კიბით ასვლაში...
ჩამადებინეთ თავი, როგორმე,
დედის კალთაში!..

## მე სამყაროს ნაწილი ვარ

მე სამყაროს ნაწილი ვარ, შეძლებისგვარ ვეხმარები
და სანაცვლოდ, ისიც ხშირად მეხმარება...
ხან მზეს მჩუქნის, დედამიწას...თავისუფალ
ნებისა და თბილი ღიმის შესარჩენად...
ზეცასაც კი უცვლის ფერებს, სხვის ომებში ჩემი
გადარჩენის ნიშნად... არასოდეს, არაფერი მეძნელება,
მაგრამ მაინც ათასგვარი, ჭრელი ფიქრი მეძალება, –
დაწყებულმა დუმილმა რომ არ ინებოს გაგრძელება...
მე სამყაროს ნაწილი ვარ...

## კარგი იყო

კარგი იყო, რომ ჰქონოდა ენას ძვალი,
ზეცას კიბე, კლემაქსური საფეხური ღონიერი,
დედამიწას–მუხრუჭები და ღვედები,
თუნდაც მცირედ საყველპურო...
ადამიანს–სიკეთე და სიყვარული ზომიერი,–
კარგი იყო...

## დაჩოქილი ქარი

მე ვნახე მუხლებზე დაჩოქილი ქარი,
ბაღში ქოხი რომ დამინგრია, – მაშინ...
მოულოდნელად, ძაღლის ყბა გამოიბა
გოგონამ და ძაღლივით ყმუილი ისწავლა...
მანამდე, ქარის ფეხებთან იდგა... უსმენდა...
სწავლობდა... კეთილს აფრქვევდა,
ბევრს საქმობდა და ბევრსაც ასწრებდა...
ნგრევას რად უნდა გონიერება და სიბრძნე!..
გაავებულ გავერაგებული ქარი სანუკვარს
და სანუგეშოს ყველაფერს უნგრევდა, სტაცებდა,
სიკვდილის ცეცხლთან ათამაშებდა გოგონას...

და ერთხელ, ქარმა ძალიან დააგვიანა...
სინანული უსწავლია, მუხლებზე დაჩოქილა
და გოგონას პატიებას ევედრებოდა...
მან არ იცოდა, რომ წლების დახმარებით
გულუბრყვილო გოგონამ თავისი მეობა,
სხვებთან ერთად დამარხა და გამოიმგლოვა...
და დღემდე, მაინც გაუთავებლად ყმუის...
ქარი ისევ დაჩოქილი დგას გოგონას თვალწინ...

## ღიმით ვაქრობ

ბოროტების ენა რომ ვერ დამასწავლეს,
ამიტომაც, ბინდში არსად დავიკარგე...
ბულბულები რას გალობენ, ისიც ვიცი,
ალიონზე ერთად ვუმღერთ დედათბილისს!
ვიცი, როგორ სცივათ ზამთრის ჭადრის ხეებს,
ნიავი რომ მიჩურჩულებს, მასაც ვისმენ,
ორაზროვან ქცევასა და თამაშებში
ყველა საიდუმლო ამბავს გულზე ვიბნევ...
ვარსკვლავების ლოცვის მადლებს ვაყურადებ
და მთვარესთან მიწვევაზე უარს ვამბობ,
საიდუმლო ცეცხლით კეთილ ლექსებს ვადნობ!
ქართველების შურს და მტრობას ღიმით ვაქრობ!

## სვეტიცხოველში

მტკვარი მეტეხთან რომ დაისვენებს,
თვალს იწყაროებს, მზეს შლის ხელებში,
სული უფლისთვის შემომიწირავს,
გული დავტოვე სვეტიცხოველში.
კახეთს ვუფერე ალავერდობა,
გიორგობისკენ ავიღე გეზი,
ცხენს მიჰყვებოდა ავანის ხევზე
წმინდა გიორგი, მახვილით ხელში.

იყალთოს თავზე გამოჩნდა კვალი
გუშინწინდელი სანთლის ნათელის,
ღმერთო, რამდენი გამოვიარეთ,
რამდენი დაგვრჩა გადასავლელი...
მლეთას, ლომისის მადლმა იძალა,
მტკვრის და არაგვის შეკრა ფიქრები,
ამ მიწის მადლით თუ არ ავივსე,
მაშინ ქართველი აღარც ვიქნები!
მემატიანევ, კვლავ გიხმობს მცხეთა,
გზებზე დაფინე მართლის სურნელი,
დღენი სოფლისა და სიყვარული
მრავალჟამიერ იყოს ურღვევი!
მოგონების და მომავლის რიგი
ჩამწკრივებულან გულისგულამდე...
ღმერთო, ამ ჩემი სულის ნაკაწრებს
გვიანობამდე არ დახურავდე!

## გამოიხსენ ტკივილისგან

მიწას მადლით ზომავენ და ხეს – ნაყოფით და
თავისი ფესვით, დიდით...
მზეს – სინათლით, ბრძენს– სიმართლით,
გონითა და დღენით მშვიდით...
დამეხმარე, დედა ღვთისავ, დამაფარე თბილი კალთა,
რომ კახეთის შესაფერი, საიმედო სიმღერა ვთქვა.
რომ სიმართლით და სიკეთით ამიხილო მუდამ თვალი,
დალხენილი არაგვის წყლის შესაფერი რამ მითხარი.
იმედი და ობლის კვერი გამომიცხვეს ნეტავ, დროზე,
გულწასული სამაჩაბლო მოვიყვანო იქნებ გონზე.
ღვთისმშობელო, დამეხმარე, გალობა ვთქვა შავი ზღვისა
და ნატრული, ცისფერთვალა, აფხაზურა ჩემი ძმისა.
ყოვლადწმინდა სამებავ და ანგელოზთა დასო წმინდავ,
გულ-მწყურვალი საქართველო გამოიხსენ
ტკივილისგან!

## ძველებურად დამიჩემებდე

მივდივარ, მაგრამ არ ვიცი, საით,
შენი სურნელი ფეხდაფეხ დამდევს,
ცოდვით დამთვრალი თებერვლის კვირტი
ბავშვურ სიყვარულს ყინვის ცრემლს ადენს.
მივდივარ, მაგრამ უშენობისგან
დროსა და სივრცეს ვეღარ ვერევი,
დამცვივდა შენი მოსაფერები
ალვის და მუხის მკლავის ღერები...
მაინც მივდივარ... საწუთროს შორეთს
ფიქრის ლანდები არ დაელია,
ზუზუნებს გიჟურ, მარტივ რითმებად
და სებასტიან ბახის გენიად...
ნეტავი ჩვენი ეზოს ჩრდილებში
ნუშის ხის ზღაპარს ამიმღერებდე,
შენი სურნელით გზას გავიკვლევდე
და... ძველებურად დამიჩემებდე!

## შუაღამის სიზმრის ფერებს

შუაღამის სიზმრის ფერებს განთიადი შეუმღერებს,
მზე გადაშლის ხოხბის სხივებს, ბულბულივით იგალობებს...
გაიღვიძებს სამყარო და იფუსფუსებს ხალხი გარეთ,
ზოგი თოხნით დაიღლება... უსაქმობით... ფიქრით მწარით...
ლექსსაც წერენ... იმედიანს... გულზე მაინც აწევთ დარდი,
გაუძვირეს სიყვარული... პატიოსანს, შრომის ფასი...
აზრი გზა-გზა დაუფანტეს, ფიქრის ძაფი გაუწყვიტეს,
სამამულო, ღირსი სიტყვა სანატრელი გაუხადეს...
გონიერი დუმს და ფიქრობს, რა აკეთა...რა ქნას ახლა...
სხვაფერ აზრებს... სხვა რაღაცას...
და სულ სხვაგვარს ეძებს ახალს!
განთიადი შეერევა შუაღამის სიზმრის ფერებს...
მზე გადაშლის ხოხბის სხივებს...
ბულბული კვლავ დაიმღერებს...

## თბილისს და ქართველებს

ლოცვები აღვიძებს თბილისს და
მთაწმინდა ნისლებში ნარნარებს,
რა ძალა აცოცხლებს ქვეყნის ძილს,
თილისმად რა უდევს ჩემს მხარეს!
თბილისი კვლავ იკრებს გაზაფხულს,
წარსულად გარდაქმნის ამ დღეებს,
საუფლო დიდება ამშვენებთ
გულფიცხა, ღირსეულ ქართველებს!
მთვარის და ვარსკვლავთა ნარნარი
სიონს და ქაშუეთს ამღერებს,
მშვიდობა, უფლისგან კურთხეულ
თბილისს და სრულიად ქართველებს!

## და კიდევ კარგი

მთა მღელვარებდა არაგვის ზემოთ...
გაგიჟებული მოზვერის ხმით ბობოქრობდა
მთის ფეხქვეშ გაბლანდული არაგვის ხეობა
და სულს ვერ იქცევდა ღამის იდუმალ ჩრდილში...
გონების უჯრედების ქვეშ ალკოჰოლმა
დაიდო ბინა და სხეულის ურჩი სისხლძარღვები
უცებ შემოირბინა, მერე, ჩემს ჯინაზე, წინ დასკუპდნენ
უცხო კაცის ლურჯი თვალები... ენძელის დარად
გაიფურჩქნა მაცდური მზერა, რომ შემომესმა
სურნელი კაცის...იქვე შევიგრძენ მწარე სუნი
ძლიერი არყის და კიდევ კარგი, რომ დროულად
გამოვერკვიე...და კიდევ კარგი...

## გავუფრთხილდეთ ადამიანს

წუთისოფლის ჟამის ხეთა ნაყოფს ვეტრფი,
სიკეთის და ბოროტების სიბრძნის წყაროს,

ღვთისგან შექმნილ ყველაზე დიდ საოცრებას, –
ადამიანს!.. მისით ვცოცხლობთ, მისით ვხარობთ!..
ყველა დიდი ქმნილებისგან განირჩევა,
არაფრისგან ექიდება საქმეს დიადს,
ათასგვარი საოცრების უნარს ვუქებ
ღვთის წყალობით გამორჩეულ ადამიანს!
ზოგჯერ ბრმა თვალს ძალით ვუხელთ დედამიწას,
რომ ავ-კარგი უკეთესად დაინახოს...
კაშკაშა და უძლეველი ქვეყნის მნათობს,
ადამიანს გაუფრთხილდეს, ღვთიურ ნაყოფს!
სამყაროში ყვავილთ შორის ულამაზესს,
ვარსკვლავთ შორის მოკაშკაშეს, ბრძენს და ჭკვიანს,
მზეს და მთვარეს ღიმილიანს, ნათელმზიანს,
გავუფრთხილდეთ... გავუფრთხილდეთ ადამიანს!

## ცივი თონე

რომ გიჭირდა, მუხლმოყრილმა
ჩემი გულის ყველა კარი მოიარე...
რა მაწყინე, რა მატკინე, აღარც მახსოვს,
დროჟამგავლილს, განაწამებს, ცილნაწამებს
გამახსენდა, – ცივი თონე დედას პურს რომ აღარ აცხობს...

## დაე, ტყვე გერქვას...

ზოგჯერ გარეთ ხარ, პატიმარი გგონია თავი,
ზოგჯერ ტყვე გქვია, – თავისუფალ სივრცეში ცხოვრობ,
დროს, მანძილსა და სივრცეს რაღა ფასი ექნება,
თუკი არარა სამყაროზე არას არ ფიქრობ!..
როცა არარა დედამიწა უგულოდ სუნთქავს,
როცა სამართალს დაუხუჭავს ორივე თვალი,
როცა ქუდბედი დაჰყოლია ტლუსა და უგნურს,
როცა საწუთროს დაეკარგა სინდის-მისხალი,–
დაე, ტყვე გერქვას... შენ იყავი თავისუფალი!

## ბედნიერი და უიღბლო

აბსურდულობის გასაღებს თუ
მოვუძებნი სრულად სამყაროს,
მაშინ აბსურდულ ფილოსოფიას
ამოვუთხრი ამოსავალ წერტილებს და
კითხვის ნიშნებიც დამეკარგება
ცნობიერების ყველა წერტილში...
ვინ ვარ და რატომ მოვედი ქვეყნად, –
ბოლო ხანებში ძლიერ მაწვალებს,
აბსურდის კედლებს რომ ვეჯახები,
გული ფრინველის მსგავსად ფართხალებს,
არარაობას ვუხუჭავ თვალებს,
უაზრო სწრაფვას ვამარცხებ ჟამით,
სივრცესაც ვუხშობ სურვილის კარებს,
ღმერთის წყალობა-მადლით და ძალით.
მარადისობის ნეტარებანი
კითხვებს დაფანტავს, დამიშლის ქარი...
უფალო, შენზე მინდობა მიჯობს,
ქრისტეს ჯვრითა და ფსალმუნის ქნარით!
დაველოდები შენს პასუხს, ღმერთო,
ბედნიერი და უიღბლო ქალი!

## მრუდხაზა ბორბალს

მრუდხაზა ბორბალს თუ ჩაეჭიდე,–
არ გაუშვა არასდროს ხელი;
ზოგჯერ სიმრუდეც საწყისია
სწორგზის და ლხენის...

## უწმინდესო

ლოცვად ვკითხულობ, უწმინდესო, თქვენს დანაბარებს,
ფსალმუნად ვისმენ ქადაგების ნათელ სტრიქონებს,

ტროპარ-კონდაკად მოკრეფილი სიბრძნის თავთავი
მამულის სარგო სადიდებელ ანდერძს მიტოვებს!
ბევრი არ მესმის ამა სოფლის ანი და ბანი,
ერთი სიმღერა მადლიანი, ვეღარ ვუთხარო,
მაგრამ ვისწავლე, უწმინდესო, თქვენი წიგნიდან,
ქვები სიძვირით ფასდება და, კაცი – უბრალოდ...
მეც ამ უბრალო სიმღერებით ვლესავ სანამგლოს,
სულს დავიმშვიდებ წუთისოფლის ჟამ სატიალში,
ვიცი, იბრუნებს საუკუნო ოქროს ზარდახშა
გაუცემელი პასუხების ორომტრიალში...
თქვენ უპასუხოდ არ დაგრჩებათ დღეთა გამები,
საწუთროს წიგნი არ მოგაკლებთ სიბრძნის სტრიქონებს,
რადგანაც გულში დამარხული ქრისტეს ნათელით
საშვილიშვილო, საიმედო აზრებს გვიტოვებთ!

## დიაცის ბედი

გათბა გულგრილი დედამიწა და
სიცხეს დანებდა წყალი არაგვის,
ქალი გადმოდგა ლომისის ყორეს,
მზედ დახატული, ჰგავდა არავის...
ვაჟკაცთა მზერა მზესავით სდევდა,
ტრფობის მადლებით სავსე ყელამდის,
მთას გადაედო ქალის მშვენება,
მე ამ სასწაულს შორით ვზვერავდი...
ზეცის ფეხებთან, ზედ ქალის შუბლზე,
მწერმა მონახა უცებ ადგილი,
შეუმჩნეველ და მავნე მწერებთან
ბრძოლა არ არის ზოგჯერ ადვილი...
ცამ დაიქუხა... გაწვიმდა კიდეც...
შეწუხდა ქალი... ლამის იტირა!
შუბლზე მიჭყლიტეს მწერის სხეული
ვნებით ავსილმა ვაჟის თითებმა...
მთამ დაუჩოქა ქალს ლამაზ მკერდთან,

გამოიღვიძეს ენძელამ, იამ...
ისეთი გრძნობით ჩაიკრა ვაჟმა,
დიაცის ბედი ამასა ჰქვია!..

## მამის ანდერძიდან

შვილო, გახსოვდეს ანდერძი ერთი,
არ განარისხო არასდროს ღმერთი!
აპრილის ფერებს უხატავ ზამთარს,
თუ არასოდეს არავინ გმართავს...
თუ შეგადარეს ზეციურ ვარსკვლავს,
მტრობა სწყურიათ, გიწყებენ თვალთვალს,
პატიოსნებით იძენ ღირსებას,
გონიერებით – თავისუფლებას!
ჰოდა, ისწავლე ცხოვრება ისე,
რომ სამართავი არვისი გჭირდეს...
კარგად ძველია, არ ვამბობ ახალს,
გონიერ ადამს ვერავინ მართავს!

## გაზაფხულს

გაზაფხულო, კეკლუცობით ნუ მამეტებ თავს,
თორემ, ერთი ჟინიანად შევუძახებ თავს,
გავაღვიძებ დაძინებულ მამასა და ქმარს,
ავამღერებ საწარსულო გამებსა და ჩანგს,
დავკლავ, მთაში შესაწირად გამზადებულ ხარს,
ზმუილსა და მწუხარებას დავულოცავ ქარს,
უიღბლობის ნარჩენს მივცემ არაგვიან წყალს,
თან, ოცნებებს დავაყოლებ, მხიარულს და მწარს...
შენ პაწაწა ყინვის სუსხსაც უმორჩილებ წამს,
სააპრილოდ შემოგვასევ ენძელების ჯარს,
იები და ნარცისები რომ ლოცავენ ვარდს,
უცაბედი სიცხის კვალი გაკარგინებს თავს...
მე ზამთარშიც ცოცხლად ვდგავარ, ვუმღერ სიზმარ-ცხადს,

ყინვას როგორ დავუჩოქებ, მის გახრუკულ თავს?!
გაზაფხულო, ნუ შემიმტვრევ გულდახურულ კარს,
ანდა, შენი კეკლუცობით ნუ მამეტებ თავს,
რადგან ქვეყნად, ღმერთის გარდა, არვის ვუხრი თავს!

## ახალგაზრდების გვერდით

მამული ცეცხლში იწვოდა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა,
გაავებული ღალატი ნაბიჯებს ლხენით ითვლიდა,
ზოგი სხვა ქვეყნად დიოდა, გლეხი ქალაქში მირბოდა,
რა მიჰქონდა და რა არა,– თვითონაც ვერას იტყოდა...
ვისაც მამული უყვარდა, დუმდა და... მწარედ ფიქრობდა,
თუმცა, დუმილი და მტრობა, – ორივ ღალატად ითქმოდა.
მეც აღარ ვიცი, დავდუმდე, თუ ამოვიღო ხმალიო,
რომ გოგო-ბიჭებს, დათხრილი მოუშუშდესო თვალიო...
როგორმე უნდა ვუშველოთ ღვთისგან ბოძებულ მიწასო,
დედების გაქვავებულ და დარდიან გულის ფიცარსო,
თორემ დავღალე ოცნება წინდაუხედავ ბრძოლითა,
ამიტომ, ახალგაზრდების გვერდით ყიჟინი მომინდა!

## საქართველოა ჩემი წამალი

მთები დავლაშქრე ზეცის პირებთან,
სად არ ვაწვდინე თვალი ალალი,
ავი და კარგი მონატრებებით
საქართველოა ჩემი წამალი!
ვერ შეველევი ნინოს ვაზის ჯვარს,
დედა ღვთისმშობლის მეწამულ კალთას,
მაცხოვრის კვართის სადარაჯოზე
ლოცვის მადლებით სიყვარულს ვქარგავ!
არაგვის ნისლი მიჰყვება მცხეთას
და სვეტიცხოველს მიეძალება,
დედაო, ტკბილად დასაფიცარო,
უშენოდ არა გამეხარება...

სამების ზარის და უშენობის
გარეშე თვალებს როგორ გავახელ,
შენ დამეწამლე, ჩემო სამშობლოვ,
მე ამ ღარიბი ლექსით დაგალხენ!

## დედამიწას

პლანეტებს შორის ახლობელო, მზრუნველო ჩემო,
ათას წყალობას კვლავ შევირგებთ, შენგან ბოძებულს...
როცა ვსურვილობ, ზეცის კიბეს ავყვები ნებით,
ვლექსობ და რითმებს ვეწვალები, ცეცხლ-ალმოდებულს!
ვქარიშხლობ, ვიბრძვი... სურვილების ვაგროვებ ყვავილს,
ცის თაღზე საოცრებას ვეძებ დღისა და ღამის,
საწუთროს ვუმსხვრევ ბოროტების ყველა ფანჯარას,
კეთილი საქმის საწყისს ვფერობ, ლექსების ქნარით,
მერე ჩავმუხლავ ბრძნული სიტყვის კარისკაცებთან,
ვარსკვლავებს, მზეს და მთვარეს ვსტუმრობ
ერთგულ მერანით,
ანგელოზების დასს მოვუხმობ მოკრძალებულად
და დედამიწის სადღეგრძელოს შევსვამთ ყველანი!

## მიტევების შემდეგ

თუ ვინმე მაწყენინებდა, კაცს არასოდეს ვერჩოდი,
ცხოვრებას ვებუტებოდი, კარგახანს არას ვმღეროდი...
სევდისფერ მზერით, ცხოვრებამ არ გამახარა არსადა,
რაც მიტევება ვისწავლე, მეც მეშველა და მასაცა...

## ჟამის ტრაპეზზე

რამდენი ნათელი ვიცით გადაფარული წყვდიადით,
რამდენი მკვდარი გვინახავს ცოცხალზე უფრო დიადი,
რამდენი ახალგაზრდაა უიმედობით დავსილი,
რამდენ ხანდაზმულს უბრწყინავს თვალები,
რწმენით ავსილი!

რამდენი ოცნება გვძალავს ნაადრევი და გვიანი...
როგორ მოვიქცეთ, რომ გვერქვას ნამდვილი ადამიანი?!
ისიც არ ვიცით, სად ქრება სიცოცხლის არსი მთავარი,
უცოდველობის, ღირსების სად არის გამოსავალი?!
რამდენი სინათლე ქრება ჩასაფრებული წყვდიადით,
რამდენი მკვდარი გვინახავს ცოცხალზე უფრო დიადი,
მაინც მივდივართ... სიცოცხლეს ვერ გავუცრუებთ იმედებს,
სტუმრად ვართ ჟამის ტრაპეზზე, ვიდრე უფალი ინებებს!

## ერთ სისხამ დღეს

თვალზომა არ ყოფნით კაცსა და ხეს...და ერთ სისხამ დღეს,
თავიანთ კალოს რომ გალეწავენ კაცი და ხე,
გონების თვალით
და არშინის სიზუსტით დაგვიხატავენ მავანნი ყველა-ფერს...
მწოლიარენი უფრო კარგად იზომებიან კაცი და ხე, მით უფრო,
თუ წაქცეული ბერმუხა შარაზე დევს და კაცი საფლავში წევს...
მანამდე... ძირს ვუთხრით...ფესვს ვძირკვავთ... ტალახის
სროლით და... წყევლით და ურვებით... ვაი ხესა და კაცს!..
უფლის არმაღანი სულიც გვეშურება,–თუ კაცი ფეხზე
მყარად დგას...
მერე... გამხმარ ხესა და მომაკვდავ კაცს,
გამალებით ვუმარჯვებთ
ზაფხულში – ცეცხლს, ზამთარში – წყალს...და სიკვდილის ჟამს
ქება-დიდებით ავიქავებთ ქლესა და მრუდე ენებს!..
თვალზომა არ ყოფნით კაცსა და ხეს, რადგან მაშინ უკეთესად
იზომებიან, თუ წაქცეული ხე შარაზე დევს
და კაცი საფლავში წევს...
და ჩვენც, სიზუსტით გაგვზომონ, ერთ სისხამ დღეს...

## დედის თვალით

დედაო ჩემო, შენზე ფიქრმა წელში გამტეხა,
სიბერის შიში, შენი მზერა ფიქრშიც არ ქრება.
შენგან ნებიერს შემომაკლდა ლოცვა-ნუგეში,
ნეტავი ისევ ჩამიკრავდე მაგ თბილ უბეში,

დრო-ჟამი თვალს და ხელებს შორის გაქრა აშკარად,
ლაღი ბავშვობის ნოველების დრონიც გამქრალა,
დაღლილ სამყაროს შენი თვალით ახლაღა ვხედავ
და ღმერთის შემდეგ, შენს დიდებას ამიტომ ვბედავ!

## ნუღარ მატირებ

უბრალო ხელით და წმინდა გულით
სიხარულს ვსწავლობ, კარგახანია...
მატლი ვარ ჭიის...საყვედრელ კაცთა...
შენივ ნებით და შენივ წყალობით,
დავიბადე და... ნუღარ გამწირავ!
მშობლებს დავეძებ... ობოლს, უმწეოს
შემომაძარცვეს შესამოსელი,
ძვირფას კვართზედაც განიყვნეს წილი...
შვილის ხვალის დღის ნათელსა ვჩივი,
ის დამრჩა სანდოდ დასაფიცარი!
უბრალო ხელით და წმინდა გულით
შენი მწამს, ღმერთო, სულ შენ გადიდებ!
მატლი ვარ ჭიის...საყვედრელ კაცთა...
შენივ ნებით და შენივ წყალობით
დღემდე მოვედ და... ნუღარ მატირებ!

## ჩემო მამულო

ხელი შეახე, რა თბილია ნაზამთრი მიწა,
მიაყურადე, რას ბუბუნებს ალაზნის ველი,
თვალი უსწორე ფშავ-ხევსურეთს, პანკისს და სვანეთს,
გული გაგიმხელს, დაისის ჟამს ასე რად ვმღერი!
ალიონის მზეს რატომ ვალბობ ცრემლის წვიმებით,
მუხლს რად ვიტყავებ მრევლთან ერთად მეტანიებით,
კაცს რად ვმასპინძლობ პურმარილზე სულის ნაზავით,
რად არ მაშინებს ქრისტეს მხევალს მოლას ნაზამი...
მსოფლიო რუკას ძლივს ეტყობი ციდა წერტილად,

ლამის სამყარო გადარიე ჰანგით ქართულით,
ენის სიმდიდრით, რწმენითა და სტუმართმოყვრობით
სამარადისოდ დაიმკვიდრე ყველგან ადგილი!
„ჩაკრულოს“ ხმებით გაელექსე კოსმოსურ სივრცეს,
 ერთა დიდების, მრავალფერის შექმენ პალიტრა,
ოდითგან თბილი მასპინძელი გერქვა სახელად,
ებრაელს, ფრანგს და ბერძენ-მუსლიმს ლოცავ მხარიმხარ!
ღრმა წარსულიდან დღემდე გვქვია ერთგულკაცები,
თან მეგობრობის სიყვარულის ვქსოვეთ ღაზლები,
მტერსა და მოყვასს გულს ვუხარებთ ადათ-წესებით,
ენა და რწმენა დღემდე დაგვრჩა ვერშესახები!
ავსაც ბევრს ვხატავთ სიყვარულის სანაცვლო გზებზე,
გაძვირდა ქართველთ ღირსშვილობა... არ არს ადვილი,
რაც ვართ, ესა ვართ... მხოლოდ ერთს გთხოვ, ჩემო მამულო,
მშვიდ სამყაროში დაგვიმკვიდრე ქართველთ ადგილი!

## გრანელივით

წერას და ფიქრებს ავუტანივარ,
დადუმებულა დარდი და ღამე...
არა სიცოცხლე! არა სიკვდილი! –
მეც, გრანელივით, –სხვა მინდა რამე!
ამ ტალახიდან ამოსვლა მინდა,
დედამიწას რომ ვეძახით ხალხი...
შურით, ზიზღით და კაცთმოძულებით
ბოროტი კეთილს თვალებს რომ დასთხრის
და ამა ქვეყნის შიშველ ნაპირზე
რა ეშველებათ ცალთვალა შვილებს...
ისიც არ ვიცით, რის ფასად, რატომ...
ვინ გვღალატობს და ვინ გვიერთგულებს...
კვლავ სევდის ფიქრებს ავუტანივარ,
დუმილით დავცქერ დარდსა და ღამეს...
არა სიკვდილი! არა სიცოცხლე!–
მე კიდევ უფრო სხვა მინდა რამე!

## წუწუნს გაიგებ

ქვეყანა ვითომ ერთობ დიდია,
მოჰგავს ულეველ, ლამაზ ყვავილებს,
მაგრამ ისეთი პაწაწინაა,
შენი სინდისის წუწუნს გაიგებ...

## ისევ ჩვენ, ძმებო, ქართველებო

წარსული დღე თავს რომ შეგვახსენებს,
მწუხრის ქარები ჭორს და მართალს შემოგვაფეთებს,
დრო გაცვდება და მიეკვრება სივრცის სამოსელს,
ვინ იცის, როგორ ჩავაბარებთ დროის გამოცდებს...
ფიცის წიგნები... ათასგვარი სიგელ-გუჯრები
უწინაც ბევრი გვიწერია მამების ხელით,
ჩვენც ბევრი ვცადეთ... ვითომ ვცადეთ.. ანდა რა ვცადეთ...
კვლავ თავისუფალ ცხოვრებას და სინათლეს ველით...
დღემდე ვერ ვძლიეთ სიძულვილის ენა და გესლი,
შურსა და ღალატს ახლებური ფორმით ვიგონებთ...
ისევ ჩვენ, ძმებო, ქართველებო! შევერთდეთ, თორემ
თავისუფლებას და მოსეს კვერთხს სხვა ვერ გვიბოძებს!

## არაგვზე

მზე გაიპარა მთების წვერიდან,
დაისის პირზე გულით ვმღერივარ,
ერთი მთიული მიწუხს გვერდითა,
დათვრა, გაყუჩდა ჩემი ცქერითა...
მთვრალი არაგვიც იქვე მღერის და...
რამდენი წლის ხარ, –მითხრა ლხენითა...
ვიტყვი და... ამ კაცს ვკარგავ ხელიდან!
მთაც ხომ არ წავა... მიტომ ვმღერივარ...
ეჰე... დეიდა... ეჰე... ჰერი... და...ჰე!..

## რთული ისე გამარტივდა

რთული ისე გამარტივდა, გულსაც აღარ ვაკარებ,
მისი კითხვის ნიშნის ზღვაში დარდს მოლხენით ვამთავრებ,
ვაყურადებ რთულის სახეს, ელფერს ვუცვლი სიცოცხლეს...
ავი, კარგი, ღირსეული... ყველამ უნდა ვიცოდეთ...
დავაბიჯებ ყინვის გზებზე, სიყვარულით გამთბარი,
ცხოვრება და ტრფობის ძალი არ მინახავს ამგვარი!
სულს სიმშვიდით ვიოკებ და ვეფერები ლელიანს,
გულიცა და სიყვარულიც მუდამ ლხენით მღერიან...
რთული ისე გამარტივდა, გულსაც აღარ ვაკარებ,
ნამცეცებად ვამარტივებ... ზოგჯერ, წარსულს ვაბარებ...
გაურკვეველ ზღვის ტალღებშიც დარდებს
ლხენით ვამთავრებ!

## მადლობა, ღმერთო

როცა მომავალს ბურუსის ფერით
მოეხატება თავი და ბოლო
და ქვიშისფერი უიმედობა
დაისადგურებს მხოლოდ და მხოლოდ,
სიცარიელის ამოსავსებად
სულსა და ხორცსა სტკივა უფალი, –
გამიქარვეო სევდა-წუხილი,
იმედიანი რამე მითხარი...
ნეტავი მალე, მარადიული
სასუფეველი მომზადდეს ჩემში,
რომ დაბნეული მგზავრივით ისევ
არ დავიკარგო საუფლო მრევლში.
ღვთის შეწევნით და ლოცვა-კურთხევით
დავარღვევ დროის და სივრცის მიჯნას,
ოღონდ უფალმა მე და ქვეყანას
გულსაამები ბევრი რამ გვითხრას
და მოგვიტევოს ჟინიან ბავშვთა

მსგავსად ნასმენი სიტყვა უფლისა,
მადლობა ღმერთო, თუნდ ალიონის
გათენება რომ კიდევ გვეღირსა!

## ჩემი ალაწოდა

თუ რამ არ ესმოდა, უცნაურად წუხდა...
ჯერ სულ პაწაწინას, უფროსებთან სურდა,
მათი შრომის ოფლის სურნელს იყნოსავდა,
სხვას ესარჩლებოდა და... თავს არ დაიცავდა...
არავისი შურდა... ყველას გამო წუხდა!
უკვე გაზრდილია... არ არს ადვილია
ყველგან თავის ქნევა საღი გონებისა...
მგონი სხვა დრო მოდის... უფრო მყარად დგება
ცოტა მაღალი და...განა აყლაყუდა!..
შალაფის კონას ჰგავს ჩემი ალაწოდა,
ჩემი ნუგეში და...შვილი, დედისერთა!

## დედამიწაზე ფეხი დამადგმევინეთ

წლებს დავუმსხვრიე საოცნებო გულის კარები,
ჟამებს წავართვი სანეტარო ფიქრები მზეთა,
დღეებს დავტყუე მშვენიერი ღამის სიზმარი
და სახვალიო გაცისკრებას ბნელეთშიც ვხედავ,
მაგრამ ზოგიერთს გაყინვია სული და გული,
კარგისთვის ბრმაა, ბოღმით ურევს ცოდვებს და მადლებს,
ერთი წამითაც არ ულამპრებს ცოცხალ კაცს სიტყვას,
ნეკროლოგებში უკვდავების სახელებს არქმევს...
შერქმეულ ხმებით და უაზრო გუნდრუკის კმევით
ვერ მოვიცილეთ საწუთროში რისხვის ფერები,
სიჩქარის წამზე დახვეული შურით, ბოროტით
მოგულძვირესაც, მაინც კეთილ ხმით ვეფერები...
მგონი გაჭირდა... დამეხმარეთ დროის რჩევაში
და საამქვეყნოდ ცოტა რამე გამაგებინეთ,

ღვთიური ნებით, ვიდრე წავალ ამა ქვეყნიდან,
დედამიწაზე ვინმემ ფეხი დამადგმევინეთ...

## ყველაზე კარგი ნათლია

ვიდრე ცოცხალ ვარ, მანამდე მითხარ, თუ რა ვიშრომე,
ან რა შევქმენი... რა დავაგროვე, – ისიც მითხარი,
თორემ სიკვდილი და დღეები წუთისოფლისა
თავად დამარქმევეს უსახურს ან მადლიან სახელს,
რადგან დრო-ჟამი ყველაზე კარგი ნათლიაა ამა სოფლისა...
ვიდრე ცოცხალ ვარ, ყოველივე ახლა მითხარით...

## ხანდახან უნდა ამბობდე

გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე
ბუდეს ჩიტივით უნდა ათბობდე,
გულისყურით და ენამჭევრობით
შენს ირგვლივ ყველას უნდა ალხენდე
და დედამიწის მრისხანებაზე
გულუბრყვილობით რომ არ დაეცე,
ბოროტს კი არა, ძალიან ხშირად
საკუთარ თავსაც უნდა გაექცე...
და მაინც, ღვთიურ სიტყვას და საქმეს
გულსა და მოყვასს უნდა ანდობდე...
ყველა სიმართლე კარგად იცოდე,
მაგრამ ხანდახან უნდა ამბობდე!

## ერთი ქალი

შენ ფიქრი ხარ, მე – ულევი ზღვის ნაპირი,
ხან შავთვალა, ღვარძლიანი დედამიწა,
სიკვდილსა და დარდის ფერებს, ათეული
წლების შემდეგ ვერაფრით რომ ვერ გასცილდა...
შენ ფიქრი ხარ, დეფისით და წერტილ-მძიმით,

ახლა კითხვის ნიშანს გაჰყვა საღი თვალი...
ამიხსენი, ყოველ დილას, ფანჯარაში
რად საუზმობს და რას ფიქრობს ერთი ქალი?
რად უტირის სახე, გული... და ვარსკვლავად
რა ძალებით აუნთია ორივ თვალი?
იქნებ მითხრათ, – ყავითა და შოკოლადით
ფანჯარაში რად საუზმობს ერთი ქალი?!

## ეს ცხოვრებაც გავა

ავიკინძავ საფიქრალებს ლურჯი ზეცის დარად,
ოქროს მთვარეს ამოვირჩევ მახვილად და ფარად,
ცარიელი ხელით გავშლი საიმედო კარავს...
არაფრიდან ყველაფრისთვის საშოვარზე წავალ...
სიყვარულით და სიმართლით ეს ცხოვრებაც გავა!..

## არასოდეს გადავშენდებით

მე საქართველოს ქუხილი მიყვარს,
დარდისფერ ნისლში ლხენად აჭრილი
და სამამულე კვირტების ღიმზე
თაკოს, ილიკოს მზერა გაშლილი!
და ჩემი ბესოს სიმღერა მიყვარს
ლექსის ბრიალში თავდავიწყებით,
ნიკალას ფუნჯის გადაფერებით,
კახურ ჰანგებზე გადამღერებით...
მთაში კაფიის წყურვილები მკლავს,
ქიკათის გორზე თვალის გახელით,
ზუკას, ნიკას და საბას ზღაპრების
ნატვრის ფერებში გარდასახვებით...
ყოველ ალიონს ვებრძვი რითმებით
და ღვთისმშობელის მადლის ფერებით,
იხარე, ქერო! გაიგე, მტერო,
რომ არასოდეს გადავშენდებით!

## შენდობას გაძლევ

აღმა სვლის გზაზე, ვარსკვლავებით გაბადრულ ციდან
მოყინულ ჟამთა ბილიკებით დაღმა დავეშვით,
ჩვენი შავფერა სიყვარულის გადასარჩენად
გულს ვიმაგრებდი, მწარე ენით უხმოდ დალეწილს.
არც სიყვარულის გესმოდა და არც ჩემი ლექსის,
შემოგსეოდა სურვილები ოცდაათ ვერცხლის,
შემოგხვეოდა ეგოები ძველებურ ხედვის,
ამპარტავანი ოცნებებით ხარობდი შენთვის...
ჯანსაღ სიტყვას და მარადიულს ვერას იტანდი,
შურისძიების და ტკივილის გზებზე მიგყავდი,
ცილისწამებით, მზაკვრულობით დუმილს მაჩვევდი
და არ იცოდი, – შენივ ხელით ბრძოლას ვსწავლობდი!
მდუმარე ტანჯვით ვიმარჯვებდი თევზის საცეცებს
და დღემდე შენით დაბრმავებულ თვალებს ვაცეცებ...
ფრთებდალეწილი აღმადგინა ღმერთმა ფსკერიდან,
შენდობას გაძლევ და წარსულზე მიტომ ვმღერივარ!

## ერთად დავაბიჯებთ

დილას არარაობის გამაყუჩებელ აბებს ვსვამ,
მერე ლოცვებს ვიწყებ და ხვალის კეთილი საქმის თვლას...
ძალადაკარგულ, ცისფერ თვალებსაც ვეფერები,
როგორც წუთისოფლის უიღბლო მონას და მსხვერპლს,
არც კეთილ საქმეთა ავტორებს ავუვლი გვერდს...
გმირული წარსულისა და უიღბლო რეალობის
მქონე მამულსაც ვავლებ თვალს, – იქნებ იმედი სადმე ჩანს...
და მაინც... ერთად დავაბიჯებთ შავბნელი, გზანათელი,
მონობისა და დემოკრატიის მსურველი ადამიანები!..

## პატარა გულის დიდ სივრცეში

რადგან სივრცე მატერიალური ნივთებისა და
მოვლენების ურთიერთგანლაგების წესრიგია,
მაშინ, შენ, ჩემო მოწესრიგებულო ვარსკვლავო,
სამყაროზე დიდი სივრცე ხარ ამ პატარა გულში!
და თუ დრო მოძრაობისა და ცვალებადობის
მდგომარეობათა თანმიმდევრობის წესრიგია,
გარდასული დრო და ყოველი ცვალებადობა
ჩვენი მარადიული სიყვარულის დასაწყისია,
ამ პატარა გულის დიდ სივრცეში ჩატეული...

## მომეცით შანთი
## (სამაჩაბლოს დაკარგვისას)

ღალატისფერი სიმღერებით მოირთო ზეცა,
ცხენისწყლის ქალებს ისევ მისწვდა ყმუილი მგლისა...
კვლავ გაუჭირდა დედათბილისს სხივთა ნათება,
ქსანსა და არაგვს ერისთავთა დარდები სჭირსა...
ცა, დასაწველი, ღრუბლისფერი ზარის ქუხილით
დანანების და ნიშნისგების წვიმებს გვაყრიდა,
თუ კვლავ ამხედრდა ჩემს ედემში სიკვდილის ქარი,
მომეცით შანთი, დავითხარო თვალი ახლიდან!

## გასაჭირს შველის

სულიერსა და სხვა საგანძურებს
ხშირად ჰქონიათ დავა და ომი,
ამიტომ ღმერთმა ზღვარი გაავლო
მატერიალურ-სულიერს შორის...
მას შემდეგ დავა მაინც არ წყდება,
თუმცა, მთავარი მაინც ჩვენა ვართ,
რას ვუნაწილებთ სულსა და ყოფას,
ან გენეტიკით, რა ჯიში მოგვდგამს...

სულიერსა და მატერიალურს
ჩემშიც ომი აქვთ გაჩაღებული,
მაგრამ ღვთის ნებით, გამარჯვებები
არცერთს არა აქვს განაღდებული...
დასაბამიდან, სული პირველობს,
ოდითგან თვალის ჩინია ჩემი,
მატერიალურს არ ვემონები,
მაგრამ, ხანდახან გასაჭირს შველის!

**ვაშლის ხეო**

ვაშლის ხეო, მწვანე თვალებს როგორ ნაბავ,
თეთრყვავილავ, ოქროს სურნელს როგორ მაფრქვევ,
ყველას გული აუძგერდა შენი ნახვით,
მე მშვენების უკვდავების სანთელს ვანთებ!
სილამაზეს სიტკბოების რითმებს ვაფენ,
თუნდ დროებითს, გაცრეცილს და ავდარიანს,
მარადიულ სიყვარულის ალში დამწვარს
ლექსის გარდა, მე სხვა არა მაბადია...
ვაშლის ხეო, მწვანეთვალავ, თეთრყვავილავ,
ბედნიერი ბავშვის თვალით გამახარე
და თუ სევდის ფიქრებისკენ დავიხრები,
შენი ჩრდილი იმედებად დამაფარე!

**სადღეგრძელო**

ეს, გაუმარჯოს სიყვარულს ღვთისას
და საქართველოს გულთბილა მიწას,
დედა-შვილობის ნებიერ თვალებს
და ამურისგან გატყორცნილ ისარს...
ეს, გაუმარჯობს ფიქრების ნაკადს,
ძველ იმედს გულში ახლად რომ ხარშავს,
არა, ვალივით სანაცვლო გრძნობას,
არა, ჭირივით მოსარჩენ სახადს,

არა, კეთილის თამაშით, როლის,
არა, ბრმა მიზნით გატანილ გოლის,
არა, სულების შერაცხვის ფასად,
არა, ნატკენი გულების ნაცვლად!
სადღეგრძელოა ჯანსაღი გრძნობის,
ნამდვილის, არა განდეგილისა,
უფლის შეწევნით გადარჩენილი,
თუნდ მოგონილი სიყვარულისა...
სადღეგრძელოა ქართული ცისა,
თვალმოციმციმე, ყვითელი მზისა,
დაბნელებული მთვარის კუთხეში
აჩემებული მომავლის დღისა!..
ეს, გაუმარჯოს სიყვარულს ღვთისას
და საქართველოს გულთბილა მიწას,
დედა-შვილობის ნებიერ თვალებს
და ამურისგან გატყორცნილ ისარს!

## სიმართლე მოდის

საბრალო წუთისოფელო, სცენა დაგარქვი სახელად...
შენს ნებას მივდევთ... თუმცაღა,
არ ცდილობ თავის გამხელას...
დილაადრიან, ნიღბებზე გამართული გვაქვს რიგები,
სულ რეჟისორობ და ხშირად ახალ სცენარებს გვპირდები...
რამდენს უცვალე გზა-კვალი... გულს დაუდუმე სათქმელი,
ორ ცეცხლს შუაში, სიმართლით დაგიტანჯია რამდენი,
რამდენ უნიჭო მსახიობს ოქროს გვირგვინი უბოძე,
რამდენ ღირსეულ დედოფალს უღირსი ქალი უწოდე!..
წუთისოფელო, სიცრუით აღარ გვაყენებ საშველსა,
სიმართლე მოდის!.. ის გეტყვის დანარჩენს,
თავის სათქმელსა!

## უსასრულო გზა

გზა უსასრულოა და უკიდეგანო...
მიდიხარ, მირბიხარ, ტკეპნი, იბრძვი
და რამდენადაც აქტიურად გათელავ,
იმდენი უკეთესია მისთვის და სხვისთვის...
გზა უსასრულოა, უკიდეგანო, მაგრამ,
კაცისგან განსხვავებით, მას გათელვა ხიბლავს...

## პოეტისათვის

პოეტისათვის სიკვდილის შიშიც უცხოა მუდამ!
და მაინც, ზოგჯერ, პოეტის პორტრეტს ბროწეულის,
ან მსხლის მსგავს ნატურმორტად გადააქცევენ
და თვითონვე გაგკილავენ, არ გივარგაო თავ-პირი
და ზოგჯერ, ღიმილი... მერე დრო-ჟამი გეთაკილება,
ხანაც, წარსული ქარიზმობს შენში... გვიან დაბადებას
დარდობ და დარბიხარ, სიცარიელის ამოსავსებად...
შენ უკვდავი ხარ, შენივ ერთგული სიყვარულის გამო
და რეალური სამყაროს უჩინარობის აჟღერებ გამებს,
ზოგჯერ წარსულის დღეებს სიცოცხლის ნაჭუჭში მოალხენ
და მარადიული ყოფის უძვირფასეს იდუმალებას აფრქვევ!..
და... ვიდრე დრო დაღვინდება, შემაჭრებული ყლორტებისკენ
ხელს და გულს იწვდი, რომ ტრადიციულს და ცივილურს
არ გაუქრეს თავისი ფორმა, ან დედამიწა არ გადაივსოს
უხერხემლო და უსარგებლო ცხოველთა რიგით...
პოეტისათვის სიკვდილის შიში უცხოა მუდამ
და უმეცრებას, ოდითგან, მისი ყოველთვის შურდა!

## წიფლის მორივით

როცა სიკვდილი დაიწყებს ზეიმს
სიცოცხლისათვის მოსაწყენი ეიფორებით,
მეც, წაქცეული ხეების მსგავსად,

უფრო ლამაზი საწყაულით გავიზომები!
გზა-გზა დაღვრილი წარსულის ლანდი,
ბავშვივით სუფთა და გულწრფელი ჩემი ფიქრები,
მემკვიდრეები,–მარადისობას შეერთებული
კეთილ დღეებით მომიწყობენ სიცოცხლის ზეიმს
და წაქცეული წიფლის მორივით, უფრო ერთგულად,
გონივრულად და სიზუსტით გავიზომები!..

## დაბერებულა ია

დაბერებულა ტყის პირას ია,
დაუკრეფია ხელები გულზე,
აღარც ჟამს დარდობს წუთისოფლისას,
არც სიავკარგეს დარდსა და წყლულზე.
მიფიცხებია მზის გულს ბოლომდე,
სიყვარულისთვის თვალს მაინც ახელს...
წლებთან გამტკბარი სიცოცხლის დღენით
ავ ფიქრებს გვერდით არ გაიკარებს
და ერთ დღეს, როცა მოვა ზამთარი,
ყინვა გაუხმობს ყვავილს და ფოთლებს,
არ ეშინია... პოეტებივით,
ისიც ლექსებით გაითბობს ბოლქვებს...

## ჩვენთან არს ღმერთი

კეთილო მწყემსო, კარი გამიღე საძოვარისო,
ნდობის, სიკეთის და სიუხვის დღე რომ მაღირსო!
და კიდევ ერთი:
კაცთა ხსნისათვის რომ მოსულხარ, უფალო, ჩვენთან
მეც სინანულის, მიტევების თხოვნას გიბედავ, –
ქანანელივით შემიწყალე, ყველგან დამიცავ,
ცდომა, წვალება მომაშორე, ქარიშხალი და...
და კიდევ ერთი:
მომეც სიუხვის ნაკადული მდუღარე ცრემლის,

შენ მწყალობ და მე გეურჩები, – ამიტომ ვკვნესი...
და კიდევ ერთი:
მომაშორე და ამარიდე ცოდვის ტვირთები,
მსუყე საძოვრის კარიბჭესთან ვიდრე ვიქნები...
მწყემსო კეთილო, გამიღე კარი საძოვარისო,
შენთვის სიმღერა, სადიდებო კვლავ რომ მაღირსო!
და, კიდევ ერთი, – ჩვენთან არს ღმერთი!

## ახალგაზრდებს

მოდით, ბავშვებო, შემომეხიდეთ
და დედამიწის გული ავთხაროთ,
გამოვარჩიოთ მარგალიტები,
ბოღმა და შხამი ცალკე დავყაროთ!
ამოვატეხოთ კითხვის ნიშნები
ნისლით შემინულ სრულად სამყაროს,
ხალხს და ქვეყანას, მდაბალს, მკვეხარას
ბურუსიანი გზები ვაკმაროთ...
მოდით, ბავშვებო, შემომეხიდეთ!

## ნურც დაბერდები

წარსულით ქირგადატანილს დღემდე დაგყვება იარა,
არ დაბერდები, ქართველო, არწივო, თვალებბრიალა!
არ დაიჩოქებს ძუ მგელი, თვალს არ დაატყობს იარას,
საწუთისოფლო კიბეებს აირბენს არა გვიანად!
წისქვილის ქვაც კი კოდავდა მის თავზე დარდს და იარას,
იარა... ბევრი იარა... კინაღამ დაიგვიანა,
მაგრამ დროულად წამოდგა, თვალი უსწორა ღმერთსაო,
ქირსა თუ ლხინში ქართველი გაშლის გულსა და ხელსაო...
დღემდე უფლით ხარ, ქვეყანავ, დედა ღვთის მადლის ზიარად,
ნურც დაბერდები, ქართველო, არწივო, თვალებბრიალა!

## დედა მქვია... ადამიანი

ვინ იცის, ბევრჯერ მიკაკუნე გულის კარებზე,
რომ ჩემი სული გამოგეხსნა, გეხარებინა...
სად არის ხსნის გზა, როგორია, ან სად მიმიყვანს,
შენთან მოსვლა რომ უცაბედად გამაბედინა...
შენზე ფიქრი რომ უფიქრებლად შემაძლებინა,
მარტოობისთვის განწირულის ხმაზე მომტირალს
ისევე, შენი მადლიანი გულის გალობით
და არა ჩემი ცოდვიანი მზერის წყალობით...
სულში სიბნელის მანათობელ მსხივებს მიგროვებ,
დაკარგულ დროის ძიებაში ტკივილს მიმრთელებ,
ნაპოვნი ჟამის ლაღ სივრცეში, გამოწრთობილი
ღვთისა და კაცის ერთგულებით... არა ღალატით,
მარტომყოფობის არსის მსხვრევით და არ მთელებით,
შემოგეკედლე, მეუფეო... და... გეფერები...
დღემდე არ ვიცი მომავლის გზა, ნეტარდღიანი,
სად მოვიძიო... დროულია?.. იქნებ, გვიანიც...
მაინც ჩემში ხარ, მით ვდიდგულობ, ენაწყლიანი...
გმადლობ, ღმერთო, რომ დედა მქვია... ადამიანი!..

## მიტევება შემიძლია

ქვეყნად, არასოდეს, არსაიდან
ტყვია მომერევა არავისი,
რადგან ფიქრითაც არ მიწყევლია
მტერი, ანდა მისი განაგისი!
ბევრი უდღეური დაპირება
გულში ვალივით თუ დამრჩენია,
უფალს, ცეცხლი აღარ დაუნთია,
უმალ, მამასავით, შეუნდია!
სადაც და ვისგანაც, ოდეს მაინც,
ავი საქმის სენი შემიტყვია,
ღმერთმა მიუტევოს უმეცრება

და მეც, ჩემი მხრიდან, შემინდია!
რა ვქნა, აუგს მუდამ ვემიჯნები,
ბაგით მაგიერი ვერ მითქვია,
ყველას თავისი აქვს შინა-წესი
და მეც, ყველასათვის შემინდია!
ყოველ განთიადზე, ჩემი ქვეყნის
აღმა მშენებლობა შემითქვია!..
გმადლობთ, მეუფეო და მშობლებო,–
რადგან მიტევება შემიძლია...

## ცხოვრებაც არაფერია

როდესაც ქალს ბედისწერის უიღბლო კარი ცხვირწინ
დაუხურეს, არავინ დარჩა მესაიდუმლედ, გულმხურვალე
მოჭირნახულედ...ღვთიური მადლით და სიმართლით
შრომობდა და ისე ცხოვრობდა, ჭიანჭველასაც არ აბიჯებდა...
რაც მთავარია, უმწეოსა და უნუგეშოს იმედები არ დაკარგვია,
რადგან სიკეთე ძლიერია! შური და მტრობა
ვერასოდეს მოერევიან!
თანაც, ზღვა ძალასა და ძალაუფლებას შორის
სხვაობა ყველგან,
ყოველთვის, ნულის ტოლია... სიკეთისა და სიმართლის გზა
სამუდამოდ გადამრჩენია! და ამქვეყნიური ცხოვრებაც
ხომ არაფერია...

## დედამიწას მზენათელს ვნახავთ

მოძღვარს მიეცი მღვიძარე სული,
მთავრობას სიბრძნე და ძლიერება,
მსაჯულს სიმართლე და ბრმას სინათლე,
ცოლ-ქმარს თანხმობა, შვილს – მორჩილება,
უშვილოს – შვილი, უგუნურს – გონი,
ავადმყოფს, სნეულს – სწრაფად კურნება,
მხიარულსა და უშიშარს – ზომა,

მგლოვარ-მწუხარეს – ჭირში მოთმენა,
გაფანტულ ქართველთ – შინ დაბრუნება,
შეცდომილ-ცოდვილს – მართალი გული,
ღალატის მსურველს – ერთგულება და
ბოროტ-მოშურნეს – კეთილი სული...
და თუ აგვიხდა ყველა ეს ნატვრა–,
შავ დედამიწას მზენათელს ვნახავთ!

**თავისუფლების ნებართვას ვითხოვ**

თუ არას ვფიქრობ, მე მაშინ მძინავს...
როცა ვაზროვნებ, მაშინ ვიღვიძებ,
ვისვენებ, როცა ძლიერ ვიღლები,
კეთილი საქმით რომ ვიტვირთები...
მე მაშინ ვხარობ, ზეცა რომ გალობს,
თუ ჩემი ხალხი ბავშვივით ხარობს,
ჩემს ქართველებს თუ არა აწუხებთ,
თუ არვინ გვიჭერს სულში მარწუხებს...
მაშინ ვზეიმობ, ჩემს დიდგულა ერს
ჩრდილის მაგიერ მზე რომ გაათბობს,
დარდებით სავსე მათხოვართ ჯგუფებს
ბედნიერება როცა დაატკბობთ!..
როცა ქალაქში გაღიმებული
ხალხის ნაკადი აღარ შეწყდება,
ბედნიერების ღიმილის ზღვაში
სიყვარული რომ შემეფეთება...
მე მაშინ მილხინს, როცა სამყაროს
სიხარულისგან არარა უჭირს...
მძინავს და...მუდამ მამულზე ვფიქრობ,–
თავისუფლების ნებართვას ვითხოვთ!

## მაცხოვარს

ჩუმად მითხარ,– ცად რომ ახვედ, ამ საფლავში რა დატოვე?
მიპასუხე... გევედრები... ღარიბი ვარ, არასმქონე...
გარე-შემოუწერელო, ცადმაღალო, თავმდაბალო,
რა მადლი გაქვს, ცრემლთამღვრელი, რომ ვმგლოვობ და,
თანაც ვმღერი...
ცაში ხარ და გულში ზიხარ, კაცი ხარ და...ღმერთად გიცან!
ამიზრახე... ცადხილულო, სულის განუშორებელო,
გულის გამამხნევებელო, კაცთმოყვარე ღმერთო ჩემო!
სოფლის მშვენო, მადლის მქნელო და სამოთხის დამამშვენო,
ამა სოფლის მოდარაჯევ, ზნეკეთილო ლხინო ჩემო...
ჯოჯოხეთის ცეცხლში დამწვარს, როგორ მიხდენ
ყველა ნატვრას,
ვდგავარ გარდამოხსნის ქვასთან... ვგლოვობ
გოლგოთისა კართან,
ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ამდენ
ცოდვილს როგორ გვიძლებ,
რა ძალა გაქვს ამისთანა, რწმენის გზით რომ წამიყვანა,
შენს საფლავზეც კრძალვითა და სიყვარულით მომიყვანა...
უხილავო, ურცხვენელო, მეოხო და მოსწრაფეო,
სასო ჩემო... მაცხოვარო, – ივერიას უშველეო!..

## სამყარომ გაიხაროსო

დადუმებული სამყაროს ჩრდილში
გადაღლილ თვალებს ძლივსღა ვაცეცებ,
ახალგაზრდული გულის ნაწილი
ოცნების დღეთა კარზე ათენებს...
აღარც წლებს ვითვლი ჟამთა დღეებში,
არც მარადიულ სიყვარულს ვკრძალავ,
უკანონობას არ ვიკანონებ,
გული სიმართლის მისხალს არ მალავს...
დავდივარ წლებით შემოჯარული

სიცოცხლის აზრით გაშლილ მინდორზე,
ამაზე დიდი ბედნიერება
დედას, ბებიას რაღა მინდოდეს?!
საწუთისოფლო დღენო ნათელო,
საღამოვ, ლურჯი იის სამოსო,
მხოლოდ გულმა და შვილმა კი არა,
სრულად სამყარომ გაიხაროსო!..

## ცულის ტარზე
## (ქართული ანდაზის მიხედვით, კარგი ცოლ-ქმარი ცულის ტარზეც დაეტევაო)

დამიჭირე, არ გამიშვა არსად ხელი,
ჩამიკარი, გულის გულში ჩამიტიე,
დამირწმუნე გაფანტული ოცნებები,
ერთგულებით ცულის ტარზე დამიტიე,
თორემ მგონი გაგიქვავდი, გაგიმწარდი,
მთების ძირში შეფენილმა ფიქრის ფარამ
შემიშინა აკინძული სიყვარული
და თუ ისევ უკვალო გზით ჩაიარა,
ღმერთთან ერთად, სალოცავად შენ შემრჩები,
მაგრამ ფეხქვეშ გამეცლება მიწა ალბათ
და ამიტომ არ გამიშვა არსად ხელი,
უშენობით რადგან ისევ თავს დავკარგავ!
ჩამიკარი, ჩამიტიე ჩუმად მკერდში,
ოქროს დუმილს აქვს შენებრი დიდი ძალა,
მოთმინება აწრთობს კაცის სულს და სხეულს,
მაგ თვალების ნაპერწკლები ამბობს მართალს.
შემიყვარე ჩემი გულის მსგავსი ტრფობით,
ჩამიკარი, გულის გულში ჩამიტიე...
დამირწმუნე გაფანტული ოცნებები,
შენთან ერთად, ცულის ტარზეც დამიტიე!..

## კახეთის განთიადი

პაპანაქება აგვისტოს ცხელი ორთქლი
ეწებება ლურჯ ზეცაზე გაფსკვნილ ფიქრებს
და ისეთი ალებით სწვავს ფრთათეთრ ღრუბლებს,
დედამიწა აისამდე ბუზღუნს იწყებს...
დღის ნათელით გაგუდულა თეთრი მთვარე,
საალერსოს ვერ იგონებს ცისთვის სიტყვებს,
ბროწლისფერი ამოენთო ფერ-ნუგეშად
და დედა მზე ამოსვლამდე უკვე ილხენს,
აწითლებს და აელფერებს კავკასიონს,
გამიგიჟდა... სახვალიო ფიქრებს იწყვეტს!

## არა ვარ მარტო

დიდი ხანია, რწმენის, ღირსების და აღმაფრენის
ამინდებს ვნატრობ... თუ შეიძლება, სამყაროს კარი
გახსენით ფართოდ... ძალზე ბევრნი ვართ, არა ვარ მარტო!
მსოფლიოს ხალხთა ძმობის ჭიშკარი გაგვიღეთ ფართოდ...
თავისუფლების, ლაღი ფიქრების, დროის და სივრცის,
დემოკრატიის უძლევი ზღუდის ყველა გასაღებს
მსოფლიო გვანდობს!.. სწორედ ამიტომ,
სამყაროს კარი გახსენით ფართოდ,
რადგან ბევრნი ვართ, ძალიან ბევრნი... არა ვარ მარტო!

## ნეტავ კი...

ნეტავ კი... ლექსი დამაწერინა,
მინდორ-ველზე რომ გასწევს ხარივით,
თავი არასდროს მამართლებინა,
ამარაკრაკა წყაროს წყალივით...
ნეტავი... სიტყვა დამაშლევინა
მარცვალ-მარცვალა ყურძნის ნაჟურად,
ამაწყობინა რითმის მძივებად,

მაფერებინა ასომთავრულად!..
გულსა და ძარღვზე დამადნეს სიტყვა
სიმღერებად და ია-ენძელად,
ნეტავ კი... ლექსი დამაწერინა.
ყველგან ხარივით გამაწევინა!

## ცხოვრებამ ვერა დამაკლო

ნაოცნებარო ლექსებო, ამოძახილო მკერდიდან,
ღარიბო, არასმქონებო, მაინც ნაკურთხო ღმერთისგან,
გადამქვარტლულო ნისლებო, ალთას და ბალთას მავალო,
აჩემებულო დარდებო – ვინ ვიყავ, ანდა რა ვარო...
თვალუსწორებო...სირცხვილით აუხდენელო მიზანო,
სიცოცხლემ ვერა დამაკლო, სიკვდილი რაღას მიზამსო!
ღამევ, არ მეიმედები, ხელს არ მიმართავ დილამდე,
გათენდება და...სავედროდ, ისევ ღმერთს უნდა მივადგე!
სულის ზეობავ და ჩემო აუხდენელო მიზანო, –
ცხოვრებამ ვერა დამაკლო... სიკვდილო, შენ რას მიზამო!

## უწმინდესის საქართველოს

გაზაფხულის ფიქრის წვიმა შეესია
ტყემლისა და ალუბლების ფაქიზ კვირტებს,
ვარდისფერი დედოფალი,– ცელქი ნუში
ატმისა და ბლის ტოტებთან თამაშს იწყებს!
სიხარულად დაიღვარნენ ყვავილები,
ჩემს ფანჯრებთან მოიღერა ვარდმა ყელი,
იავნანის და ურმულის სადიდებელს
ქართლის ველი მოგუდული ბანით მღერის!
ყვითელ თვალთა ელვარებად დაიცალნენ
შინდის ღიმილს შეპარული ნარცისები,
პალმის რტოს და ოქროს დათვებს არიგებდა
ათასფერა სურნელების პოდიუმი...
ბროწეულის ცეცხლის ფერით, სამამულე

რწმენის კვირტებს უმოწმებდნენ თითო ღეროს...
გამარჯვება კვლავაც დარჩა, უწმინდესის
ორივ ხელზე გულდაყრდნობილ საქართველოს!

## ახალი ნატვრისთვალიც მაპოვნინე

როგორ მიყვარს შენი სხივთა ელვარება,
დედა ღვთისავ, ჩემი ლოცვის საცეცხლურო,
ცოდვის ზღვაში ვიძირები და მპატრონობ,
ყოვლადტკბილო, ჩემი რწმენის გადამრჩენო!
მონანული დავდივარ და ზოგჯერ ვქრები,
ცრუ და-ძმათა დაპირებით ხშირად ვკვდები,
შენი ლოცვით და მაცხოვრის ყოვლისშემძლე
მეუფების ნებით ისევ გავცოცხლდები...
დავაბიჯებ... დედამიწას არ ვამძიმებ...
სიცოცხლის და სიყვარულის წესებს ვსწავლობ,
მარადიულ ნეტარებებს ვეძალები,
ცეცხლზე ნავთს თუ დამისხამენ, გულით ვაქრობ!
თმენის ძაფებს ისევ გულის ძალით ვაბამ,
შემიკედლე და შენს სურნელს მაყნოსინე,
დედა ვარ და... არასოდეს მიღალატო...
თან ახალი ნატვრისთვალიც მაპოვნინე!

## სიყვარულის გადასარჩენად

როცა ყველაფერს ზედმიწევნით ვუფრთხილდებოდი,
ტყვეობის კვალი გაედევნა გაბაწრულ ფიქრებს,
გაშავფერადდა უდარდელი ლხენის ჟამები,
არარაობას დაემონა ისედაც მოკლე წუთისოფელი
და დროებითის ლურჯი ზეცის თეთრმა ფიფქებმა
აბსურდულობის სიდიადე გადაგვიწერა,–
სინანულის და გულწრფელობის ცრემლების ძალით.
ახლა თავს ვიქცევ დროებითი წამების-წამით,
თავისუფალი სულითა და ნუგეშის ფარით,–
მარადიული სიყვარულის გადასარჩენად!

## კახეთო და დედულეთო

მიყვარს ალაზნის ველები, მისი მზისფერი ქალაო,
არ ვიცი, ჩემი კახეთი ასე რამ შემაყვარაო...
დედულეთო და ბავშვობავ, ირმისთვალება ყანაო,
ხშირად ჩამოვალ, არ მკითხოთ, თქვენთან რამ მომიყვანაო..
მოვუგურგურებ წალამურს, მამას ნაფერებ ვაზსაო,
მადლიან გულით დაგლოცავთ, შემოგევლებით თავსაო...
მონატრების მკლავს ჟინები... პატიმარი ვარ ციხეში!
ვცოცხლდები გურჯაანსა და მშობლიურ ველისციხეში!
ნეკრეს-იყალთო მეძახის, პანკის-ალვანის მხარეო,
ყვარლის მთებს, თელავს, შუამთას, გულითად ვენაცვალეო!
დედოფლისწყარო, სიღნაღო,
– თქვენი სიმღერით დამთვრალმა,
ქიზიყის ოქროს ხელებით შირაქის ველი დახატა...
ზიარ-ფხოველის ბალადა, წარსულ-მომავლის წიგნიდან
და ლაგოდეხის ჩანჩქერთან, გულითად ლოცვას მითვლიან...
კახეთო და დედულეთო, ჩემო მშობელო მხარეო,
არ ვიცი, ასე ძლიერად თავი რად შემაყვარეო!..

## სინდისო ჩემო

ჩემი სიცოცხლის, სიკეთის და სინდისის ზღვარო,
ფიქრებო ჩემო, სანეტარო ოცნების ქნარო,
მომავლის ლხენავ, სხეულის და სულის საზომო,
ადამიანთა კანონთ ცნებავ, – არ მიმატოვო!
სინდისო ჩემო, ბედნიერი ნათელის დღენო,
სიბრძნის, გონის და დიდების გზა უკეთ მასწავლე,
სათნოებათა კიბე კრძალვით აღმავლევინე,
მადლიერებით ცხრა ზღვა, ცხრა მთა გადამატარე!
რწმენა, იმედი არასოდეს დათრგუნო ჩემში,
სინდისის ზღვარი ღირსებებით გამიმყარეო
და ის კუთვნილი, სიცოცხლის და სიბერის წლები
დღეგრძელობით და გამარჯვებით დამიმთავრეო!

## ჰერი და ჰერი

ერთ დღეს იღვიძებ და ცხოვრებას არქმევ არარას,
რადგან გესტუმრა უმწეობა, ხარ მტრის ამარა,
მერე ერთბაშად გაიხსნება ცის კაბადონი,
გაიგრძელგანებ, რომ ღმერთია ყველას პატრონი,
ბედნიერება შენშია და შენ ჭედავ იღბალს,
თუმც ორპირობით არ შეგარჩენს უფალი მისხალს,
გულწრფელობა და თავმდაბლობა ვალად გედება,
რომ მოიპოვო სულის ხსნა და ბედნიერება!
მოდის სიმშვიდე, სიხარული და იმედები,
ღმერთო, მომავლის დახატვაშიც მეიმედები!
დავდივარ მდოგვის მარცვლისხელა, მცირედი რწმენით,
სრულად სამყაროს ვაგვირისტებ სიმღერა-ლხენით,
თუ ვერ დავირქმევ სადიდებო მახვილკალმოსანს,
კეთილ ბილიკზე სიარულით ბევრი დამლოცავს...
ბებერ მეზურნის ახირებას რითმის ხმა შველის
და მერე... ისევ ღმერთის ნებით,– ჰერი და ჰერი...

## თვალი არ დამრჩეს

მზერას ვადევნებ დღეებს ორბისას,
როცა ვშავდღეობ უფლის კარებზე,
გადატრუსული სოფლის კუთხეში
თვალი არ დამრჩეს ემანდ, რამეზე...
ყველაფერს თავის დრო და ზღვარი აქვს,
საწუთისოფლო ოთხივ მხარეზე,
შიში მიწელავს გულის საკინძეს,
თვალი არ დამრჩეს ქვეყნად რამეზე!
თვალი ხომ თვალის მტერია მუდამ,
თუ გამექცევა ოდნავ რამეზე,
წინასწარ ვითხოვ შენდობას ღვთისას,
მუხლმოყრით ვდგავარ უფლის კარებზე,–
თვალი არ დამრჩეს, ღმერთო, რამეზე!..

## პირობითი, შედარებითი, დროებითი

პირობითია ყველა საღირსო სიტყვა,
კაცობრიობას რაც კი ოდესმე უთქვამს!
შედარებითი ცნებით ვამართლებთ ქცევას
და თავს ვიმშვიდებთ, თუ ვერ მივაღწევთ ვერას...
დროებითია საწუთისოფლო არსი
და მარადიულს, ამიტომ არსად გავცვლით!
რაც მიწის იყო, ისევ მიწაზე რჩება,
მაგრამ ცის ლტოლვას ვერ შევლევივართ ჯერაც!..
სანეტაროა კაცის ცხოვრების დღენი,
თუ მის სიცოცხლეს გონიერებაც შველის!..
პირობითია კაცის საღირსო ქცევა,
შედარებითით, სხვაზე კაშკაშად ელავს!..
დროებითია საწუთისოფლო არსი
და ჩვენს ღირსებას არასდროს, არსად გავცვლით!

## ისევ ის მყვარებია

ვაგლახო, ჩემო წუთისოფელო,
თვალებზე ლიბრი დამფარებია,
ვტრიალებ ბედის მწარე ბორბალზე,
ვინც მძულდა, ისევ ის მყვარებია!
ვაი, შენ, ჩემო დაბეცებულო
თვალებო, ბინდი დაგფარებია,
სიკეთისა და ღვარძლის ბილიკზე
ვინც მძულდა, მაინც ის მყვარებია!
სხვათა ცოდვათა გამოსასყიდი
რამდენი ტვირთი მიტარებია,
ვბრუნავ ციბრუტად, ბედის წისქვილზე,
ვინც მძულდა, თურმე ის მყვარებია.
ვერ მივაღწიე ქანაანთ ქვეყნად,
თვალებზე ლიბრი დამფარებია...
მის გვერდით ყოფნა მომნატრებია,
ვინც მძულდა, ისევ ის მყვარებია!..

## საუბარი იასთან

რამ მოგიყვანა, პატარავ, საფლავის ქვათა ძირასა,
დაიკოს სითბოს შევიგრძნობ, უჩემობითა მტირალსა...
ვაი, თუ მას დაეზარა, შენ გამოგგზავნა თავადა?
რაზე თოხის პირს დაგკრავდი, გაგიხდებოდი ავადა...
ან იქნებ, დედის სანაცვლოდ შენ მეფერები, იაო,
კეთილი იყოს ეგ მზერა, გული შენთვის მაქვს ღიაო...
იქნება შენ მოგისმინონ... ჩემებს უამბე, იაო,
რომ მათი სიყვარულისგან ტრფობა შენ დაგეწიაო,
მთისა და ბარის სიყვარულს ფერი არ შეუცვლიაო,
განზრახვით, ქიანქველისთვის ფეხი არ დამიდგიაო...
აქ ვემზადები... იქ ყოფნის წესები მისწავლიაო,
უფლის წინ თავის მართლება რომ აღარ იყოს გვიანო...
რატომ ამოხველ, პატარავ, საფლავის ქვათა ძირასო,
ჯერ ჩემებს ნურას უამბობ... ყველას მშვიდადა სძინავსო...

## თავს არ მანებებს არაგვი

თავს არ მანებებს არაგვი,
მომდევს ფეხდაფეხ, ნებითა,
არ მომეშვება, თუ უბეს
არ ამომივსებს კოცნითა,
მერე, ვითომდა, არც რაი,
კვლავ ჩამიქროლებს როკვითა,
გამიღიმილებს, შამიმღერს,
დამახრჩობს ვნება-ტრფობითა
და... გულუბრყვილო დიაცსა
მატყუებს ალერს-როკვითა,
ისე მიღიმის, თავს ვკარგავ...
ლამის ავივსო ბოღმითა!
თავს არ მანებებს არაგვი...

## სულის წყალობად

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გიჯერებ
და სულზე გაყრი თეთრ მარილად აღქმულ სტრიქონებს,
ნუ გაწყრები, თუ უმარილო გამოვა მაინც...
ზოგს ანი უყვარს...ზოგს ბანისკენ უპყრია თვალი,
ზოგს ლანძღვა ხიბლავს ვიღაცის და, კიდეც ერთობა...
მსგავსების ეჭვით, თუ სხვა მიზნით, არვის ენდობა...
თორემ რუსთველი და ჰომეროსიც... ალბათ რაღაც
შავი ხვრელებით პოულობდნენ მუდამ საერთოს...
არ გალანძღულან ხატაელთ და ტროას ომებით,
ბრმა თუ ხილული კაცთა აზრით, დღემდე მოვედით...
ხვალის გენიოსთ, თუნდაც მსგავსებს, დავუნთებთ სანთლებს
და ღვთის დიდებას, მოწიწებით საკმევლად ვაკმევთ,
ის სურნელება ჩვენც გვეყოფა სულის წყალობად,
თუნდ ათში – ერთმა დაგვილოცოს ნეტარქალობა!

## მონატრებაა უფრო მთავარი

მზემ ამოიწნა დარდის წნულები
და შავ ქლიავად ლასტზე გაშალა,
მონატრებათა ურჩი სხივები
საშემოდგომო წვიმამ წაშალა
და გადაშალა ბავშვობის ქოხთან
ათასფერადი ჯურის წამალი...
თურმე ნამდვილი სიყვარულისთვის
მონატრებაა უფრო მთავარი!
ვიცი, შენც მნატრობ, მაგრამ იცოდე,
დავაგვიანებ შენთან წამოსვლას,
რადგან უფალმა უკვე მოგვიწყო
მანდ წასაყვანი მკაცრი გამოცდა.
ვერ ჩავაბარეთ!.. ორივეს ნიჭი
შავმა ყორანმა გაფანტა სადღაც,
მოუნელები ოცი წლის ლუკმა

თურმე ცხოვრებას კვლავ გულზე ადგას!
ვერც მოინელებს, რადგან ჩვენს ნერგზე
ვიღაცა ლამობს დარდის დამყნობას,
ჯვარცმულ ყმაწვილებს არ დაგვაცადა
გარდამოხსნა და ქრისტეს აღდგომა!
გზის გასაყართან ვდგავართ ორივე,
შენ იქითა ხარ, მე აქეთ ვწყარობ,
არ შეგაცდინონ, უშენო ჟამზე
ვერას ვხარობ და ვეღარცა ვდარობ...

## ყველა მტრედი სახლში მიდის

ფრთები მომეც მტრედისანი, მეუფეო,
ავფრინდები, განვისვენო იქნებ,
განვეშორო ამა სოფლის მაცდურობას,
უცხო ქარებს ნება-ნება მივყვე...
ოღონდ სწრაფად გამარიდე დედამიწას,
ცაში საქმეს გამოვნახავ ცოტას,
უდაბნოში ქართან ომის დღენი მიჯობს,
უაზრო და უსარგებლო ჯდომას...
ყველა ჩემი ახლობელი შენს სახლშია,
მე გზაში ვარ, ვეღარ ვაღწევ შენთან,
ცოდვილ სულს და ბეჩავ სხეულს გაუჭირდა
მომზადება და წამოსვლა ღმერთთან...
ჰოდა, მტრედის ფრთები მომეც... გავფრინდები,
განვიწმენდავ სხეულსა და ფიქრებს,
ვიღუღუნებ, ვინავარდებ ცის სივრცეში,
პასუხს გავცემ ამოუცნობ კითხვებს,–
რა ძალა აქვს ერთგულებას და სიყვარულს,
რას გვასწავლის ჩვენი ბედის წიგნი...
ჰოდა, ღმერთო, ფრთები მომეც მტრედისანი,
რადგან იგი ბოლოს სახლში მიდის!

## ღმერთო, მომეხმარე

ჩამობნელებოდათ ნისლებს თავ-პირი და
აღარ მიმზეროდნენ ღიმით, ძველებურად,
გროვად გადმოყრილი დარდი გულისპირზე
ვეღარ მოვიშორე, ვთვალე ჩემებურად...
მერე სიღარიბის ტვირთი ავიტანე,
შეჭირვებულები მაინც გავიტანე...
ჩემზე გაჭირვებულს, ზეთის საჭურჭლეთი
უფლის სიყვარულის მადლი მოვუტანე!
მერე ვეწყაროე აღმადენით მავალთ,
წყაროს მდინარისას მავანსა და მავანს,
უფლის ნებას ისე ხარბად დავეწაფე,
ღმერთს და დედა ღვთისას მორცხვად ვემოწაფე!
აღარც კი მახსოვდა, როდის გავიცინე,
გველის ფხა გავხსენი, გავძვერ, დავიჩივლე,
ახალს დავემოძღვრე, ძველი დავიტირე,
უკვდავების ნიშად ღმერთი ავირჩიე!
ახლა ვიცინი და, განურჩევლად ვირჩევ,–
ღვთის წილ წითელს ვმოყვრობ, მიყვარს ლურჯი ფერი,
ღმერთო, მომეხმარე, ამდენს ვეღარ ვუძლებ,
სიყვარულის ზღვაში უკვე დავიბენი...

## რასაც ფიქრობ სხვისთვისაო

ხევზე ქვას ვერ დაინახავ, შენ თუ არა გწადიანო,
ბოღმიანო, მოგულძვირევ, გვარად თუნდაც დადიანო,
ცაში ვარსკვლავს ვერ შენიშნავ, მზე ვერ
გითბობს თვალთამზერას,
სიყვარულის ხელოვნებას გაურბი და... მისნის გჯერა!
ყველა კარგი საქმის გამო დარდიანო, შურიანო,
ცხოვრებაზე გულაყრილო, ეშმას სახევ, მურიანო,
სხვისი ლხინით სევდიანო, ავ საქმეში მადლიანო,
სულ სიბნელე გწადიანო, სიხარულში – თალხიანო!

ავმა ზრახვამ ავი იცის, სულს რად იწყმედ, რისთვისაო?
ბედი იმას მოგანიჭებს, რასაც ფიქრობ სხვისთვისაო!

## ბებოს ლეფტოპი

ზის ჩემი ბებო კომპიუტერთან,
თვალდახუჭული ეძებს საიტებს,
ყველა სიახლეს, მსოფლიოს ირგვლივ,
დააწკაპებს და... უმალ გაიგებს.
ისე დატესტავს ინფორმაციას,
როგორც დედიკოს ნამცხვარს, ნახელავს,
ვერ ვასწრებ დილას თვალის გახელას,
ამბებს მიყვება უცხოს, რამხელას...
დავიღალე და... სიტყვას ვერ ვბედავ,
რომ უზრდელობა არვინ დამწამოს,
გადაუმალეთ ბებოს ლეფტოპი,
შვილიშვილები რომ არ გვაწამოს!

## ერთად ვნატრობთ

თავისუფალ სივრცეს ვაპობ, სადღეისოს...
ცის კიდეზე ხშირად ვლაღობ... დარდებს ვაქრობ,
ცად აწვდენილ საფეხურებს თუ ვერ ვითვლი,
ცრემლიანი სინანულით მიწას ვალბობ...
კიდეც ვბოდავ... და შეშლილი თვალთამზერით,
უაზრობის აზრის დედას მღერით ვართობ...
მსმენელები ფიქრებივით გამიმრავლდნენ,
სადეკემბრო ლექსის შუქით მიწას ვათბობთ!
გულებს ვალხენთ და სამყაროს ყვავილოვან
გაზაფხულის მობრძანებას ერთად ვნატრობთ!

## ზნეობრივი კანონი

ზნეობრივ კანონს,– სულიერების საკვებს და სამოსს,
ვერა სამოსლით ვერასდროს შეცვლით, რადგან ის არის
სამართლისა და კანონების ყველა კრებულის
საძირკველი და მუხლობრივი შესამოსელი...

## ღრუბლებს და ცას

შავჩოხა ღრუბლებს და ნაცრისფერ ცას
მზე წვიმით ალერსობს და თვალებს ჰბანს.
მზე... წვიმა... სულ ბავშვის ოცნებას ჰგავს...
გლოვისფერი ადგას ცალ მხარზე ცას,
პანაშვიდს, ან ვინმეს დაკრძალვას ჰგავს...
მარჯვნიდან მზე მიმზერს და ლურჯი ცა,
წვიმს დარდის წვიმები, ამ ბოლო ჟამს...
მგონი ჩემს სიყვარულს მიბაძა ცამ,
მაწვიმებს...მადარდებს...თან ლხენას ჰგავს...
ვღიმილობ, დარდს ვატან გამდინარ წყალს!
ღრუბელი აეკრა დაბოღმილ ქარს,
სცივა და...თან მოსწონს... აბრალებს თავს,
შეყვარებულივით... მეც მიკრავს თვალს...
ისე ქუხს, მიზღუდავს სივრცეს და განს,
ვერ ვიტან შეზღუდვას, ციხეს რომ ჰგავს...
ცას ვეტრფი ლურჯთვალას, კაშკაშას, წყნარს,
სიმშვიდით გულის და თვალების მსგავსს...
შავჩოხა ღრუბლებს და ნაცრისფერ ცას
შევყურებ, როგორც ჩემს საყვარელ დედას და დას!..

## თუნდაც

ბავშვობის ნამზერ კვალზედა
თუ გაგეყარა უნებურ თვალები
ამ ჩემს თვალშიო,
სიმწარით ამოგროვებულ ნამცეცა

პატიოსნებას შენს თვალწინ,
წყალში ჩავყრიო... გამოგადევნებ
უიღბლო გულსა და ლექსებს მთაშიო,
გამათბო იქნებ, ნისლებით დაცვარულ
ავსა დარშიო... მერე რა, თუნდაც
ჩავვარდე ამ წუთისოფლის
უნდობელ და ქორიკანა ყბაშიო...

## მაინც სჯობს არა თქმასაო

გადაქარგულა არაგვი
მიმინოსფერი ვერცხლებით,
ქიკათას წმინდა გიორგის
და ბიძაშვილებს შევცქერი...
რა ახლოს ვდგავარ ზეცასთან,
ღმერთს შევწვდებოდი ხელითა,–
ქუჩყიანი რომ არ მქონდეს
ცოდვის ტალახის ზელითა...
მთებზე სანისლო ქარებო,
მომაშველოდეთ ხელიო,
დამიკრძალოდეთ ვნებები,
თორო ვეღარას ვმღერიო!
განა რამესა ვმღერიო...
ვახრინწიანებ ხმასაო,
თუმც გულის დარდის მზეობა
მაინც სჯობს არა თქმასაო...

## მთიულის სიტყვას ვფიცავო

იას ვეძებდი ქალაუ, აგერ მყოლიხარ გვერდშია,
შენითა უხილველობით მოვმკვდარიყავი, მერჩია,
ან შენი თავი აქამდე იისგან გამომერჩია...
აღარ გამიქრა თვალებმა, ყველას ვეტრფოდი ერთადა,
უღმერთოდ ცხოვრებისაგან ვხეტიალობდი კენტადა,

რა კეთილს მყრიდა უფალი, ლამაზ ქალს
ვთვლიდი ღმერთადა...
გამოვიხილე თვალებში, მადლობა ღმერთო, ამისთვის!
თუ გიღალატებ, ქალაუ, დამექცეს ცა და მიწაო,
დამეჯერება ვაჟკაცსა!.. მთიულის სიტყვას ვფიცავო!

## მეგონა, დავიღალე

მეგონა, დავიღალე და წლების ქარში დასვენება მომინდა,
მერე... დასვენებისგანაც ძლიერ დავიღალე...
ეს რანაირი დაღლა სცოდნია დასვენებასაც,
ყველას კარს ვაკაკუნებ, – განიკითხეთ,
დასვენებისგან დაღლილი ქალბატონი...
დაღლით – დამღალეთ, საქმით – დამქანცეთ,
თორემ ჩემი მზერით ყველა ცოდვილი აკანკალდება
დაე, ის ნუ იკანკალებს, ვინც უცოდველი დარჩება!..

## უძილო ტირიფებს

დარო ბებოს წყლის გვერდებთან
აზიდულო, სამეზობლო ტირიფებო,
უძილობა რომ მასწავლეთ,
თქვენებური თავის დახრაც დამასწავლეთ,
რომ ნაკლებად დავინახო ამა ქვეყნის ვაგლახი
და თავმდაბლობა დავიმგზავრო
გადასარჩენ გზად და ხიდად!..

## როცა შეულახავია სული

როცა შეულახავია, მაშინ უნდა გაფრთხილება სულს...
დასახარჯი რომ გაქვს ბევრი, მიზნობრივად
ხარჯვა უნდა ფულს!
სიყვარული რომ გეწვევა, მაშინ უნდა გაუფრთხილდე მას,
თუ არავის ეყვარები, მადლიანად ვერც შენ ხედავ სხვას...

შეირჩინე, რაც გაქვს სულში... კარგი მუდამ ჩაუნაცვლე ცუდს,
თორემ არას მქონებელზე, უფალიც კი გამუდმებით წუხს!..

## შენივე ხსნისთვის

ღმერთს დახმარება მაშინ სჭირდება,
როცა შენთვის აქვს რამე სათქმელი,
გაეპასუხე... თუნდაც დადუმდი...
ადექ... დაანთე ერთი სანთელი...
ილოცე... ცოდვის შენდობა სთხოვე,
მადლობა უთხარ ყოველი დღისთვის,
რასაცა გასცემ კეთილი ზრახვით,
იმას მიიღებ, შენივე ხსნისთვის!

## მაინც მწამს მარადა

დავდუმდი... სიჩუმე აღარ ღირს! დუმილმა გაყინა სამყარო,
გულსა და სიყვარულს, ფიქრები არადა... ხომ უნდა ვაკმარო?!
ტყუილმა შეჭამა ქვეყანა! ბილწობენ, ცრუობენ, არადა...
არავის სჭირდება, არადა,– ამაზე ვიფიქროთ მარადა...
მთვარემაც დახუჭა თვალები, მე ვიყო
ყველასთვის წამლადა...
არადა, რა ვიცი, ვინ და სად წამოვა...სანამ მზე ამოვა...
თვალს დარდი ესევა ჯარადა... ძმას ვხედავ
მახვილად, ფარადა,
გულს და სულს ვიჯერებ ძალადა... ტირილი მომინდა, არადა!
არადა, სულ ვხატავ არარას... სუსტი ვარ, ურჩი და არარა!
მზეცა ვარ, მიწაც ვარ, არარაც... სამყაროს მაინც
მწამს, მარადა!

## გადარჩენისთვის

პირდაღებულ შოშიას ჰგავს ჩვენი ბედი,
სიმართლით რომ ვერაფერი გააწყო,

ეტრფიალა წუთისოფლის აწმყოს, მყოფადს,
წუთისოფელს ვერაფერი დაატყო...
ერთ დღეს, თურმე, შოშიამაც, უდარდელი,
ბედნიერი ხმით დაიწყო გალობა,
იქვე დადგა ლხენისა და რწმენის ჟამი,
ზეციერმაც გაიმეტა წყალობა...
პირდაღებულ შოშიას ჰგავს ჩვენი ბედი,
კეთილხმოვან სიმღერებით გვიგალობს,
შენში უნდა ნახო იღბლის გზების არსი,
ბედნიერი ვარსკვლავები ითვალო...
შენ დახატე წითელფერა ზეცის თაღი,
რომ გადარჩე, იმზეგრძელო, იხარო!..

## ყველას

ყველა ისე შემიყვარდით, სადაც არის, ავყვირდები,
მომიტევეთ, თუ ოდესმე, რაღაცაზე ავხირდები...
წლების მერე, როცა მამა ზეციერთან გავფრინდები,
უფლის გარდა, არავინაც... და არასდროს დამჭირდებით,
მაგრამ თუკი მისურვილებთ, იმავ წამში აქ გავჩნდები!

## ძალიან გაგახაროთ

ღმერთო ერთო, ნათელო, თვალთ შეუდგამო,
კარგისაგან ავი მუდამ გამირჩიე,
განმაშორე ბოროტების სიმძიმილი,
ჯანსაღი და კეთილი ზნე დამირჩინე,
გედის მსგავსად მომაშორე ცოდვის წვეთი,
უიმედო ტკივილები გადამყარე,
მტრის დალოცვა შემასწავლე მადლიანად,
დარდის ლხენად წარმოჩენაც დამასწავლე!
დამასწავლე მიტევება და სიმშვიდე,
გულს სიავე არავისი გააკარო,
ქვრივ-ობოლი დედაკაცი გევედრები,

შინ და გარეთ მშვიდობა რომ დამიმყარო!
აცხოვნე და გაახარე შვილი, ძირი,
სოფლის ჟამი ისე უნდა გავატარო,
დედა-ღვთისავ, მაცხოვარო, მამავ ჩემო,
რომ ძალიან... და ძალიან გაგახაროთ!

## როს სახლსა ჩემსა

როს სახლსა ჩემსა შემობრძანდა ღმერთი უფალი,
გულისა ყველა საიდუმლო ჩუმად ვუთხარი...
ვნანობ იმიტომ, რომ არ ვინანო...
ვწვალობ იმიტომ, რომ არ ვიწვალო...
ვტირი იმიტომ, რომ არ ვიტირო...
ვფიქრობ იმიტომ, რომ არ ვიფიქრო...
შევედავები, არა დავისთვის...
შევეწყალები, არა ბრალისთვის...
შევედავები... ისევ ვიდავებ...
შევეკითხები, რომ კვლავაც ვკითხო,
არავის ვუმტრო... არ განვიკითხო...
რადგანაც სახლსა ჩემსა მკვიდრობს დიდი უფალი,
რაც გულში მქონდა, - ყველაფერი გულრწფელ ვუთხარი!..

## მადლობა დიდი

სიცოცხლისა და გონების თვალი
გულში ავ ზრახვებს აღარ მიტოვებს,–
რას დავტიროდი სიცრუის ბრალებს,
რად ვმსახურებდი ცოდვის პირმშოებს?!
და როცა მტერი, დუშმანი მიპყრობს,
ნაღველს მასმევენ ურცხვი ხელებით,
დამღუპველ უფსკრულს ანგელოზები
ავსებენ ტრფობით და სიმღერებით...
მცირედი რწმენის შესამოსელით,
ღმერთო, გაყინულს მაინც მიბრალებ,

შრომისმოყვარე გულს მჩუქნი, სითბოს,
ქრისტეს სახელით, ყველგან მიწყალებ!
დიდებისა და მადლობის გარდა
მამავ, მეუფევ, ვერ გაგახარებ,
გმადლობ, რომ მშობლის ნაფიქრალს,
ამაგს უქმად არასდროს არ ჩამიტარებ.
მადლობა, ღმერთო, რომ ქარტიალზე
გძებნე და მწუხრში მაინც გიპოვე,
რომ შვილიშვილთა ფიქრის ყანები
დაუთესავი არ დამიტოვე...
გმადლობ, გონების თვალით მზერისთვის,
ცოდვა რომ ჩემთვის ნაკლებად იცლის!..
გმადლობ, ღმერთო, რომ მყავხარ პატრონი,
ყველაფრისათვის – მადლობა დიდი!

## ნეტავი, ღმერთო

ხე რომ არ იყოს ჩვენი გვარისა,
ცული ვერაფერს დაგვაკლებდაო...
ვაი, ქართველო, ვისაც ქართულად
გვიჭირს სიმღერა, თვალთა მზერაო...
ნეტავი, ღმერთო, რასაც შეგნატრი,
ყოველი თხოვნა ისმინებოდეს,
ჩემი ლოცვებით და შენი მადლით
ქართული მიწა აყვავდებოდეს,
სოფელი არსად აიყრებოდეს,
ღელეში იფქლი გამრავლდებოდეს,
ცხვარ-ძროხა მინდვრად გაიშლებოდეს,
ტკივილი ლხინით შეიცვლებოდეს,
უბარაქობა მოისპობოდეს,
უმუშევრობა მოიკლებოდეს,
ფაროსანების და მავნებლების
ბალავარები მოითხრებოდეს...
გაშიშვლდებოდეს მუქთამჭამელი,

ივერთა მტერი მოისპობოდეს,
ახალგაზრდობის ახალი გზებით
საქართველოი გაბრწყინდებოდეს!
უფალო, შვილთა კეთილი ზრახვა
ელვის სისწრაფით ასრულდებოდეს,
და ჩვენთა, მშობელ-ბებოთა ტკბილზე
ტკბილი ოცნება აგვიხდებოდეს!
და მაინც, ხე რომ არ იყოს ქვეყანად,
ცული ვერაფერს დაგვაკლებდაო...

## გამიჭირდა

გამიჭირდა ძველი აღთქმის ამთავისა, იმთავისა,
ვერც იაკობ გავიცანი და ვერც მეფე ბასანისა...
ერთი ვიცი წუთისოფლის უცნაური გამოცდისა,
რასაც ვფიქრობ, ის უნდა ვთქვა და ვიწამო სიმართლისა!
თუ წყალობა მოგცა ღმერთმა გასაცემი სიკეთისა,
უხმაუროდ გაეც, რადგან ღმერთი ხედავს დაფარულსა,
თუ უფალი გაძლევს კეთილს, კაცთ ულევი სამსახურის,
ჰქმენ სიკეთე ულეველი, ხალხისაგან დაფარული;
გაეცი და არ იდარდო, ვინმე დაგრჩა უმადური,
ღვთის წინაშე არაფერი არ იქნება დაკარგული,
მთავარია, შესაწირი იყოს მუდამ დაფარული!
გამიჭირდა ძველი აღთქმის ამთავისა, იმთავისა,
ვერც იაკობ გავიცანი და ვერც მეფე ბასანისა...
ერთი ვიცი წუთისოფლის უცნაური გამოცდისა,–
უხმოდ გაეც... ცოტა თქვი და გწამდეს შენივ სიმართლისა!..

## ყველას ერთად

უქკნობელო ვენახის რქავ,
დედა ღვთისავ, წმინდა ნინო,
უნაკადეთ მადლის წყარო
ჩემს ოჯახს და საქართველოს!

ოქრომეტყველს, ვერცხლმდინარეს,
ყველა წმინდანს ვენაცვალე,
ასჯერ თქმულის გამლექსავი
უფლის ნებით ვიკრებ ძალებს...
უჭკნობელო ვენახის რქავ,
ღმერთო, შენ წინ დავხრი თვალებს,
ენავ, რწმენავ, საქართველოვ,–
ყველას ერთად გენაცვალეთ!

## ვიდრე ვიცოცხლებ

ღმერთო, სანდო და საჭირო, შენ შექმენ სრულად ქვეყანა,
ცასა და მიწას საზღვარი შენ დაუდგინე ყველგანა...
მზეს ადედოფლებ დღის კვალზე და ღამის მეფე მთვარეა,
მანათობელი ვარსკვლავნი სიცოცხლის არსნი არიან,
ეგვიპტის კარი დაახშე, ფარაონები გააქრე,
ისრაელ გამოაბრწყინე, მეწამული ზღვა გააპე...
შენ შეგვასწავლე სიმდაბლით რწმენა და თავის გატანა,
მტრისგან დამცველიც შენა ხარ, ერთობ დიდი და პატარა...
სრულად სამყაროს მფლობელი ერთ მუჭა გულში გვეტევი,
ცისა და მიწის პატრონო, ვინ შეგედრება, რომელი?!
შენ გვასაზრდოებ დღემუდამ, შენგან გვეძლევა წყალობა,
შენით შევიგრძნობთ შვილის და შვილთაშვილების გალობას,
ყველაფრისა და ამისთვის მხოლოდ შენ განდობ სიცოცხლეს,
უფალო, შენს სადიდებელს გიგალობ, ვიდრე ვიცოცხლებ!

## ღამე წყნეთში

ამოენთო ვარსკვლავების ჯარი,
ნაძვის ტოტში გაიჭედა მთვარე,
ტყვეობიდან გამოიხსნა თავი,
ღამის ჭიშკარს სიხარულით აღებს...
ალიონზე მოვა სიყვარული,
დაგვიკოცნის ხელებსა და ბაგეს,

მზის და მთვარის სატრფიალო გზაზე
ლექსების გემს უცაბედად ვაგებ...
არაფრიდან გაბრწყინდება ზეცა,
ყველაფრისთვის იბანცალებს მიწა,–
მამა-პაპის ძვლებს და ცოდვის ხილვებს
მიწა გვიჭამს... ყველგან მიწა გვიცავს...
არაფრისთვის ჩვენც ხომ ხშირად ვდავობთ,
ყველაფრიდან არაფერებს ვძერწავთ...
დავიბრმავებთ თვალებსა და გულებს,
მერე გვიკვირს, რად ქუხილობს ზეცა...
შემომექრა ვარსკვლავების ჯარი,
ისევ ნაძვის ტოტებშია მთვარე,
უძილობა დაეტყობა თვალებს,
ამ ღამესაც ოცნებებში გავლევთ...

## შვილს გიტოვებთ

ფიფქი ვარ და, ვდნები, ვქრები სიყვარულის სახელად,
მტლად ვედები ველისციხეს მანდედან და აქედან...
გულს ვიოხებ ზეიმებით, უფლის ნებას დავყვები,
სანუგეშო ბუდეს ვაგებ, ღვთისმშობელის სახელით!
წავალ, მოვალ... ისევ წავალ, თოვლის ფიფქად გავქრები,
სახსენებლად შვილს გიტოვებთ ათასფერა სანთლებით!..

## ალიონის დაბადება

თუ იღბალთან ვერ ვმეგობრობ
და ზეციდან ვერ ვწყვეტ ვარსკვლავს,
თუ სიცრუეს არასოდეს
არ ვასაღებ ჯანსაღ მართლად,
თუ თვალებზე ხშირად მაკრავს
უსახური ლიბრი, ბინდად,
არარას და უსარგებლოს
თუ ვაბრალებ სოფელს ხშირად,

თუ ბედნიერ დღეთა ჟამზე
ღმერთი მწყალობს ცოტა მწირად,
ერთი დღეც და... განათდება
ჩემი ბედის ვარსკვლავთ წყება,
იღბლიანი ალიონის
დაბადებაც დაიწყება!

## ჯერ ისევ ბნელა

ცარიელ სივრცეს გონი შემატე,
დროს გაასწარი... ეპოქას გასცდი,
აბსურდს დაუხშე გზაგასაყარი,
არფიქრზე ფიქრით რამდენი არ თქვი...
თვალი დახუჭე, ვითომდა მსხვერპლმა
მოწესრიგებულ სივრცის ნაპირზე,
დრო შეაძრწუნე ბაგის დუმილით
და აღმაშფოთი სიტყვის ჯახირზე...
რითმებს გაუღე სიმართლის კარი
თანმიმდევრული ცხოვრების წესით,
თავისუფალი სიტყვის სილაღით
და სინათლისკენ გაკვალულ გზებით!
იმედის ცაზე მოგინდა ცქერა,
გუშინდელივით, შენ დღესაც ღელავ...
სიმშვიდისათვის ადრეა მზერა,
ცოტაც დაიცა... ჯერ ისევ ბნელა...

## ზომიერების თეორია

ამ მადლიანი წუთისოფლისთვის
თუკი ოდესმე ვიყავი ტვირთი,
ჩემი ბრალია და ყველგან ვიტყვი!
სიყვარულის და ერთგულებისგან
ვეღარ ვისწავლე, რომ მარგალიტებს
ჭკვიანი კაცი ღორს არ დაუბნევს...

უწინ უღმერთოდ ვცხოვრობდი, ღმერთო,
დღე-ღამით მონურ ერთობის გამო...
რაც გაგიცანი, იმ დღიდან მწყალობ!
ზედმეტ-ტვირთობა აღარ მაშინებს,
თვალიც ზომიერ თვალით მახედებს,
ზედმეტ სიკეთეს არ გავაკეთებ!..

## წუხელ, სიზმარში

წუხელ, სიზმარში, მე...
რუსთაველი, გალაკტიონი
უცნაურ ხიდზე გადავდიოდით...
ხიდქვეშ, მდინარის უცხო ნაპირთან,
ანა იწნავდა ყვითელგულიან
ფოთლებს ყვავილთას...
ანას ნატერფალს გავედევნე და
წყლის ტალღას გაჰყვა... ქალი წავიდა...
ისე არხევდა მდინარე ტალღებს,
დინებას მივყევ, სხვა გზა არ იყო...
ხელით შემიშრეს გულის ცრემლები
და იმავ ხიდზე მომაცილებდნენ
ჯერ რუსთაველი... მერე ანა... გალაკტიონი!..
ბანცალ-ბანცალით, უკან მივდევდი...
სირცხვილისგან, უკვე ვტიროდი...
გამეღვიძა და... გულამოსკვნილი,
ისევ ვტიროდი...

## შვილები მაინც იყვნენ ღირსი

გამოიცვალა საღამური ნისლები ღამემ
და შეიმოსა შინდისფერი ნათელი დილით,
აღსავლის კარად დაიტოვა ზეცამ ღრუბელი,
მზემ გაზაფხული მოგვახარა თავისი პირით!
და იდგნენ ცალად ჭაობისფერ ჩრდილში ნაძვები,

თვალებზე ძილი გაჰყოლიათ, ზამთრით დაღლილებს,
იქექებოდა მათ ძირებში გუნდი ჩიტების,
დაგანგაშობდა... მგონი, განძის პოვნას აპირებს!..
მოდუდუნებდა მტკვარი ისევ დინჯი ზმანებით,
ძველ აკორდებზე ახლის სწავლას ცდილობდა თითქოს,
გული, სხეული, დედამიწა, ზეცა ნათელი, –
ღმერთო, ყველა შენ შემოგყურებთ და სითბოს ვითხოვთ!
დედაო ღვთისავ, შეევედრე ძესა და მამას,
ნუ მოგვაკლდება ნუგეშ–მადლი სულიწმინდისა,
და თუ ჩვენ ვერა გავარკვიეთ წუთისოფლისა,
შვილები მაინც იყვნენ ღირსი შენი მიწისა!..

## ხალხს სიყვარული გაუნაწილონ

დღეს, ყველაზე უსაფრთხო დუმილია და გაყუჩება...
მეც, ვითომ მშვიდად შევცქერ ადამიანებს, გაღიზიანებულ
და გაცვეთილ ნერვებზე როგორ უგულოდ თამაშობენ...
მაგრამ ცხოვრება გაიგუდება კეთილი მიზნების გარეშე
და ჩუმად ყოფნით ცოდვის მორევში ჩავიძირებით...
ადრე სიყვარული ასამარებდა ეჭვს, ახლა სიყვარულს
გვიკლავენ და გამხმარ ხეებს გვამსგავსებენ...
დაბერებულ და ჩამკვდარ მამულსაც ხელებში გვაჩეჩებენ,
ქვეყნიდან შვილების ნებით გაქცევას გვაჯერებენ,
ომის შიშითა
და გამარჯვების დროებითი სატყუარებით გვაჩერებენ...
თვალებში შესაყრელ ნაცარს ისევ ბლომად აგროვებენ...
ხეების მოტრფიალე კაცებზე განგაშს ვერ ტეხენ!
თხრიან, ჭრიან
ხეებს, რადგან მათ მამა-პაპას არ დაურგავს!
მოთხარონ! წაიღონ! ნეტავ, ის ასწლოვანი
კედარიც მოეთხარათ,
ოღონდაც, აქვე დამალულ ვეფხვს ადამიანი არ შეეჭამა!
დაე, კვლავ მოთხარონ ხეები, ოღონდ საყდრისში
ნუ ჩაძვრებიან

და მავთულხლართებში ნუ გაძვრებიან...
პირში ცივი წყალი გამოივლონ, ნერვები
დაიწყნარონ და ფეხზე
არ დაიკიდონ კუს ნაბიჯით კარზე მომდგარი მტერი...
ავი ენები ამბობენ, – არჩევნებსაც გვიყალბებენო, ლურჯსა და
თეთრს გვიშავებენო... და მაინც ამბობენ, რა კარგები ვართო...
ნაგავი შუქს ებმის! ტარიფი თავს გვესხმის...
სტაჟიანის, უსტაჟოს,
მეცნიერის, უგვანოს პენსიის თანაბრობისაც არ გვესმის!..
სუფთახელა ბიჭები სიმწარით ბორგავენ... და თუ დასჭირდათ,
ყველანი, მაინც ერთურთის წინაშე ფოფხავენ... იფოფხონ!..
ერთმანეთს ცოდვის შავი ლაქები გაუწმინდონ
და იქნებ მშიერ ხალხს სიყვარული გაუნაწილონ... ამინ!

## თუ გინდა, გერქვას ადამიანი

თეთრი სიმართლით მოდის ზამთარი,
მოდის და... ხშირად სიბრძნეს გამოსცემს,
შემოვაბიჯებთ კლასიდან კლასში,
მშვიდად ვაბარებთ რწმენის გამოცდებს.
კეთილი საქმის თავი და ბოლი
თავად შენ უნდა გამოიგონო!..
სითბო და ტრფობა არ დაინანო,
სწავლა-აღზრდაში არ დაიღალო,
ძველმადლიანი, ფესვის დიდებით
დათესე სიტყვა კეთილდღიანი!
სხვისი ცხოვრების დღენით იხარე,
თუ გინდა, გერქვას ადამიანი!

## მთვარე დღის სინათლეზე

რაღა ფასი აქვს დღის სინათლეზე
ვაგლახით მავალ ნაცრისფერ მთვარეს?!
ისევ სუსტი მზის სხივები მიჯობს,

მზეა და... ოდეს გაახელს თვალებს...
თუნდ შავ ღრუბლებში გამოამწყვდიე,
დედოფლობს ცაზე, რწმენაა მაინც,...
ღამის ნისლებში არ ბოდიალობს
და მუდამ იცის ადგილი თავის!
არც დრო ეშლება, არც სიყვარული,
არ ჩამოჯდება ადგილზე მთვარის...
სითბოა, ჟამი სიხარულისა,
გაბრწყინებული იმედი თვალის!
ჰოდა, ამიტომ, დღის სინათლეზე
ფასი არა აქვს მთვარის ხეტიალს...
ჩვენც, ყველამ ვნახოთ ჩვენი ადგილი,
ვიდრე საყვედურს სადმე გვეტყვიან...

## შოვის ტრაგედიის გამო

დადუმებულა რაჭის მთების ყველა მწვერვალი,
გაღვიძებული მყინვარების ზრახვების გამო...
სევდა დარაჯობს ჩამკვდარ ლხენას, გამქრალ ღიმილებს
და მიზეზების შედეგებით მთვარეც ავქარობს...
სიმშვიდის ბილიკს დაეძებენ დედის თვალები,
რწმენის კედელი უიმედოდ გადაიხარა...
ისეთ ტკივილად აღვარცოფდა შავი ტალახი,
პოლიციელის გულმაც რომ ვერ გადაიტანა...
შვილო, სადამდე?!.. დედი... მგონი, უკვე მკერდამდე...
პირიდან ტალახს იცლის დედა, ბაგემდუმარე...
შვილო, სადამდე?!.. ჩემო დედი... უკვე ყელამდე!
არ შემიშინდე! უფალი და ღმერთი დაგვარჩენს!..
ვაი, შვილებო, დედებო და... ძმებო, რამდენო,
მწარე სიკვდილი სიყვარულის გზებით გავცელოთ,
არარაობას შევებრძოლოთ, დავუხშოთ სივრცე,
ჭირგამოვლილო, საყვარელო, ჩემო ქართველნო!
ტკივილჩვეულნო, დარდით სავსევ, მაინც, ყელამდე...
რთული ყოფილა სიკვდილისთვის თვალებში ცქერა,

შორიდან ძლიერ გამირთულდა სამძიმრის წერა,
თუმც ჩემს დაღვრილ ცრემლს უფრო უჭირს,
ვერ ვაშრობ, ჯერაც!..
დადუმებულა რაჭის მთების ყველა მწვერვალი,
გაღვიძებული მყინვარების ზრახვების გამო...
სიკვდილმა ისე აისრულა გულისწადილი,
ჩვენი ცოდვების განკითხვისთვის ჯერ აღარ ჩქარობს...

## მთელო და ნაწილო

ღმერთო, მთელო და კიდევ, ნაწილო,
მე ჩემს სამშობლოს არ დამაცილო!
წინაპართ ძვლებო და მთის არწივო,
უთქვენოდ ერთ დღეს არ დამალხინოთ!
მამულო, შენი მზისა და მთვარის
გარეშე აღარ შემიძლიაო,
რატომ ვესწრაფი კახეთს, მთიულეთს,
ბევრი ვეღარა გამიგიაო...
და ისევ ჩემო მთელო, ნაწილო,
ღმერთო, სამშობლოს არ დამაცილო!

## გაგიმარჯოს, საქართველოვ

ოცნებებმა ამამღერა... სახვალიო ნათელს ველი,
შენი სიყვარულის ეშხით ვიტანტალებ ფეხშიშველი,
შემოვივლი სრულად მამულს, შემოვირბენ საკახეთოს,
მერე, ბებერ მთაწმინდიდან თბილისს უნდა გადავხედო...
წინაპართა ხარ-უღელით ჩემებურად გამაქვს ლელო,
სიყვარულის კალოს ვლეწავ, დედაჩემო, სანატრელო...
გულითა და ყანწით დავლევ ყველა კუთხის სადღეგრძელოს,
ძირძველო და მადლიანო... გაგიმარჯოს, საქართველოვ!

## დამილოცე ერი და ბერი

მიუწვდომელი ცნების ღირსო, უფალო ჩემო,
ზეცის კიბე ხარ, ოცნებებით ცაში გყავარო,
ოჯახის სიბრძნევ, სულგრძელო და დიდო ნათელო,
ათას სურვილთა ასრულების წმინდა სანთელო!
წყალობის ზღვავ და მდინარებავ სურვილთა ჩემთა,
წყლულის მკურნალო, ცისკარო და მზიანო ღამევ,
შემიწყალოდე, როცა ცოდვის ვნება მერევა,
სული განკურნე და უძლურ ხორცს უშველე რამე!
შემიფაროდე ფრთათა ქვეშე, ვითარ ფრინველი,
სადაც მომაკლდეს იმედები, იქ მომეხმარე,
სად მწუხარებამ მოკლას გული, გამოჩნდი შვებად,
მამად გიგულებ... ზოგჯერ წმინდა მარიამ დედად!
სასოწარკვეთა სულს რომ უტევს ამაოებით,
იქ გამინათე შენეული სანთელი ღვთისა,
სულმოკლე უცებ მანუგეშე, რწმენა ჩამიდგი,
ლოცვის უნარი მომანიჭე ჩემი და სხვისა...
ლმობიერება, განათლება აროს მომაკლო,
ზომიერება, მიტევება მასწავლე შენით,
მიკურთხე ჩემი მადლიანი მიწის აკვანი,
უფალო ჩემო, დამილოცე ერი და ბერი!

## დაგვიანებული მზის ლოდინში

დაცლილია ვარსკვლავეთის არე-მარე,
ძლივსღა ვლანდავ მანათობელ ცისკრის ვარსკვლავს,
მზე გვიანობს... საქმეს ურჩევს თავის შვილებს,
ვინ კეთილობს, ვინ გუშინდელ ამბებს ხლართავს!
მკაცრად გაზრდილ შვილს უფრო აქვს ძმობის მადლი,
მოყვარესაც გულზე წამლად ის ედება,
წინ წყლისა და უკან მეწყრის მოვარდნისას
მძიმე შრომის ტკივილებს არ უშინდება!..
დაიცალა ვარსკვლავეთის არე-მარე,
მზეც აღარ ჩანს... თავის შვილებს მოძღვრავს მგონი...
იკეთილონ... ღირსეული ერქვას ყველას,
ნეტავ, ყველამ გაიტანოს სიბრძნის გოლი!..

## კეთილ ფიქრს მინებებული

უფლის შეწევნის ლოდინში ბევრი გზა გამოვიარე,
არ მყავდა მანუგეშები, არავინ მწმენდდა იარებს,
მაინც გავკვალე გზები და ბარდ-ეკალს თვალი დავთხარე,
უფლის ძიების ლოდინში ამაყი თავი დავხარე...
და როცა წუთისოფელი ბევრს ნებივრობით ართობდა,
ცეცხლის ეკლებით მკაწრავდა, ჩემთან
სულ დედინაცვლობდა!
სინანულის გრძელ კიბეზე საფეხურები ავთვალე,
იმ ბილიკს მივდევ ბოლოჟამს, საითაც თავი დავკარგე!
ახლაც კვლავ დავეხეტები მრავალ მიზეზთა ახსნაში,
ზოგის მზე ბნელობს ზაფხულში, ზოგს სითბო
უდგას ზამთარში...
მიზეზთა ახსნის ძებნაში რომ აღარ მყოფნის წლებიო,
კეთილ ფიქრს მინებებული ყოველ დღის მადლით ვტკბებიო!

## თავისი დროით, თავისი წესით

ყველა სიახლე, სიქველე, ყველა და ყველაფერი,–
თავისი დროით, თავისი წესით მიემართება...
ვცეკვავთ...ვპოეტობთ... ძველ ტრადიციას სიახლით ვივსებთ,
ცოდვის ტვირთებით, ხშირად, გულწრფელ
სინანულს ვიწყებთ...
გულს ლახვარივით ებასრება ტკივილის სენი
და გამოთხრილი სინამდვილე სულს წამლად შველის!..
რეალური ხმა, ირეალურთან ამაყად მდგარი,
გულის უგულო ხმას უკვირდება... დგას ცოცხალ-მკვდარი
და მზის სინათლეს დანატრებული, მართალი ხელით
სამყაროს სუნთქვას რეალობა მცირედით შველის...
და მაინც, ყველა და ყველაფერი, – ბნელი, ნათელი,
თავისი დროით, თავისი წესით მიემართება...

## მარადისობის ცეცხლად ვინთები

გალობით ვლოცავ მე შენს აისებს,
შენთან ვარ, ჩემი ჟამის წირვებით,
ვერცხლით შემოსილ მტრედის ღუღუნზე
ერთგული ლოცვის მადლებს გპირდები!

ერთგულად გავწევ შენი დღის ჭაპანს,
ერთგულ დავიცავ შენეულ მცნებას,
ნაღველს მაჭმევენ, თუ ძმარს მასმევენ,
ვისურვებ, – შენი მხევალი მერქვას!
მადლობელი ვარ ლურჯთვალა ზეცის
და ოქროსფერი მზის ციალისთვის,
ცოცხალ-მკვდრობისთვის, ბედის წყრომისთვის
და ტკივილების დავიწყებისთვის...
სიყვარული მჭირს ფარად, მახვილად,
შენი სიმართლის ძალით ვხმიანობ,
შენი ნათელით ვებრძვი სამყაროს,
თვალთუხილავო და მადლიანო!
შენს მცნებებს გულის სიღრმეში ვმარხავ,
ვმდაბლობ და ვსწავლობ უსასრულ სიბრძნეს,
სიყვარულის და სიხარულისთვის
შენს ნაფეხურებს ერთგულად მივდევ...
გალობას გჩუქნი, ღმერთო, დიადო,
მარად შენთან ვარ ლოცვით, ფიქრებით,
ვერცხლით შემოსილ მტრედის ღუღუნზე
მარადისობის ცეცხლად ვინთები!

## თქვენ მასწავლეთ

არასოდეს ვფიქრობ იმას,– რა ვიფიქრო,
ნატვრის ჟამზეც არა ვწუხვარ, – რას ვინატრებ,
ღვთის ნებაზე მიშვებული დავაბიჯებ,
სიყვარულის ოცნებებით გზას ვინათებ...
არასოდეს მეშინია, რატომ ვშიშობ,
უღონობით ვებრძვი მუდამ უძლურებას,
ისიც ვიცი, – ბევრი არაფერი ვიცი,
უგონობის შიში მიკლავს უგონობას...
უშენობით დავამარცხებ უშენობას,
უიღბლობით შევქმნი სანეტარო იღბალს,
დუმილს ვსწავლობ, – ოქროს ფასს და საგანძურსა,
არასოდეს ვიტყვი სიტყვას, გადაკრულსა...
ვფიქრობ ზერთულ საფიქრალზე, ათასგვარზე,
ნატვრის დროსაც არა ვწუხვარ, რას ვინატრებ...
და თუ ვინმეს არ გეამათ ჩემი აზრი,–
უკეთესი ჟამის წესი თქვენ მასწავლეთ!

## ჩვენს დანატოვარს

ჯერ დამაცადეთ, გადამაკითხეთ
ჩემი ვაგლახი ერთი სტრიქონი,
თორემ იმქვეყნად წასვლა მგონია
კრწანისის ომი, ანდა დიდგორი...
მოვიცხოვრებ და მოვემზადები,
ხელით დავკაწრი ვაგლახ ადგილებს,
გულზე დახატულ წლების ნოველას
სულის ფერებით გავიადვილებ...
მზად ვარ მაშინვე, უფალო, როცა,
დასტურს მომცემ და ბეჭედს დამირტყამ,
ბედისმწერალი გუდა-ნაბადს და
რითმიან ხელებს მჭიდროდ გამიკრავს,
მერე სიმშვიდე გამილაღდება,
თვალებში სინანული გაქრება,
მიცვალებულთა ნახვის სიზმარი
გულცეცხლიანზე ამიცხადდება...
და ერთადერთი, უძღები შვილი
თვალს დამიხუჭავს, ბაგეს ამიკრავს,
გემუდარები დღემუდამ, ღმერთო,
შვილის ბედს, შენებრ, ხელი წამიკარ...
წამოვალ, აბა, აქ ვინ დარჩება,
მამა-მთავარი მაინც ერთია,–
რას დაარქმევენ ჩვენს დანატოვარს
ქვეყნად ხალხი და... მაღლა, ღმერთია!

## ახალგაზრდობა სიმართლეს იტყვის

თოვლი მატყლივით დაეფინა შავ დედამიწას,
ნაცარა ნისლმა დააძინა ყველა სულდგმული,
გაჩუმდით... დღესაც შაშვი არღვევს სამყაროს დუმილს
და საიდანღაც სტვენა მესმის ნაზი ბულბულის...
გაიღვიძებენ ბავშვები და ახმიანდება
დუმილის უტყვი ციტადელის ყოველი ბურჯი,
ახალგაზრდობის იმედიან თვალთამზერებით
განსაცდელის ჟამს, ხანდაზმულთაც არარა გვიჭირს,
რადგანაც ხვალის ბედნიერი გზების გასაღებს
ახალგაზრდობა მოძებნის და სიმართლეს იტყვის!

## ყოველ ლოცვაზე ამიტომ ვტირი

მე უძღები ვარ, ჯიუტი და სიმართლის მთქმელი!
ხან ცას ვაწუხებ, ხან დედამიწას... ხან ორივეს
ერთად ვალხინებ! გმადლობ, უფალო!
მე უძღები ვარ და მაინც შენი მადლობელი,
მოვდივარ, რადგან, ოქროცურვილ სამოსელს მაცმევ,
გულში მიხუტებ, სურვილს მისრულებ,
ცოდვიან თითზე უძვირფასეს ბეჭედს მიბრწყინებ!
წყალობისა და სიკეთისთვის, სიყვარულისთვის,
მუდამ პირველი სამოსელისთვის,
გადაჩეხილის უფსკრულიდან ამოყვანისთვის,
ცოდვილი სულის მრავალჟამიან სამკაულისთვის,
ჩვილის ტაატით სიარულისთვის,
გაჭირვებისას, მუდამ ხელში აყვანისათვის,
ყრმის აკვნისათვის, მზიანი ღამის, დღევანდელი
დღის ნათელისთვის – გმადლობ, უფალო!
მე უძღები ვარ, მაინც ურჩი და ცოდვის შვილი,
ყოველ ლოცვაზე ამიტომაც, ბავშვივით ვტირი!..

## ივერთ ნათებისთვის

მადლი მოისხა მთვარემ ზეცაში
და მზეს დაუთმო ადგილი თვისი,
სიცრუით სავსე ზენა ქარებმა
კვლავ დაიკავეს ადგილი სხვისი...
მზე, ღვთის ნებაზე ალიონს ქარგავს
თეთრი ღრუბლების ლურჯი თვალებით,
მოლოდინისგან აივნის კიდეს
დედაჩემივით გადმომდგარებით...
ყველა ამინდზე ბავშვობა მიჭვრეტს,
გულუბრყვილობის რითმების მზერად,
რა სწრაფად გარბის ხელიდან კარგი,
როგორ ტაატობს ტკივილი ნელად...
დროსა და მიზანს, მავნეს თუ მისანს,
წუთით ეყოფა შევლება ხელის,
ბნელი ღრუბლებიც ჩამოიხსნება,
ოღონდ სუფთა და ჯანსაღი გენით...
შენ გადმოგვხედე ქართველებს, ღმერთო

და უძლეველი ბანით გვილხინე,
ას წელს არ წავალ ამა ქვეყნიდან,
ივერთ ნათება თუ არ ვიხილე!..

## დღესასწაულად მომიმზადე გარდაცვალებაც

უფალო ჩემო, მზეო ჩემო და დღის ნათელო,
მარადისობის ჭეშმარიტი გზების სანთელო,
შენი დიდება ჩემს ტკივილებს იმგვარად შველის,
რომ უძლურ-უმწე თუ ძლიერი, – მონა ვარ შენი!
ჩემი ლექსების შთაგონების უშრეტო წყაროვ,
შენი მადლების ნამცეცებით ვგალობ და ვხარობ,
ანგელოზები მიფარავენ ფრთებით და ხელით,
ეს შენ მიკურთხე სიცოცხლე და აკვანი ჩემი!
მას შემდეგ, მილხინს თუ დარდი მჭამს, მაინცა ვმღერი,
სამყაროს გზებსა და ბილიკებს მივიკვლევ ლხენით...
ღმერთო, იდინე სინანულის ცრემლის ღვარებად,
დღესასწაულად მომიმზადე გარდაცვალებაც!

## წუთისოფლის ლამაზ დღენო

შარა-შურა ბილიკსა და შარა გრძელზე,
მადლიანი გულით ნათქვამ სადღეგრძელოს
როგორც იქნა, მოვუძებნე თავიც, ბოლოც...
გმადლობ, ჩემო მეუფეო, ზეციერო მამაჩემო...
არაფრიდან ყველა კარგის მომცემელო, –
წუთისოფლის ლამაზ დღენო...
ოღრო-ჩოღრო დედამიწავ, საალერსო,
სულს ვუბერავ იბერიის ფესვის გულებს,
სამამულო კეთილ ჟამის დასათესად
ლოცვითა და ფსალმუნებით ვირჩენთ წყლულებს.
სიყვარულო, – სულის დიდო საგანძურო,
რთული დარდის მარტივი გზით გამომხსნელო,
ქალობის და მშობელთ ხატის გადამრჩენო,
ავი დროის ბრჭყალებიდან გამომხსნელო,
საიმედო, ბედნიერო ხვალის მზეო,–
წუთისოფლის ლამაზ დღენო...

## სამყაროს შევცვლი

უარყოფითის უარსაყოფად
სანუგეშებელ სიმღერას გეტყვით,
ერთგული ხელი გამომიწოდეთ
და ამ სამყაროს მე ხვალვე შევცვლი!
სიყვარულისგან დამუნჯებულმა
ადამ და ევას ცოდვებიც ვერ ვთქვი...
მტრობა შეწყვიტეთ! შემომეხიდეთ
და ამ სამყაროს ხვალიდან შევცვლი!
უსამართლობის მძიმე ტვირთები
შვილებმა ზურგით რომ არ ატარონ,
თავისუფლების ღვთიურ სასწორზე
შემაყენეთ და... შევცვლი სამყაროს!
შური, ღალატი უნდა დასრულდეს
სისხლის საფასურ ოცდაათ ვერცხლით,
სიყვარულსა და სიცოცხლეს ვეტრფი!
სამყაროს გლოვას სულ მალე შევცვლი!
მოქუფრულ ზეცის შავი ღრუბლები
მშვიდობის სიომ უნდა დაშალოს,
მართალი სიტყვით, რწმენით, სიკეთით
და სიყვარულით შევცვლი სამყაროს!
უარყოფითის უარსაყოფად
ნდობით, ტრფობით და იმედით გეტყვით,–
ისეთ სიყვარულს გაგინაწილებთ,
რომ ამ სამყაროს მე ხვალვე შევცვლი!

# სარჩევი


ურომლისოდაც . . . 6
მეც ქართველი ვარ . . . 7
მთელი ცხოვრება . . . 8
მოძალებულ სიყვარულში . . . 8
ერთი შიში მაქვს . . . 9
ეს ვართ ქართველნი . . . 10
განთიადი . . . 10
უფრო სხვა მინდა . . . 11
ბედნიერება და თავისუფლება . . . 11
არსებითს და ყოფითს შორის . . . 12
ღალატს დავგმობთ . . . 12
მეუფეო . . . 13
ცოტა მაცალე . . . 13
გზას დავეძებ . . . 14
ტოლობა-უტოლობა . . . 15
სული და ადამიანი . . . 15
არარაობად არ გადავიქცეთ . . . 16
მზეო, მათხოვე ლურჯი ცა . . . 17
ივერთ დედები . . . 17
შენ კვლავაც იგაზაფხულებ . . . 18
ჯვარზე გაკრული . . . 18
მთავარი . . . 19
ჟამის დღეთა ნათელს ვქარგავ . . . 19
საძიებო სისტემაში . . . 20
მცირედ შეშლილი კითხვები . . . 21
ყველაფრიდან – არაფერი . . . 21
მრავალი შვილის აკვანი . . . 21
ცრემლს ვიწმენდ იმედიანად . . . 22
ბედნიერება შენშია . . . 22
ლურჯფერ თვალთა ნათელი . . . 23
მეუფევ და ღმერთო ჩემო . . . 23
ქართველობაა თავად ტვირთი . . . 24
რაც არ მოგვწონს სამყაროსი . . . 25
სიმდაბლეზე კარგი არაფერი დამრჩენია . . . 25
დედაენას . . . 26
სად გეჩქარება, ადამიანო . . . 26
ჩემთან ბრძოლა არ ღირს . . . 27
დაისის ბოლოს . . . 27
დრო მელოდება . . . 28
პარნასის გზაზე . . . 28
შიშმა ამიტანა . . . 29
მოყვრად მექცა მტერი . . . 29
ლურჯი ზეცა ჩემთვის ქუდია . . . 30
მთას და ბარს ვეძებ . . . 30
თაფლივით ტკბილად რომ დავბერდეთ . . . 31
რა ლამაზი ხარ . . . 32
არ დამიტოვო გულში სათქმელი . . . 33
გზაგასაყარზე . . . 33
სამყაროვ, შენც გამოიცვლები . . . 33
მაპოვნინე ნატვრისთვალი . . . 34
უჩემობის სულის ნაკაწრი . . . 35
მიყვარხართ . . . 35
უნდა დავძლიოთ . . . 36

სამყაროს გაზაფხულისთვის . . . 36
დღევანდელი გადამირჩინე . . . 36
ნინო ქავთარაძეს . . . 37
გვირილებს . . . 37
უძღები შვილი . . . 38
დღენი და ჟამი . . . 38
დედას . . . 39
მე ვენაცვალე ასეთ კაცს . . . 39
უკეთესი თქვენ მითხარით . . . 40
ქართველთ ვედრებით . . . 40
თუ კაცი გიმტრობს . . . 41
სამყარო და მე . . . 41
ივერთ დიდება . . . 42
სადღეო ვარამი დავიტიროთ . . . 42
საიმედო, პატარა ბავშვი . . . 43
უკრაინის გმირ დამცველებს . . . 43
და ვისუნთქო თავისუფლად . . . 44
სახელად სცენა . . . 45
გამაოქროპირე . . . 45
მტრედის უმანკო თვალი მინდა . . . 46
ერთადერთ მზეს და სხვებს . . . 46
ინტელექტის მორჩილი ვარ . . . 47
მე ვულკანი ვარ . . . 47
გრავიტაციული ტალღები . . . 48
სირცხვილს რეცხავენ . . . 48
ვინც საქართველოს გამიპარტახებს . . . 48
„ტიტანიკივით“ . . . 49
სამოთხისფერ საქართველოს . . . 50
იბრწყინოს ჩემმა შვილმა . . . 50
გმადლობ, ღმერთო . . . 51
ჩემსავით მტკივან საქართველოს . . . 51
თუ შემეშალა . . . 52
სრულყოფისაკენ სწრაფვის გზები . . . 52
სადედისდღეო . . . 53
თბილისს და ქუთაისს . . . 53
უფლის ვალში ვართ . . . 54
საქართველოს მოხედე . . . 54
კვალი ნათელი . . . 55
ათი მტრედისა . . . 56
მარადიული სიცოცხლის ედემს . . . 56
წლების ქარში . . . 57
მუნჯი დღის კანონები . . . 57
ელამი ისრის ბასრ ზედაპირზე . . . 58
ავტოპორტრეტი . . . 58
კიდევ როდემდე . . . 59
გულის სარკეში . . . 59
ლექსიც არ გაემეტა . . . 60
მამული ჩემი . . . 60
ხელოვნება და ჭეშმარიტი სიტყვა . . . 60
ის მაინც მითხარ . . . 61
სიკეთის ხელით . . . 62
ქალი შემრჩა არნახული . . . 62
სქართველოს დიდებას . . . 63

აღარ გამოჩნდა გვირაბის ბოლო . . . . . 63
ლაკმუსს ჰგავს . . . . . 64
გამოვბრწყინდებით . . . . . 64
მეც ავიხდენდი მიზანსა . . . . . 64
ფრთხილად, ადამიანო . . . . . 65
მზეო, მითხარი . . . . . 66
ჩაკლულ მოცარტს . . . . . 66
შეცნობა . . . . . 67
ყველას რომ ეცოდება . . . . . 67
შვილიშვილების მომავლისთვის . . . . . 67
ნანატრო თავისუფლებავ . . . . . 68
საშობაო სიმღერა . . . . . 68
გამახედოს ვინმემ ბავშვობისკენ . . . . . 69
ხმა ვიცნო მამა ღმერთისა . . . . . 69
წილადი . . . . . 70
ლექსი ნიჟარაა სიყვარულისა . . . . . 71
წყვდიადსა და ნათელს შორის . . . . . 71
სამი მშობელი . . . . . 72
რა მარტივია ადამიანი . . . . . 72
გოგო იჯდა მიწის პირას . . . . . 73
უფლის მადლით . . . . . 73
ყველა სიმღერა მხოლოდ შენია . . . . . 74
დავაბიჯებ . . . . . 74
დანარჩენი . . . . . 75
სადა ხარ, ჩემო ოცნებავ . . . . . 75
სამოსელს ვქარგავ . . . . . 76
ყვავები . . . . . 76
არდაბრუნების ფილოსოფია . . . . . 76
ყოველ ახალს ფეხდაფეხ მივდევ . . . . . 77
დედაჩემის ძახილი . . . . . 77
პიკასოს გამოცხადების შემდეგ . . . . . 78
როცა გიჭირს . . . . . 79
მშვენიერება . . . . . 79
მადლობა ყველა შვილს და მშობელს . . . . . 80
საბრალო ცხოვრება . . . . . 80
როდის გამოვბრწყინდებით . . . . . 81
ხმელი ფიქრები . . . . . 81
გამარჯვების გზა . . . . . 82
ქალი სეირნობსო... . . . . . 82
ღიმილს და სიყვარულს ჩამოგიტანთ . . . . . 83
ზნეობის გაკვეთილების მოსასმენად . . . . . 83
და გაპატიებ . . . . . 84
უკეთესი მომავლისთვის . . . . . 84
ღმერთი და თავისუფლება . . . . . 84
შუალედური ზღვარის ძებნით . . . . . 85
ვაი, გონიერს... . . . . . 86
სამყაროს ჩრდილში . . . . . 86
უხმო თევზივით . . . . . 87
დავბერდი, დედა . . . . . 87
კვლავ იას . . . . . 88
სიყვარულის ძალა დამკვიდრდეს . . . . . 88
უკვდავებისთვის . . . . . 89
უფალივით, ერთი დამრჩი . . . . . 89

ჩემი ბესოს დედა . . . 90
დაუკარ, ძველო ფანდურო . . . 90
შიშს დიდი თვალები აქვს . . . 91
მაპატიე . . . 92
შვილის ალერსივით . . . 92
სად ხართ . . . 92
დრონი და ჟამი მეფობს . . . 93
ახალ ვარსკვლავს ველოდები . . . 93
ჭრიალა კარის ზღაპარი . . . 94
თუ არას მამეფერები . . . 94
კითხვისნიშნიან სამყაროს . . . 95
ბედურასავით . . . 95
სამყაროს სიდიადის ძალა . . . 96
ჩემი თავისა ვერა გავიგე . . . 96
მშვიდი ძილის ნეტარება . . . 97
ზეცას ახედე . . . 98
სიყვარულო და უკვდავებავ . . . 98
ყური დაუგდეთ . . . 98
რქით გაწეული ძალის მხნეობა . . . 99
ქართულო ენავ . . . 100
დალოცვილო სიყვარულო . . . 100
მთვარის სიმღერა . . . 101
ემიგრანტებს, ანუ–ნუშის ხეებს . . . 101
ახლაც ვერ ვხვდები . . . 102
წაქცეული ხე და კაცი . . . 102
ვარ ევროპელი . . . 103
ისეთი ნატვრისთვალი მაქვს . . . 103
ვრცელი სამყარო და ჭკვიანი ადამიანი . . . 104
დუმილის შესანდობარი . . . 104
მე არ გიტირებ . . . 105
გულსა და პირმშოს . . . 105
გაგიმარჯოს, საქართველოვ . . . 105
მშობლების სუნი . . . 106
ჩემი სიწმინდე მთებში მარხია . . . 106
სიმღერა ველისციხიდან . . . 107
არაფრიდან – არარად . . . 107
ცოტა კიდევ მაცალეთ . . . 108
დედამიწის ღერძს . . . 108
რომ არ ჩამოვრჩეთ . . . 109
მოგიკვდი, ჩემო . . . 109
არ მომანატრო ლექსი . . . 110
თუ შემარჩინა ქარმაო . . . 111
მარტივს ართულებს . . . 112
რად მითხარი... და... . . . 112
მგალობელ ბულბულს . . . 113
შავ ღრუბლებს . . . 113
თებერვალი თბილისში . . . 114
მიწავ ქართულო . . . 114
არასდროს დავაგვიანებ . . . 115
კანას ღვინოს ვსვამ . . . 115
შემოგავლებ თავს . . . 116
ჩემო კვნესავ და ფიქრებო . . . 116
არავინ დააგვიანოს . . . 116

წლები დამიხვავდა . . . 117
რწმენა და გადარჩენა . . . 118
სიკვდილის შემდეგ . . . 119
ის გული მტკივა . . . 119
და დაგვამშვიდე . . . 119
ცის ფეხებთან . . . 120
რესტარტი და ჩემი ლექსი . . . 120
ნეტამცა ჩიტად მაქცია . . . 121
ხმელ ფოთლებს . . . 121
ზამთრის მთვარის სონატა . . . 122
ჩემო დედაქალაქო . . . 122
მაინც მიგიყვან . . . 123
ჩემი ბესოს აზრით . . . 123
ღმერთო, მიშველე . . . 124
ნეტავი იქ... . . . 124
სეკვენცია დაღმავალი გამით . . . 125
ვინ დამაბრკოლებს . . . 125
მთის ხარს ვემსგავსე . . . 126
მანახეთ ერთი უცოდველი . . . 126
სიკვდილსაც არარაობა ჰქვია . . . 127
ჩემს საქართველოს . . . 127
სიტყვაძვირი და საქმიანი მამაკაცები . . . 127
თმოგვის ლეგენდა . . . 128
შენ დაგკარგე . . . 129
ვერ შევადარებ . . . 129
გული ბრწყინავდა . . . 130
ეს უფლება ჩემია . . . 130
ია ტაძართან . . . 131
ზიარჭურჭელი . . . 131
ახლა ვუყურებ მარტივად . . . 132
ბგერებს ვკითხულობ . . . 132
არ ვივიწყებ მთავარს . . . 133
თუ დროა უდრო... . . . 133
„ჩაკრულოს“ ხმაზე . . . 133
მოდი ჩემთან, უფალო . . . 134
ხელოვნური ინტელექტის გამო . . . 134
ოქროს წვიმა . . . 135
მცირედი მიჯობს . . . 135
მორჩილი ვერასდროს ვიქნები . . . 136
სამყაროში არაფერი იკარგება . . . 137
სამშობლოს და შვილს . . . 137
ყაყაჩო ბეტონის კიბეზე . . . 138
ერთად ვიქნებით . . . 139
მამული და მე . . . 139
საბოდიშო აღარ გახადო . . . 140
ფესვებს მიმიხედე, შვილო . . . 140
გვერდით ყოფნის ტრაგედია . . . 141
აქ ვარ, სამშობლოვ . . . 141
ხვალ ვინ ვიქნები . . . 141
საქართველოს ვალს წავიღებ . . . 142
დღემდე დავეძებთ . . . 142
იასამანს . . . 143
გვეზარება აღიარება . . . 143

საქართველოზე ფიქრისას 143
თავისუფლად ვსუნთქავ მუდამ 144
შე დალოცვილო უფალო 145
რასაც დათესავ 145
გამოგონება 145
ყველას დედავ 146
სიყვარული 146
უფრო მთავარი 147
პირობითი და დროებითი 147
გათენდა დილა 147
მშვიდი ცხოვრება 148
რამდენს ვფსალმუნობთ... 148
ახალგაზრდობას ვებღაუჭები 149
კვლავ მამულს 150
გადარჩენისთვის 150
საით მიფრინავთ 150
ერთი პატარა საფლავი 151
გლახაკები და დედოფლები 152
ათივე თითს სანთლად აგინთებ 152
კაცი განადიდე 153
მარტივია ჩემი ლექსი 153
კინაღამ 154
მთებსაც გადავდგამ 154
ძლივს გადავურჩი 155
უფალი და შვილი მაინც დაინახავს 155
როცა კარგად ხარ 156
ყველაფერი ისევ სულერთი 156
რაც ვერა ვთქვი 156
დედილო 157
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე 157
ბეღურები– მზეს 158
არაგვს 158
იმედის წვეთი 159
ფრენა მასწავლე 159
ნათელ დღეში როცა ვბნელობ 160
დიდი ხის ჩრდილქვეშ 161
გარეჯელთა სამფლობელოდან 161
კაცი ამშვენებს სახელსო 161
შვილს და შვილობილს 162
სამყაროს კეთილი ნება 162
სატრფიალო 163
აღდგომას მაინც 163
ჩვენი წვის ჟამი 163
დრო და ახალგაზრდობა 164
მადლიანი დილა 165
ზამთარს დანებებული შემოდგომისას 165
რად მიყვარხარ 166
თუ ჭკვიანი ხარ 166
უკეთესი ქვეყანა მინდა 167
არაფერი რაც გეგონა 167
ყველას დრო მოვა 168
მოდა ის არის, რაც გამშვენებს 169
ქარიც ჩემსავით გადარეულა 169

მთაში წავიდეთ . . . 170
ფიქრის გორაზე . . . 171
გაზრდა თუ გინდა . . . 171
ჩემს უფლებებს მოვითხოვ . . . 172
სოფელო, მუდამ გენაცვალები . . . 172
მართალი სიტყვა . . . 173
დროს უდროობა ვერაფერს აკლებს . . . 174
შენად რომ მთვლიდი . . . 174
უსახელო პლანეტებიც გვისმენს . . . 175
სატრფიალო . . . 175
რწმენა რომის ასისთავისა . . . 176
არვის დავემონები . . . 176
არ ჩამოხვიდე, არწივო . . . 177
ლურჯ მონასტერთან . . . 177
მიტომ მიყვარხარ . . . 178
დედასავით . . . 178
ღმერთმა გვაკმაროს იდუმალება . . . 179
ვეთაყვანები ყველას . . . 180
ცხრამ მადლობა არ ვთქვით . . . 180
სიმართლე . . . 181
როგორ გავცურო . . . 181
შენს ქარიშხალს . . . 182
დღენი გამი-იოლდა . . . 182
მხატვრის ფიქრები . . . 183
ისევ შენ გთხოვ, ღვთისმშობელო . . . 183
უნაბისფერი შემოდგომა . . . 184
სიყვარული მიჩვევით იწყებაო . . . 184
გულმა დარდით არ დაიჩივლოს . . . 185
სამადლობელი . . . 185
ლურჯი იის კრძალვით გიმღერთ . . . 186
არ მიკადროთ აუგი . . . 187
ორი ბოკვერი . . . 187
მადლობა უთხარი . . . 188
ბედის წიგნი . . . 188
ყველა ჩემი ხართ . . . 188
ვაჟიშვილი მიწას მომაყრის . . . 189
და იწურება ისიც ლექსებად . . . 189
სხვის კეთილზე მწუხარება . . . 190
და ვინ იცის . . . 190
სიასამურის მსგავსად მაცხოვრე . . . 191
უფლის მონა ვარ, თავისუფალი! . . . 191
რა დაგერქმევა სახელი . . . 191
კვლავ გვირილას . . . 192
უწმინდეს ილიას ლოცვით . . . 192
თითო ქოთანი . . . 193
რომ დავბრუნდები . . . 193
ნებისმიერ სამსხვერპლოზე დაგიდგები . . . 194
ცალუღელა ვარ ისევ . . . 194
გამოიგონე ბედნიერება . . . 195
უფრო მეტს გეტყვი . . . 195
ბედაურები დახოცილან . . . 195
ხევშელი ბიჭის ამბავი . . . 196
გაზაფხულის უშენობა . . . 196

სოფელზე დარდი . . . 197
ალაზნიდან მონაბერო ქარო . . . 197
თოვლის ფიფქო . . . 198
ულამაზეს წლებს . . . 198
ვიდრე სამყაროს ცა იკაშკაშებს . . . 198
დაკარგული სიყვარულის გამო . . . 199
ვიყო არავინ . . . 199
სიყვარულის წამალი . . . 200
ნუ დაიფიცავ . . . 200
სხვას არას ვდარდობ . . . 200
მაშინ მოგეფერები . . . 201
ბედნიერება . . . 201
ამდენ სიყვარულს . . . 201
ბრალი იმისი . . . 202
ჩემო სუნთქვავ . . . 202
პაწაწა ღიმილი . . . 203
უფალი მაინც გაიგებს . . . 204
თუ არ დამგვიანებია . . . 204
შენი ცხოვრება ჰქვია . . . 204
ფრთები რომ მომცა . . . 205
მკვდარიც შენ მოგეფერები . . . 206
ამ ბოლო დროს . . . 206
დრომ გაჩერება იცის . . . 207
აღდგომა ზეგანის მონასტერში . . . 207
არსაიდან – შენამდე . . . 208
მენატრები . . . 208
რომ არ ვიფიქრო . . . 209
ვუმღერ სიცოცხლეს . . . 209
მოსაწყენია... . . . 210
მზე ხელზე დამადნეს . . . 210
ვერავინ მშველის . . . 211
უძირო თვალების ზღვაში . . . 212
უფალი რომ მოვა . . . 212
მუხის ფოთლების გარდაცვალება . . . 212
აუგზე ფიქრი ძნელია . . . 213
არარა დაგვირჩეს სათქმელი . . . 213
ჯერ აქა . . . 214
კახეთის და მთიულეთის ნატვრით . . . 214
თავისუფალი ადგილი მინდა . . . 215
ნედლი სახადი . . . 215
დემოკრატია . . . 216
შვილის თვალები . . . 216
ლექსები მტკივა, ლექსები მზარავს . . . 216
ალაზნის გამები . . . 217
და შენ, ქართველო . . . 218
ვითომდა სულგრძელს... . . . 218
სიმშვიდის სანეტარო დღეებით . . . 219
სიმართლის მზით . . . 219
ეს რა ხანი გასულაო . . . 219
იმედიანი დღისთვის . . . 220
სადაც მინდა... როცა მინდა... . . . 220
ერთხელ, ბინდში . . . 221
უსიყვარულოდ ვერავინ შეძლებს . . . 221

ჩემს საქართველოს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 222
დედის თვალით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 222
ჩვენი ცხოვრება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 223
დაბრძანდი, დეიდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 223
ტავი და... ნეტავი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 224
მტერსაც კელაპტრებს დაანთებინებ . . . . . . . . . . . . . . . . 224
შენი მევალე დამტოვე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 224
თორემ, ვინ იცის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 225
წამლად მოგერგოს ეს ლექსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 225
შენზე ვიფიქრებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 226
არ გმორჩილდები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 226
ზეცაში ვიფრენთ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 227
ვკრიფე, დავკრიფე რითმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 227
აპათია უაზრობის გამო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 228
ლექსს აღარ კითხულობენო . . . . . . . . . . . . . . . . . . . 228
სიცოცხლის სიყვარულით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 228
ზოგისთვის ადრეა გვიან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 229
წაშლილი ნაკვალევი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 229
მკითხველებს, ანუ – ფსიქიატრებს . . . . . . . . . . . . . . . . 230
მარადისობის ხმებით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 230
ვინ ვარ, რა მინდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 231
დგნალის ნიავო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 231
მიწა ვერ მიძლებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 232
დედის კალთაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 232
მე სამყაროს ნაწილი ვარ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 233
კარგი იყო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 233
დაჩოქილი ქარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 233
ღიმით ვაქრობ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 234
სვეტიცხოველში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 234
გამოიხსენ ტკივილისგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 235
ძველებურად დამიჩემებდე . . . . . . . . . . . . . . . . . . . 236
შუაღამის სიზმრის ფერებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . 236
თბილისს და ქართველებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 237
და კიდევ კარგი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 237
გავუფრთხილდეთ ადამიანს . . . . . . . . . . . . . . . . . . . 237
ცივი თონე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 238
დაე, ტყვე გერქვას... . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 238
ბედნიერი და უიღბლო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 239
მრუდხაზა ბორბალს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 239
უწმინდესო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 239
დიაცის ბედი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 240
მამის ანდერძიდან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 241
გაზაფხულს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 241
ახალგაზრდების გვერდით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 242
საქართველოა ჩემი წამალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 242
დედამიწას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
მიტევების შემდეგ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
ჟამის ტრაპეზზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
ერთ სისხამ დღეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 244
დედის თვალით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 244
ნუღარ მატირებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 245
ჩემო მამულო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 245
გრანელივით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 246

წუწუნს გაიგებ . . . . . . . . . . 247
ისევ ჩვენ, ძმებო, ქართველებო . . . . . . . . . . 247
არაგვზე . . . . . . . . . . 247
რთული ისე გამარტივდა . . . . . . . . . . 248
მადლობა, ღმერთო . . . . . . . . . . 248
ჩემი ალაწოდა . . . . . . . . . . 249
დედამიწაზე ფეხი დამადგმევინეთ . . . . . . . . . . 249
ყველაზე კარგი ნათლია . . . . . . . . . . 250
ხანდახან უნდა ამბობდე . . . . . . . . . . 250
ერთი ქალი . . . . . . . . . . 250
ეს ცხოვრებაც გავა . . . . . . . . . . 251
არასოდეს გადავშენდებით . . . . . . . . . . 251
შენდობას გაძლევ . . . . . . . . . . 252
ერთად დავაბიჯებთ . . . . . . . . . . 252
პატარა გულის დიდ სივრცეში . . . . . . . . . . 253
მომეცით შანთი . . . . . . . . . . 253
გასაჭირს შველის . . . . . . . . . . 253
ვაშლის ხეო . . . . . . . . . . 254
სადღეგრძელო . . . . . . . . . . 254
სიმართლე მოდის . . . . . . . . . . 255
უსასრულო გზა . . . . . . . . . . 256
პოეტისათვის . . . . . . . . . . 256
წიფლის მორივით . . . . . . . . . . 256
დაბერებულა ია . . . . . . . . . . 257
ჩვენთან არს ღმერთი . . . . . . . . . . 257
ახალგაზრდებს . . . . . . . . . . 258
ნურც დაბერდები . . . . . . . . . . 258
დედა მქვია... ადამიანი . . . . . . . . . . 259
მიტევება შემიძლია . . . . . . . . . . 259
ცხოვრებაც არაფერია . . . . . . . . . . 260
დედამიწას მზენათელს ვნახავთ . . . . . . . . . . 260
თავისუფლების ნებართვას ვითხოვ . . . . . . . . . . 261
მაცხოვარს . . . . . . . . . . 262
სამყარომ გაიხაროსო . . . . . . . . . . 262
ცულის ტარზე . . . . . . . . . . 263
კახეთის განთიადი . . . . . . . . . . 264
არა ვარ მარტო . . . . . . . . . . 264
ნეტავ კი... . . . . . . . . . . 264
ცხოვრებამ ვერა დამაკლო . . . . . . . . . . 265
უწმინდესის საქართველოს . . . . . . . . . . 265
ახალი ნატვრისთვალიც მაპოვნინე . . . . . . . . . . 266
სიყვარულის გადასარჩენად . . . . . . . . . . 266
კახეთო და დედულეთო . . . . . . . . . . 267
სინდისო ჩემო . . . . . . . . . . 267
ჰერი და ჰერი . . . . . . . . . . 268
თვალი არ დამრჩეს . . . . . . . . . . 268
პირობითი, შედარებითი, დროებითი . . . . . . . . . . 269
ისევ ის მყვარებია . . . . . . . . . . 269
საუბარი იასთან . . . . . . . . . . 270
თავს არ მანებებს არაგვი . . . . . . . . . . 270
სულის წყალობად . . . . . . . . . . 271
მონატრებაა უფრო მთავარი . . . . . . . . . . 271
ყველა მტრედი სახლში მიდის . . . . . . . . . . 272

| | |
|---|---|
| ღმერთო, მომეხმარე | 273 |
| რასაც ფიქრობ სხვისთვისაო | 273 |
| ბებოს ლეფტოპი | 274 |
| ერთად ვნატრობთ | 274 |
| ზნეობრივი კანონი | 275 |
| ღრუბლებს და ცას | 275 |
| თუნდაც | 275 |
| მაინც სჯობს არა თქმასაო | 276 |
| მთიულის სიტყვას ვფიცავო | 276 |
| მეგონა, დავიღალე | 277 |
| უძილო ტირიფებს | 277 |
| როცა შეულახავია სული | 277 |
| შენივე ხსნისთვის | 278 |
| მაინც მწამს მარადა | 278 |
| გადარჩენისთვის | 278 |
| ყველას | 279 |
| ძალიან გაგახაროთ | 279 |
| როს სახლსა ჩემსა | 280 |
| მადლობა დიდი | 280 |
| ნეტავი, ღმერთო | 281 |
| გამიჭირდა | 282 |
| ყველას ერთად | 282 |
| ვიდრე ვიცოცხლებ | 283 |
| ღამე წყნეთში | 283 |
| შვილს გიტოვებთ | 284 |
| ალიონის დაბადება | 284 |
| ჯერ ისევ ბნელა | 285 |
| ზომიერების თეორია | 285 |
| წუხელ, სიზმარში | 286 |
| შვილები მაინც იყვნენ ღირსი | 286 |
| ხალხს სიყვარული გაუნაწილონ | 287 |
| თუ გინდა, გერქვას ადამიანი | 288 |
| მთვარე დღის სინათლეზე | 288 |
| შოვის ტრაგედიის გამო | 289 |
| მთელო და ნაწილო | 290 |
| გაგიმარჯოს, საქართველოვ | 290 |
| დამილოცე ერი და ბერი | 291 |
| დაგვიანებული მზის ლოდინში | 291 |
| კეთილ ფიქრს მინებებული | 292 |
| თავისი დროით, თავისი წესით | 292 |
| მარადისობის ცეცხლად ვინთები | 292 |
| ჩვენს დანატოვარს | 294 |
| ახალგაზრდობა სიმართლეს იტყვის | 294 |
| ყოველ ლოცვაზე ამიტომ ვტირი | 295 |
| ივერთ ნათებისთვის | 295 |
| დღესასწაულად მომიმზადე გარდაცვალებაც | 296 |
| წუთისოფლის ლამაზ დღენო | 296 |
| სამყაროს შევცვლი | 297 |

„იზა ქიცაიძეს, როგორც პოეტს, ორიგინალური აზროვნება და საკუთარი ფერხილვა ახასიათებს. იგი ჭეშმარიტი პოეტია. ჭეშმარიტ პოეტებს კი თავიანთ „არს პოეტიკაზე“ დიახაც, შემჩნევით შემფასებლური დამოკიდებულება და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ დამოკიდებულებას თავმდაბლობის სხივი დასთამაშებს... ჩემი ღრმა რწმენით, გულისყურიანი მკითხველი ამ წიგნის წაკითხვით პოეზიის ახალ ნაკადს ეზიარება და თანამედროვეობის სულის ხვეულებში იზა ქიცაიძის პოეტური ლამპრით სვლა ელის.“

რევაზ მიშველაძე

„იზა ქიცაიძე ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკითა და საინტერესო მხატვრული ხერხებით ანებივრებს მკითხველს.“

გულნაზ ხარაიშვილი

„ქალური სინაზით, კდემით დაფერფლილი ამ ქალბატონის სიფრიფანა სული, როგორც პეპელას მინანქრული ფრთები, დაფარფატებს სევდიან ელეგიებში და გვინერგავს ღვთის, მზის, სიცოცხლის სიყვარულს.“

ლერი ალიმონაკი

„იზა ქიცაიძის სიყვარულისა და ნიჭიერების წყალობით, მისი ლექსები შთაგონების წყარო გახდა ჩემთვის... ხვალიდან, მეც ისეთ სიმღერებს დავწერ, რომ სამყარომ ფერი იცვალოს და სრულად განეტაროს!..“

მაცაცო სებისკვერაძე